



საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო
ჟურნალი

ა რ ქ ე ო ლ ო გ ი ა

V

A R C H A E O L O G Y

The Scientific Journal of the University of Georgia



საქართველოს უნივერსიტეტის
გ ა მ ო მ ს ე მ ლ ო ბ ა

თბილისი / Tbilisi

2024



საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის საერთაშორისო ცენტრი
International Archaeological Center of the University of Georgia
www.archaeology.ge

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა © 2024
თბილისი, საქართველო

Printed at The University of Georgia
Tbilisi, Georgia

საავტორო უფლებები © 2024 ეკუთვნის საქართველოს უნივერსიტეტს. ყველა სახის ციფრული ან ბეჭდური სახით გავრცელება წინამდებარე ჟურნალში არსებული სტატიებისა და ფოტო-ვიზუალური მასალისა კომერციული მოგების მიზნით საქართველოს უნივერსიტეტთან შეთანხმების გარეშე აკრძალულია.

Copyright © 2024 All right reserved by the University of Georgia. Permission to make digital or hard copies of part or all of this work for personal or classroom use is granted without fee provided that copies are not made or distributed for profit or commercial advantage.

ჟურნალში წარმოდგენილი სამეცნიერო აზრები და შეხედულებები ეკუთვნით ავტორებს. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა პასუხს არ აგებს სტატიების სამეცნიერო შინაარსზე.

No responsibility for the views expressed by authors in the “Archaeology” scientific journal of the University of Georgia is assumed by the editors or the publisher.

„არქეოლოგია“ საქართველოს
უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი,
საქართველოს უნივერსიტეტი.
საქართველო, თბილისი. 0175
მ. კოსტავას 77ა, კორპუსი IV
ტელ: (+995 99) 319915

“Archaeology” Scientific journal
of the University of Georgia,
The University of Georgia.
Georgia. Tbilisi. 0175
M. Kostava Street 77, Building IV
Tel: (+995 99) 319915

Email: ug@ug.edu.ge

ISSN 2449-2922

საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი „არქეოლოგია“
“Archaeology” the scientific journal of the University of Georgia

სამეცნიერო რედაქტორი Scientific Editor	დავით ბერიკაშვილი David Berikashvili
ტექნიკური რედაქტორი Managing Editor	ნინო სუარიძე Nino Suaridze
ყდის დიზაინერი Designer	ნინო სუარიძე Nino Suaridze
რედაქტორი Editor	მარინა ჯღენტი Marina Zhgenti

სარედაქციო საბჭო
Editorial Board

დავით ლომიტაშვილი David Lomitashvili	საქართველოს ეროვნული მუზეუმი Georgian National Museum
გურამ გრიგოლია Guram Grigolia	ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი Iv. Javakhishvili Tbilisi State University
ვახტანგ ჯაფარიძე Vakhtang Japaridze	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი Sokhumi State University
ვახტანგ ლიჩელი Vakhtang Licheli	ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი Iv. Javakhishvili Tbilisi State University
იულონ გაგოშიძე Julon Gagoshidze	საქართველოს უნივერსიტეტი, თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი The University of Georgia, Tamaz Beradze Institute of Georgian Studies
დარეჯან კაჭარავა Daredjan Kacharava	საქართველოს ეროვნული მუზეუმი Georgian National Museum
მინდია ჯალაბაძე Mindia Jalabadze	საქართველოს ეროვნული მუზეუმი Georgian National Museum
ლევან ჭაბაშვილი Levan Tchabashvili	საქართველოს უნივერსიტეტი The University of Georgia
ნიკოლოზ მურდულია Nikoloz Murgulia	საქართველოს ეროვნული მუზეუმი Georgian National Museum
შოთა თვალაძე Shota Tvaladze	საქართველოს უნივერსიტეტი The University of Georgia
ლევან კვახაძე Levan Kvakhadze	არქეოლოგიის საერთაშორისო ცენტრი International Archaeological Center

სარჩევი Contents

<i>დავით ბერიკაშვილი</i> <i>David Berikashvili</i>	
კაზრეთის ორთვალა მღვიმის არქეოლოგიური ძეგლი.....8	8
Kazreti Ortvala Cave archaeological site.....50	50
<i>შოთა თვალაძე</i> <i>Shota Tvaladze</i>	
მდინარე ჭივჭავის მარცხენა ფლატეზე განვითარებული გამოქვაბულთა კომპლექსების დაზვერვითი სამუშაოების ანგარიში.....91	91
Report of reconnaissance works of the cave complexes developed on the left plateau of the Chivchavi River.....106	106
<i>ლევან კვახაძე</i> <i>Levan Kvakhadze</i>	
სამშვილდის ნაქალაქარზე ახლად გამოვლენილი ობსიდიანისა და კაჟის ისრისპირები113	113
Newly discovered obsidian and flint arrowheads from SamShvilde.....125	125
<i>გიორგი მწყერაძე</i> <i>Giorgi Mtskeradze</i>	
შემთხვევით აღმოჩენილი მონეტები უჯარმის მიდამოებიდან.....127	127
Accidentally discovered coins from the area of Ujarma.....146	146
<i>ნინო პატარიძე</i> <i>Nino Pataridze</i>	
ლანდშაფტის არქეოლოგიის მნიშვნელობა ფარავნის არქეოლოგიური ძეგლების კვლევის მაგალითზე.....148	148
The importance of landscape archaeology on the example of archaeological monuments of Paravani research.....156	156
<i>დიმიტრი ჯვანია</i> <i>Dimitri Zhvania</i>	
ირმის რქა როგორც სამიწათმოქმედო იარაღი (არუხლო I-ის მაგალითზე).....157	157
Deer antler as a three-point weapon (on the example of Arukhlo I).....169	169
<i>ირაკლი სოზიაშვილი</i> <i>Irakli Soziashvili</i>	
არემის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ადრე შუა საუკუნეების სუფრის კერამიკა.....170	170
Early Medieval tableware found at Archaeological cite Areshi.....195	195

ლევან ჭაბაშვილი

Levan Tchabashvili

აფენომენების სისტემატიზაცია პრეისტორიულ არქეოლოგიაში – კლასიფიკაცია, ტიპოლოგია, განხორციელება, პრაქტიკული გამოყენება და მნიშვნელობა.....197

Systematization of phenomena in prehistoric archaeology – classification, typology. Implementation, practical application and significance.....206

ლევან ჭაბაშვილი

Levan Tchabashvili

საქართველოს უნივერსიტეტისა და გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ერთობლივი კვლევები სამშვილდის პრეისტორიულ ძეგლზე.....209

Joint Studies of the University of Georgia and the German Institute of Archaeology at the Prehistoric Site of Samshilde.....215

„არქეოლოგია“ 5-ის სტუმარია პროფესორი ნოდარ ბახტაძე.....219

საქართველოს უნივერსიტეტის ჟურნალ „არქეოლოგიის“ მეხუთე ტომი, პან-დემიით გამოწვეული იძულებითი პაუზის შემდეგ პირველი გამოცემაა. მიუხედავად ობიექტური მიზეზებით გამოწვეული შეფერხებისა, იგი, ისევე როგორც წინა გამოცემები, დაინტერესებულ მკითხველს კვლავაც საინტერესო არქეოლოგიურ სიახლეებსა და ახლად შესწავლილ ძეგლებს წარმოუდგენს.

ჟურნალში წარმოდგენილი სტატიების ნაწილი, საქართველოს უნივერსიტეტის „ახალგაზრდა არქეოლოგთა მეოთხე სამეცნიერო კონფერენციაზე“, წაკითხულ მოხსენებათა შინაარსებია, ნაწილი კი საკვალიფიკაციო ნაშრომების შემცირებული ვარიანტები და ახლად შესწავლილი ძეგლების კვლევის შედეგები.

მეხუთე ტომში, ისევე როგორც სხვა წინა გამოცემებში, კვლავაც ეთმობა ადგილი რუბრიკებს - „პროექტი“ და „ინტერვიუ“.

რუბრიკა „პროექტი“ წარმოდგენილია საქართველოს უნივერსიტეტისა და გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარე სამეცნიერო პროექტი, რომელიც გულისხმობს სამშვილდის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარის არქეოლოგიურ კვლევებსა და მიღებული შედეგების სამეცნიერო პუბლიკაციას.

რუბრიკა „ინტერვიუ“ კი, რომელიც ჟურნალის სტუდენტურ ნაწილს წარმოადგენს, მასპინძლობს საქართველოს ეროვნული მუზეუმის წამყვან მეცნიერ-თანამშრომელს, ილიას უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, არქეოლოგ ნოდარ ბახტაძეს.

ჟურნალის წინამდებარე გამოცემა შინაარსით უფრო მრავალფეროვანი და მოცულობითია. ამავე დროს, მთავარი აქცენტი გაკეთებულია ახლად გამოვლენილ ძეგლებზე, ახალ არქეოლოგიურ მასალებზე და ზოგადად, ბოლო ხანებში მომხდარ ახალ აღმოჩენებზე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წინამდებარე ჟურნალში წარმოდგენილი ზოგიერთი სტატია ახალგაზრდა, დამწყებ მკვლევარებს ეკუთვნით. შესაბამისად, ისინი არ არიან დაზღვეული მცირე ხარვეზებისაგან, თუმცა, ჟურნალ „არქეოლოგიის“ ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ, დამწყებ არქეოლოგთათვის საპუბლიკაციო სივრცის უზრუნველყოფა და ხელის შეწყობაა.

დარწმუნებული ვართ „არქეოლოგია“ კარგი პლატფორმა იქნება მათთვის, მომავალში უფრო სერიოზული და მაღალკვალიფიციური ნაშრომების მოსამზადებლად.

დავით ბერიკაშვილი

კაზრეთის ორთვალა მღვიმის არქეოლოგიური ძეგლი

ბერიკაშვილი დავით,
საქართველოს უნივერსიტეტი
davidberikashvili8@gmail.com

პრეამბულა

კაზრეთის ორთვალა მღვიმე ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ისტორიულ ქვემო ქართლში (სამხრეთ საქართველო) მდებარეობს. იგი ბაზალტოვან მასივში გამომუშავებულ მღვიმურ კომპლექსს წარმოადგენს, სადაც არქეოლოგიურმა გათხრებმა სხვადასხვა პერიოდის კულტურული ფენები და არქეოლოგიური მასალები დაადასტურა.

2018-2023 წლებში წარმოებული არქეოლოგიური კამპანიების შემდეგ, დღეს უკვე შესაძლებელია ძეგლის სტრატოგრაფიასა და ქრონოლოგიაზე გარკვეული წარმოდგენის შექმნა. ასევე, იმ კულტურათა იდენტიფიცირება, რომლებიც ძეგლზე არქეოლოგიური ფენების, ნაგებობათა ნაშთებისა თუ ცალკეული არტეფაქტების სახითაა გამოვლენილი.

ამავე დროს, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების შეჯერების საფუძველზე, შესაძლებელია ძეგლის შესახებ გარკვეული დასკვნების გაკეთება, რაც შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

ორთვალა მღვიმის თავდაპირველი ათვისება შუა პალეოლითში (Middle Paleolithic), ადრეული ჰომო საპიენსის მიერ მომხდარა, ამაზე აქ მუსტიერული წვეტანების (Mousterian pointer) აღმოჩენა მიუთითებს. ამ ტიპის წვეტანების თარიღი და ზოგადად, კავკასიაში მუსტიერული კულტურა 100 000 წ-დან 40 000 წ-მდე შუალედით არის განსაზღვრული, შესაბამისად, ორთვალას მასალებიც ამავე პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის უძრავი ფენები ძეგლზე ჯერჯერობით არ ჩანს, მათი აქ აღმოჩენის პერსპექტივა საკმაოდ რეალისტურია.

მეზოლითური (Mesolithic) კულტურა მომდევნოა, რომლის არსებობაც ორთვალაში ობსიდიანისა და კაჟის ნამზადი იარაღით დასტურდება. აქ აღმოჩენილი საფხეკები (scrapers), თავგადატეხილი საჭრისები (burins), წვეტანები (perforator tools) და მიკროლითები (microlith) საქართველოს სხვა მეზოლითური ძეგლების მასალების მსგავსია, რომელთა თარიღიც 12 000-9 000 წწ. ფარგლებშია მოქცეული. ამკარაა რომ ორთვალა მღვიმის წინ, ტერასაზე, შუა საუკუნეების მძლავრი ფენების ქვეშ, მეზოლითური ეპოქის ფენა უნდა იყოს განფენილი.

მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება ობსიდიანისა და ქვის ის იარაღი, რომელიც ახლოს დგას მეზოლითურ მასალებთან, თუმცა, უფრო პროგრესული ნიშნებით ხასიათდება. მიგვაჩნია, რომ ეს მასალები მეზოლითურ მოგვიანო და ნეოლითურ (Neolithic) კულტურას განეკუთვნება. მასალების ამ ჯგუფში ერთიანდება ობსიდიანისა

და კაჟის ლამელები (lamela), საჭრისები (burin), სახვრეტები (perforator tools), ხელსაფქვაკი ქვები (hand mill stone) და ასევე, ხელით ნაძერწი, უხეში კერამიკა, რომლებსაც მარტივი, ცილინდრული ფორმები ახასიათებთ.

ადრესამიწადმოქმედო (Early Agriculture) კულტურისათვისაა დამახასიათებელი ასევე მარტივი, სადა ფორმის, უხეშად ნაძერწი თიხის ჭურჭლის ის ფრაგმენტები, რომელიც ორთვალა მღვიმის წინ, მდინარისკენ ჩამავალ ფერდობზე აღმოჩნდა. ეს ფრაგმენტები, უხეშად, ხელით დაძერწილი რელიეფური ზოლებითა და კოპებითაა შემკული და არუხლოს (Arukhlo), ხრამის დიდი გორის (Khramis Didi Gora), შულავერისა და შომუთეფეს ნამოსახლარებზე (Shoulaver-Shomutepe Settlement) აღმოჩენილი მასალების ანალოგიურია, მათი თარიღი ძვ.წ. VI-V ათასწლეულებით განისაზღვრება. მიუხედავად იმისა, რომ ორთვალაში ადრესამიწადმოქმედო ეპოქის უძრავი ფენები ჯერჯერობით არ დადასტურებულა, ვფიქრობთ, მღვიმის წინ, ფერდობზე აღმოჩენილი არქაული მასალები ტერასიდანაა გადმორეცხილი, სადაც ამ პერიოდის სადგომი უნდა არსებებდეს.

ძველზე მომდევნო ეტაპი გვიანბრინჯაო-ადრერკინის (Late Bronze – Early Iron Age) ხანას განეკუთვნება. ეს პერიოდი წარმოდგენილია მოშავო-მონაცრისფროდ ან ღია მოყავისფროდ გაპრიალებული ზედაპირის მქონე ჭურჭლის ნატეხებითა და მრგვალი განიკვეთის მქონე ყურებით. ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად ნაპრიალები ხაზებით, ასევე ისეთი ფორმებით, როგორც დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კერამიკისათვის, ეს მასალები, ანალოგებს პოულობენ ხოვლეს ნამოსახლრის, დოდლაურის სამაროვნის, მადნისჭალის სამაროვნის და სხვ. ძეგლების მასალებთან. პარალელური მასალების მიხედვით, მათი თარიღი ძვ.წ. XII-VIII სს-ით განისაზღვრება.

ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი მასალები ორთვალაში უკანასკნელ ხანებამდე აღმოჩენილი არ ყოფილა. თუმცა, 2023 წლის სავლელ სამუშაოების დროს, ფერდობზე გაჭრილ სადაზვერვო თხრილში აღმოჩნდა ძვ.წ. VI-V საუკუნეებისათვის დამახასიათებელი, ჯავშნის ე.წ. „ფირფიტა“ (Lorica Squamata) და მის სიახლოვეს, იმავე ფენაში მდებარე ბრინჯაოს სამფრთიანი ისრისპირი. ჯავშნის აღნიშნული ფირფიტა და ასევე, ისრისპირი ახლოს დგას და ემსგავსება ანტიკური ეპოქის ისეთი ძეგლების მასალებს, როგორცაა, მცხეთა, ვანი, საირხე და სხვ. მიგვაჩნია, რომ მომავალშიც, ორთვალა მღვიმესთან ამავე პერიოდის სხვა ნივთების, ან სულაც კულტურული ფენის გამოვლენა სავსებით მოსალოდნელია.

ადრეული შუა საუკუნეები კაზრეთის ორთვალაში კარგადაა წარმოდგენილი. ამ პერიოდს, უპირველეს ყოვლისა, ჩრდილოეთის მღვიმეში გამოვლენილი, ეკლესიის კარის ღიობის მარჯვნივ მდებარე, რელიეფური ჯვრითა და ძველი ქართული (ასომთავრული) წარწერით გამშვენებული კუბისებური ფორმის ქვის ბაზისი განეკუთვნება, რომელზეც სტელა უნდა ყოფილიყო აღმართული. ეს ბაზისი ამავე რეგიონში მდებარე V-VI სს-ის ძეგლებთან იჩენს დიდ მსგავსებას. რაც შეეხება, სტელას იგი გათხრების შედეგად არ აღმოჩენილა, მაგრამ მისი დეტალები და რელიეფური შემკულობის ფრაგმენტები მთელს მიმდებარე ტერიტორიაზე იყო გაფანტული.

რაც შეეხება კომპლექსის ჩრდილოეთ მღვიმეში აღმოჩენილ ეკლესიას, როგორც ამაზე სტრატиграფიული მონაცემები და საერთო ვითარებაზე დაკვირვება მიუთითებს, იგი ასევე ადრეულ შუა საუკუნეებში, კერძოდ, V-VI სს-ში უნდა იყოს აგებული. თუმცა, აგებიდან მალევე, სავარაუდოდ, VII-IX სს-ში ეს ეკლესია განადგურებულია და გადამწვარა (შესაძლოა არაბთა შემოსევების შედეგად). ამავე დროს უნდა იყოს განადგურებული ეკლესიის კართან აღმართული ის სტელაც, რომელიც ზემოთ იყო აღნიშნული.

განვითარებული შუა საუკუნეები კაზრეთის ორთავალა მღვიმეში მდებარე ადრე-ქრისტიანული ხანის სამონასტრო კომპლექსის აღორძინების პერიოდია. ამ დროს ეკლესია განუახლებიათ, აღუდგენიათ და მის ინტერიერში იატაკი წითელი ტუფის ფილებით მოუგიათ. ამავე პერიოდში მნიშვნელოვანი აქტიურობა შეინიშნება ეკლესიის გარეთაც, მის წინამდებარე ტერასაზე და სამხრეთის მღვიმის შესასვლელთან, სადაც სამეურნეო ნაგებობები და მცირე მარანი გაუმართავთ. როგორც ჩანს, ამ პერიოდში აქ აქტიური სამონასტრო ცხოვრება მიმდინარეობდა.

განახლებული ეკლესიისა და მონასტრის ფუნქციონირების რადიოკარბონული თარიღი 1026-1160 წწ-ია, რაც კარგად შეესაბამება ტერასაზე განფენილი მესამე კულტურული ფენის გათხრების დროს აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების თარიღს. განვითარებული შუა საუკუნეების სამონასტრო კომპლექსის განადგურება, სავარაუდოდ, XIII ს-ში ჯალალ-ედ-დინის ან შესაძლოა, მონღოლების აღმოსავლეთ საქართველოში ლაშქრობებთან იყოს დაკავშირებული.

და ბოლოს ძეგლის ყველაზე ბოლო, შესაძლებელია ითქვას, ფინალური ფაზა გვიანი შუა საუკუნეებითაა წარმოდგენილი. ამ პერიოდის ფენას გადაფარული აქვს განვითარებული შუა საუკუნეების ადგენილი ეკლესიის თითქმის მთელი პერიმეტრი და მღვიმეების წინამდებარე ტერასა. ამ ფენაში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები აღმოსავლეთ საქართველოს XVII-XVIII სს-ის ძეგლებისათვის დამახასიათებელი თიხის ნატეხებითა და დიდი ოდენობის ზოოარქეოლოგიური მონაპოვრითაა წარმოდგენილი.

ყველაფერი 1957 წლის აღმოჩენით დაიწყო, როდესაც ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ნ. ბერძენიშვილი) დაბა კაზრეთის სიახლოვეს (ბოლნისის მუნიციპალიტეტი, ისტორიული ქვემო ქართლი), მდ. მამავერას ხეობაში მიაკვლია მღვიმურ კომპლექსს და აქ მცირე მასშტაბის საცდელი თხრილი (პარამეტრები 2x1 მ.) გაავლო*.

მღვიმე გამომუშავებულია ანდეზიტ-ბაზალტებისა და ვულკანური ტუფების ჩაჭრის შედეგად წარმოქმნილ ვიწრო, კანიონისებურ ხეობაში, რომელიც დაბა კაზრეთთან თანდათან ფართოვდება და სამ, სხვადასხვა დონეზე განლაგებულ, მდინარეულ ტერასას აყალიბებს**. აქედან პირველი ტერასა მდ. მამავერას დონიდან 5-10 მეტრზე, მეორე - 10-20 მეტრზე, მესამე კი 25-35 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ამ უკანასკნელის ზემოთ კი, 40-50 მეტრის სიმაღლეზე ვრცელდება ვულკანური პლატო, სადაც დაბა კაზრეთია გაშენებული.

ორთვალა მღვიმე მესამე ტერასაზე, კანიონისებურ ანდეზიტის ქარაფოვან კედელში, მდინარის დონიდან 35-40 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს და მისი ორივე „თვალი“ ბუნებრივი კლდით მეტნაკლებადაა შემოზღუდული. ასეთი მდებარეობის გამო მათ სიღრმეში მზის სხივები ნაკლებად აღწევს, რის გამოც ისინი ტენიანობით ხასიათდებიან. შედარებით უფრო მშრალია და, შესაბამისად, უკეთესი საყოფაცხოვრებო პირობებით გამოირჩევა ჩრდილოეთის მღვიმე, რომლის ფასადური მხარე ნიჟარისებური ფორმისაა, იგი სიგანით 14-15 მ-ს, სიმაღლით 3,5-4.0 მ-ს, სიღრმით კი 10-11 მ-ს აღწევს. მასში მზის სხივები მხოლოდ დილით (გაზაფხულზე და ზაფხულში) და გვიან საღამოთი (შემოდგომაზე) აღწევს, მაგრამ ჰაერის კარგი ცირკულაციის გამო მაინც შედარებით მშრალი რჩება, რასაც ამკარად მოისაკლისებს მეორე მღვიმე.

ეს უკანასკნელი პირველის სამხრეთით მდებარეობს. უფრო სწორედ, სამხრეთიდან ებჯინება პირველს, ხოლო მათ შორის არსებულ გამთიშველ მიჯნას 3-4 მ სიგანის, ბუნებრივი (ბაზალტური) კლდის მასივი წარმოადგენს. მისი ღერძული ხაზი სამხრეთიდან ჩრდილოეთით არის დამხრობილი. ეხის შესასვლელის სიგანე 7-8 მეტრია, სიმაღლე 3 მ, ხოლო ხილული სიღრმე კი 13-15 მ-ს აღწევს. მღვიმის თაღი და კედლები ინტენსიურად არის დანაპრალებული, საიდანაც აქტიურად ჟონავს ნიადაგური წყლები. წყლის ზემოქმედების შედეგად მღვიმის ქერი და კედლები იმდენად გადალესილია, რომ, ამ მხრივ იგი ცარცული აღნაგობის, კირქვულ ქანებში კასტრული პროცესების შედეგად განვითარებულ მღვიმეებს ემსგავსება***. მიუხედავად

*1957 წლის სადაზვერვო-საძიებო სამუშაოების აღწერილობა დეტალურად არის მოცემული არქეოლოგ გურამ გრიგოლიას საველე დღიურში, რომელიც, აწ განსვენებულმა მეცნიერმა, დიდსულოვნად გადმოგვცა 2018 წელს, როდესაც „ორთვალა მღვიმის“ კვლევის ახალი ეტაპი დაიწყო. 2019 წლიდან დღემდე კაზრეთის ორთვალა მღვიმის შემსწავლელ ექსპედიციას წინამდებარე სტატიის ავტორი ხელმძღვანელობს.

** აღნიშნული ანდეზიტ-ბაზალტები, ვულკანური ტუფები და შესაბამისად მდინარეული ტერასებიც, დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე შესწავლილი ფაქტების საფუძველზე 2.0 – 1.8 მილიონი წლის წინანდელი პერიოდით თარიღდება.

*** ჩვენ შევეცადეთ უკეთ გავრკვეულიყავით კაზრეთის ორთვალას მორფოლოგიაში და დაკვირვების შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ სამხრეთის მღვიმე ე.წ. პიროდაქტს (Pyroduct) „ლაჟურ გვირაბს“ წარმოადგენს. რასაც ვერ ვიტყვით ჩრდილოეთის მღვიმეზე, რომელიც ლაჟური „ბუშტის“

იმისა, რომ დღეისათვის მღვიმე სველი და ადამიანის საცხოვრებლად ნაკლებად სახარბიელოა, მაინც შესაძლებელია იმის წარმოდგენა, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო ის პრეისტორიულ ხანაში, როდესაც ადრეული ჰომო საპიენსი პირველად დასახლდა და თავისი საქმიანობის კვალი დატოვა.

უნდა ითქვას ისიც, რომ კაზრეთის ორთავალა არც ისტორიულ პერიოდში დარჩენილა ყურადღების მიღმა, რაზეც აქ, ბოლო ხანებში ჩატარებული გათხრების შედეგად გამოვლენილი სხვადასხვა პერიოდის არტეფაქტები და ხუროთმოძღვრული ძეგლები მეტყველებენ. სწორედ ისტორიულ ეპოქაში, კერძოდ კი შუა საუკუნეებში წარმოადგენდა კაზრეთის ორთავალა იმ განსაკუთრებულ ადგილს, სადაც მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი სამონასტრო კომპლექსი ფუნქციონირებდა.

ძეგლის შესწავლის ახალი ეტაპი, მიზანი და მეთოდოლოგია

2018 წელს კაზრეთის ორთავალა მღვიმის კვლევის ახალი ეტაპი დაიწყო. ამჯერად მიზანს 1957 წელს გავლებული სადაზვერვო თხრილის გაფართოება და დაღრმავება წარმოადგენდა, რათა გარკვეულიყო ჩრდილოეთის მღვიმეში მდებარე კედლის ნაშთების რაობა და ასევე, მღვიმის წინამდებარე ტერასაზე კულტურული ფენების გავრცელების არეალი. ცხადია, მნიშვნელოვანი იყო იმის დადგენაც, ვრცელდებოდა თუ არა არქეოლოგიური კონტექსტები და ფენები სამხრეთის მღვიმეში*.

გამომდინარე იქიდან, რომ კაზრეთის ორთავალა რთული რელიეფითა და სტრატოგრაფიით ხასიათდება, მნიშვნელოვანი იყო თავიდანვე სწორედ შეგვერჩია ის მეთოდოლოგია, რაც ახლად გამოვლენილი არქეოლოგიური რეალიებისა და ასევე, ცალკეული ობიექტების ადგილმდებარეობის ზუსტად განსაზღვრის საშუალებას მოგვცემდა. ამ მიზნით კომპლექსში შემავალი ორივე მღვიმის ინტერიერი, ისევე როგორც, მღვიმეების წინამდებარე ტერასა, მთლიანად დაიფარა არქეოლოგიური ბადით, რომელიც დაგეგმარდა დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე და დაყოფილ იქნა 1x1 მ ზომის კვადრატებად.

ჩაჭრის შედეგად გახსნილი „ქვაბია“. სამხრეთის მღვიმე კი აშკარად გვირაბია, ამაზე მიუთითებს მისი კონფიგურაცია, დახრილობა, კედლებზე არსებული ნაკარები და ყოველივე ის, რაც ლავური მასის ნელ-ნელა გაცივებასთან და ამ პროცესის პარალელურად „გვირაბის“ ფორმირებასთან არის დაკავშირებული. „ლავური გვირაბების“ შესახებ დეტალურად იხილეთ: Stephan Kempe „PRINCIPLES OF PYRODUCT (LAVA TUNNEL) FORMATION“ Institute of Applied Geosciences, University of Technology Darmstadt, Schnittspahnstr. 9, D-64287. Darmstadt, Germany. ICS Proceedings. 2009.

* საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, კაზრეთის „ორთავალა მღვიმის“ არქეოლოგიური ძეგლის გარკვეული ნაწილი მოქცეულია მოქალაქე მევლედ ბასილაშვილის სახელზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე. უნდა ითქვას, რომ მ. ბასილაშვილმა გამოიჩინა მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება, პასუხისმგებლობა და დიდად შეუწყო ხელი „ორთავალა მღვიმის“ შემსწავლელ არქეოლოგიურ ექსპედიციას სავლედ სამუშაოების წარმოების დროს. მისი ეს საქციელი დასაფასებელია და მას მაღლობას მოვასხენებთ.

გათხრითი სამუშაოები წარიმართა 5, 10 და 20 სმ სისქის ფენების მოხსნით, რასაც შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება მოჰყვებოდა*. საველე დოკუმენტაციის საწარმოებლად ვიყენებდით ცალკეული კონტექსტების აღწერის ფურცლებს, სამარხული კოტეჯის, ნიადაგის, არქეობოტანიკური და პალინოლოგიური სინჯების აღწერის ფურცლებსა და ამავდროულად, ყოველი ახლად გამოვლენილი, მნიშვნელოვანი რეალიები ძეგლის გენერალურ გეგმაზე აღინიშნებოდა**.



სურ. 2 „ორთვალა მღვიმე“ მდ. მაშავერას ხეობაში. პლატოზე განლაგებულია დაბა კაზრეთი (დ.ბერიკაშვილის ფოტო).

არქეოლოგიური მონაპოვრის, არქიტექტურული დეტალების, ზოოარქეოლოგიური მასალებისა და აგრეთვე, ბიოარქეოლოგიური ნაშთების გათხრა-ფიქსაცია წინასწარ შემუშავებული მეთოდით განვანორციელებთ. ეს გულისხმობდა მათ სათანადო ხელსაწყოებით პრეპარაციას, გრაფიკულ ფიქსაციასა და ყოველივე მათგანისთვის ინდივიდუალური საველე ეტიკეტის შედგენას. კერამიკულ მასალას, ქვისგან, ობსიდიანისგან, კაჟისა და ლითონისგან დამზადებულ ნივთებს პირველადი კონსერვაცია არქეოლოგიურ ბაზაზე უტარდებოდა, ხოლო ზოოარქეოლოგიური და ბიოარქეოლოგიური ნაშთები მზადდებოდა შესაბამისი კომპლექსური კვლევებისათვის***.

*საპრეპარაციო შრის სისქე განისაზღვრებოდა კონკრეტული ფენის სიმძლავრისა და მასში არსებული არტეფაქტების ინტენსივობის მიხედვით.


**2018-2023 წწ-ის საველე დოკუმენტაცია დაცულია საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობის დეპარტამენტში. ასევე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში.

*** კაზრეთის ორთვალა მღვიმის გათხრების დროს მოპოვებული მასალები დაცულია საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიური მუზეუმის ფონდებში.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე გეოდეზიური, ფოტოგრამეტრიული, ტოპოგრაფიული და აეროფოტოგადაღებითი სამუშაოები, რაც, დამატებით, მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყარო გახდა. სხვადასხვა არქეოლოგიური კონტექსტების რადიოკარბონული თარიღების მისაღებად აღებულ იქნა ნახშირისა და ზოოარქეოლოგიური მასალის სინჯები და ნიმუშები.* ფარდობითი თარიღების მისაღებად გამოყენებული იქნა არქეოლოგიური მასალის ანალიზისა და სტატისტიკის მეთოდები, ასევე სტრატოგრაფიული დათარიღების მეთოდი.

2019-2023 წლების არქეოლოგიური გათხრების შედეგები

2019-2023 წლების არქეოლოგიური სამუშაოები მთლიანად დაიგეგმა იმ მონაცემების საფუძველზე, რომელიც 1957 და 2018 წლების სადაზვერვო სამუშაოების შედეგად ჩვენს ხელთ აღმოჩნდა. გადაწყდა, რომ გათხრები ჩაგვეტარებინა ორთვალა მღვიმის ოთხ სხვადასხვა უბანზე, რომელთაგან პირველი სამხრეთის მღვიმის შესასვლელთან, უშუალოდ „მღვიმის წარბის“ ქვეშ მდებარეობდა, მეორე უბანი მთლიანად მოიცავდა ჩრდილოეთის მღვიმის ინტერიერს, მესამე - მღვიმეების წინამდებარე ტერასას, მეოთხე კი ამავე ტერასიდან, მდინარის ქალისკენ დაქანებულ ფერდს წარმოადგენდა.



სურ. 3 „ორთვალა მღვიმე“ - გეგმა და არქეოლოგიური უბნები.

* კაზრეთის ორთვალა მღვიმის გათხრების დროს აღებული სინჯების დათარიღება მოხდა არიზონას უნივერსიტეტის (აშშ) AMS (Accelerator Mass Spectrometry Lab) ლაბორატორიაში.

საბოლოო ჯამში, ოთხივე უბანზე შესრულებულმა გათხრებმა მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა, რამაც შეიძლება ითქვას, შეავსო ერთმანეთი და ძეგლის სტრატოგრაფიის, პერიოდოზაციისა და ქრონოლოგიის შესახებ მკაფიო და ნათელი წარმოდგენა შეგვიქმნა.

გათხრები პირველ უბანზე (სამხრეთის მღვიმის შესასვლელთან) არ ატარებდა მაშტაბურ ხასიათს და ერთმანეთის გვერდით განლაგებული, ორი, A და B თხრილით შემოიფარგლებოდა (თხრილების პარამეტრები- 3x2 მ). სტრატოგრაფიული თვალსაზრისით ორივე თხრილში ერთმანეთის მსგავსი სურათი დაფიქსირდა. კერძოდ, მიწის ზედაპირი, რომელიც მღვიმური ნალექებით შემდგარ ფენას წარმოადგენდა, უხვად შეიცავდა თანამედროვე პერიოდის საყოფაცხოვრებო ნარჩენებსა და ნაგავს (მინის ბოთლის ნამსხვრევები, პლასტმასის ნარჩენები, რეზინის ნაშთები და სხვ.). ყოველივე ეს, აქ, ზემოთ, პლატოზე მდებარე სამეურნეო-საცხოვრებელი ნაგებობების დასუფთავების შედეგად იყო მოხვედრილი. თანამედროვე ნარჩენების შემცველი ფენის სისქე 25-30 სმ-ს აღწევდა. მას მოსდევდა მოყავისფრო შეფერილობის მქონე თიხნარი ფენა, რომელშიც მცირე ოდენობით, მაგრამ მაინც, გამოჩნდა მე-18-19 საუკუნეებისათვის დამახასიათებელი კერამიკული ფრაგმენტები*. ეს ფაქტი, ამ პერიოდში, მღვიმეების პერიოდულ ოკუპაციაზე მიუთითებს.

მეორე კულტურული ფენის სიმძლავრე 0.90 - 1.20 მ-ს შორის მერყეობდა და გეომორფოლოგიური თვალსაზრისით, დამწვარ-დანახშირებული, თხელი, 5-10 სმ. სისქის თიხნარი შრეებისა და ძლიერი ცეცხლის ზემოქმედების შედეგად გადამწვარი, ორგანული ნივთიერებისგან განთავისუფლებული მოთეთრო-მოყვითალო ჰორიზონტების შეწყვილების შედეგად წარმოქმნილ ფენას წარმოადგენდა.

მიუხედავად ასეთი შედგენილობისა, არქეოლოგიური მასალა, რომელიც ამ ფენიდან მომდინარეობდა მთლიანად ერთ არქეოლოგიურ კონტექსტს მიეკუთვნებოდა და განვითარებული შუა საუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ექცეოდა. ამ ფენიდან მომდინარე მასალები ფრაგმენტულად იყო წარმოდგენილი, თუმცა, მაინც განირჩეოდა ისეთი სახასიათო ნიმუშები, როგორიცაა თეთრ ანგობზე მრავალფრად მოხატული და მოჭიქული ჯამის ნატეხები, ცისფრად მოჭიქული, ტალღისებური-ორნამენტური ჯამის ფრაგმენტები და სხვ.

* ეს ფენა განვსაზღვრეთ როგორც პირველი კულტურული ფენა. მისი მომდევნო, სტრატოგრაფიულად ქვემოთ მდებარე, განვითარებული შუა საუკუნეების მასალების შემცველი ფენა განისაზღვრა როგორც მეორე, ხოლო მომდევნო, კიდევ უფრო ქვემოთ მდებარე, ადრეული შუა საუკუნეების მასალისა და არქიტექტურული დეტალების შემცველი ფენა განისაზღვრა როგორც მესამე კულტურული ფენა.



სურ.4. გვიანი (1,2,3) და განვითარებული (4,5) შუა საუკუნეების კერამიკის ფრაგმენტები კაზრეთის ორთვალას პირველი და მეორე ფენებიდან (დ.ბერიკაშვილის ფოტო).

მესამე კულტურული ფენა უშუალოდ მოსდევდა მეორეს და თხრილებში ყველაზე ღრმად მდებარეობდა. იგი მთლიანად იყო განფენილი მღვიმის კლდოვან დედაქანზე და არქეოლოგიური მასალის შემცველობის თვალსაზრისით საკმაოდ ღარიბი იყო. აღსანიშნავია, რომ მესამე ფენის მცირერიცხოვან კერამიკულ მონაპოვარს შორის რამდენიმე ერთეული, ადრეული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი, კარგად განლექილი, ნაპრიალევი და ნარინჯისფერზედაპირიანი თიხის ნატეხი აღმოჩნდა. სწორედ აქვე, მესამე ფენაშივე გამოვლინდა წითელი და მწვანე (შაბიამნისფერი) ტუფის ქვისგან დამზადებული, ადრე ქრისტიანული ხანის ძეგლებისათვის დამახასიათებელი არქიტექტურული დეტალები*.

ყველაზე მნიშვნელოვანი „სიგნალი“, რაც პირველი უბნის A და B თხრილებმა მოგვცა, მესამე ფენაში, უშუალოდ კლდოვანი დედაქანის სიახლოვეს, პრეისტორიული ხანის ქვის იარაღებისა და ობსიდიანის ნაკეთობების აღმოჩენა იყო. აღნიშნულმა მასალამ თავი მცირე ოდენობით, თუმცა, მაინც იჩინა და ობსიდიანის, კაჟისა და სხვა მაგარი ჯიშის (სერპანტინი, დიაბასი, არგილიტი და ა.შ) ქვის გრძელი, ორფერადა და სამფერადა, დანისებური ლამელებისა და დასრულებული სახის იარაღ-ანატაკეების სახით წარმოგვიდგა. აქ გამოიყო ისეთი იარაღები, როგორიცაა ობსიდიანის გვერდ-რეტუშირებული, ორფერადა, თავირიბ-გადამტვრეული, მარტივი კიდურა საჭრისი, ობსიდიანის სამფერადა, ლამელას ბოლოზე ციცაბო რეტუშით გაფორმებული

* საგულდაგულოდ დამუშავებული, წითელი და მწვანე ტუფის ქვისგან დამზადებული არქიტექტურული დეტალების აღმოჩენამ თავიდანვე მიიქცია ჩვენი ყურადღება. ვივარუდეთ, რომ მღვიმეებში ან მღვიმეების წინამდებარე ტერასაზე უნდა არსებულიყო გარკვეული ნაგებობა, რომელთანაც იქნებოდა დაკავშირებული აღნიშნული დეტალები. მოგვიანებით, ჩრდილოეთის მღვიმის გათხრებმა ჩვენი ვარაუდი მთლიანად დაადასტურა, როდესაც აქ ადრეული შუა საუკუნეების ეკლესია გამოვლინდა.

ოვალურპირიანი საფხეკი და ერთი მიკროლითური იარაღი, რომელსაც ერთი სიგრძივი გვერდი რეტუშირებულ-დაბლაგვებული, მეორე სიგრძივი გვერდი კი ფხიანი ჰქონდა და ამ გვერდების შეხვედრის კუთხეში მასვილი წვერი იყო წარმოქმნილი. ეს იარაღი, შესაძლოა, ასიმეტრიული სამკუთხა იარაღი, გრავეტის ტიპის წვეტანა ან შედგენილი დანა-სახვრეტის ნაწილი ყოფილიყო, რომელსაც სამწუხაროდ ბოლო აკლდა.



სურ.5. პირველი უბნის A თხრილში აღმოჩენილი წითელი და მწვანე ტუფისგან დამზადებული არქიტექტურული დეტალები (დ.ბერიკაშვილის ფოტო).



სურ.6. სამხრეთის მღვიმის A და B თხრილები, სადაც ქვედა ფენაში, კლდოვანი დედაქანის სიახლოვეს პრეისტორიული ხანის ქვის იარაღები აღმოჩნდა (დ.ბერიკაშვილის ფოტო).

ასეთი მიკროლითური იარაღები მეზოლითური კულტურისათვისაა დამახასიათებელი და მღვიმეში მათი შემთხვევით აღმოჩენა გამორიცხულია. შესაბამისად, პირველი უბნის ორივე თხრილიდან მომდინარე პრეისტორიულმა მასალებმა გააჩინა განცდა, რომ მღვიმის თავდაპირველი ათვისება ჯერ კიდევ მეზოლითურ ეპოქაში უნდა მომხდარიყო და აღნიშნული მასალებიც სწორედ ამ ფაქტის დასტური უნდა ყოფილიყო. თუმცა, ჩვენ ყურადღების მიღმა არ ვტოვებდით არც იმ ფაქტს, რომ 1957 წლის სადაზვერვო სამუშაოების დროს, არქეოლოგ გ. გრიგოლიას ჩრდილოეთის მღვიმეში გაკეთებულ სადაზვერვო თხრილში მუსტიერული პერიოდის წვეტანა უპოვნია, რაც აქ მეზოლითზე გაცილებით ადრეული ეპოქის ადამიანების აქტიურობაზე მიუთითებდა. ეს ფაქტი მას შემდეგ უფრო განმტკიცდა, რაც 2018-2023 წწ-ის სავლე სამუშაოების დროს კიდევ აღმოჩნდა მუსტიერული კულტურისათვის დამახასიათებელი ოთხი წვეტანა და ერთი გვერდითა სახოკი, რამაც ვარაუდი იმის შესახებ, რომ კაზრეთის ორთვალა მეზოლითზე გაცილებით უფრო ადრე, კერძოდ, შუა პალეოლითში უნდა ყოფილიყო ათვისებული, ფაქტობრივად დაადასტურა*.



სურ.7. ორფერდა, მარტივი კიდურა საჭრისი (1), ოვალურპირიანი საფხეკი (2), გრავეტის ტიპის წვეტანა (3), „ფრჩხილისებური“ საფხეკი (4), მუსტიერული წვეტანები (5,6) სამხრეთის მღვიმის ქველა ფენიდან (დ.ბერიკაშვილის ფოტო).

მეორე არქეოლოგიური უბნის (ჩრდილოეთის მღვიმის ინტერიერი) კვლევებს ორი სავლე სეზონი (2020-2021 წწ.) დაეთმო და გადამწყვეტი აღმოჩნდა ძეგლის ხასიათში გასარკვევად.

* მუსტიერული კულტურის უძრავ ფენას ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ, როგორც ჩანს ის განადგურებულია მომდევნო ეპოქების აქტიურობის შედეგად ან/და ძეგლის გარკვეულ, ჯერჯერობით გაუთხრელ მონაკვეთებშია დაყურსული. ამ უადრესი ფენების ძიება კვლავაც გრძელდება.

აქ ჯერ კიდევ გათხრების დაწყებამდე, იქ სადაც 1957 წელს სადაზვერვო შურფი გაუჭრიათ, მოჩანდა ანდეზიტ-ბაზალტის საშუალო და მოზრდილი ქვებით ნაგები, ერთი მეტრის სიგანის კედელი, რომელიც მიმართული იყო სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ და მღვიმის შესასვლელს მთლიანად ზღუდავდა. კედლის შუა ნაწილში, საგანგებოდ დატოვებული, 1.40 მ. სიგანის დიობი კი იმაზე მიუთითებდა, რომ ნაგებობა, რომელსაც ეს კედელი ეკუთვნოდა მღვიმის ინტერიერში უნდა ყოფილიყო მოქცეული.

ვითარებაში გარკვევის მიზნით გათხრები აქაც 5 და 10 სმ სისქის შრეების პრეპარაციისა და მნიშვნელოვანი ობიექტების გენერალურ გეგმაზე ფიქსაციის მეთოდით წარიმართა. მალევე ცხადი გახდა, რომ სტრატეგრაფიული თვალსაზრისით აქაც ისეთივე ვითარება იყო, როგორც პირველ უბანზე - სამხრეთის მღვიმის შესასვლელთან - და რომ აქაც, ერთმანეთს გვიანი, განვითარებული და ადრეული შუა საუკუნეების ფენები ენაცვლებოდა.

სტრატეგრაფიულ სურათში გარკვევის პარალელურად, მეორე უბანზე მიმდინარე გათხრების მთავარ მიზანს, აქვე მდებარე უცნობი ნაგებობის რაობის, მისი თარიღისა და კულტურული კუთვნილების განსაზღვრა წარმოადგენდა, რის გამოც, გათხრებმა მთლიანად მოიცვა ეს არეალი.

გათხრების დაწყებიდან მალევე, მღვიმის ინტერიერში გამოვლინდა კიდევ ერთი, ამჯერად უკვე დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიმართული კედელი (სისქე 70-80 სმ), რომელიც ასევე, ანდეზიტ-ბაზალტის თარაზულად განლაგებული ლოდების ორი მწკრივისაგან შედგებოდა და კირ-ღუღაბის ხსნარით იყო ნაგები.

ეს კედელი იწყებოდა ზემოთ აღნიშნული კაპიტალური კედლიდან და მიემართება აღმოსავლეთით 7 მ-ის სიგრძეზე, სადაც იგი ებჯინება 70-80 სმ სიგანის კორიდორისებურ დიობს, რასაც ცენტრალური ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში არსებულ სენაკისებურ ნაგებობასთან დამაკავშირებელი კარის დანიშნულება უნდა შეესრულებინა. დიობის შემდეგ, ცენტრალური კედელი აღმოსავლეთისაკენ ორი მეტრის სიგრძეზე კვლავ სწორხაზოვნად გრძელდებოდა, თუმცა, ამჯერად, იგი უკვე მხოლოდ ერთი რიგის ცალპირა, საშუალო ზომის ლოდების მწკრივით იყო მოწყობილი, რომლებიც თანდათან ნაგებობის ცენტრალური ნაწილისაკენ გადახრას იწყებდა და ერთმანეთის გვერდით განლაგებული შვიდი ლოდის საშუალებით ნახევარწრიულ რკალს ქმნიდა, ეს რკალი თავისი კონსტრუქციითა და მდებარეობით ეკლესიის აბსიდას ემსგავსებოდა.

მღვიმის ინტერიერში აბსიდისებური დეტალის აღმოჩენამ ფაქტობრივად დაადასტურა ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, რომ აქ მცირე ზომის დარბაზული ტიპის ეკლესია უნდა არსებულიყო, რომელიც დროთა განმავლობაში მღვიმური ფენებითა და გარედან შემოტანილი ეოლოური ნალექებით დაიფარა. ამ ფენების თანმიმდევრულმა გათხრებმა ძეგლის სტრატეგრაფიის შესახებ სრულყოფილი წარმოდგენა შეგვიქმნა, მათი აღების შემდეგ კი მთლიანად გამოიკვეთა ეკლესიის გეგმა, რომელიც დარბაზული ტიპის ნაგებობას წარმოადგენდა, ჩრდილოეთ ნაწილში მოწყობილი მცირე ზომის სენაკით.



სურ.8. ჩრდილოეთის მღვიმის ინტერიერში გამოვლენილი უცნობი ეკლესია (დ.ბერიკაშვილის ფოტო).

კაზრეთის ორთვალა მღვიმეში, ახალი, უცნობი ეკლესიის აღმოჩენა დიდი და მნიშვნელოვანი სიახლე იყო და შესაბამისად, ჩვენ წინაშე დადგა ამოცანა, რაც მისი ქრონოლოგიის, პერიოდიზაციისა და ფუნქციონირების საკითხების გარკვევას გულისხმობდა. ამავე დროს გასარკვევი იყო ისიც, თუ რა სიღრმეზე და როგორ იყო მოწყობილი ეკლესიის იატაკი, იყო თუ არა შემორჩენილი ამბიონი, საკურთხეველი და სხვ. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭირო იყო გათხრების გაგრძელება მღვიმის ინტერიერში, მთელს ფართობზე და ეკლესიის იატაკის დონემდე დასვლა.

მას შემდეგ, რაც მღვიმის ინტერიერში მთლიანად გაითხარა პირველი და მეორე კულტურული ფენა, რომლებიც გვიანი და განვითარებული შუა საუკუნეების არქეოლოგიურ მასალას შეიცავდა, ცხადი გახდა, რომ ახლად გამოვლენილი ეკლესიის იატაკიც განვითარებულ შუა საუკუნეებში ყოფილა მოწყობილი. თუმცა, ის ფაქტი, რომ ეკლესიის აბსიდი ნალისებურთან მიახლოებული ფორმისა იყო, ტოვებდა იმ დაშვების შესაძლებლობას, რომ ეკლესია უფრო ადრეულ ხანებში, კერძოდ, ადრეულ შუა საუკუნეებში შეიძლება ყოფილიყო აგებული, ხოლო განვითარებულ შუა საუკუნეებში კი, მნიშვნელოვნად შეკეთებულ-განახლებული. ამაზევე მიუთითებდა, ეკლესიის ინტერიერსა და კარის დიობის სიახლოვეს აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალებიც, რომლებიც აშკარად ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებისათვის დამახასიათებელ ელფერს ატარებდა.

მესამე ფენის პრეპარაციის დროს, ეკლესიის შიდა სივრცეში არქეოლოგიური მასალები მცირე რაოდენობითა და ფრაგმენტული სახით ჩნდებოდა. თუმცა, მათ შორის მაინც აღმოჩნდა აბსიდის წითლად მოლესილ იატაკზე, მის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე მომწვანო ტუფის ქვის ორი მილისებური, მხატვრულად გაფორმებული დეტალი, რომლებიც შესაძლებელია კანკელის, ან გარედან შემოტანილი სტელის ნაწილები ყოფილიყო.



სურ.9. ეკლესიის ამბიონზე გამოვლენილი კანკელის (?) ფრაგმენტები (დ.ბერიკაშვილის ფოტო).

ასევე, გარედან უნდა ყოფილიყო შემოტანილი მესამე ფენაში, ამბიონის მახლობლად, აღმოჩენილი გვერდაკეცილი კრამიტის ის ნატეხებიც, რომლებიც გამოქვაბულის დასავლეთიდან მზღუდავი კაპიტალური კედლიდან ღია სივრცეში გამავალი კლდოვანი კარნიზით დაუცველი მონაკვეთის გადასახურად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ყოველ შემთხვევაში, კრამიტების გამოქვაბულში გამოყენების არავითარი აუცილებლობა არ არსებობდა.

უშუალოდ აბსიდი, განსაკუთრებით კი ამბიონი, საგანგებოდ იყო მოწყობილი და ცენტრალური ნაწილის იატაკის დონიდან ერთი საფეხურით ამაღლებული. ფრთხილი პრეპარაციის შედეგად დადგინდა, რომ ამბიონი მოლესილი იყო კირში საგანგებოდ შერეული წითელი ტუფის დაფხვნილი მასალით, რაც ძალზე შთამბეჭდავ ეფექტს ჰქმნიდა. მსგავსი, მოწითალო-მოვარდისფროდ იატაკების მოლესილობის შემთხვევები ცნობილია როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს

ადრე შუა საუკუნეების ხანის ძეგლებიდან და შესაბამისად, კაზრეთის ორთვალაში გამოვლენილი ეკლესიის ამბიონის წითლად მოლესვის ფაქტმა, ძეგლის თარიღის შესახებ გარკვეული მინიშნება მოგვცა*.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ეკლესიის ცენტრალური ნაწილის პრეპარაცია, სადაც უძრავ მდგომარეობაში, კარგად გადარჩენილი, წითელი ტუფის ფილებით მოგებული იატაკი დაფიქსირდა. იატაკის მოსაწყობად, ფილები საგანგებოდ დაუმზადებიათ და ერთმანეთთან მიჯრით, მჭიდროდ დაულაგებიათ. როგორც უკვე აღინიშნა, მიუხედავად მცირეოდენი დეფორმაციისა და დაზიანებებისა იატაკი, საერთო ჯამში, კარგად იყო შემორჩენილი. განსაკუთრებით საყურადღებო იყო ის ფაქტი, რომ მესამე კულტურული ფენის ყველაზე ქვედა ჰორიზონტი (სისქე 5-10 სმ.), რომელიც უშუალოდ იყო განფენილი ტაძრის იატაკზე, ინტენსიურად გამაწვან-დანახშირებულ შრეს წარმოადგენდა. როგორც ჩანს, იგი ტაძრის გადაწვის შედეგად განადგურებული გადახურვის დამჭერი ხის კონსტრუქციების ნაშთი უნდა ყოფილიყო. უფრო მეტიც, ხანძრით განადგურებული და იატაკზე დაცემული ძეგლის ადგილზე დაფიქსირება მოხერხდა ტაძრის ცენტრალური ნაწილის იმ მონაკვეთში, სადაც იატაკიდან 25 სმ-ით ამღლებული საკურთხევლის საფეხური მდებარეობდა. საკურთხეველზე ასასვლელი საფეხურიც ისეთივე წითელი ტუფის ქვით იყო შედგენილი, როგორც იატაკის ზედაპირი („ჩამოსაჯდომი“), რომელიც ტაძრის ცენტრალურ ნაწილს მთელს პერიმეტრზე შემოუყვებოდა და მიუხედავად მცირეოდენი დაზიანებებისა, მაინც კარგად იყო შემორჩენილი.



სურ.10. წითელი ტუფის ფილებით მოგებული ეკლესიის იატაკი და მასზე განფენილი დანახშირებული შრე (დ.ბერიკაშვილის ფოტო).

* თარიღის შესახებ, დეტალურად, იხ. ქვემოთ.

ასეთივე გულმოდგინებით იყო მოწყობილი ეკლესიდან გარეთ, დასავლეთით გამავალი კარის ღიობი და წირთხლი, რომლისთვისაც წითელი, 140 სმ სიგრძის პროფილირებული ქვა გამოუყენებიათ. ამ ქვას ერთ ბოლოში, საგანგებოდ ამოკვეთილი ღრმული ჰქონდა, რომელიც კარების ხის ბოძის ჩასადგმელად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. დაკვირვების შედეგად ცხადი გახდა, რომ ეკლესიის კარები იღებოდა შიდა მხარეს, ეკლესიის ინტერიერისკენ, მარჯვნივ. კარი ცალფრთიანი და რკინის ლურსმნებით უნდა ყოფილიყო მოჭდილი. რამდენიმე ასეთი ლურსმანი ეკლესიის ინტერიერში და ასევე, გარეთ, კარის ღიობის სიახლოვეს აღმოჩნდა.



სურ.11. ფილებით მოგებული ეკლესიის იატაკი, წირთხლი და გარეთ გამავალი კარის ღიობი (დ.ბერიკაშვილის ფოტო).

ეკლესიის კარიდან გარეთ, დასავლეთით, მოწყობილი იყო ორსაფეხურიანი კიბე, რითაც მღვიმეების წინამდებარე ტერასაზე ჩასვლა იყო შესაძლებელი. კიბის საფეხურებად პროფილირებული, წაგრძელებული ფორმის, ქვის სვეტის ნაწილები გამოუყენებიათ, რომლებიც, თავდაპირველად, შესაძლოა, ასევე ეკლესიასთან დაკავშირებულ არქიტექტურულ ელემენტებს წარმოადგენდა. კიბე პირდაპირ ბრტყელი ქვებით მოგებულ, ჰორიზონტალურად მოსწორებულ ქვის ფენილზე ჩადიოდა, საიდანაც შემდგომ, მდინარის ხეობისაკენ ჩამავალი ფერდით, ქალაში ჩასვლა იყო შესაძლებელი.

ეკლესიის შესასვლელის წინ, გარკვეული თავშეყრის ადგილი რომ უნდა არსებულიყო, ამის შესახებ ვარაუდი ჩვენ ჯერ კიდევ გათხრების მიმდინარეობისას გამოვთქვით. წინააღმდეგ შემთხვევაში რთულად წარმოსადგენი იქნებოდა, რომ

ისეთ გამშვენებულ ეკლესიას, როგორც კაზრეთის ორთვალას ჩრდილოეთ მღვიმეში აღმოჩნდა, არ ჰქონოდა მოწესრიგებული ეზო, სადაც მისული ადამიანები გაჩერებასა და შეკრებას შეძლებდნენ. ეს ვარაუდი სავსებით დაადასტურა 2021-2023 წლების გათხრებმა, როდესაც მღვიმეების წინამდებარე ტერასაზე ქვის ფილებით მოწყობილი მოედანი გაიწმინდა.

მესამე არქეოლოგიური უბანი (მღვიმეების წინამდებარე ტერასა) არსებითად იყო დაკავშირებული ჩრდილოეთის მღვიმეში გამოვლენილ ეკლესიასთან და მის „ეზოს“ წარმოადგენდა. ტერასა მოგებული იყო ქვის მოზრდილი, ბრტყელი ფილებით და დაახ. 30-40 კვ.მ. ფართობს მოიცავდა. ტერასა მცირედ იყო დაფარებული აღმოსავლეთიდან დასავლეთით, მდინარის ქალისკენ ჩამავალი ფერდობისკენ და მასზე მოწყობილი ქვის ფილები, სხვადასხვა დროს, მღვიმეების კლდოვანი კარნიზიდან ჩამოცვენილი ლოდების დაცემის შედეგად იყო დეფორმირებული. ვიდრე ტერასაზე ფართო მასშტაბის გათხრებს დავიწყებდით, აქ განფენილი კულტურული ფენების სიმძლავრისა და ზოგადი სურათის დასადგენად, აქვე გავჭერთ დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიმართული, 5 მ. სიგრძის სადაზვერვო თხრილი. გათხრებმა აქაც ისეთივე სტრატოგრაფიული სურათი მოგვცა, როგორც პირველ და მეორე უბანზე - გვიანი, განვითარებული და ადრეული შუა საუკუნეების ფენები ერთმანეთზე თანმიმდევრულად იყვნენ განლაგებული. სადაზვერვო თხრილის გათხრის დასრულებისა და წინასწარული ინფორმაციის მიღების შემდეგ გადაწყდა, რომ ტერასაზე გათხრები გაგვეფართოებინა და მთლიანად დავსულიყავით ეკლესიაში შემავალი ორსაფეხურიანი კიბის ქვედა საფეხურის დონემდე.

განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდის მასალების შემცველი, მეორე კულტურული ფენის გათხრების დროს, ეკლესიის შესასვლელიდან მარცხნივ, იქ, სადაც კლდოვან დედაქანზე მოწყობილი, საშუალო ზომის ბაზალტის ქვებით მოზღუდული სივრცე იკვეთებოდა, გამოჩნდა ქვის დაკუთხული ფილა (80×50 სმ), რომელიც ჰორიზონტალურად იდო ვერტიკალურად აღმართულ, ასეთივე, დაკუთხულ-დამუშავებულ ქვის ფილებზე. ეს კონსტრუქცია თავიდანვე სამარხის, კერძოდ კი, ქვაყუთის შთაბეჭდილებას ტოვებდა და ეს ვარაუდი მალევე დადასტურდა. კერძოდ, დაადგინდა, რომ აქ მდებარეობდა ნაწილობრივ კლდოვანი დედაქანი მოზღუდული, ნაწილობრივ კი ქვით ამოშენებული, მცირე ზომის აკლდამა, რომელსაც ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტის გადახურვა ჰქონდა. კრამიტის ნატეხები დიდი რაოდენობით აიკრიფა აკლდამის შიგნითაც, ინტერიერში, იმ ადგილზე, სადაც ზემოთ აღნიშნული ქვაყუთი მდებარეობდა*.

* განისაზღვრა იმ კრამიტთა ზომები, რომლებიც მეტ-ნაკლებად კარგად იყო შემორჩენილი: **1 ნიმუში**: ჩალისფერი, აკეცილი გვერდის სიმაღლე 5 სმ, კეცის სისქე 2 სმ; **2 ნიმუში**: ჩალისფერი, აკეცილი გვერდის სიმაღლე 5 სმ, კეცის სისქე 2,5 სმ; **3 ნიმუში**: ჩალისფერი, აკეცილი გვერდის სიმაღლე 5 სმ, კეცის სისქე 2 სმ; **4 ნიმუში**: ჩალისფერი, აკეცილი გვერდის სიმაღლე 5,5 სმ, კეცის სისქე 3 სმ; **5 ნიმუში**: წერნაქით შეღებილი, აკეცილი გვერდის სიმაღლე 6 სმ, კეცის სისქე 2,5 სმ; **6 ნიმუში**: წითლად შეღებილი, აკეცილი გვერდის სიმაღლე 4,5 სმ, კეცის სისქე 2,5 სმ; **7 ნიმუში**: ჩალისფერი, აკეცილი გვერდის სიმაღლე 6,5 სმ, კეცი 2,6 სმ. მთლიანი კრამიტი არ შეგვხვედრია.



სურ.12. ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით, კარის ღიობის მარცხნივ მოწყობილი აკლდამა (დ.ბერიკაშვილის ფოტო).

ქვაყუთის სიგრძე - 175 სმ-ს, სიგანე 50 სმ-ს აღწევდა. იგი, როგორც უკვე ითქვა, ბრტყელი, ოთხკუთხა ქვის ფილებით იყო შედგენილი, რომლებიც შესაძლოა ეკლესიის კანკელის ფრაგმენტები ყოფილიყო. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამარხში დაკრძალული პიროვნება გამორჩეულ პირს, ეკლესიის მსახურს, შესაძლოა, აქვე მოღვაწე ბერს წარმოადგენდა, რომელიც გარდაცვალების შემდეგ ეკლესიის სიახლოვეს გამართულ აკლდამაში დაუკრძალავთ*.

თვითონ აკლდამა, რომელიც ქვებით მოზღუდულ სივრცეს წარმოადგენდა და სადაც, აღნიშნული ქვაყუთი მდებარეობდა, გადახურული ყოფილა ბრტყელი, წითელი წერნაქით შეღებილი, გვერდებაკეცილი კრამიტებით. ცნობილია, რომ საქართველოში კრამიტების წერნაქით შეღებვის ტრადიცია ჯერ კიდევ ადრეული შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს და მათი კაზრეთის ორთავალა მღვიმის ეკლესიის სიახლოვეს აღმოჩენა გვაფიქრებინებს, რომ ეს უკანასკნელი განვითარებულ შუა

* ქვაყუთში დაკრძალული იყო ერთი ინდივიდი, ზურგზე მწოლიარე, გულზე ხელდაკრეფილი პოზით, თავით დასავლეთით. სამარხში აღმოჩენილი ძვლოვანი ნაშთებისა და პალინოლოგიური სინჯების კომპლექსური კვლევა ჯერჯერობით არ ჩატარებულა. ამ კვლევების შედეგებს მომავალში ცალკე სტატია მიეძღვნება.



სურ.13. ჯვრის სადგამი და წარწერიანი არქიტექტურული დეტალი ეკლესიის სიახლოვეს მოწყობილი აკლდამიდან (დ.ბერიკაშვილის ფოტო).

არანაკლები მნიშვნელოვანი იყო მღვიმის წინამდებარე ტერასაზე, მეორე კულტურული ფენის პრეპარაციის დროს კარის ღიობის სამხრეთით, 1 მ. მოშორებით, თითქმის კედელზე მიდგმული მონაცრისფრო-მოცისფრო დაკვადრატებული ტუფის ბლოკის (60X60X60 სმ.) აღმოჩენა, რომელსაც მოსწორებული ზედაპირის შუა ნაწილში ოთხკუთხა (30X30 სმ), 15 სმ. სიღრმის ბუდე ჰქონდა ამოჭრილი.

ერთი შეხედვითაც ცხადი იყო, რომ ეკლესიასთან აღმოჩენილი ეს დაკუთხული ბლოკი ქვის სვეტის - სტელის ბაზისს წარმოადგენდა, რომელიც აქვე უნდა ყოფილიყო აღმართული. ამავე ადგილზე ჩატარებულმა გათხრებმა მრავლად გამოავლინა ასეთივე, მონაცრისფრო-მოცისფრო ტუფის ფრაგმენტები, რომლებიც, სწორედ ამ სტელის ნაშთები უნდა ყოფილიყო.

მოპოვებული ფრაგმენტების მიხედვით სტელის სამი სიბრტყე ღრმა კვეთით წარმოქმნილი რელიეფური ხაზებით გამოყვანილი გეომეტრიული (სამკუთხედები, ოთკუთხედები, დიდ-პატარა წრეები) და მცენარეული ორნამენტებით უნდა ყოფილიყო შემკული. მეოთხე სიბრტყე კი, რომელიც ეკლესიის კედლისკენ იქნებოდა მიქცეული, სავარაუდოდ, სადა უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება უშუალოდ კვადრატული ბაზისის გაფორმებას, მის დასავლეთ, საფასადე მხარეზე სუსტად, მაგრამ მაინც შეინიშნებოდა შემადლებული რელიეფის, ბოლოებგაფართოებული, ტოლმკლავა ჯვარი, შუა ნაწილზე შემორჩენილი, თავბოლოშექცეული სამკუთხედებით შევსებული სწორხაზოვანი ორნამენტი. ჯვრის სიმაღლე 24 სმ, ხოლო სიგანე 25 სმ-ს არ აღემატებოდა. ჯვრის ყველა მკლავის ბოლო სწორხაზოვანი, ქვედასი კი ოდნავ შედრეკილი იყო და ფრინველის ასიმეტრიულად გაშლილ ფრთებს მოგვაგონებდა. ჯვრის მარჯვენა მკლავის ზედა ნაწილზე ამოღარული იყო მკლავის პარალელური, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმართული 20 სმ სიგრძის სწორკუთხა ჩარჩო, რომელშიც, ერთ სწორ ხაზზე განლაგებული თანატოლი, რელიეფური ასონიშნებით შექმნილი სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა იყო

მოთავსებული. ხანდაზმულობის გამო წარწერის შემადგენელი ყველა ასონიშნის ამოკითხვა, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა, თუმცა, შედარებით დაუზიანებლად იყო შემორჩენილი და ამოვიკითხეთ წარწერის ზედა სტრიქონის ბოლო ორი ნიშანი: „ე“ (Г) და „ა“ (С).

ამავე წარწერის მეორე სტრიქონის ბოლო ნაწილში, შემორჩენილი ასო-ნიშნების ქვემოთ, კარგად იყო შემონახული „ლ“ (Ъ) და „ა“ (С). მათ ქვემოთ კი, ძნელად, თუმცა მაინც იკითხებოდა „ო“ (Q) და „ნ“ ?(Н). დაახლოებით ასეთივე, ძალზედ დაზიანებული სწორკუთხა (15×15 სმ) ჩარჩოში ჩასმული ასომთავრული წარწერა მოთავსებული იყო ტოლმკლავა ჯვრის მარცხენა მკლავის ბოლოშიც, რომლის ზედა სტრიქონში თითქოს იკითხებოდა „ა“ (С) და „ნ“ (Н), თუ „ე“ (Г) და „ვ“ (҆) ნიშნები და რაღაც ანალოგიური შეინიშნებოდა სულ ქვედა, მესამე სტრიქონშიც.



სურ.14. ეკლესიის კარის მარჯვნივ გამოვლენილი სტელის ბაზისი, ტოლმკლავა ჯვრის რელიეფური გამოსახულებითა და ასომთავრული წარწერით (დ.ბერიკაშვილის ფოტო).

სტელის ფრაგმენტების ორნამენტაციით, ბაზისზე გამოსახული ჯვრისა და წარწერის არქაული ნიშნების გათვალისწინებით, ძეგლი იმთავითვე ადრე შუა საუკუნეების საწყისი პერიოდით (მე-5-6 სს) დავათარიღეთ, რასაც კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობა შესძინა ხელოვნების ისტორიკოსის, გ. გაგოშიძის აზრმაც,

რომელმაც ფაქტობრივად გაიზიარა ჩვენი ვარაუდი და გამოთქვა მოსაზრება, რომ ძეგლი მეექვსე საუკუნეზე გვიანდელი არ შეიძლება ყოფილიყო.

კაზრეთის ორთავალა მღვიმის საკულტო სტელის ორიგინალური შემკულობის, არქაული წარწერისა და ორიგინალური, ორსართულიანი ბაზის კონსტრუქციისადმი ინტერესი განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, როცა ვცადეთ, ბაზის ქვედა ბლოკის სისქის დადგენის მიზნით, მის დასავლეთ ნაწილში კულტურული ფენის ჩაჭრა, რომელშიც გამოვლინდა რიყის ქვისა და ანდეზიტ-ბაზალტის ფილებით მოკირწყლული დონე, რომელიც დაფარული იყო მდინარისეული კენჭებით და რომელზეც ესვენა ირმის დატოტვილი რქების ნაწილები. მალე გათხრებმა დაადგინა, ისიც, რომ ბაზისის წინ არა მხოლოდ ირმის, არამედ გარეული ტახის ნაშთებიც იყო დალაგებული, რამაც მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეს ადგილი განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო, და რომ აქ ადამიანებს მნიშვნელოვანი ძვენი მოჰქონდათ, როგორც შესაწირი ტაძრის სახელზე.

სხვადასხვა ცხოველის, მათ შორის ირმის ღვთაებისადმი შეწირვის რელიგიურ-ეთნოგრაფიული ფაქტები ჩვენთან ჯერ კიდევ ადრე ბრინჯაოს ხანის, მტკვარ-არაქსული კულტურის ძეგლებიდან არის ცნობილი და კაზრეთის ორთავალა მღვიმეში ამგვარი მოვლენის დაფიქსირებაც იმ უძველესი ტრადიციების გადმონაშთად მიგვაჩნია, რამაც არსებობა ქრისტიანობის შემოსვლიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგაც კი განაგრძო.



სურ.15. შეწირული ირმისა და ტახის ძვლოვანი ნაშთების პრეპარაცია საკულტო სტელის ბაზისის წინ. (დ.ბერიკაშვილის ფოტო). 2019 წ.

უშუალოდ „მოედანი“, ანუ ის ადგილი, სადაც საკულტო სტელის ბაზისის წინ შეწირული ცხოველების ნაშთები დაფიქსირდა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბრტყელი ქვებით, საგანგებოდ მოწყობილ ტერასას წარმოადგენდა. ეს ქვები ისე

იყო დალაგებული, რომ ბაზისისა და ეკლესიის შესასვლელის წინ მოწესრიგებულ, ჰორიზონტალურ დონეს ჰქმნიდა, სადაც ტაძარში მოსული ადამიანები თავშეყრასა და მოგროვებას შეძლებდნენ.

ქვით მოგებული ტერასის ფართობი 30-40 კვ. მ-ს აღწევდა და მცირედ იყო დახრილი დასავლეთით, იქით, საიდანაც უკვე მდინარე მაშავერას ჭალისკენ დაღმავალ ფერდობზე შეიძლებოდა ჩასვლა. როგორც გათხრებმა აჩვენა, ეს ფერდი არქეოლოგიური თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესო იყო, ვიდრე უშუალოდ ტერასა და იგი სხვადასხვა პერიოდის, „ამობრუნებული“ კულტურული ფენების დაგროვების ადგილს წარმოადგენდა. თუმცა, ვიდრე გათხრები ამ ფერდობს შეეხებოდა, მანამდე გადაწყდა ქვით მოგებული ტერასის კვლევის დასრულება და იმის დასადგენად, ვრცელდებოდა თუ არა ქვაფენილი სამხრეთის მღვიმისკენ და მოიცავდა თუ არა არეალს უშუალოდ მისი შესასვლელის წინაც.

გათხრებმა ტერასაზე გვიანი, განვითარებული და ადრეული შუა საუკუნეების ფენები გამოავლინა, რომლებიც შესაბამისი პერიოდის არქეოლოგიურ მასალებსა და დიდი ოდენობით ზოოარქეოლოგიურ ნაშთებს შეიცავდა. არქეოლოგიური მასალა, ძირითადად, კერამიკული ფრაგმენტებით, ქვისა და, შედარებით იშვიათად, მინის არტეფაქტებით წარმოსდგებოდა. განვითარებული შუა საუკუნეების ფენაში (მეორე ფენა) წამყვანი ადგილი მრავალფრად მოჭიქული კერამიკის იმ ნატეხებს ეკავა, რომელთა თარიღიც მე-10-13 სს შორის ექცეოდა. შედარებით მცირე ოდენობით ჩნდებოდა ნარინჯისფერი ან მოვარდისფრო ზედაპირის მქონე, მცირე და საშუალო ზომის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც განსაკუთრებით კარგად განლექილი თიხისაგან იყო დამზადებული და აღმოსავლეთ საქართველოს გვიანანტიკურ და ადრე შუა საუკუნეების ძეგლებიდან ცნობილ მასალებთან იჩენდა სიახლოვეს.

ძალზედ საყურადღებო იყო ის ფაქტი, რომ აქაც, ისევე როგორც პირველ (სამხრეთის მღვიმის შესასვლელი) და მეორე უბანზე (ჩრდილოეთის მღვიმის ინტერიერი), ჩნდებოდა შუა საუკუნეების მასალებისგან აბსოლუტურად განსხვავებული არტეფაქტები, რომლებიც ობსიდიანის, კაჟის, არგილიტის ნაშაბადი საფხეკებით, წვეტანებით, საჭრისებით, სახოკებითა და ნუკლეუსებით წარმოსდგებოდა. უფრო მეტიც, აქვე იყო ძვლისგან დამზადებული, კარგად ნაპრიალვეი და წაწვეტიებული სადგისები, რომლებიც ზედა პალეოლითისა და აგრეთვე, მეზოლით-ნეოლითისათვისაა დამახასიათებელი. ამ ტიპის მასალების აღმოჩენამ კიდევ უფრო განამტკიცა მოსაზრება იმის შესახებ, რომ კაზრეთის ორთვალა მღვიმე და მისი წინამდებარე ტერასა ჯერ კიდევ პრეისტორიულ ხანაში ყოფილა ათვისებული და რომ აქ, ამ ეპოქის ადამიანებს საცხოვრისი ან დროებით სადგომი უნდა ჰქონოდათ მოწყობილი.

მესამე კულტურული ფენის გათხრების დასრულების შემდეგ, ტერასის თითქმის მთელს პერიმეტრზე კარგად გამოიკვეთა ის სურათი, რამაც შეგვიქმნა წარმოდგენა აქ მიმდინარე ბუნებრივი და ანთროპოგენული პროცესების შესახებ. კერძოდ, ცხადი გახდა, რომ ტერასაზე, ეკლესიისა და აგრეთვე, სამხრეთის მღვიმის შესასვლელის წინ კონცენტრირებული იყო კლდოვანი თალიდან მოწყვეტილი და ჩამოვარდნილი დიდი, საშუალო და მცირე ზომის ქვები, რომლებიც აქ მძლავრი ნაყარის სახით იყო წარმოდგენილი. ნაყარის ალებისა და გატანის შემდეგ კი, უშუალოდ მის ქვეშ,

გამოვლინდა ბრტყელი და ღარისებური კრამიტების ნამტვრევებით შედგენილი შრე, რომელიც ტერასაზე არსებული იმ ნაგებობის სახურავის ნაშთს წარმოადგენდა, რომელიც ზემოდან ჩამოცვნილმა ქვებმა დაანგრია.



სურ.16. მღვიმის წინამდებარე ტერასაზე კონცენტრირებული კლდოვანი თაღიდან ჩამოცვნილი ქვები და აქვე არსებული დანგრეული ნაგებობის ნაშთი (დ.ბერიკაშვილის ფოტო). 2023 წ.

მღვიმეების წინ რომ გარკვეული ნაგებობა არსებობდა, ეს ვარაუდი ჩვენ ჯერ კიდევ 2019 გამოვთქვით, თუმცა, იმ დროსათვის ჩვენს ხელთ არსებული არასაკმარისი ინფორმაციის გამო რთული იყო იმის განსაზღვრა, თუ რა ნაგებობასთან შეიძლება გვეკონოდა აქ საქმე. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ 2023 წელს გახდა შესაძლებელი, როდესაც ტერასაზე, დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიმართული, ქვითკირით ნაგები, ორმაგი მზღუდავი კედელი გამოვლინდა. ამ კედლის დასავლეთ ბოლო უშუალოდ კლდოვან მასივზე იყო მიშენებული, მეორე, აღმოსავლეთისაკი, ეკლესიის კედელს ებჯინებოდა. კედელი ნაგები იყო დაკუთხულ-მოკოდილი ბაზალტის ქვებით, წყობაში ჩართული იყო მეორადი გამოყენების კვადრები (სავარაუდოდ, ეკლესიისა) და დამტვრეული არქიტექტურული დეტალები. უნდა აღინიშნოს, რომ ეს კედელი საგანგებოდ იყო გამაგრებული მასზე ჩრდილოეთიდან კონტრფორსისებურად მიდგმული პარალელური კედლით, ისე რომ მათი საერთო სისქე 1.55 მეტრს აღწევდა.

ასეთი შეწყვილებული, მზღუდავი კედლის დასავლეთ მონაკვეთში, იქ, სადაც იგი უშუალოდ კლდოვან მასივზე იყო მიდგმული, 1.20 მ სიგრძისა და 0.80 მ სიგანის მქონე ორმოსებური სივრცე დაუტოვებიათ, რამაც თავდაპირველად შეგვიქმნა შთაბეჭდილება, რომ შესაძლოა აქაც სამარხი ყოფილიყო მოწყობილი. თუმცა, მალევე ცხადი გახდა, რომ აქ არავითარი აკლდამა ან სამარხი არ მდებარეობდა.




სურ.17. ეკლესიის დასავლეთით გამოვლენილი ორმაგი კედელი (დ.ბერიკაშვილის ფოტო). 2023 წ.

და მაინც, გათხრებმა ამ ადგილზე მეტად მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა, ვინაიდან სწორედ აქ ეკლესიის წინამდებარე ტერასის დონიდან დაბლა, 80 სმ-ის სიღრმეზე, პრეისტორიული ხანის 0.90 სმ სისქის უძრავი ფენის მონაკვეთი გამოვლინდა. მოშავო-მოყავისფრო შეფერილობის ეს ფენა, ზემოთ აღნიშნული, შეწყვილებული კედლის შუაში დატოვებულ, ორმოსებურ სივრცეში მდებარეობდა. სტრუქტურული და მორფოლოგიური თვალსაზრისით იგი აბსოლუტურად განსხვავდებოდა ტერასაზე გათხრილი გვიანი, განვითარებული და ადრეული შუა საუკუნეების ფენებისაგან, მეორე მხრივ კი, ის მასალები, რომლებიც აქვე აღმოჩნდა, ასევე განსხვავებული, არქაული ნაკეთობებით იყო წარმოდგენილი. აქ განირჩეოდა 3-6 სმ სიგრძის მქონე ორფერდა და სამფერდა ლამელები, ამავე ლამელებზე დამზადებული კიდურა საჭრისები, საფხეკები, წვეტანა და ერთი, მოზრდილი, რიყის ქვის ნუკლეუსი. ამ უკანასკნელს საგანგებოდ მომზადებული დარტყმის მოედანი და „მოედნიდან“ ბოლოსკენ მიმართული ანატაკეცი-ფირფიტების რამდენიმე ანაბეჭდი ეტყობოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ფენის გათხრა მხოლოდ 1.0 კვ.მ-მდე ფართობზე მოხერხდა, მაინც ცხადი გახდა, რომ მღვიმეების წინამდებარე ტერასაზე, ეკლესიის

წინ მოწყობილი ქვაფენილის ქვეშ, პრეისტორიული ეპოქის დროინდელი ფენები უნდა არსებობდეს. ამ ფენების შესწავლა მომავალი კვლევა-ძიების საქმეა, რისთვისაც საჭიროა კიდევ იქნეს მიკვლევული ისეთი ადგილები, რომლებიც ადრეული შუა საუკუნეების ეკლესიის კედლებითა და მასთან დაკავშირებული სტრუქტურა-ნაგებობებით არ იქნება გადაფარული.



სურ.18. შეწყვილებულ კედელში არსებული ორმოსებური სივრცე და მისი სტრატოგრაფიული ჭრილი.

ასევე მნიშვნელოვანი იყო, ზემოთ აღნიშნული ორმაგი მზღუდავი კედლის სამხრეთით, ადრეული შუა საუკუნეების ფენაში „ჩადგმული“, თითქმის მთლიანი ქვევრის აღმოჩენაც, რომელიც 53 სმ დიამეტრის მქონე, ორ ნაწილად გატეხილი ბრტყელი ქვით იყო დახურული. ქვევრი ჩაკირული არ იყო, თუმცა, მისი ტანი და ყელი 10-15 სმ სისქის თიხის ფენით იყო შემოლესილი. ქვევრის აღმოჩენამ სამხრეთი მღვიმის წინ, იმ ადგილზე, რომელიც ერთი მხრიდან ბუნებრივი კლდით, მეორედან კი კედლით იყო შემოზღუდული გვაფიქრებინა, რომ ეკლესიის ფუნქციონირების გარკვეულ ეტაპზე, აქ გამართული უნდა ყოფილიყო სამეურნეო დანიშნულების სათავსო-ნაგებობა, რომელთა შორის განსკუთრებული ადგილი მარანს ჰქონდა დათმობილი. სათავსო-ნაგებობისა და კერძოდ, მარნის ფუნქციონირების თარიღის დასადგენად, მნიშვნელოვანი იყო აქვე აღმოჩენილი, ბრტყელი, გვერდებაკეცილი და წითლად შეღებილი იმავე ტიპის კრამიტების დიდი ოდენობით აღმოჩენა, როგორც დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებისათვის.

ზოგადად, ქვევრების, მარნისა თუ სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობების თანაარსებობა აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრებთან არ არის უცხო მოვლენა და ამ მხრივ გამონაკლისი არც კაზრეთის ორთავალა მღვიმის სამონასტრო

კომპლექსი იქნებოდა. თუმცა, მისი ფუნქციონირებისა და აბსოლუტური თარიღების განსასაზღვრად მაინც საჭირო გახდა სინჯების აღება, როგორც უშუალოდ ეკლესიის იატაკის დონიდან, ისე მისი წინამდებარე ტერასიდან და ბაზისის წინ მოწყობილი საკურთხევლიდან. აბსოლუტური თარიღების განსაზღვრის შემდეგ ძეგლის ქრონოლოგიისა და პერიოდიზაციის საკითხები მეტი სიცხადით წარმოგვიდგა (იხ. ქვემოთ).



სურ.19. სამხრეთ მღვიმის წინ გამოვლენილი ქვევრი (დ.ბერიკაშვილის ფოტო). 2023 წ.

მეოთხე არქეოლოგიურ უბანზე, რომელიც ტერასიდან მდ. მაშავერასკენ დაღმავალ ფერდობს წარმოადგენდა, გათხრებს უპირატესად დაზვერვით ხასიათი ჰქონდა და აქ არსებული სტრატეგრაფიული ვითარების გარკვევას ისახავდა მიზნად. კერძოდ, გვინდოდა დაგვედგინა, მეორდებოდა თუ არა აქაც კულტურულ ფენათა ისეთივე თანმიმდევრობა, როგორიც მღვიმეების წინამდებარე ტერასაზე იყო, თუ პირიქით, აქ განსხვავებულ ვითარებასთან გვექონდა საქმე.

ამ საკითხის გასარკვევად, შვეული კლდოვანი კედლის მიმდებარედ, ფერდობის დაახლოებით შუა წელზე გაიჭრა არქეოლოგიური თხრილი ზომით 5x2 მ და მოხდა მისი 5-10 სმ სისქის შრეების თანმიმდევრული პრეპარაცია*. დადგინდა, რომ აქ, მღვიმეების წინ არსებული სტრატეგრაფიული ვითარებისაგან განსხვავებით, სრულიად სხვა ვითარებასთან - ე.წ. „დარღვეულ სტრატეგრაფიასთან“ გვექონდა საქმე. ამგვარი დაძრული ფენების არსებობა ფერდობებზე არ არის უცხო მოვლენა და ეს, როგორც წესი, განპირობებულია როგორც ბუნებრივი მოვლენებით (ფენების გადარეცხვა, ქანების ეროზია, მეწყრული მოვლენები და სხვ.) ისე სხვადასხვა

* ფერდობზე მდებარე თხრილის გათხრებს აწარმოებდა ახალგაზრდა მკვლევარი ლ. კვახაძე, რომელმაც შეისწავლა და გაგვიზიარა თავისი დაკვირვება სტრატეგრაფიული სურათისა და აქვე აღმოჩენილი მასალების შესახებ.

პერიოდში აქვე მოსახლე ადამიანების აქტიურობით. ამიტომაც, გასაკვირი არაა ის ფაქტი, რომ სადაზვერვო თხრილიდან უსისტემოდ, კონტექსტიდან ამოვარდნილი სახით მომდინარეობდა ქვის ხანის სხვადასხვა ეტაპის, ადრესამიწადმოქმედო კულტურის, ბრინჯაოს ხანისა და შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ცალკეული არქეოლოგიური მონაპოვარი და არტეფაქტები.



სურ.20. სადაზვერვო თხრილი მღვიმის ტერასიდან მდ. მაშავერას ქალისკენ დაღმავალ ფერდობზე (დ.ბერიკაშვილის ფოტო). 2023 წ.

მიუხედავად იმისა, რომ აქ უძრავი კულტურული ფენები არ დაფიქსირებულა, მოპოვებულმა არქეოლოგიურმა მასალამ მაინც მნიშვნელოვანი ცნობები მოგვცა ძეგლის სტრატოგრაფიისა და იმ კულტურული ეპოქების შესახებ, რომლებიც მღვიმეების წინამდებარე ტერასაზე და ადრექრისტიანული ხანის ეკლესიის გათხრების დროს არ გამოვლენილა. ასე მაგალითად, ფერდობზე გაჭრილი თხრილის ფენების პრეპარაციის დროს აღმოჩნდა ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი საბრძოლო ჯავშნის, ბექთარის (Lorica Squamata) U-ს ფორმის მქონე „ქერცლისებრი“ ფირფიტა, რომლის მსგავსებიც ცნობილია ვანიდან [Хоштариа 1979.116; ლორთქიფანიძე 1976.175]*, საირხიდან [ნადირაძე 1990.52. ტაბ.XXXI6; მახარაძე., წერეთელი. 2007.64-

* ვანის ნაქალაქარზე, #2 სამარხთან, ძვ.წ. IV ს-ით დათარიღებულ კულტურულ ფენაში ბექთარის ასამდე ერთეული ბრინჯაოს U-ს ფორმის ფირფიტა აღმოჩნდა. ისევე როგორც კაზრეთის ფირფიტის შემთხვევაში, ვანის ფირფიტების ზედა გვერდი სწორია, ქვედა კი მომრგვალებული. ფირფიტებს ზედა მხარეს ტყავზე მისამაგრებელი ნახვრეტები აქვთ.

რკინის სამოცი ცალი მთლიანი, დაუზიანებელი საჯავშნე ფირფიტა აღმოჩენილი ვანის ნაქალაქარის ძვ.წ. V-IV სს-ის ფენაშიც. აქაც, ფირფიტის ზედა მხარე სწორია, ქვედა მომრგვალებული. ზედა მხარეს აქვთ ორი ან სამი ნახვრეტი, სისქე 1მმ-ია, პარამეტრებია 2x2.5 სმ.

66)*, დედოფლის გორიდან [Gagoshidze 2008.123-140]** მცხეთიდან [აფაქიძე და სხვ. 2004.70-80]*** და სხვ. ასევე, ანტიკური ეპოქისთვის დამახასიათებელი მასრიანი, სამფრთიანი ბრინჯაოს ისრისპირი, რომლის მსგავსებიც ცნობილია ივრისპირების #1 და #2 სამარხებიდან [მამიაშვილი 1980. ტაბ. XXX,6; XXXI,8], გომარეთის სამაროვნიდან [დავლიანიძე 1983.138, ტაბ.XVI], ნასტაკისის ნამოსახლარიდან, ჭალის სამაროვნიდან, ციხიანას სამაროვნის #6 სამარხიდან, სამადლოდან [Гагошидзе 1979.36.tab.XIII.228], კუმისიდან [Давлиანიძე 1977.122.სურ.2] და სხვ. თითქმის ყველა შემთხვევაში ამ ტიპის ისრისპირების თარიღი ძვ.წ. V-IV სს-ით განისაზღვრება****.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ამ ორი განსაკუთრებული ნივთის აღმოჩენაც კი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ კაზრეთის ორთვალა მღვიმე და მისი მიმდებარე ტერიტორია მნიშვნელოვან ადგილს წარმოადგენდა არა მხოლოდ პრეისტორიულ ეპოქაში ან შუა საუკუნეებში, არამედ ანტიკურ ხანაშიც და, რომ ამ ძეგლზე კულტურული უწყვეტობა საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა.

კაზრეთის ორთვალა მღვიმის არქეოლოგიური მონაპოვარი****

2018-2023 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგად, რომელიც კაზრეთის ორთვალა მღვიმის ზემოთ აღწერილ ოთხ უბანზე მიმდინარეობდა, მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალა იქნა მოპოვებული. ეს მასალა სხვადასხვა ეპოქებს განეკუთვნება და მისი ანალიზი, დათარიღება და თანადროული ძეგლების მასალებთან შედარება არსებითად მნიშვნელოვანია სურათის მთელი სისრულით წარმოსადგენად.

სტრატოგრაფიული მონაცემების, ქრონოლოგიის, ფუნქცია-დანიშნულებისა და დამზადების ტექნიკის გათვალისწინებით, ამ მასალებში გამოიყოფა ქვის ხანის სხვადასხვა ეტაპის, ადრესამიწადმოქმედო კულტურის, ბრინჯაოს ხანის ფინალური საფეხურის, ანტიკური ეპოქისა და ადრე, შუა და გვიანი შუა საუკუნეების არტეფაქტები და ნაკეთობები. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის არქიტექტურული დეტალები, ეპიგრაფიკული ძეგლები და ადრეული შუა საუკუნეების სტელის ფრაგმენტები, რომლებიც აქ აღმოჩნდა. აქვე მეტად საყურადღებოა ის ზოოარქეოლოგიური მასალაც,

* საირხის #8 აკლდამაში აღმოჩენილი ამ ფირფიტების თარიღი ჯ. ნადირაძეს განსაზღვრული აქვს ძვ.წ. IV ს-ით. ანალოგიური ფირფიტები აღმოჩენილია საირხის #5 სამარხშიც. აქ ფირფიტები ერთმანეთზე გადასულ ჰორიზონტალურ რიგებს ჰქმნიან. მათ ქვეშ შეიმჩნევა ტყავისა თუ ქსოვილის ნაშთი.

** ქერცლისებური ჯავშნის ფირფიტები დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი დედოფლის გორაზეც, სადაც ისინი ერთმანეთთან რკინის მავრთულითაა დაკავშირებული. ფირფიტები ჰორიზონტალურ რიგებად არის აწყობილი და მარცხენა ფირფიტა ზემოდან გადადის, ფარავს მარჯვენას.


*** ქერცლისებური საჯავშნე ფირფიტები, ტყავის საფუძველზე დამაგრებული მანჭვალეებით, აღმოჩენილია მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ნატახტარის მიდამოებში შესწავლილ ძვ.წ. IV-III-ს ის სამაროვანზეც.

**** ანტიკური ხანის ისრისპირების ვრცელი ტიპოლოგია მოცემულია გ. გამყრელიძის, ვ. შატბერაშვილის, მ. ფირცხალავასა და მ. ჩარკვიანის ნაშრომში - „იარაღ-საჭურველი ძვ.წ. V - ახ.წ. IV საუკუნეების საქართველოში“. თბილისი. 2018.

***** არქეოლოგიური მასალა ტაბულების სახით იხილეთ ქვემოთ.

რომელიც ეკლესიის საკურთხეველთან დალაგებული ირმის რქებით, ნანადირევის (ტახის) ძვლებითა და ე.წ. „ნასუფრალი“ ძვლებით წარმოსდგება.*

ქვის ხანის ყველაზე არქაული იარაღების შესწავლამ ცხადყო, რომ ისინი მუსტიერულ კულტურას განეკუთვნებიან და ამ პერიოდისათვის დამახასიათებელ იარაღებს წარმოადგენენ. საერთო ჯამში ჩვენს ხელთ ოთხი მუსტიერული წვეტანა და ერთი გვერდითა სახოკი აღმოჩნდა, რომლებიც სამწუხაროდ, კონტექსტიდან მოწყვეტილია და დარღვეული ფენებიდან მომდინარეობენ. მიუხედავად იმისა, რომ ორთვალაში ამ პერიოდის უძრავი ფენები ჯერჯერობით არ დაფიქსირებულა, ასეთი არქაული მასალების გამოჩენა აქ ადრეული ჰომო საპიენსის აქტიურობაზე უნდა მიუთითებდეს**.



სურ.21. მუსტიერული წვეტანები. წოფი (1,2 გ.გრიგოლიას მიხედვით), კაზრეთის ორთვალა (3 დ.ბერიკაშვილის მიხედვით).

ობსიდიანის, კაჟისა და სხვა მაგარი ჯიშის ქვის (სერპანტინი, დიაბასი, არგილიტი და ა.შ) გრძელ, ორფერდა და სამფერდა დანისებურ ლამელებზეა დამზადებული მარტივი კიდურა საჭრისები, ოვალურპირიანი საფხევი და ერთი მიკროლითი, რომელსაც ერთი გვერდი დაბლაგვებული, მეორე კი რეტუშირებული აქვს. აქვეა კიდევ ერთი ასიმეტრიული ფორმის სამკუთხა იარაღი, გრავეტის ტიპის წვეტანა ან შედგენილი დანა-სახვრეტი, რომელიც, სამწუხაროდ, გატეხილ მდგომარეობაში

* ზოოარქეოლოგიური მასალის კვლევა ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ეს რთული და შრომატევადი პროცესია, რომლის შედეგები ცალკე გამოქვეყნდება. ამ კატეგორიის მასალა ძეგლის თითქმის ყველა ფენიდან მომდინარეობს.

** კაზრეთის ორთვალაში აღმოჩენილი წვეტანები ემსგავსება და პარალელურს პოულობს ისეთი ძეგლების მასალებთან როგორიცაა: საკაჟის მღვიმე (იხ. ნიორაძე მ. ძველი ქვის ხანის მღვიმე-ნამოსახლარები წყალწითელას ხეობაში. თბილისი, 1992.) და განსაკუთრებით კი წოფი. აღსანიშნავია, რომ წოფის დანგრეული გამოქვაბული და კაზრეთის ორთვალა მღვიმე ერთი და იმავე გეოგრაფიულ არეალში მდებარეობენ. წოფის გამოქვაბულის გათხრების შედეგად (ხელმძღვანელი გ. გრიგოლია) მუსტიერული კულტურის ორი ფენა გამოვლინდა, სადაც აღმოჩენილი წვეტანები თითქმის ანალოგიურია კაზრეთის ორთვალაში აღმოჩენილი ამავე ტიპის იარაღისა (იხ. გრიგოლია გ. ქვემო ქართლის პალეოლითი, დამარხული გამოქვაბული წოფი I. თბილისი, 1963. ტაბ.VII.15; ტაბ.VIII.4).

მოვიდა ჩვენამდე. ასეთი მასალები, ზოგადად, აღმოსავლეთ საქართველოს მე-ზოლითური პერიოდის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი [გაბუნია 1975. ტაბ. II, III, IV, V, VI] და კაზრეთის მღვიმესა და მის წინამდებარე ტერასაზე მათი აღმოჩენა აქ ამ პერიოდის სამოსახლო-სადგომის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს [გრიგოლია., ბერიკაშვილი. 2018] (იხ. ზემოთ: სურ. 7.1,2,3,4).

ასევე ობსიდიანისა და კაჟისგანაა დამზადებული ანატკეც-ანამტვრევებისა და ქვის იარაღების კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც ორთვალა მღვიმის არქეოლოგიური კონტექსტის კიდევ უფრო მეტი სისრულით წარმოდგენის საშუალებას იძლევა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის მასალის უდიდესი ნაწილი, დაახ. 70%, ხასიათდება როგორც პირველადი დამუშავების - ანუ ატკეცვის, ასევე, მეორადი დამუშავების - ანუ რეტუშირების მაღალი დონით. რეტუშირებულია როგორც სხვადასხვა ზომის ლამელები, ისევე, ნამზადი იარაღიც. მასალის ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია საშუალო ზომის, ფართე ფორმის ანატკეც-ანამტვრევებითა და ლამელებით, მათი უმეტესობის ერთ-ერთი გვერდი ციცაბო რეტუშირითაა გაფორმებული, რის გამოც მათ საფხეკ-სახოკ იარაღებს მივაკუთვნებთ. ამავე იარაღების, მეორე თხელი და ფხიანი გვერდი როგორც ჩანს საჭრელ-საკვეთი დანიშნულებით უნდა ყოფილიყო გამოყენებული, რაზედ აქ წარმოქმნილი მცირე ზომის ჩანატხეხები მიუთითებს.


აღსანიშნავია, რომ ანატკეც-ანამტვრევებისა და ლამელების (მათ შორის ნამგლის ჩასართების) გვერდით გვაქვს ისეთი იარაღებიც, როგორცაა შუალა საჭრისი და ხელსაფქვაკი ქვები. ეს უკანასკნელი საშუალო ზომის ბაზალტის ქვებისგანაა დამზადებული და როგორც ჩანს მარცვლეულის საცეხვად და საფქვაკად გამოიყენებოდა.

აღნიშნული მასალების კვლევისა და პარალელური ძეგლების მასალებთან შედარების საფუძველზე მიგვაჩნია, რომ კაზრეთის ორთვალაში გამოვლენილი ამ ტიპის მასალა ქვემო ქართლის ნეოლითურ კულტურას უნდა განეკუთვნებოდეს.

ქრონოლოგიურად მომდევნო, მნიშვნელოვანი პერიოდი, რომელიც მეოთხე უბანზე გაჭრილი სადაზვერვო თხრილის მასალების მიხედვით იკვეთება, ადრე-სამიწადმოქმედო კულტურას განეკუთვნება და მისი თარიღი ძვ.წ. VI-V ათასწლეულებით განისაზღვრება [ბერიკაშვილი., კვახაძე და სხვ. 2020]. ამ შემთხვევაშიც მასალები ჯერჯერობით მხოლოდ დარღვეული ფენებიდან მომდინარეობს, თუმცა, იგი იმდენად სახასიათოა და კარგად შეესატყვისება ამავე პერიოდის ეტალონური ძეგლების მასალებს, რომ მათი თარიღი და კულტურული კუთვნილება ეჭვს არ იწვევს. ამ მასალებში განირჩევა უხეშ მინარევებიანი და სქელკედლიანი კერამიკის ფრაგმენტები, რომელთა ზედაპირი, ძირითადად, ღია მოყავისფრო-ჩალისფერია. თითქმის ყველა მათგანი სადაა და მომრგვალებული ფორმის ჭურჭლებს განეკუთვნება. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ქოთნისმაგვარი ჭურჭლის ძირზე ფოთლისა და ჭილოფის ანაბეჭდის კვალიც შეინიშნება.

განსაკუთრებით საყურადღებოა ფერდობზე გაჭრილ სადაზვერვო თხრილში გამოვლენილი ქოთნისებური ჭურჭლის ვერტიკალური პირგვერდის, ჩალისფერი, ხელით ნაძერწი, უხეშკეციანი თიხის ფრაგმენტი, რომელსაც დაძერწილი, კლაკნილი

რელიეფური ზოლი ამკობს. ასეთივე ტიპის, რელიეფურ-ტალღოვანი ხაზებით შემკული ჩალისფერკეციანი კერამიკა ცნობილია არუხლოს ნამოსახლარიდან [ჰანზენი და სხვ. 2013.92. სურ.39; 93.სურ.41] და მისი თარიღი ძვ.წ. VI ათასწლეულით განისაზღვრება [იქვე: 99]. სწორედ არუხლოს, ხრამის დიდი გორის, შულავრის გორისა და ამავე პერიოდის სხვა გორანამოსახლარების პარალელური მასალების მიხედვით კაზრეთის ორთვალას ამ ტიპის მონაპოვრის თარიღიც სწორედ ძვ. წ. VI-V ათასწლეულებით განვსაზღვრეთ [ბერიკაშვილი და სხვ. 2020.8]. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი, რამდენადმე განსხვავებული, პირგადაძლილი ჟურჭლის ფრაგმენტიც, რომელიც კეცით, ზედაპირის დამუშავებითა და პირს ქვემოთ გამჭოლად გაკეთებული ნახვრეტებით წოფის წრის ენეოლითური ძეგლებიდან ცნობილ მასალებთან იჩენს დიდ მსგავსებას და მისი თარიღი ძვ.წ. V ათასწ. დასასრულითა და IV ათასწ. პირველი ნახევრით უნდა განისაზღვროს.



სურ.22. რელიეფურად შემკული კერამიკა არუხლოს გორანამოსახლარიდან (1,2,3 ს. ჰანზენის ფოტო); რელიეფური ორნამენტით გაფორმებული, ხელით ნაძერწი კერამიკა კაზრეთის ორთვალადას (4 დ.ბერიკაშვილის ფოტო).

მოგვიანო პერიოდის, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას უნდა განეკუთვნებოდეს ის კერამიკული ნაწარმი, რომელიც ფერდობზე, სადაზვერვო თხრილში და ასევე, მღვიმის წინამდებარე ტერასაზე, 2019-2020 და 2023 წლებში აღმოჩნდა. ამ მასალებში

უპირატესად, მოშაოდ ან ღია მოყავისფროდ გაპრიალებული ზედაპირის მქონე ჭურჭლის ფრაგმენტები და ყურები განირჩევა, რომლებიც კარგად განლექილი თინისგანაა დამზადებული და მაღალ ტემპერატურაზეა გამომწვარი. როგორც მოშავო, ისე მოყავისფრო ზედაპირის მქონე ფრაგმენტებს ხშირად ეტყობათ ვერტიკალური და ჰორიზონტალური ნაპრიალვეი ხაზები, სწორედ ისეთი, როგორიც დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებზე მოპოვებული კერამიკისათვის. ეს მასალები, ორნამენტით, გაფორმებითა და ჭურჭლის ყურებით ახლო ანალოგებს პოულობენ ისეთი ძეგლების მასალებთან, როგორიცაა ხოვლეს ნამოსახლრი [მუსხელიძე, 1978. ტაბ. IX 2363-20], მადნისჭალის სამაროვანი [თუშიშვილი 1982.], დოდლაურის სამაროვანი [გაგომიძე., გობეჯიშვილი და სხვ. 2023] და სხვ. ასევე, უკანასკნელ წლებში, სამშვილდის ნაქალაქარსა და მის სიახლოვეს, მდებარე ჭივჭავის ნამოსახლარზე გამოვლენილ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მასალებთან, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩოც ძვ.წ. XV-VIII სს-ით განისაზღვრება*. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ კაზრეთის ორთვალას მასალებიც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი დაძრული ფენებიდან მომდინარეობენ, სწორედ ამავე ხანებს განეკუთვნება და აქ, ამ პერიოდის ნამოსახლარის არსებობაზე მიუთითებენ.



სურ.23. გვიანბრინჯაო- ადრერკინის ხანის კერამიკა ფერდობზე გაჭრილი სადაზვერვო თხრილიდან (დ.ბერიკაშვილის ფოტო).

* სამშვილდის ნაქალაქარისა და ჭივჭავის ნამოსახლარის ამ პერიოდის მასალები ჯერჯერობით გამოქვეყნებული არ არის. მათ შესახებ ცნობები დაცულია სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის 2022-2023 წლების სამეცნიერო ანგარიშებში და ინახება საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის დეპარტამენტში.

კიდევ უფრო მოგვიანო ეპოქის, კერძოდ, ანტიკური ხანის ნაკეთობები კაზრეთის ორთვალას მასალებში ორიოდ ნივთითაა წარმოდგენილი. თუმცა, ისენი იმდენად სახასიათოა და ახლო მსგავსებას პოულობენ, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე, კარგად დათარიღებული ძეგლების მასალებთან, რომ მათი კულტურული კუთვნილება და თარიღები ეჭვს არ იწვევს. ასეთ ნივთებს წარმოადგენენ ზემოთ აღწერილი ჯავშან-ბექთარის ე.წ. ქერცლისებური ფირფიტა და სამფრთიანი, ბრინჯაოს ისრისპირი რომელთაც ანალოგიები ძვ.წ. VI-V სს-ით დათარიღებულ ძეგლებთან ეძებნებათ (დაწვრილებით იხ. ზემოთ). მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის კერამიკული ნაწარმის შემცველი ფენები ორთვალაზე ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის, მათი ლოკალიზაციის დადგენა და შესწავლა ექსპედიციის ერთ-ერთ მთავარ მიზნად რჩება.



სურ.24. ბრინჯაოს სამფრთიანი ისრისპირი და აბჯრის U-ს ფორმის რკინის ფირფიტა ფერდობზე გაკეთებული სადაზვერვო თხრილიდან (დ.ბერიკაშვილის ფოტო). 2023 წ.

და მაინც, რაოდენობის თვალსაზრისით ყველაზე მეტი და ამავდროულად, კარგად სტრატოფიცირებული ფენებიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა ორთვალაში შუა საუკუნეებს განეკუთვნება. აქედან, ადრეული შუა საუკუნეების კერამიკა ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი, თუმცა მათ შორის მაინც განირჩევა ნარინჯისფერი ზედაპირის მქონე, თხელკეციანი, ნაპრიალვეი კერმიკის ის ნატეხები, რომლებიც მსგავსებას აღმოსავლეთ საქართველოს გვიან ანტიკურ - ადრე შუასაუკუნეების ძეგლების მასალებთან პოულობენ. მართალია ფრაგმენტულობის გამო ჭურჭლების ძირითადი ფორმების აღდგენა რთულდება, მაინც ცხადია, რომ ისინი საშუალო და მცირე ზომის ხელაღებს, კოჭობებსა, ჭინჭილებსა და სასმისებს განეკუთვნებიან. ამ ტიპის კერამიკის ფრაგმენტები ჩრდილოეთის მღვიმეში გამოვლენილი ტაძრის წინ, ტერასაზე განფენილი მესამე კულტურული ფენის ქვედა ჰორიზონტში აღმოჩნდა და, ეკლესიის აგებისა და ფუნქციონირების თავდაპირველ ეტაპს უნდა განეკუთვნებოდნენ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სწორედ მესამე ფენის ქვედა

ჰორიზონტში გამოვლინდა მწვანე ტუფისგან დამზადებული სტელის ფრაგმენტიც, რომელზეც ღრმა კვეთით შესრულებული, რელიეფურ-გეომეტრიული ორნამენტი და ცერად ჩაჭრილი სამკუთხედებია მოცემული. ამ ფრაგმენტის ორნამენტი ემსგავსება და ახლოს დგას ქვემო ქართლის იმ ძეგლებიდან (ბოლნისი, სოფ. უკანაგორი, სოფ. ზემო ოროზმანი, სოფ. თეკენები) ცნობილ ორნამენტებთან, რომლებიც დათარიღებულია V, VI და VII საუკუნეებით [ჯაფარიძე. 1970.52-63].



სურ.25. არქიტექტურული დეტალები ეკლესიის წინამდებარე ტერასაზე განფენილი მესამე კულტურული ფენის ქვედა ჰორიზონტიდან (დ.ბერიკაშვილის ფოტო). 2023 წ.

ყველაზე ინტენსიური აქტივობა, რაც ორთვალაში სამონასტრო მოღვაწეობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, განვითარებულ შუა საკუნეებზე, კერძოდ, კი XI-XII სს-ზე მოდის. ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც ადრეული შუა საუკუნეების დანგრეული და მწყობრიდან გამოსული ეკლესია აღუდგენიათ და მის სიახლოვეს გარკვეული სამეურნეო ნაგებობა - მცირე ზომის მარანი გაუმართავთ [ბერიკაშვილი და სხვ. 2023]. შესაძლოა აქვე იყო მოწყობილი მცირე ზომის სენაკიც (სენაკებიც?) სავარაუდოდ, ბერთა სამყოფელი, რომელთა არსებობაზეც აქ შემორჩენილი კედლების ნაშთები, დიდი ოდენობით კრამიტის ნამტვრევები და საყოფაცხოვრებლო დანიშნულების ჭურჭლის ფრაგმენტები მიუთითებს.

კერამიკაში განირჩევა ისეთი ტიპის ჭურჭელი, როგორიცაა კეცი, ჭრაქი, ქოთანი, ჯამი და თეფში. გვხვდება ჩალისფრად და ღია ყავისფრად გამომწვარი, ზოგჯერ შავ-წითელი საღებავით მოხატული, თხელკეციანი, ნაპრიალევი, ცალყურა ჭინჭილების ფრაგმენტები, რომლებიც XI-XII საუკუნეებითაა დათარიღებული [მინდორაშვილი, 2015.121.1,2,3,6,9; ბახტაძე, 2013.202.17-18; რამიშვილი, 1970. ტაბ. XXVIII 1-3; სინაურიძე, 1966.172]. ოდნავ მოგვიანო პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს ის მრავალფერად მოჭიქული ჯამის ფრაგმენტები, რომლებიც თეთრ ანგობზე, მწვანე, ცისფერი, სოსანისფერი, ლურჯი საღებავებითაა მოხატული და მოჭიქულია გამჭვირვალე ჭიქურით. ეს სწორედ ისეთი მოჭიქული ნაწარმია, როგორიც დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლებისათვის და მათი თარიღი XII-XIII საუკუნეებით განისაზღვრება [ბახტაძე, 2013; მინდორაშვილი, 2015].

აღსანიშნავია, რომ, როგორც ამაზე არქეოლოგიური მონაცემები მიუთითებს, მე-13 საუკუნის დამდეგიდან კაზრეთის ორთვალაში სამონასტრო ცხოვრება და,

ზოგადად, აქტიურობა წყდება. ეს, სავარაუდოდ, აღმოსავლეთ საქართველოში ჯერ ჯალალ-ედ-დინის, შემდეგ კი მონღოლთა შემოსვლასა და ხანგრძლივ მმართველობას უნდა უკავშირდებოდეს. მღვიმეების წინამდებარე ტერასაზე არსებული ამ პერიოდის ფენები, ფაქტიურად სტერილურია და მხოლოდ მღვიმური დანალექი ქანებითა და შრეებით წარმოსდგება. ასევე დანგრეული და ნაყარ-ნაშალი ფენებითაა დაფარული ეკლესიაც, რომელიც, როგორც ჩანს, მე-13 საუკუნის შემდეგ აღარ ფუნქციონირებდა. ამაზევე მიუთითებს გვიანი შუა საუკუნეების ის ფენაც, რომელსაც მთლიანად აქვს გადაფარული არა მხოლოდ მღვიმეების წინამდებარე ტერასა, არამედ ეკლესიის პერიმეტრიც და XVIII-XIX სს. განეკუთვნება.

კაზრეთის ორთვალას სტრატиграფია-ქრონოლოგიისათვის

ამგვარად, როგორც ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, კაზრეთის ორთვალა მრავალფენიანი და მეტად საყურადღებო ძეგლია, მით უმეტეს, რომ მის შესახებ უკანასკნელ ხანებამდე არაფერი იყო ცნობილი. თუმცა, იმ მასალების შესწავლის საფუძველზე, რაც ჩვენს ხელთ 2018-2023 წლებში აღმოჩნდა, მაინც შეიძლება მწყობრი და თანმიმდევრული დასკვნების გაკეთება, რაც შემდეგნაირი სახით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:

ორთვალა მღვიმის თავდაპირველი ათვისება შუა პალეოლითში, ადრეული ჰომო საპიენსის მიერ უნდა მომხდარიყო და აქ ამაზე მუსტიერული წვეტანებისა და სახოკისმაგვარი იარაღის აღმოჩენა მიუთითებს. ამ ტიპის იარაღებისა და ზოგადად, საქართველოში მუსტიერული კულტურის თარიღი 100 000 წ-დან 40 000 წ-მდე შუალედით არის განსაზღვრული [საქართველოს არქეოლოგია.1991.70; ნიორაძე,1992.76.] და შესაბამისად, ორთვალას ეს მასალებიც ამავე პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის უძრავი ფენები ძეგლზე ჯერჯერობით არ ჩანს, მათი აღმოჩენის პერსპექტივა საკმაოდ რეალურია.

მეზოლითური კულტურა მომდევნოა, რომლის არსებობაც ორთვალაში ობსიდიანისა და კაჟის ნაშადი იარაღით დასტურდება. აქ აღმოჩენილი საფხეკ-სახოკი იარაღი, თავგადატეხილი საჭრისები, წვეტანები და მიკროლითები მსგავსებას საქართველოს სხვა მეზოლითურ ძეგლებთან იჩენს, რომელთა თარიღიც, ზოგადად, 12 000-9000 წწ-ის ფარგლებშია მოქცეული [საქართველოს არქეოლოგია.1991.196]. ამ ტიპის მასალების შემცველი უძრავი ფენა მღვიმეების წინამდებარე ტერასაზე გამოვლენილი შეწყვილებული კედლის შუაში დატოვებულ ორმოსებურ სივრეში აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ აქ ამ ფენის მხოლოდ მცირე მონკვეთის გათხრა მოხერხდა, მაინც ცხადი გახდა, რომ ტერასაზე, შუა საუკუნეების მძლავრი ფენების ქვეშ, მეზოლითური ეპოქის ფენა უნდა იყოს განფენილი.

მოგვიანო პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს ობსიდიანისა და ქვის ის იარაღი, რომელიც ახლოს დგას მეზოლითურ მასალებთან, თუმცა უფრო ახალი და პროგრესული ნიშნებით ხასიათდება. ამის გამო, ვთვლით, რომ ეს მასალები მეზოლითურ მოგვიანოა და ნეოლითურ კულტურას განეკუთვნება. ამ მასალების ჯგუფში ერ-

თიანდება ობსიდიანისა და კაჟის ის იარაღები, რომლებიც რეტუშირების მაღალი დონით ხასიათდებიან, მათ დასამზადებლად გამოყენებულია წაგრძელებული ფორმის ანატკეცები, ასევე, ფართე და გრძელი ლამელები, რომელთა ერთ-ერთი გვერდი დაბლაგვებულია, მეორეზე კი, რეტუშით, სამუშაო პირი აქვთ გამოყვანილი. ასეთი იარაღების გვერდით სიახლეს წარმოადგენს გახვრეტილი ქვისა და რაც მთავარია, ხელით ნაძერწი, უხეში კერამიკის გამოჩენაც, რომლებიც მარტივი ფორმის ნაკეთობებს წარმოადგენენ და აღმოსავლეთ საქართველოს ნეოლითურ-ენეოლითურ ძეგლებზე გამოვლენილ ამგვარივე ტიპის თიხის ჭურჭლებს უახლოვდებიან.



სურ.26. ნეოლითური ხანის ხელით ნაძერწი, უხეშკეციანი კერამიკის ფრაგმენტები კაზრეთის ორთვალადან.

ადრესამიწადმოქმედო კულტურისათვისაა დამახასიათებელი ასევე მარტივი, სადა ფორმების, უხეშად ნაძერწი თიხის ჭურჭლის ის ფრაგმენტები, რომლებიც მდ. მაშავერასკენ დაღმავალ ფერდობზე გათხრილი სადაზვერვო თხრილიდან მომდინარეობენ. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ფრაგმენტები, რომლებიც უხეშად, ხელით დაძერწილი რელიეფური ზოლებითა და კოპებითაა შემკული არუხლოს, ხრამის დიდი გორის, შულავერისა და შომუთეფეს ნამოსახლარებზე პოულობენ ანალოგებს და მათი თარიღი ძვ.წ. VI-V ათასწლეულებით განისაზღვრება [ჰანზენი და სხვ.2013.92.39;93.41] (იხ.ზემოთ.სურ.22). მიუხედავად იმისა, რომ ორთვალაში ადრესამიწადმოქმედო კულტურის მასალის შემცველი უძრავი ფენები ჯერჯერობით არ დადასტურებულა, ვფიქრობთ, რომ ფერდობის სადაზვერვო თხრილში აღმოჩენილი ეს მასალები მღვიმეების წინამდებარე ტერასიდანაა გადმორეცხილი, სადაც ამ პერიოდის სამოსახლო შეიძლება არსებულიყო. ამ მოსაზრების სასარგებლოდ უნდა მიუთითებდეს ხელით ნაძერწი, პირგადაშლილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (იხ. ტაბ. XXIX.1), რომელიც აშკარად წოფის წრის ძეგლებისათვის დამახასიათებელ კერამიკას განეკუთვნება და ძვ.წ. V ათასწ. დასასრულითა და IV ათასწ. პირველი ნახევრით

თარიღდება [ნებიერიძე 2010. ტაბ. XXXVIII; XL; XLI].

ძეგლზე მომდევნო ეტაპი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას განეკუთვნება. ეს პერიოდი წარმოდგენილია მოშავო-მონაცრისფროდ ან ღია მოყავისფროდ გაპრიალებული ზედაპირის მქონე ჭურჭლის ნატეხებითა და მრგვალი განივკვეთის მქონე ყურებით. ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად ნაპრიალვეი ხაზებით, ასევე ისეთი ფორმებით, როგორც დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კერამიკისათვის, ეს მასალები, ანალოგებს პოულობენ ხოვლეს ნამოსახლრის, დოდლაურის სამაროვნის, მადნისჭალის სამაროვნის და სხვ. ძეგლების მასალებთან. პარალელური მასალების მიხედვით, მათი თარიღიც შესაძლოა ძვ.წ. XII-VIII სს-ით განისაზღვროს.

ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი ნაკეთობები ორთავალაში უკანასკნელ ხანებამდე აღმოჩენილი არ ყოფილა. თუმცა, 2023 წლის სავლელ სამუშაოების დროს, ფერდობზე გაჭრილ სადაზვერვო თხრილში აღმოჩნდა ძვ.წ. VI-V საუკუნეებისათვის დამახასიათებელი, ჯავშან-ბეჟთარის ე.წ. ქერცლისებური ფირფიტა და მის სიახლოვეს, იმავე ფენაში მდებარე ბრინჯაოს სამფრთიანი ისრისპირი. ჯავშნის აღნიშნული ფირფიტა და ასევე ისრისპირი ახლოს დგას და ემსგავსება კლასიკური ეპოქის ისეთი ძეგლების მასალებს, როგორცაა, მცხეთა, ვანი, საირხე და სხვ. მიგვაჩნია, რომ მომავალში, ორთავალა მღვიმესთან ამავე პერიოდის სხვა ნივთების, ან სულაც კულტურული ფენის გამოვლენა სავსებით რეალისტურია.

ადრეული შუა საუკუნეები კაზრეთის ორთავალაში კარგად არის წარმოდგენილი. ამ პერიოდს, უპირველეს ყოვლისა, ჩრდილოეთის მღვიმეში გამოვლენილი ეკლესიის კარის ღიობის მარჯვნივ მდებარე, ტოლმკლავა რელიეფური ჯვრითა და ასომთავრული წარწერით გამშვენებული კუბისებური ფორმის ბაზისი და ეკლესიის ინტერიერსა და მის მიმდებარე ტერასაზე აღმოჩენილი სტელის ის ფრაგმენტები განეკუთვნება, რომლებიც ამავე რეგიონში მდებარე V-VI სს-ის ძეგლებთან იჩენენ მსგავსებას. უშუალოდ სტელა გათხრების დროს არ აღმოჩენილა, თუმცა მისი ფრაგმენტები და რელიეფური შემკულობა იმდენად ახლო პარალელებს პოულობს ამავე რეგიონში მდებარე ადრექრისტიანული ხანის სხვა ძეგლებთან (ბოლნისის სიონი, ზემო ოროზმანი, ბუჩურაშენი, თეკენები, უკანაგორი და სხვ.), რომ მათი თარიღი ეჭვს არ იწვევს.

რაც შეეხება თვითონ ეკლესიას, როგორც ამაზე სტრატეგრაფიული მონაცემები და საერთო ვითარებაზე დაკვირვება მიუთითებს, მიგვაჩნია, რომ ისიც ადრეულ შუა საუკუნეებში, კერძოდ, V-VI სს-ში უნდა ყოფილიყო აგებული, თუმცა, აგებიდან მალევე, სავარაუდოდ, VII-IX სს-ში განადგურებულა და გადამწვარა (არაბები, ბუღა-თურქი?). ამავე დროს უნდა იყოს განადგურებული ან წაღებული ეკლესიის კართან აღმართული ის სტელაც, რომლის ფრაგმენტებიც გათხრების შედეგად აღმოვაჩინეთ.

განვითარებული შუა საუკუნეები კაზრეთის ორთავალა მღვიმეში მდებარე ადრე ქრისტიანული ხანის ეკლესიის აღორძინების ეტაპია. ამ დროს ეკლესია განუახლებიათ, აღუდგენიათ, მის ინტერიერში იატაკი წითელი ტუფის ფილებით მოუგიათ, ამბიონზე კი მწვანე ტუფის ქვის საკურთხეველი მოუწყვიათ. როგორც ჩანს, ამ დროისათვის ადრე ქრისტიანული ხანის სტელა უკვე დაკარგული იყო, ისე რომ მისი

მოძიება და თავდაპირველ ადგილზე აღმართვა ვედარ მოხერხდა. თუმცა, სტელის ბაზისი, რომელიც მართალია დაზიანებულ მდგომარეობაში იყო, განახლებული ეკლესიის კარის სიახლოვეს, მისგან მარჯვნივ კვლავაც დაუდგამთ. ასე უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ადრეული შუა საუკუნეების სტელის ბაზისი, განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესიასთან იქნა აღმოჩენილი.

ამავე პერიოდში მნიშვნელოვანი აქტიურობა შეინიშნება ეკლესიის გარეთაც, მის წინამდებარე ტერასაზე და სამხრეთის მღვიმის შესასვლელთან, სადაც ქვითკირის კედლით მოზღუდულ სივრცეში მცირე ზომის სამეურნეო ნაგებობები და მათ შორის, მარანი მოუწყვიათ. როგორც ჩანს, ამ პერიოდში აქ სამონასტრო ცხოვრება მიმდინარეობდა.

განახლებული ეკლესიისა და მონასტრის ფუნქციონირების რადიოკარბონული თარიღია 1026-1160 წწ*, რაც კარგად შეესაბამება ტერასაზე განფენილი მესამე კულტურული ფენის გათხრების დროს აღმოჩენილი განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდის არქეოლოგიური მასალების თარიღს. ამასვე ადასტურებს ბაზისის წინ, ქვით მოწყობილ საკურთხეველზე შეწირული ირმის რქებისა და ტახის ძვლების ასაკიც, რომლებიც ასევე რადიოკარბონული დათარიღების მეთოდით განისაზღვრა**.

განვითარებული შუა საუკუნეების სამონასტრო კომპლექსის ფუნქციონირების შეწყვეტა შესაძლებელია დაკავშირებული ყოფილიყო დიდი თურქობის დასაწყისთან (1080 წ.) და ზოგადად, სელჩუკთა შემოსევებთან აღმოსავლეთ საქართველოში, რომელთა ერთ-ერთი პირველი სამიზნე სწორედ ქვემო ქართლი იყო [შენგელია, 1968; ჯავახიშვილი, 1965]. ყოველ შემთხვევაში, როგორც გათხრების შედეგები აჩვენებს, ძეგლზე ამ პერიოდის მომდევნო საუკუნეების შრეები ძალზედ სუსტად და ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი.

ძეგლზე, ყველაზე ბოლო, შეიძლება ითქვას, ფინალური აქტიურობის ფაზა გვიანი შუა საუკუნეების კულტურული ფენითაა წარმოდგენილი. ამ ფენას გადაფარული ჰქონდა განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესიის თითქმის მთელი პერიმეტრი, მის წინ მდებარე ბაზისი და საკურთხეველი, აგრეთვე ქვის ფილებით მოგებული ტერასა და განვითარებული შუა საუკუნეების მასალების შემცველი მეორე კულტურული ფენა. ამ ფენიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა აღმოსავლეთ საქართველოს XVII-XVIII სს-ის ძეგლებისათვის დამახასიათებელი თიხის ნატეხებითა და დიდი ოდენობით ზოოარქეოლოგიური მონაპოვრით იყო წარმოდგენილი***.

* ტაძრის იატაკიდან აღებული სინჯები დათარიღდა არიზონას უნივერსიტეტის (აშშ) რადიოკარბონულ ლაბორატორიაში. მიღებული შედეგებია: Results δ 13C (± 0.1‰, 1σ): -23.77 ‰ Fraction of modern carbon (±1σ): 0.8877 ± 0.0037. Calendar Age Range (95%): 1026 cal AD to 1160 cal AD.

** ეკლესიის კარებთან, ბაზისის წინ მოწყობილ საკურთხეველზე გამოვლენილი ირმის რქის თარიღი: Results δ 13C (± 0.1‰, 1σ): -19.75 ‰ Fraction of modern carbon (±1σ): 1023 AD to 1149 AD Calendar Age Range (95%).

*** ეს სტატია, რომელიც კაზრეთის ორთავალას გათხრების შედეგად მოპოვებული მასალების ანალიზსა და შესწავლას ეფუძნება, ძეგლის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანას ისახავს მიზნად. თუმცა, ამავე დროს, მხედველობაში მისაღებია ის ფაქტიც, რომ ორთავალას არქეოლოგიური კვლევა ჯერ არ დასრულებულა. შესაძლოა მიმდინარე გათხრებმა კიდევ გამოავლინოს ახალი ფენები და მასალები, რომლებიც უფრო მეტად გაამდიდრებენ და ნათელს გახდიან ჩვენს წარმოდგენას ამ უნიკალური ძეგლის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა

აბრამიშვილი, რ. (1981). დელისის ნასახლარი. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

აფაქიძე, ან., ნიკოლაიშვილი, გ., გიუნაშვილი, გ., დავლიანიძე, რ., ნარიმანიშვილი, გ., სადრაძე, ვ., ძნელაძე, მ., ირემაშვილი, შ., ნონეშვილი, ალ., ხეცურიანი, ლ., გავაშელი, ე. (2004). მცხეთის ექსპედიციის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-92 წლებში. მოკლე ანგარიშები. თბილისი.

ბახტაძე, ნ. (2013). ყვარლის დურუჯისპირა ბაზილიკის არქეოლოგიური კვლევის შედეგები. *მოამბე IV (49-B)*. თბილისი.

ბახტაძე, ნ. (2013). კერამიკული ნაკეთობანი შუა საუკუნეების საქართველოში. თბილისი.

ბერიკაშვილი, დ., კვახაძე, ლ., თოდუა, ელ., თხელიძე, ზ., წიქარიშვილი, ს., ივანიშვილი, ირ., ლომიძე, ვ. (2020). კაზრეთის ორთავალა მღვიმის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის 2020 წლის ანგარიში. თბილისი.

ბერიკაშვილი, დ., კვახაძე, ლ., შელია, მ., გურგენიშვილი, ირ., თვალაძე, შ. (2023). კაზრეთის ორთავალა მღვიმის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის 2023 წლის ანგარიში. თბილისი.

გაბუნია, მ., ნიორაძე, მ., ნებიერიძე, ლ., ნიორაძე, გ., ჯაყელი, ნ., ალაპიშვილი, თ. (2015). ძველი და ახალი ქვის ხანის ძეგლები საქართველოს ტერიტორიაზე. ცნობარი. თბილისი.

გაბუნია, მ. (1975). *თრიალეთის მუზოლითური კულტურა*. თბილისი.

გრიგოლია, გ., ტატიშვილი, თ. (1960). *ქვემო ქართლის უძველესი ძეგლები*. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. ტ. I. თბილისი.

გაგოშიძე, გ., გობეჯიშვილი, ნ., ჭანიშვილი, გ., გაგოშიძე, დ., შავლაყაძე, ქ. (2023). *დოღლაურის სამაროვანი*. თბილისი.

გრიგოლია, გ., ბერიკაშვილი, დ. (2018). *კაზრეთის ორთავალა მღვიმის არქეოლოგიური სადაზვერვო სამუშაოების ანგარიში*. თბილისი.

დავლიანიძე, ც. (1983). *ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში*. თბილისი.

თუშაბრამიშვილი, ნ. (1994). *დასავლეთ საქართველოს შუა პალეოლითი და მისი ზედა პალეოლითზე გადასვლის ეტაპები (ორთავალა კლდის მასალების მიხედვით)*. ავტორეფერატი. თბილისი.

თუშიშვილი, ნ. (1972). *მადნისჭალის სამაროვანი*. თბილისი.

ლორთქიფანიძე, გ. (1976). *საბრძოლო და სამეურნეო იარაღი*. კრებული ვანი II. თბილისი.

მამიაშვილი, ნ. (1980). *სკვითური ნვენტარიანი სამარხები იორ-ალაზნის აუზიდან*. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები IV. თბილისი.

- მახარაძე, გ., წერეთელი, მ. (2007). *საირხე*. თბილისი.
- მენაბდე, მ., კილურაძე, თ. (1981). *სიონის არქეოლოგიური ძეგლები*. თბილისი.
- მინდორაშვილი, დ. (2015). *საქართველოს არქეოლოგია*. II-III. ბათუმი.
- მუსხელიშვილი, დ. (1978). *ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა*. თბილისი.
- ნადირაძე, ჯ. (1990). *საირხე, საქართველოს უძველესი ქალაქი*. თბილისი.
- ნებიერიძე, ლ. (2010). *წოფის ენოლითური კულტურა*. თბილისი.
- ნიორაძე, მ. (1992). *ძველი ქვის ხანის მღვიმე - ნამოსახლარები წყალწითელას ხეობაში*. თბილისი.
- პაპუაშვილი, რ. (2001). *ნამარნუს ტაძრის ადრექრისტიანული ხანის ძეგლები*. გურია III. თბილისი.
- რამიშვილი, რ. (1970). *ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები*. სიონი. თბილისი.
- საქართველოს არქეოლოგია*. ტ. I. (რედ. ნ. ბერძენიშვილი). (1991). თბილისი.
- სინაურიძე, მ. (1966). *ადმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკა*. თბილისი.
- სტურუა, ქ. (2004). *ზედაპალეოლითური კულტურის სათავეებთან სამხრეთ კავკასიაში (რიონ-ყვირილას აუზი)*. თბილისი.
- შენგელია, ნ. (1968). *სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში*. თბილისი.
- ჩუბინაშვილი, ტ., ნებიერიძე, ლ. (1971). *ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის სავლე მუშაობის შედეგები*. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს. თბილისი.
- ჯავახიშვილი, ივ. (1965). *ქართველი ერის ისტორია*. წგნ. 2. თბილისი.
- ჯაფარიძე, ვ. (1970). *ქართული ხელოვნებისა და დამწერლობის ახლად აღმოჩენილი უძველესი ძეგლები ქვემო ქართლიდან*. ძეგლის მეგობარი. თბილისი.
- ჰანზენი, ს., მირცხულავა, გ., ბასტერტ-ლამპირისი, ბ., ნოიმანი, დ., ულრიხი, მ., ვალი, ი. (2013). *ადრესამიწადმოქმედო კულტურა სამხრეთ კავკასიაში*. არუხლო: ნეოლითური ნამოსახლარი სამხრეთ კავკასიაში. თბილისი.
- Гагошидзе, Ю. (1979). *Самadlo, археологические раскопки*. Тбилиси.
- Давлианидзе, Ц. (1977). *О некоторых неопубликованных матерьялах раннеантичной эпохи Юго-восточной Грузии*. КСИА.
- Хоштариа, Н. (1979). *О раскопках на вершине холма в 1947-1959 гг.* зანი IV.
- Gagoshidze, I. (2008). *Weapons - Iberia and Rome*, Ed. A. Furtwängler, H. Löhr, N. Ludvig, Langenveisßbach.
- Kempe, St. (2009). *Principles of Pyroduct (Lava Tunnel) formation*. Institute of Applied Geosciences, University of Technology Darmstadt, Schnittspahnstr. 9, D-64287. Darmstadt, Germany. ICS Proccedings.

Kazreti Ortvala Cave archaeological site

*Berikashvili David,
The University of Georgia
davidberikashvili8@gmail.com*

Summary

Kazreti Ortvala is a multicultural cave complex in Bolnisi Municipality, the historical Kvemo Kartli region in South Georgia (South Caucasus). The archaeological layers excavated here for the last five years indicated the wide chronological range of the site, starting from the Middle Paleolithic up to the Middle Ages. The main goal of the campaigns conducted here in 2018-2023 was to define chronological and cultural aspects, which can be listed as follows:

The first occupation of Ortvala Cave belongs to the **Middle Paleolithic**, presented here by Mousterian pointiers produced by Early Homo Sapiens. This type of Mousterian pointiers and Middle Paleolithic of the South Caucasus date back to the period between 100 000 and 40 000 BC and thus, materials of Ortvala can be associated with the same period.

The next is **Mesolithic** culture, represented here by obsidian and flint tools, such as scrapers, burins, perforators and Microlithes, which resemble to the known Mesolithic materials from Georgia and are dated back by 12 000-9000 BC. It is obvious that the Mesolithic culture of Kazreti Ortvala follows the Mousterian and represents the transitional period from Old to the New Stone Age.

Obsidian and stone tools which are close to Mesolithic materials but have more progressive signs belong to a later – **Neolithic** period. The group of these materials include stone, obsidian and flint lamellas, burins, perforator tools, hand mill stones and also, roughly shaped pottery characterized by cylindrical forms.

The next group of fragments of such a simple forms and handmade potteries, discovered on the terrace, in front of Ortvala Cave, and also on the slope heading down the river, are common for the **Early Agriculture period**. They are decorated with relief lines and have analogues in Arukhló, Khramis Didi Gora materials and are dated back as 6 000 – 5 000 BC.

Despite the fact that immovable layers containing cultural material of the Early Agriculture period have not been identified in Ortvala yet, we suggest, that these materials, discovered on the slope, must be washed off from the terrace located in front of the caves, where a settlement of this period could have existed.

The next phase on the site belongs to the **Late Bronze – Early Iron Age**. This period is represented by fragments of a black polished pottery with rich ornamental motives. The motifs such as vertically and horizontally polished lines are common for the Late Bronze – Early Iron Age ceramics of East Georgia and they have analogous in Khovle settlement, Doghlauri cemetery, Madnistchala cemetery and others. According to parallel materials, they belong

to the 12th-8th centuries BC.

Items characteristic for the **Antique Period** have not been discovered in Ortvala until recently. However, so-called “Lorica Squamata” common for 6th-5th cc BC and a three-wing bronze arrowhead located in the same layer nearby, were discovered on the slope in front of the Cave, during the field works in 2023. „Lorica Squamata” and three winged bronze arrowheads are common for the classical period sites of Georgia, such as Mtskheta, Vani, Saikhe and thus, discovery of the intact layers of this period in the future in Ortvala is quite realistic.

The Early Middle Ages are well presented on the site. A cubical stone pedestal (on which the stella must have been erected) decorated with an embossed cross and the old Georgian (Asomtavruli) inscription primarily belongs to the 5th-6th cc. AD. This pedestal shows a big resemblance with the monuments of the same period from the Kvemo Kartli region. The stella itself was never discovered as a result of excavations but its fragments and embossed ornaments were revealed here in a big amount.

As for the building of the Early Christian church discovered in the Northern Cave of the complex, we suggest the period between the 5th – 6th centuries AD. However, the church was destroyed and burnt down soon after its construction, in around 7th-9th centuries AD. and the stella erected at its entrance must have been destroyed in the same period.

The High Middle Ages are the stage of revival of the Early Christian church in Ortvala. During this period, the church was renovated, restored, and the floor of its interior was decorated with red tuff slabs. In the same period, significant activity was observed outside the church, on the terrace located in front of it and at the entrance of the southern cave, where household buildings and a small wine cellar were arranged. It seems that there had been monastery life there during that period. As radiocarbon date suggests, the church and monastic complex was functioning between 1026-1160, and very soon after, as a result of Jalal-Ad-Dins’ or Mongols invasions it was heavily damaged in the 13th century.

The final phase of the site is represented by the **late Middle Age** occupations. The layer of this period has covered almost the entire perimeter of the complex and archaeological materials discovered here are presented by pottery fragments and a large number of zoo-archaeological materials common for 17th-18th centuries AD of eastern Georgia.

Tab. I ტაბ.



მდინარე მამავერას ხეობა, სადაც მდებარეობს კაზრეთის ორთვალა მღვიმე
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)

The gorge of the riv. Mashavera, where the Kazreti Ortvala Cave is located (Photo by D. Berikashvili)



კაზრეთის ორთვალა მღვიმე ზოგადი აეროფოტოსურათი. 2018 წ. (ფოტო დ. ბერიკაშვილის)
The general view of Kazreti Ortvala Cave. 2018. (Photo by D. Berikashvili)

Tab. II ტაბ.



კაზრეთის ორთვალას სამხრეთის მღვიმე გათხრების დაწყებამდე. 2018 წ.
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)

Southern Cave of Kazreti Ortvala before excavations in 2018. (Photo by D. Berikashvili)



კაზრეთის ორთვალას ჩრდილოეთის მღვიმე გათხრების დაწყებამდე. 2018 წ.
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)

Northern Cave of Kazreti Ortvala before excavations in 2018. (Photo by D. Berikashvili)

Tab. III ტაბ.




A და B თხრილები სამხრეთის მღვიმის შესასვლელთან. 2018 წ. (ფოტო დ. ბერიკაშვილის)
A and B trenches at the entrance of the Southern Cave. 2018 (Photo by D. Berikashvili)



გათხრების დასაწყისი ჩრდილოეთის (მარცხნივ) მღვიმის შესასვლელთან. 2018 წ.
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)
The beginning of the excavations at the entrance of the Northern Cave (left) 2018.
(Photo by D. Berikashvili)

Tab. IV ტაბ.



A თხრილის სტრატეგრაფიული სურათი. სამხრეთის მღვიმე 2018 წ.
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)
Stratigraphy of the trench A. Southern Cave. 2018 (Photo by D. Berikashvili)



B თხრილის სტრატეგრაფიული სურათი. სამხრეთის მღვიმე 2018 წ.
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)
Stratigraphy of the trench B. Southern Cave. 2018 (Photo by D. Berikashvili)

Tab. V ტაბ.




კაზრეთის ორთვალა მღვიმეში აღმოჩენილი ეკლესიის ბარელიეფები.
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)

The bareliefs of Kazreti Ortvala Church. (Photo by D. Berikashvili)



ბოლნისის სიონის ბარელიეფები. მე-5 ს. (ფოტო დ. ბერიკაშვილის)
The bareliefs of Bolnisi Sioni of the 5th century AD. (Photo by D. Berikashvili)

Tab. VI ტაბ.



არქეოლოგი გურამ გრიგოლია კაზრეთის ორთვალა მღვიმეში. 2018 წლის გათხრები.
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)

Archaeologist Guram Grigolia in Kazreti Ortvala Cave in 2018. (Photo by D. Berikashvili)



საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტები ორთვალა მღვიმეში. 2018 წ.
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)

The Students of the University of Georgia in Kazreti Ortvala Cave in 2018. (Photo by D. Berikashvili)

Tab. VII ტაბ.



გათხრების დასაწყისი ჩრდილოეთის მღვიმეში 2019 წელს. (ფოტო დ. ბერიკაშვილის)
The Beginning of the excavations in the Northern Cave in 2019. (Photo by D. Berikashvili)



გათხრები ჩრდილოეთის მღვიმეში და მის წინამდებარე ტერასაზე. 2019 წ.
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)
The excavations in the Northern Cave and on the terrace. 2019. (Photo by D. Berikashvili)

Tab. VIII ტაბ.



ანლადგამოვლენილი ეკლესიის აბსიდი და ამბიონზე აღმოჩენილი კანკელის ნაწილები.
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)

The sanctuary and fragments of the iconostatis of the newly discovered church.
(Photo by D. Berikashvili)



ანლადგამოვლენილი ეკლესიის წითელი ტუფის ფილებით მოწყობილი იატაკი.
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)

The floor of the newly discovered church paved with red tuff slabs. (Photo by D. Berikashvili)

Tab. IX ტაბ.



ეკლესიის იატაკის შემორჩენილი ფრაგმენტი და მასზე განფენილი დანახშირებული შრე.
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)

The survived fragment of the church floor and charcoal layer on it. (Photo by D. Berikashvili)



ეკლესიის იატაკის განფენილი დანახშირებული ფენა და სინჯების აღების პროცესი.
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)

The sample taking process from the charcoal layer concentrated on the church floor.
(Photo by D. Berikashvili)

Tab. X ტაბ.



კაზრეთის ახლად აღმოჩენილი ეკლესია გათხრების დასრულების შემდეგ. 2020 წ.
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)

Newly Discovered church in Kazreti Ortvala Cave after excavation. 2020. (Photo by D. Berikashvili)



გათხრები მღვიმის წინამდებარე ტერასაზე. აქვე გამოვლენილი აკლდამა და ბაზისი. 2020 წ.
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)

The excavation on the terrace. The tomb and a stela base discovered there. 2020.
(Photo by D. Berikashvili)

Tab. XI ტაბ.



ეკლესიის კარებთან მდებარე დანგრეული აკლამა და მასში გამოვლენილი ქვაყუთი.
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)

The ruined crypt at the entrance of the church and the grave covered with slabs inside of it.
(Photo by D. Berikashvili)

Tab. XII ტაბ.



კრიპტაში მდებარე სამარხის გახსნის პროცესი. (ფოტო დ. ბერიკაშვილის)
Slab removing process from the grave inside the crypt. (Photo by D. Berikashvili)



სამარხი გათხრების დასრულების შემდეგ. (ფოტო დ. ბერიკაშვილის)
The grave after the excavation. (Photo by D. Berikashvili)

Tab. XIII ტაბ.



კრიპტის გათხრების პროცესში აღმოჩენილი წარწერიანი ქვა. (ფოტო დ. ბერიკაშვილის)
The stone with an old Georgian inscription discovered during crypt excavations.
(Photo by D. Berikashvili)

Tab. XIV ტაბ.



კრიპტაში აღმოჩენილი ჯვრის სადგამი (?) (ფოტო დ. ბერიკაშვილის)
The cross base (?) discovered inside the crypt. (Photo by D. Berikashvili)

Tab. XV ტაბ.



ეკლესიის კართან მდებარე სტელის ბაზისის აღმოჩენის მომენტი. 2019 წ.
(ფოტო ლ. კვახაძის)

The moment of the discovery of stela basis at the entrance of the church. 2019.
(Photo by L. Kvakhadze)

Tab. XVI ტაბ.



ეკლესიის კართან მდებარე სტელის ბაზისის აღმოჩენის მომენტი. 2019 წ.
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)
The fragments of Asomtavruli inscription on the stela base. (Photo by D. Berikashvili)

Tab. XVII ტაბ.



ეკლესიის კართან მდებარე სტელის ბაზისის აღმოჩენის მომენტი. 2019 წ.
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)

Survived fragment of the relief cross on the base. (Photo by D. Berikashvili)

Tab. XVIII ტაბ.



ბაზისზე შემორჩენილი რელიეფური ჯვრის გამოსახულება. V-VI სს.
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)

The relief cross on the facade of the stela base. V-VI cc a. d. (Photo by D. Berikashvili)



ბაზის წინ მოწყობილი საკურთხეველი და შეწირული ცხოველების (ირმის, ტახის) ძვლები.
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)

An altar in front of the stela base with sacrificed animal (deer, boar) bones on it.
(Photo by D. Berikashvili)

Tab. XIX ტაბ.



ბაზისისა და მის წინ მოწყობილი საკურთხევლის გათხრები. 2019 წ.
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)

Excavation of the stela base and an altar in front of it. 2019. (Photo by D. Berikashvili)



ბაზისი გათხრების დასრულების შემდეგ. ზედხედი. 2020 წ. (ფოტო დ. ბერიკაშვილის)
Stela base after the excavations in 2020. View from above. (Photo by D. Berikashvili)

Tab. XX ტაბ.



კაზრეთის ორთვალას ეკლესია, აკლდამა და ბაზისი გათხრების დასრულების შემდეგ 2020. (ფოტო დ. ბერიკაშვილის)
Kazreti Ortvala Church, crypt and stela base at the entrance after the excavation in 2020.
(Photo by D. Berikashvili)

Tab. XXI ტაბ.



ეკლესიის წინ ქვის ბრტყელი ფილები მოგებული ტერასა. (ფოტო დ. ბერიკაშვილის)
The terrace paved with flat stone slabs in front of the church. (Photo by D. Berikashvili)

Tab. XXII ტაბ.



სამხრეთის მღვიმის შესასვლელთან გამოვლენილი ქვევრი (მარანი?)
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)
Kvevri (wine cellar?) at the entrance of the southern cave. (Photo by D. Berikashvili)

Tab. XXIII ტაბ.



საღაზვერვო თხრილი მდ. ჭივჭავის ქალისკენ ჩამავალ ფერდობზე.
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)
Survey trench on the slope towards to riv. Chivchavi. (Photo by D. Berikashvili)

Tab. XXIV ტაბ.



მუსტიერული წვეტანები (1,2,3,5) და გვერდითა სახოკი (4) კაზრეთის ორთვალადან.
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)

Mousterian Pointers (1,2,3,5) and side scraper (4) from Kazreti Ortvala Cave.
(Photo by D. Berikashvili)



კიდურა საჭრისი (1), საფხეკები (2,4), ბურღი (3) და მეზოლითური მიკროლითები.
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)

The Burin (1), Scrapers (2,4) Perforator (3) and Mesolithic microlith from Kazreti Ortvala Cave.
(Photo by D. Berikashvili)

Tab. XXV ტაბ.




ნეოლითური ეპოქის ობსიდიანის, კაჟის, ძვლისა და ქვის იარაღები კაზრეთის ორთვალადან. (ფოტო დ. ბერიკაშვილის)
Neolithic obsidian, flint, bone and stone tools from Kazreti Ortvala Cave. (Photo by D. Berikashvili)

Tab. XXVI ტაბ.



ქვის საჩეხი, საფქვავი და საცეხველი იარაღები კაზრეთის ორთვალადან.
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)
The Chopping and grinding stone tools from Kazreti Ortvala. (Photo by D. Berikashvili)


Tab. XXVII ტაბ.



უხეშკეციანი, ხელით ნაძერწი კერამიკა კაზრეთის ორთვალა მღვიმიდან.
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)

The fragments of hand made, rough pottery from Kazreti Ortvala Cave. (Photo by D. Berikashvili)

Tab. XXVIII ტაბ.



ადრესამიწადმოქმედო კულტურის კერამიკა (არუხლოს ტიპის) და ობსიდიანის ფირფიტა.
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)

Early Agriculture pottery (Arukhlo type) and Obsidian blade from Kazreti Ortvala Cave.
(Photo by D. Berikashvili)

Tab. XXIX ტაბ.



ენეოლითური კერამიკა (წოფის კულტურა) ძვ.წ. V ათასწ. ბოლო IV ათასწ. დასაწყისი.
Chalcolithic pottery of the V-IV millenia BC. (Tsopi Culture).

გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანის ჭურჭლის ფრაგმენტები (2,3,6), ყურები (7,8,9,10) და მრგვალი დისკოები (4,5). (ფოტო დ. ბერიკაშვილის)
The pottery fragments (2,3,6), handles (7,8,10) and clay discoes (4,5) of Late Bronze - Early Iron Age.
(Photo by D. Berikashvili)

Tab. XXX ტაბ.



ანტიკური ეპოქის ბრინჯაოს სამფრთიანი ისრისპირი, ჯავშნის ფირფიტა (Lorica Squamata) (1,2) და ადრე შუა საუკუნეების წითლად შეღებილი კრამიტების ფრაგმენტები (3,4,5,6) (ფოტო დ. ბერიკაშვილის)

Bronze Arrowhead and Lorica Squamata of the Classical times (1,2); Fragments of red painted roof tiles of Early Medieval Period (3,4,5,6). (Photo by D. Berikashvili)

Tab. XXXI ტაბ.



ადრე შუასაუკუნეების წითლად შეღებილი კრამიტები (1,2) და ეკლესიის არქიტექტურული დეტალები (3,4,5,6). (ფოტო დ. ბერიკაშვილის)

Red painted roof tiles of Early Middle Ages (1,2) and architectural details of the early christian church (3,4,5,6). (Photo by D. Berikashvili)

Tab. XXXII ტაბ.



ეკლესიის კართან, აკლდამაში აღმოჩენილი ადრეული შუასაუკუნეების სტელის ფრაგმენტი
წარწერით: „ ...ჰიქიჩი ... ოსს... “ - „ ...შეწვნი ... იდისა... “. (ფოტო დ. ბერიკაშვილის)
The fragment of the Early Medieval Stela discovered in the crypt at the entrance of the church with old
Georgian inscription. (Photo by D. Berikashvili)

Tab. XXXIII ტაბ.



ქვის დეკორატიული სტელის ფრაგმენტები, გამშვენებული რელიეფური ორნამენტით.
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)

The fragments of stone stela decorated with relief ornamentation. (Photo by D. Berikashvili)

Tab. XXXIV ტაბ.



აკლდამაში აღმოჩენილი ჯვრის სადგამი (1-4); სამხრეთის მღვიმეში აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალი (5); საკურთხევლის წინ აღმოჩენილი სტელის ფრაგმენტი (6).
(ფოტო დ. ბერიკაშვილის)

The cross holder discovered in the crypt (1-4); An architectural fragment from the Southern Cave (5);
The fragment of the stela discovered in front of the altar (6). (Photo by D. Berikashvili)

Tab. XXXV ტაბ.



ეკლესიის წინამდებარე ტერასაზე აღმოჩენილი ტუფის პროფილირებული სვეტის ფრაგმენტი. (ფოტო დ. ბერიკაშვილის)

The fragments of the ruff column discovered on the terrace in front of the church.

(Photo by D. Berikashvili)


Tab. XXXVI ტაბ.



კაზრეთის ორთვალას სტელის ფრაგმენტები (1,3,5); ბოლნისის სიონის ბარელიეფები (2,4,6). მე-5 ს. (ფოტო დ. ბერიკაშვილის)


The fragments of Kazreti Ortvala stela (1,3,5); Bas reliefs of Bolnisi Sioni (2,4,6). 5th c. A.D. (Photo by D. Berikashvili)

Tab. XXXVII ტაბ.



განვითარებული შუასაუკუნეების მრავალფერად მოჭიქული კერამიკა (1-7;11) და კვირისთავები (8-10) კაზრეთის ორთვალადან. (ფოტო დ. ბერიკაშვილის)
Ploychromic glazed pottery fragments (1-7;11) and spinning wheels (8-10) of the 10th-12th cc. AD.
(Photo by D. Berikashvili)

Tab. XXXVIII ტაბ.




განვითარებული შუასაუკუნეების მოხატული კერამიკა (1-8), რკინის დანა (9), ეკლესიის კარის საკეტი (10) და რკინის ლურსმანი (11) კაზრეთის ორთვალადან.

(ფოტო დ. ბერიკაშვილის)

Painted pottery of the High Medieval Centuries (1-8), Iron knife (9), lock of the church door (10) and Iron nail (11) from Kazreti Ortvala. (Photo by D. Berikashvili)

Tab. XXXIX ტაბ.



მე-11-12 საუკუნეების მინის ჭურჭლისა და სამაჯურის ფრაგმენტები (1-6), მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტი (7), და გვიანი შუა საუკუნეების კერამიკის ფრაგმენტები (8-13) კაზრეთის ორთვალადან. (ფოტო დ. ბერიკაშვილის)

The fragments of the glassware and bracelet of the 11th-12th cc. AD, painted pottery fragment (7) and fragments of the late medieval centuries 18th-19th cc. AD from Kazreti Ortveli. (Photo by D. Berikashvili)

**მდინარე ჭივჭავის მარცხენა ფლატეზე განვითარებული
გამოქვაბულთა კომპლექსების დაზვერვითი
სამუშაოების ანგარიში**

თვალაძე შოთა,
საქართველოს უნივერსიტეტი
Shota.ug.tvaladze@gmail.com

შესავალი

მდინარე ჭივჭავის მარცხენა ფლატეზე განვითარებული გამოქვაბულთა კომპლექსები (სურ.1) მდებარეობს ქვემო ქართლში, თეთრიწყაროს რაიონში, სოფ. სამშვილდის სამხრეთ-აღმოსავლეთით. გეომორფოლოგიური თვალსაზრისით იგი, სამშვილდის კონცხის მსგავსად, აგებულია ლავური ნაკადების გაციების შედეგად წარმოქმნილი ბაზალტური შრეებით.



სურ. 1. Fig.

ამ ხეობათა მონაკვეთები ჩაჭრილია ლავურ ნაკადებში, რომელთა საერთო სიძლიავრე 200-250 მ-ს შეადგენს. მისი შუა ნაწილი, სადაც კომპლექსებია განთავსებული, წარმოდგენილია მჭიდრო და ფარული კრისტალური, სქელი შრეებრივი, მასიური სტრუქტურის დოლერიტული და ანდეზიტ-ბაზალტური შედგენილობის ლავებით, რომელთაც მრავალწახნაგოვან-სვეტური განწევრება ახასიათებს. ზედა ნაწილის ფაროვანობა და ქაოდურობა განპირობებულია ლავური ნაკადის მყარი ქერქის გაჩენით. ნაკადთა ზედა ნაწილებში ეს კალაპოტები უპირატესად სფერული მოყვანილობისაა, მაშინ როდესაც სიღრმეებში გაბრტყელებულ-წაგრძელებულია, რაც ზედა მასების დაწოლით არის გამოწვეული. ნაკადების ზედა ნაწილების სისქე, ზოგჯერ, რამდენიმე ათეულ მეტრს აღწევს და მისი სიმტკიცე საგრძნობლად ნაკლებია შუა ნაწილთან შედარებით. [ჭილაშვილი ლ. 1970: 118.], [ბახტაძე ნ. 2007: 15.]

აქაც, ისევე როგორც ნაქალაქარზე ბაზალტოვანი ქანები მიწის ზედაპირზე გამოდის და ზოგიერთ შემთხვევაში „ბორცვების“ სახით გვხვდება. ერთ-ერთ ასეთ „ბორცვთან“ აღმოჩნდა დღემდე უცნობი მეგალითური ნაგებობა - მენჰირი, (Lat. 41.50958 Long. 44.50213) რომელიც, 1.30 მეტრის სიმაღლის ვერტიკალურად აღმართულ ქვას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ სამშვილდის ნაქალაქარზე მსგავსი მეგალითური ძეგლები (ორი მენჰირი, ტეტრალითი) დღესაც ზედაპირულად ხილულია და მათ სიახლოვეს, კონცხის მოპირდაპირედ, ამგვარივე ძეგლის არსებობაც სავსებით ბუნებრივია. მენჰირიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახ. 2.5 კმ-ზე, ბილიკი ეშვება ჭივჭავის ხეობაში და ადგება გამოქვაბულთა მოზრდილ კომპლექსს, რომელსაც ჭივჭავის გამოქვაბულთა I კომპლექსს ვუწოდებთ (Lat. 41.51067 Long. 44.50841). გამოქვაბულთა უმრავლესობა დღეს მიუდგომელია, ვინაიდან, კლდის ეროზიის გამო, მათთან მისასვლელი ბილიკები აღარ არსებობს. მიუხედავად ამისა, 2015 წელს მოხერხდა 5 მათგანში დაზვერვითი სამუშაოების განხორციელება, რის შედეგადაც მოძიებულ იქნა 100-მდე კერამიკული ფრაგმენტი, რომელთა შორის უმრავლესობა გვიანდელი შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი საყოფაცხოვრებო ჭურჭლის ფრაგმენტებია. შედარებით მცირე რაოდენობით აღმოჩნდა მოჭიქული ნამტვრევები, რომლებიც განვითარებული შუასაუკუნეებით თარიღდება. გვიანი შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი მოუჭიქავი ნატეხების ასეთი სიმრავლე მოჭიქულთან შედარებით იმით აიხსნება, რომ ისინი განეკუთვნებიან ადამიანთა მიერ ამ გამოქვაბულებში ყოფნის ბოლო პერიოდს. ზოგიერთი მღვიმე-გამოქვაბულის შესასვლელი, რომელიც სპეციალური აღჭურვილობის გარეშე მიუდგომელია, ხელოვნურად არის შენიღბულ-დაცული ქვითკირის კედლით **[ბერიკაშვილი, დ. 2017. 20-22].**

ისტორიული კონტექსტი

სამშვილდის ნაქალაქარის სამეფო უბნის ჩრდილოეთით მდებარე მდინარე ჭივჭავის გამოქვაბულთა კომპლექსის შესახებ ისტორიული ცნობები წყაროებში, ფაქტობრივად, არ მოიპოვება. ერთადერთ ცნობას ვახუშტი ბატონიშვილი გვაწვდის, რომ ქციისა და ჭივჭავის ხრამები/ხეობები სავსეა სხვადასხვა ზომის გამოქვაბულებით

ქციის ჯრამი აქა არს სიმაღლით წ მჯარი და მეტიცა, და განით ფჳ მჯარი, და ჭიჭივის ჯრამი წ მჯარი. აქ ჭიჭივასა ზედა არს კლდე სპეტაკი და მისგან სცვივა ბროლი გათლილი კუთხედ, მწუეტი ორკერძოვე ... არამედ ჯრამთა ამათ შინა არიან მრავალნი ქუაბნი, კლდეთა მაღალთა შინა გამოკუეთილნი სახიზრად; ვიეთნი აწ კაცთაგან მიუსვლელნი არიან, და მას შინა ფუტკარნი მრავალნი, რომლისაგან გარდმოედინებინ თაფლნი [ყაუხჩიშვილი ს. 1973. 323-].

პირველი სამეცნიერო კვლევები, ძეგლის სიახლოვეს განახორციელა პროფ. ნოდარ ბახტაძემ (თუმცა, ავტორი საუბრობს არა ჭიჭივის, არამედ, მდინარე ხრამის გამოქვაბულებზე). მეცნიერი სამშვილდის გარშემო განვითარებული გამოქვაბულების შესახებ საუბრობს მისივე რედაქციით გამოცემულ წიგნში სახელწოდებით „კლდის ხუროთმოძღვრების გენეზისი და განვითარების გზები საქართველოში“. ავტორი აღნიშნავს, რომ ამგვარი სახის ძეგლებით საკმაოდ საინტერესო მდინარე ხრამის ხეობაა, ნაქალაქარ სამშვილდესა და პირლებულის მონასტრის მიდამოების ჩათვლით, რომელთა კანიონზეც მდებარეობს ოცამდე გრანდოზული გამოქვაბულთა კომპლექსი [ბახტაძე ნ. 2007.15.].

2015 წელს საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო ჯგუფმა, (ხელმძღვანელი პროფ. დ. ბერიკაშვილი) განახორციელა დაზვერვები, რომელიც ითვალისწინებდა სამშვილდის კონცხის ჩრდილოეთით, მდინარე ჭიჭივის მარცხენა მხარეს, მდინარის დონიდან 150-160 მეტრზე მდებარე პლატოსა და მის ფლატეებზე განვითარებული მღვიმეების დაზვერვებს [ბერიკაშვილი დ. 2017. 8-40]. აღნიშნულმა ჯგუფმა მოინახულა მხოლოდ პირველი კომპლექსი, რომელსაც პირობითად დაერქვა კომპლექსი №1, რომელიც მდებარეობს უკიდურესი აღმოსავლეთით.

2020-2023 წლებში საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო ჯგუფმა (შოთა თვალაძე, ლევან კვახაძე, ნიკოლოზ მემანიშვილი, ზურაბ თხელიძე) განახორციელა დაზვერვები №2 და №3 გამოქვაბულთა კომპლექსებში, რამაც გამოავლინა დღემდე უცნობი ნაგებობები და არქეოლოგიური არტეფაქტები.

მიზანი

2020 - 2023 წლის სადაზვერვო ჯგუფის მიზანი იყო ამავე კომპლექსის სამხრეთით მდებარე №2 და №3 კომპლექსების შესწავლა და მოპოვებული ინფორმაციის სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანა.

გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში სრულად მოხდა აღნიშნული მიზნის განხორციელება. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოპოვებული მატერიალური მასალა არ არის აღმოჩენილი არქეოლოგიური გათხრების შედეგად; როგორც ზემოთ აღინიშნა, განხორციელდა დაზვერვითი სამუშაოები და მასალა აიკრიფა მიწის ზედაპირზე.

დაზვერვების შედეგები

II კომპლექსი

II კომპლექსი მდებარეობს მდ. ჭივჭავის მარცხენა ფერდობზე (სურ.2). აღნიშნული კომპლექსი აერთიანებს ოთხ გამოქვაბულს. პირველი გამოქვაბული კომპლექსის უკიდურესი აღმოსავლეთით მდებარეობს, რომლის შესასვლელის წინა მხარე, როგორც ჩანს, ამოშენებული უნდა ყოფილიყო, რადგან ამ ნაწილში, ალაგ-ალაგ, შემორჩენილია კედლის ფრაგმენტები, რომელიც წარმოადგენს ბაზალტის მშრალ წყობას. აღნიშნული გამოქვაბულის სამხრეთით გამოვლინდა ნაგებობა, რომელიც მართკუთხა ფორმისაა და აქვს აფსიდა (სურ.3). ნაგებობის აფსიდა მიმართულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ნაგებია გათლილი ბაზალტის ქვებით, რომელზეც შემორჩენილია დუღაბის ფრაგმენტები. ნაგებობის სიგრძე 2,60 მ-ია, სიგანე - 1.00 მ, სიმაღლე მიწის ზედაპირიდან აფსიდის თავამდე - 1.40 მ-ია, აფსიდა ბოლოში იკვრება და კამარას ქმნის. კამარა მთლიანად ჩამოქცეულია, მოხდა მისი მიახლოებითი გადასვლის ზომის აღება. კედლის სისქე 0.75 მ-ია. აფსიდა შესაძლებელია ეკუთვნოდეს სამლოცველოს, ეკლესიის სამხრეთ მკლავს. გამოქვაბულის სიღრმეში არქეოლოგიური შესწავლის შედეგად, სავარაუდოა, რომ გამოვლინდეს ტაძრის საკურთხეველიც.

მეორე გამოქვაბული მდებარეობს კომპლექსის მეორე იარუსზე. აღნიშნულ ადგილას დაფიქსირდა კედლის მშრალი წყობა, რომლის სიგრძე 2,5 მ, ხოლო სიმაღლე 1.00 მ-ია (სურ.4).



სურ. 2. Fig.



სურ. 3. Fig.

გამოქვაბული N3 მდებარეობს კომპლექსის დასავლეთით, მეორე იარუსზე. აღნიშნულ გამოქვაბულში ზედაპირულად აიკრიფა სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო კერამიკის ფრაგმენტები, კერძოდ ჭურჭლის ყურის, პირ-გვერდისა და ძირ-გვერდის ფრაგმენტები. აღსანიშნავია ერთი მოჭიქული ჯამი*, რომელზეც ფრინველია გამოსახული (სურ.5).

გამოქვაბული N4, მდებარეობს კომპლექსის უკიდურეს დასავლეთით, პირველ იარუსზე. აღნიშნული გამოქვაბული ამოვსებულია ქვადორღით, ხის ტოტებითა და ეკალბარდებით. ასევე საინტერესოა კომპლექსის ცენტრალურ ნაწილში მდებარე მშრალი წყობის კედელი, რომლის სიმაღლე არის 2.20 მ, ხოლო სიგრძე - 11.00 მ, კედლის სიგანე 0,80 სმ-ია. მისი ადგილ მდებარეობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ იგი უნდა წარმოადგენდეს სათავსოებს შორის დამაკავშირებელ გადასასვლელს.

III კომპლექსი

III კომპლექსი მდებარეობს მეორე კომპლექსის დასავლეთით (სურ.6). იგი წარმოდგენილია ერთი დიდი გამოქვაბულით, რომელიც აერთიანებს რამდენიმე სათავსოს. გამოქვაბულის სიგრძე 18,50 მ-ია, სიგანე - 17,00 მ, სიმაღლე - 6,70 მ. გამოქვაბულის წინა მხარე ჩახერგილია დიდი ზომის ბაზალტის ლოდებით, რომლებიც ქმნიან თავდაცვით ზღუდეს. ლოდებს შორის ღიობები ამოვსებულია

* აღნიშნულ ნივთს 2023 წელს ჩაუტარდა რესტავრაცია. რესტავრატორი თეა თორდია.


ბაზალტის ქვებით. ეს კედელი ექცევა გამოქვაბულის წარბის ქვეშ. გამოქვაბულში არის მხოლოდ ერთი შესასვლელი, აღმოსავლეთ კუთხეში (სურ.7). აღნიშნული შესასვლელის თავზე დევს ორი სწორი ლოდი (სურ.8), რომელიც ქმნის კარიბჭის იმიტაციას. შესასვლელიდან 2 მეტრში იწყება ბაზალტის მშრალი წყობის რკალური ფორმის კედელი. აღნიშნული კედელი ნახევრად ზღუდავს გამოქვაბულის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე სათავსო №2 - ს. კედლის სიმაღლე 3,30 მ-ია, სიგრძე - 6,30 მ, სიგანე - 1,20 მ.



სურ. 4. Fig.



სურ. 5. Fig.



სურ. 6- Fig.

სათავსო №1 მდებარეობს გამოქვაბულის ცენტრალური ნაწილის უკიდურესი სამხრეთით „მზლუდავ კედელთან“ (სურ.9), სათავსოს აქვს 2 კედელი: სამხრეთი კედლის სიგრძე 5.20 მ-ია, დასავლეთი კედლის - 2.60 მ, აღნიშნული კედლები წარმოდგენილია ორი დიდი ზომის ბაზალტის გაუთლელი ქვის ლოდით.

სათავსო №2 - ის სიგრძე არის 6.00 მ, სიგანე 3.50 მ. აღნიშნულ კომპლექსში სათავსო ყველაზე დიდია. აქვს ერთი შესასვლელი. მიწის ზედაპირზე ჩამოცვნილია მცირე ზომის ქვები (სურ.10)

სათავსო №3 მდებარეობს გამოქვაბულის სიღრმეში, ჩრდილოეთ ნაწილში. სათავსოს სიგრძე არის 5.50 მ, სიგანე 2.00მ.

არქეოლოგიური მასალის ანალიზი

II და III კომპლექსში მოპოვებული მასალა თითქმის იდენტურია 2015 წელს განხორციელებული დაზვერვების დროს აღმოჩენილი მასალისა (დაზვერვების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ არქეოლოგია №1, ბერიკაშვილი 2017, გვ.8-40). მოძიებული იყო 30 - მდე კერამიკული ფრაგმენტი, რომელთა შორის უმრავლესობა

განეკუთვნება გვიანდელ შუა საუკუნეებს. აგრეთვე გვხვდება განვითარებული შუა საუკუნეების მასალაც, თუმცა, შედარებით მცირე რაოდენობით. უდიდეს უმრავლესობას წარმოადგენს საყოფაცხოვრებლო ჭურჭლის ფრაგმენტები, მცირე რაოდენობით გამოირჩევა სამშენებლო მასალა, ეს უკანასკნელი წარმოდგება კრამიტების სახით. განსაკუთრებით აღსანიშნავია კომპლექსის შესასვლელთან, მიწის ზედაპირზე აღმოჩენილი მონეტა (სურ.11), რომელსაც 2023 წელს რესტავრაცია* ჩაუტარდა. მონეტაზე, პატინის მოხსნის შემდეგ, ნათლად გამოჩნდა ავერსისა და რევერსის წარწერები. მონეტის ავერსის ცენტრში იკითხება რუსუდანის ასომთავრულით დაქარაგმებული სახელი – ႠႠႠ (რსნ) (სურ.12), ხოლო რევერსის ცენტრში არაბული ლეგენდაა მოთავსებული (სურ.13). მონეტის წაკითხვა და ზუსტი თარიღის დადგენა მომავალი კვლევების მიზანს წარმოადგენს, თუმცა ცხადია, რომ ის უნდა განეკუთვნებოდეს რუსუდანის მეფობის წლებს 1223-1245 წწ.




სურ. 7. Fig.


მოპოვებული ნივთების დეტალური აღწერა

დაზვერვების შედეგად მოძიებულ იქნა 30-მდე სხვადასხვა სახის ნივთი, დიდი რაოდენობით გამოირჩევა მოუჭიქავი კერამიკის ფრაგმენტები, მცირე რაოდენობითაა მოჭიქული კერამიკა, სამშენებლო მასალიდან გვხვდება 1 ცალი კრამიტის ფრაგმენტი, ასევე აღმოჩენილია 1 ცალი მონეტა. ქვემოთ წარმოგიდგენთ აღნიშნულიდან რამდენიმე ნივთის აღწერას.

* რესტავრატორი ვაჟა ჩიტორელიძე



სურ. 8. Fig.



სურ. 9. Fig.

ნივთი №1 - ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი, ჩალისფერი, თხელკედლიანი, თავზე აქვს კოპი. აღნიშნული ნივთი დამახასიათებელია XI-XII სს-თვის (სურ.14).

ნივთი №2 - პირ-გვერდი, წითელკეციანი, ჭურჭლის შიდა მხარე ორ ფერად მოჭიქული (მწვანე, თეთრი). პირის თავი მწვანედ მოჭიქული, ქვედა ნაწილი თეთრი

ფერის, აქვს ჰორიზონტალური ხაზები. ფრაგმენტის უკანა მხარის ზედა ნაწილი არის ანგობირებული. აღნიშნული ნივთი დამახასიათებელია XII-XIII სს-თვის (სურ.15).

ნივთი №3 - თიხის ნატეხი, გარეთა მხარე ყავისფერი, ფრაგმენტი წარმოადგენს ჭურჭლის გვერდითა ნაწილს. ნივთს ჩასმული აქვს სამკუთხა ფორმის მინის თვალი (სურ.16). აქვს ჰორიზონტალურად ნაკაწრი ხაზები. ფრაგმენტის შიდა მხარე ჩალისფერია. მსგავსი ნივთები აღმოჩენილია სამშვილდის ნაქალაქარზე წარმოებული გათხრების დროს, შიდა ციხის ერთ-ერთ თხრილში, კერძოდ განვითარებული შუასაუკუნეების ფენაში*.

ნივთი №4 – რუსუდან დედოფლის მონეტა, დიამეტრი 2,5 სმ. შუბლი: ავერსზე რთული ორნამენტული ჩარჩოს ცენტრში მოთავსებულია რუსუდან დედოფლის ასომთავრულით დაქარაგმებული სახელი – ႠႠႠ (რსნ), ხოლო რევერსის ცენტრში არაბული ლეგენდაა განთავსებული.

ნივთი №5 - მოჭიქული ჯამი, წითელკაციანი, სწორი პირით, დაბალ ქუსლიანი, ქუსლამოღარული. გაფორმებულია ჭიქურქვეშა გრავირებით და ფერადი საღებავებით. ჯამის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია ფრინველი, რომელიც გარშემო შემკულია მცენარეული მოტივებით. აღნიშნული ნივთი თარიღდება XIII საუკუნით (სურ.17).



სურ. 10. Fig.

* დეტალური ინფორმაცია იხ. საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის 2020 წლის ანგარიშში.

ნივთი №6 - თიხის ნატეხი, ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი, ნივთის შეფერილობა მუქი წითელი, კეცი ნაცრისფერი, შემკულია წიწვოვანი ორნამენტით, აქვს ორმწკრივი ჰორიზონტალურად ნაკაწრი ზოლი, რომელიც ჭურჭელს, სავარაუდოდ, წრიულად შემოუყვებოდა. შემორჩენილი აქვს ჭურჭლის ტართან გადაბმის ადგილი. აღნიშნული ნივთი დამახასიათებელია გვიანი შუა საუკუნეებისათვის, კერძოდ - XIV-XV სს. (სურ.18).



სურ. 11. Fig.



სურ. 12. Fig.



სურ. 13. Fig.



სურ. 14. Fig.



სურ. 15. Fig.



სურ. 16. Fig.



სურ. 17. Fig.



სურ. 18. Fig.

დასკვნა

2015 წელს, ჭიჭავჭავის I კომპლექსში განხორციელებულმა დაზვერვებმა (ხელმძღვანელი, პროფ. დ. ბერიკაშვილი) საფუძველი ჩაუყარა შემდგომ კვლევებს, რისი წყალობითაც 2020 წელს სამუშაოები გაგრძელდა უკვე II და III კომპლექსში.

- აღმოჩნდა გვიანდელი და შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი საყოფაცხოვრებო ჭურჭლისა და სამშენებლო ნაწარმის ფრაგმენტები.

- გვიანდელი შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი კერამიკის ფრაგმენტების სიმრავლე, მოჭიქულთან შედარებით, შესაძლებელია აიხსნას იმით, რომ ისინი განეკუთვნებიან ადამიანთა მიერ ამ გამოქვაბულებში ყოფნის ბოლო, გვიანდელ პერიოდს.

- გამოვლინდა განვითარებული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი პირგვერდისა და მოჭიქული ჯამის ფრაგმენტები, რომლის მსგავსი მრავალ ძეგლზე გვხვდება და თარიღდება XIII საუკუნით [ბახტაძე ნ. 2013. 83-89].

- №3 გამოქვაბულთა კომპლექსის შესასვლელში INSITU - დ აღმოჩენილი მონეტა, რომელიც რუსუდან დედოფლის ხანას განეკუთვნება, გვაწვდის ინფორმაციას, რომ აღნიშნული ადგილი XIII საუკუნეში ადამიანს კარგად ჰქონდა ათვისებული.

- აღმოჩნდა „ტადარი“ (ნაგებობა), რომელიც ამჟამად ნგრევის რისკის ქვეშაა. კლდის ეროზიის გამო წარმოქმნილია ბზარები, რომლებიც გამაგრებას საჭიროებს, რათა კლდის ნატეხები ნაგებობას არ დაეცეს.

- აუცილებელია უსაფრთხო გზის პოვნა და ბუჩქოვანი/ეკალ - ბარდოვანი მცენარეების გაკაფვა, რადგან მისასვლელი გზა პრაქტიკულად არ არსებობს და საფრთხის შემცველია.

- სასურველია მცირე გათხრების წარმოება. დასაწყისისთვის რამდენიმე შურფის გაკეთება, რათა მეტნაკლებად შესაძლებელი იყოს სტრატოგრაფიის დაჭრა.

- არქეოლოგიის გარდა, მიზანშეწონილი იქნება დამხმარე სამეცნიერო დარგების ჩართვა, კერძოდ: პალინოლოგია, ოსტეოლოგია, საჭიროა არქიტექტორ-რესტავრატორისა და ტოპოგრაფის ჩართულობა .

როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, აღნიშნული გამოქვაბულთა კომპლექსები მდებარეობს სამშვილდის ნაქალაქარის ჩრდილოეთით, მდინარე ჭიჭავჭავის მარცხენა მხარეზე. მოპოვებული მასალები (მონეტა, მოჭიქული კერამიკა, სამშენებლო ნაწარმი) მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანი აქ სამშვილდის ზეობის დროსაც მოღვაწეობდა, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ აქ ბერებიც სახლობდნენ, თუმცა დანამდვილებით ამის შესახებ გვეცოდინება არქეოლოგიური კვლევების შემდეგ. ჩვენთვის ცნობილია, რომ სამშვილდის ნაქალაქარის გარშემო უამრავი, სხვადასხვა ზომის ქვაბებია, რომლებიც ადამიანს ათვისებული ჰქონდა ჯერ კიდევ ქვის ხანაში [ბახტაძე, ნ. 2007 გვ.15-37 ტაბ.№1 I-II], არ არის გამორიცხული, რომ ამ ქვაბთა კომპლექსებშიც შემორჩენილი იყოს უძველესი მასალა, რაც სამშვილდისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის შესახებ არსებულ ცნობებს კიდევ უფრო გაამდიდრებს.

სურათების აღწერილობა

სურ.1 - მდინარე ჭიჭავის მარცხენა ფლატეზე განვითარებული გამოქვაბულთა კომპლექსები. ხედი სამხრეთიდან. ფოტოს ავტორი შ.თვალაძე

სურ.2 - კომპლექსი №2. ფოტოს ავტორი შ.თვალაძე

სურ.3 - კომპლექსი №2- ში აღმოჩენილი ნაგებობა. ფოტოს ავტორი ლ.კვანაძე

სურ.4 - კომპლექსი №2- ის II გამოქვაბულში აღმოჩენილი კედლის მშრალი წყობა. ფოტოს ავტორი ლ.კვანაძე

სურ.5 - კომპლექსი №2- ის III გამოქვაბულში აღმოჩენილი მოჭიქული ჯამი. ფოტოს ავტორი შ.თვალაძე

სურ.6 - კომპლექსი №3. ხედი სამხრეთიდან. ფოტოს ავტორი შ.თვალაძე

სურ.7 - კომპლექსი №3 - ში შესასვლელი. ხედი სამხრეთიდან. ფოტოს ავტორი ლ.კვანაძე

სურ.8 - კომპლექსი №3 - დან გამოსასვლელი. ხედი ჩრდილოეთიდან. ფოტოს ავტორი ლ. კვანაძე

სურ.9 - კომპლექსი №3- ის I სათავსო. ფოტოს ავტორი შ.თვალაძე

სურ.10 - კომპლექსი №3- ის II სათავსო. ფოტოს ავტორი ლ.კვანაძე

სურ.11 - კომპლექსი №3- ში აღმოჩენილი მონეტა. ფოტოს ავტორი შ.თვალაძე

სურ.12 - კომპლექსი №3- ში აღმოჩენილი მონეტა გაწმენდის შემდეგ. ფოტოს ავტორი შ.თვალაძე

სურ.13 - კომპლექსი №3- ში აღმოჩენილი მონეტა გაწმენდის შემდეგ. ფოტოს ავტორი შ.თვალაძე (12 და 13-ში ხომ არ უნდა მიუთითოს ავერსი და რევერსი???)

სურ.14 - კომპლექსი №2- ში აღმოჩენილი ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი. ფოტოს ავტორი შ.თვალაძე

სურ.15 - კომპლექსი №3- ში აღმოჩენილი მოჭიქული პირგვერდი. ფოტოს ავტორი ლ.კვანაძე

სურ.16 - კომპლექსი №3- ში აღმოჩენილი თიხის ნატეხი. - ფოტოს ავტორი შ.თვალაძე

სურ.17 - კომპლექსი №2- ის III გამოქვაბულში აღმოჩენილი მოჭიქული ჯამი რესტავრაციის შემდეგ. ფოტოს ავტორი შ.თვალაძე

სურ.18 - კომპლექსი №3- ში აღმოჩენილი ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი. ფოტოს ავტორი ლ.კვანაძე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბახტაძე, ნ. (2013). *კერამიკული ნაკეთობანი შუა საუკუნეების საქართველოში*. თბილისი.
- ბახტაძე, ნ. (2007). *კლდის ხუროთმოძღვრების გენეზისი და განვითარების გზები საქართველოში*. თბილისი.
- ბერიკაშვილი, დ. (2017). არქეოლოგიური დაზვერვები სამშვილდის კონცხზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე 2015 წელს. *№ 1 არქეოლოგია*. თბილისი.
- ბერიკაშვილი, დ. (2017). *არქეოლოგიური გათხრები სამშვილდეში (2015-2016 წლის მასალები)*. თბილისი.
- ჭილაშვილი, ლ. (1970). *ქალაქები ფეოდალურ საქართველოში*. ტ. II. თბილისი.
- სამშვილდის 2020 წლის ანგარიში.
- ყაუხჩიშვილი, ს. (1973). ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ბატონიშვილი ვახუშტი აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბილისი.

Report of reconnaissance works of the cave complexes developed on the left plateau of the Chivchavi River

*Tvaladze Shota,
The University of Georgia
Shota.ug.tvaladze@gmail.com*

Introduction

The cave complexes developed on the left side of Chivchav River (Fig. 1) are located in Kvemo Kartli, Tetrtskaro district, village Southeast of Samshvilde. From the geomorphological point of view, it is built with basalt layers formed as a result of the cooling of lava flows, similar to Cape Samshvilde.

Sections of these valleys are cut into lava flows, the total capacity of which is 200-250 m. Its middle part, where the complexes are located, is represented by dense and hidden crystalline, thick layered, massive structure lavas of dolerite and andesite-basalt composition, which are characterized by polyhedral-columnar separation. The opaqueness and chaos of the upper part is due to the formation of a solid crust of the lava flow. In the upper parts of the streams, these beds are predominantly spherical, while in the depths they are flattened-elongated, which is caused by the laying of the upper masses. The thickness of the upper parts of the streams sometimes reaches several tens of meters, and its strength is significantly less compared to the middle part. [Chilashvili L. 1970: 118.], [Bakhtadze N. 2007: 15.]

Here, as well as on Nakalakari, basaltic rocks come to the surface of the ground and in some cases are found in the form of “hills”. Near one of these “hills” was found the unknown megalithic building Menhiri (Lat. 41.50958 Long. 44.50213), which is a vertically erected stone 1.30 meters high. It should be noted that similar megalithic monuments (two menhiris, a tetralithi) are still superficially visible on Samshvilde Nakalakari, and the existence of such a monument in their vicinity, opposite the cape, is quite natural. Northeast of the menhiri, approx. at 2.5 km, the trail descends into the Chivchavi valley and comes to a large complex of caves, which we call Chivchavi cave I complex (Lat. 41.51067 Long. 44.50841). Most of the caves are inaccessible today, because there are no access paths to them due to rock erosion. Nevertheless, in 2015 it was possible to carry out reconnaissance work in 5 of them, as a result of which about 100 ceramic fragments were found, most of which are fragments of household utensils typical of the late Middle Ages. Glazed sherds dating back to the Middle Ages were relatively small. Such an abundance of unglazed shards, characteristic of the late Middle Ages, compared to glazed ones, can be explained by the fact that they belong to the last period of human presence in these caves. The entrances of some caves-caves, which are inaccessible without special equipment, are artificially disguised and protected by a white limestone wall [Berikashvili, D. 2017. 20-22].

Historical context

Historical information about the Chivchavi River cave complex located in the north of the Samshvilde Nakalakari royal district is not actually found in the sources. Vakhushti Batonishvili provides us with the only information that Ktsi and Chivchavi caves/revines are full of caves of different sizes. “Here, on top of Chivchiva, there is a rock called “Spetak” and from it, a crystal is falling into a smooth corner, a double-edged one... but among these mounds there are many quails, among the high rocks, they are carved into a sakhizra; They are not accessible from men, and there are many bees in it, from which honey flows” [Kaukhchishvili S. 1973. 323.].

The first scientific studies in the vicinity of the monument were carried out by Prof. Nodar Bakhtadze (although the author is talking about the caves of Khrami river, not Chivchavi). The scientist talks about the caves developed around Samshvilde in the book published under his own editorship entitled “Genesis of Rock Architecture and Ways of Development in Georgia”. The author notes that the Khrami river valley is quite interesting with such monuments, including the area of Nakalakari Samshvilde and Pirgebuli monastery, in the canyon of which there is a complex of twenty grand caves [Bakhtadze N. 2007.15.].

In 2015, the reconnaissance group of the Samshvilde archaeological expedition of the University of Georgia (headed by Prof. D. Berikashvili) carried out reconnaissance, which meant the reconnaissance of the caves developed on the plateau and its plateaus, located 150-160 meters above the river level, on the left side of the Chivchavi river, to the north of Samshvilde cape [Berikashvili D. 2017. 8-40]. The mentioned group visited only the first complex, tentatively named Complex No. 1, which is located in the extreme east.

In 2020-2023, the reconnaissance group of the Samshvilde Archaeological Expedition of the University of Georgia (Shota Chloadze, Levan Kvakhadze, Nikoloz Memanishvili, Zura Taliadze) carried out reconnaissance in cave complexes No. 2 and No. 3, the said reconnaissance revealed hitherto unknown buildings and archaeological artifacts.

purpose

The goal of the 2020 - 2023 intelligence group was to study the complexes No. 2 and No. 3 located south of the same complex and to introduce the obtained information into scientific circulation.

The mentioned goal was fully implemented within the time frame provided by the schedule. We would like to point out here that the extracted material was not found as a result of archaeological excavations, as mentioned above, reconnaissance work was carried out and the extracted material was collected on the surface of the ground.

Intelligence results

II complex

Complex II is located on the left slope of Chivchava river (Fig. 2). The mentioned complex includes four caves. The first cave is located in the extreme east of the complex, the front side of the entrance of which seems to have been built out, because in this part fragments of the wall, which is a dry pile of basalt, have been preserved. To the south of the said cave, a rectangular building with a Vault was discovered (Fig. 3). The vault of the building is directed from west to east. It is built with smooth basalt stones, on which there are fragments of welding. The length of the building - 2.60 m, width - 1.00 m, height from the ground surface to the top of the vault - 1.40 m, the vault is closed at the end and forms an oval. The camera is fully retracted, its approximate transition size is taken. The wall thickness is 0.75 m. The vault may belong to the chapel, the southern wing of the church. As a result of the archaeological study in the depth of the cave, it is likely that the altar of the temple will also be revealed.

The second cave is located on the second level of the complex. In the mentioned place, a dry structure of the wall was observed, the length of which is 2.5 m, and the height is 1.00 m. (Fig. 4)

Cave N3 is located on the second level west of the complex. Fragments of different types of household ceramics were collected on the surface in the mentioned cave, namely fragments of the bowl's rim, face-side and bottom-side. It is worth noting one glazed jar, on which a bird is depicted (Fig. 5).

Cave N4 is located in the extreme west of the complex on the first level. The mentioned cave is filled with gravel, tree trunks and rocks. Also interesting is the dry pile wall located in the central part of the complex, the height of which is 2.20 m and the length is 11.00 m, the width of the wall is 0.80 cm. Based on its location, we think that it should represent a connecting passage between the storage rooms.

III complex

Complex III is located to the west of the second complex (Fig. 6). The mentioned complex is represented by one large cave, which combines several storage rooms. The length of the cave is 18.50 m, width 17.00 m, height 6.70 m. The front of the cave is lined with large basalt boulders that form a defensive wall. The openings between the boulders are filled with basalt stones. This wall falls under the brow of the cave. In the cave, there is only one entrance, in the eastern corner (Fig. 7). On top of the mentioned entrance are two straight stones (Fig. 8), which create an imitation of a gate. A semi-circular basalt dry pile wall begins 2 meters from the entrance. The mentioned wall half-limits storage room No. 2 located in the northern part of the cave. The height of the wall is 3.30 m, length 6.30 m, width 1.20 m.

Storage room No. 1 is located in the extreme south of the central part of the cave near the "restricting wall" (Fig. 9), the storage room has 2 walls: the length of the southern wall is 5.20 m, the length of the western wall is 2.60 m.

The length of storage room No. 2 is 6.00 m, the width is 3.50 m. The storage room is the largest in the mentioned complex. It has one entrance. Small stones have fallen on the surface of the ground (Fig. 10)

Storage room #3 is located deep in the northern part of the cave. The length of the storage room is 5.50 m, the width is 2.00 m.

Analysis of archaeological material

The material found in complex II and III is almost identical to the material found during the reconnaissance carried out in 2015 (information about the reconnaissance can be found in Archeology No. 1, Berikashvili 2017, pp. 8-40). Up to 30 ceramic fragments were found, most of which belong to the late Middle Ages. There is also a relatively small amount of developed medieval material. The largest amount is represented by fragments of household utensils, a small amount is distinguished by construction material, the latter is presented in the form of tiles. The coin found on the surface of the ground at the entrance of the complex (Fig. 11) is especially noteworthy, which was restored in 2023. After removing the patina from the coin, the inscription on the obverse and reverse was clearly visible. In the center of the obverse side of the coin is placed the name of Rusudan in capital letters - ႠႠႠ (RSN) (Fig. 12), and in the center of the reverse is an Arabic legend (Fig. 13). The reading and exact dating of the coin is the goal of future research, but it is clear that it must belong to the years of her reign 1223-1245.

A detailed description of the items obtained

As a result of reconnaissance, up to 30 different types of items were found, a large number of unglazed ceramic fragments, a small number of glazed ceramics, 1 piece of tile fragment and 1 coin from the construction material. Below are the descriptions of some of the mentioned items.

Item No. 1 - Fragment of a vessel ear, thin-walled, with a cup on top. The mentioned item is characteristic of the XI-XII centuries (Fig. 14).

Item No. 2 - front-side, red-faced, the inner side of the vessel is glazed in two colors (green, white). The head of the blade is glazed green, the lower part is white, it has horizontal lines. The upper part of the back side of the fragment is angobed. The mentioned item is characteristic of the XII-XIII centuries (Fig. 15).

Item No. 3 - Clay fragment, brown exterior, the fragment is a side part of a vessel. The object has a triangular shaped glass eye (Fig. 16). Has horizontal scratch lines. The inner side of the fragment is straw-colored. Similar items were found during excavations at Samshvilde Nakalakari, in one of the trenches of the inner castle, in particular in the developed medieval layer.

Item No. 4 – Queen Rusudan’s coin, diameter 2.5 cm: in the center of the complex ornamental frame on the obverse is placed the name of the Rusudan queen in capital letters - ႠႠႠ (RSN), and in the center of the reverse there is an Arabic legend.

Item No. 5 - Glazed, red-faced, straight-toed, low-heeled, pointed-heel. Decorated with underglaze engraving and colored paints. In the central part of the image, a bird is depicted, which is decorated with plant motifs around it. The mentioned item dates back to the XIII century (Fig. 17).

Item No. 6 - Clay shard, vessel side fragment, color of the item is dark red, dark gray, decorated with needle ornament, has two rows of horizontally scratched stripes, which probably circled the vessel. There is a place where the vessel sticks to the tar. The mentioned item is typical for the late Middle Ages, namely - XIV-XV centuries (Fig. 18).

conclusion

In 2015, the intelligence carried out in Chivchavin Complex I (leader, Prof. D. Berikashvili) laid the foundation for further research, thanks to which research was continued in Complex II and III in 2020.

- Fragments of household utensils and construction products typical of the late and middle ages were found.
- The abundance of pottery fragments typical of the late Middle Ages compared to glazed ones can be explained by the fact that they belong to the last, later period of human presence in these caves.
- Fragments of the front page and the glazed glass characteristic of the developed Middle Ages were discovered, similar to which can be found on many monuments and dated to the XIII century [Bakhtadze N. 2013. 83-89].
- A coin found in INSITU at the entrance of cave complex No. 3, which belongs to the queen Rusudan, gives us information that the mentioned place was well used by people in the XIII century.
- A “temple” (building) was found, which is currently under the risk of collapse. Rock erosion has created cracks that require reinforcement to prevent rock fragments from falling onto the structure.
- It is necessary to find a safe way and clear the bushes/thorny pea plants, as the access road is practically non-existent and poses a danger.
- It is desirable to make small excavations. To begin with, make a few trenches so that it is more or less possible to capture the stratigraphy.
- In addition to archeology, it would be advisable to include auxiliary scientific fields, namely: palynologist, osteologist, architect-restorer, topographer.

As we mentioned above, the mentioned cave complexes are located in the north of Samshilde village, on the left side of Chivchavi river. According to the material found (coins, glazed ceramics, building products) it indicates that people lived here during the age of Samshvode.

Description of images

- Fig. 1 - Cave complexes developed on the left plateau of the Chivchav River. View from the south. - The author of the photo is Sh. Tvaladze.
- Fig. 2 - Complex No. 2 - photo author Sh. Tvaladze.
- Fig. 3 - the building found in complex #2 - author of the photo L. Kvakhadze.
- Fig. 4 - The dry structure of the wall found in the second cave of complex #2 - author of the photo L. Kvakhadze.
- Fig. 5 - Glazed jar found in cave III of Complex No. 2. - The author of the photo is Sh. Tvaladze.
- Fig. 6 - Complex No. 3. View from the south - photo author Sh. Tvaladze.
- Fig. 7 - Entrance to Complex No. 3. View from the south. Photo by L. Kvakhaze.
- Fig. 8 - Exit from Complex No. 3. View from the north. The author of the photo L. Kvakhadze.
- Fig. 9 - I storage room of Complex No. 3 - photo author Sh. Tvaladze.
- Fig. 10 - II storage room of complex No. 3 - photo author L. Kvakhadze.
- Fig. 11 - Coin found in Complex No. 3 - photo author Sh. Tvaladze.
- Fig. 12 - Coin found in Complex No. 3 after cleaning - photo author Sh. Tvaladze.
- Fig. 13 - Coin found in Complex No. 3 after cleaning - photo author Sh. Tvaladze.
- Fig. 14 - Fragment of a bowl found in Complex No. 2 - photo author Sh. Tvaladze.
- Fig. 15 - Glazed facade found in complex No. 3 - photo author L. Kvakhadze.
- Fig. 16 - Clay shard found in Complex No. 3 - photo author Sh. Tvaladze.
- Fig. 17 - Glazed aggregate found in Cave III of Complex No. 2 after restoration - photo author Sh. Tvaladze.
- Fig. 18 - fragment of the side of a vessel found in complex #3 - photo author L. Kvakhadze.

Used literature:

Bakhtadze, N. (2013). *Ceramic ware in medieval Georgia*. Tbilisi.

Bakhtadze, N. (2007). *Genesis and Development Paths of Rock Architecture in Georgia*. Tbilisi.

Berikashvili, d. (2017). Archaeological explorations on Cape Samshvilde and its surrounding area in 2015. *Archeology No. 1*. Tbilisi.

Berikashvili, d. (2017). *Archaeological excavations in Samshvilde (2015-2016 materials)*. Tbilisi

Chilashvili, L. (1970). *Cities in Feudal Georgia*. Vol. II. Tbilisi.

Samshvilde 2020 report.

Kaukhchishvili, S. (1973). *Life of Kartli Vol. IV Batonishvili Vakhushti described the Kingdom of Georgia*. Tbilisi.

სამშვილდის ნაქალაქარზე ახლად გამოვლენილი ობსიდიანისა და კაჟის ისრისპირები

კვახაძე ლევან,
საქართველოს უნივერსიტეტი
levan.kvaxadze@gmail.com

პრეამბულა

სამშვილდე ერთ-ერთი უძველესი ციხე-ქალაქია საქართველოში, რომელიც ისტორიულ ქვემო ქართლში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, ახლანდელი სოფელ სამშვილდის მახლობლად მდებარეობს. ძეგლი მდინარე ჭიჭავისა და ხრამის შესაყარზე ამოზიდული სამკუთხა ფორმის ბაზალტურ კონცხზეა აღმართული. **(იხ სურ.1)** არქეოლოგიური კვლევებით ნაქალაქარზე გამოვლენილია სხვადასხვა პერიოდის ნაგებობებისა და არქეოლოგიური კულტურების კვალი. კერძოდ, კვლევის შედეგად აღმოჩენილია ობსიდიანისა და კაჟის ისრისპირები, რომელთაც ნაშრომში განვიხილავთ. წარმოდგენილი თემა, აქტუალურია და ამავე დროს კომპლექსურად რთული. არქეოლოგიური კვლევების მიუხედავად, რომელიც 2012 წლიდან პერმანენტულად მიმდინარეობს სამშვილდის ნაქალაქარზე, (ხელმძღვანელი დ. ბერიკაშვილი) ქვისა და ბრინჯაოს პერიოდი ფაქტობრივად შეუსწავლელია რადგან, ერთი მხრივ, ეს უკანასკნელი პერიოდი ჯერ კიდევ ფრაგმენტულადაა გამოვლენილი და მეორე მხრივ, განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების ფენებით არის დაფარული, შესაძლოა, ამავე პერიოდის აქტიურმა სამშენებლო და სამეურნეო საქმიანობამ ფენები დააზიანა. **[ბერიკაშვილი დ, 2018-23; მირცხულავა გ, 1975; ბახტაძე ნ. 2007].**

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ჯგუფებისთვის მშვილდისარი უძველეს სამონადირეო იარაღს წარმოადგენდა. ასპარეზზე სპილენძის და შემდგომ, ბრინჯაოს გამოჩენამ, ბოლომდე ვერ ჩაანაცვლა ქვისგან დამზადებული ისრისპირები. ამის თქმის საფუძველს კი ხალკოლითიდან, გვიან-ბრინჯაო ადრერკინის ხანამდე სხვადასხვა ძეგლებში, ყორღანებში, თუ სამარხებში, ხშირად აღმოჩენილი ქვის ისრისპირები გვაძლევს. ბუნებრივია, ასეთ დიდ ქრონოლოგიურ მონაკვეთში გავრცელებული ქვის ისრისპირების ფორმები და დამუშავების მანერა იცვლებოდა, ჩნდებოდა იარაღის ახალი ტიპები, ან ძველი იძენდა ახალ თვისებებს. **[ორჯონიკიძე ა. 2005: ტაბ. I.]**



სურ.1. სამშვილდის ნაქალაქარი. მდინარე ჭიჭავი და ხრამი (სატელიტური ფოტო)/ Samshvilde. Chivchava and Khrami rivers (Satellite photo).

მასალის კონტექსტი

არქეოლოგიური კვლევისას ქვის ისრისპირები ნაქალაქარის სამ უბანზე აღმოჩენილი. პირველი (I) მთავარი საფორტიფიკაციო ნაგებობა „ციტადელია“, რომელშიც, შუა საუკუნეების ნაგებობების ქვეშ, გვიანი-ბრინჯაო ადრერკინის ხანის ფენებია გამოვლენილი. ამავე პერიოდს მიეკუთვნება სამარხი, რომელიც განვითარებული შუა საუკუნეების ციტადელის ნაგებობების ქვეშ დაფიქსირდა. [ბერიკაშვილი დ., კუპალი ი. 2019: 121-132]. ციტადელის უბნიდან რამდენიმე ქვის ისრისპირი მომდინარეობს. მეორე (II) უბანს „სიონი“ წარმოადგენს, სადაც ქვის ისრისპირები, სიონის ტაძრის სამხრეთით გავლებულ თხრილებში აღმოჩნდა [ბერიკაშვილი დ. 2016-2020]. ხოლო მესამე (III), სამეფო უბნის სამხრეთით მდინარე ხრამის ფერდზე დაზვერვების დროს შედაპირულად გამოვლინდა. იქიდან გამომდინარე, რომ ისრისპირები უძრავი ფენებიდან არ მომდინარეობს, მიზანშეწონილად ჩაითვალა აღმოჩენები არა კონტექსტის, არამედ თხრილებისა და უბნების მიხედვით დაგვემუშავებინა. სტატის ძირითად მიზანს წარმოადგენს სამეცნიერო სივრცეში შემოიტანოს სამშვილდის ნაქალაქარის ისრისპირებთან დაკავშირებული ახალი ინფორმაცია. თუმცა, მიზნის მიღწევას სერიოზულად აფერხებს ზოგიერთი სამეცნიერო გამოცემის მეტად უხარისხო ილუსტრაცია. პუბლიკაციებში ილუსტრაციები, მეტწილად, მხოლოდ ისრისპირის ფორმებითაა მოცემული, ასევე შემაფერხებელია სტრატეგრაფიული მონაცემების უქონლობა. ამიტომაც ნაშრომში დეტალურად იქნება განხილული ისრისპირების ტიპოლოგიური და მორფოლოგიური დახასიათება. ასევე მიკროსკოპის საშუალებით მიღებული ინფორმაციაც.


როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მასალა შუა საუკუნეების სხვადასხვა აქტიურობის შედეგად დანგრეული ფენებიდან ან ზედაპირულ მონაპოვარს წარმოადგენს, ეს მოცემულობა დასკვნისთვის ხელის შემშლელი ფაქტორია, ამიტომაც სტატიაში, რიგ შემთხვევაში, თავი შევიკავეთ განმარტებისგან, თუ რომელ კულტურასთან ავლენს კავშირს, ან რომელ პერიოდს მიეკუთვნება მასალა.

ისრისპირების ტიპოლოგიურ - მორფოლოგიური დახასიათება


ნაქალაქარზე აღმოჩენილია სხვადასხვა ტიპის დამუშავებული ისრისპირები, ფუძის მოყვანილობის მიხედვით ისინი ორ ჯგუფად დავყავით: I- ფუძე-მომრგვალებული და II- ფუძე-ამოღარული (**იხ. ცხრილი 1**). განხილვას დავიწყებთ სიონის საკათედრო ტაძრის ჩრდილოეთით გავლებულ თხრილში აღმოჩენილი მასალიდან. თხრილებში გამოვლენილი ორმოები განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდის სამეურნეო (სანაგვე) ორმოებს წარმოადგენდა, სიონის უბნის ტერიტორიაზევე გამოვლინდა სამაროვანი. სამეურნეო ორმოებმა და სამარხების გამართვამ, ადრე და შუა ბრინჯაოს პერიოდის კულტურული ფენების დაზიანება გამოიწვია. ეს უკანასკნელი პერიოდი მხოლოდ დაქუცმაცებული კერამიკის ფრაგმენტებით არის წარმოდგენილი. შესწავლილი სიონის უბნის თხრილებიდან ყველაზე საინტერესო № N-7 თხრილში, პირველი (I) ორმო აღმოჩნდა, რომელიც 1.5-მ-დე სიღრმისა და 2-მეტრამდე დიამეტრის ბაზალტოვან დედაქანში იყო ჩაჭრილი. წარმოდგენილი პირველი სამი ისრისპირი ამ ორმოდან მომდინარეობს და მათ დეტალურად განვიხილავთ. სამეურნეო (სანაგვე) ორმოში დანგრეული ფენები იყო წარმოდგენილი, მასალა შედგება, როგორც შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკით, ასევე ბრინჯაოს ხანისთვის დამახასიათებელი ობსიდიანის სხვადასხვა ანატაკეც-ანამტვრევებით და შავპრიალა კერამიკით. ორმოში აღმოჩენილი ისრისპირები წარმოდგენილია ორი ტიპად: ფუძე-მომრგვალებული და ფუძე-ამოღარული. (**იხ. ტაბ. I-II-III**).

ცხრილი. I.	ნივთის დასახელება	სიგრძე (სმ)	სიგანე (სმ)	სისქე (სმ)
ნივთი №1 .N-7 თხრილი	ფუძე-მომრგვალებული	2,4	1,9	0,4
ნივთი №2. N-7 თხრილი	ფუძე-მომრგვალებული	2,3	1,6	0,3
ნივთი №3. .N-7 თხრილი	ფუძე-ამოღარული	2,3	1,5	0,3
ნივთი №4. O-7 თხრილი	ფუძე-მომრგვალებული (დაუსრულებელი ეგზემპლარი)	2,9	2,3	0,4
ნივთი №5. სადაზვერვო მონაპოვარი	ფუძე-მომრგვალებული	3,5	2,4	0,4
ნივთი №6 თხრილ № 68	ფრაგმენტული (ფუძე- ამოღარული)	3,1	2,3	0,6
ნივთი №7. თხრილი: №18	ფუძე-მომრგვალებული	2,4	2,2	0,4
ნივთი №8 ხრამის ხეობა ზედაპირული მონაპოვარი	ფუძე-ამოღარული	5,1	3,1	0,6

ნივთი №1 (პირველი) წარმოადგენს ფუძე-მომრგვალებულ, ობსიდიანის გამჭვირვალე ისრისპირს. ნივთი ანატკეცზეა გაფორმებული, რომლის ზურგის მხარე უხეშად არის დათხელებულ - ატკეცილი, ზედაპირზე ეტყობა ქერცლისებური ატკეცვის ნეგატივები. ატკეცვა მოხდა დათხელების მიზნით, ხოლო გვერდები მცოცავი თანმიმდევრული რეტუშით აქვს გაფორმებული, ისრისპირს ბასრი წვერი და მომრგვალებული ძირი აქვს, მისი ზომებია **2,4/1,9/0.4სმ.** (იხ. ტაბ. I-3 ტაბ III-3)



ტაბ. I



სურ. 2. ფუძე-მომრგვალებული ისრისპირი. სამშვილდე. მიკროსკოპით გადიდებული. (კვახაძე)/ arrowhead with a rounded base. Samshvilde. Magnified by microscope.

ნივთი №2 (მეორე), ასევე, ფუძე-მომრგვალებულ ისრისპირს წარმოადგენს, რომელიც მონაცრისფრო ობსიდიანისგან არის დამზადებული. ნივთი მთლიანად თხელ ანატკეცის ფირფიტაზეა გაფორმებული, (იხ. ტაბ. I-2, ტაბ. III-1.) წვერის მხარეზე არის მოქცეული ანატკეცის დარტყმის შედეგად მიღებული ბურცობი, ზურგის მხრიდან მარცხენა გვერდის ზედაპირი დათხელებულია მსხვილფაცეტა გამაბასრებელი რეტუშით, ხოლო მარჯვენა გვერდი ბუნებრივად არის თხელი მოყვანილობის, მხოლოდ მცირე, წვრილი, ნაწილობრივი რეტუშით არის გაფორმებული. ნივთზე მოხდა DinoCapture 2.0 მიკროსკოპით ფოტოფიქსაცია, რომელმაც საშუალება მოგვცა, დაგვეფიქსირებინა ფუძე-მომრგვალებული ისრისპირის გვერდების კიდეზე ორი, ერთმანეთის პარალელური მცირე ჩანატეხი, ცენტრისკენ მიმართული. ისრისპირის გვერდებზე გაფორმებულ ჩანატეხებს, შესაძლებელია, ჰქონოდა დამჭერის ფუნქცია, რათა ტყავით ან თოკით შეკვრისას, ისრისპირის გლუვი ან მჭრელი ზედაპირიდან არ მომხდარიყო თოკის გადასრიალება და ნივთის ტარიდან ამოვარდნა. უფრო მეტი ინფორმაციას სამომავლოდ ტრასოლოგიური კვლევები მოგვცემს.

ნივთი №3 (მესამე) წარმოადგენს ფუძე-ამოღარულ ისრისპირს, რომელიც დაზიანებული სახით არის ჩვენამდე მოღწეული (იხ. ტაბ. II-2, ტაბ. III-4.). ნივთს აქვს ფუძიდან წვერისკენ ვერტიკალური ამოღარვა, ისრისპირის შუა ნაწილამდე, რომლის გამოც ძირზე წარმოქმნილია ერთმანეთის ტოლი ორი ფრთა. შიდა ფრთის ფორმა სწორია, ხოლო გარეთა ფრთა, მრგვალი ფორმის რკალს ქმნის. ტიპის მიხედვით ხის

ისრის ტარში თავსდებოდა და მის ფუძეზე წარმოქმნილი ფრთები გვერდებზე უნდა ყოფილიყო გადაშვრილი. ნივთს აკლია ერთი ფრთა, თუმცა ტიპოლოგიის განსაზღვრა მაინც მოხდა. ნივთი პარალელურს პოულობს როგორც შუა ბრინჯაოს მასალაში [იხ. **ორჯონიძე ა. 2005**. ტაბ. XXVI 1,(7-9) ტაბ. XXXV. ტაბ XLI], ასევე გვიან ბრინჯაო ადრე რკინის ხანის ძეგლებსა და სამარხებში. [**გაგოშიძე ი. და სხვა 2023**. ტაბ. 124; 2. **Philiposyan A. 2014**: Tab 4. **ჯაფარიძე ო. 1969**: ტაბ. XI-61-2.]. ქვის ისრისპირის ზედაპირი მთლიანად არის რეტუშირებული წვრილფაცეტა თანმიმდევრული გამაბასრებელი ტექნიკით. ანატკეცების ნეგატივები მიმართულია გვერდიდან შიგნით, ძირის მიმართულებით. ასევე საინტერესოა O-7 თხრილში აღმოჩენილი ნივთი №4, რომელიც ფუძე-მომრგვალებული ისრისპირის მსგავს ნივთს წარმოადგენს. ეს უკანასკნელი მიჩნეული იქნა ნახევარფაბრიკატად, (იხ. ტაბ. I-1) ისრისპირი დაუსრულებელი სახით არის ჩვენამდე მოღწეული. იგი ფორმით ემსგავსება I და II ნივთს, მაგრამ მისი გვერდების დამუშავება დაუსრულებელია და ისრისწვერი ფორმირებული არ აქვს, ასევე, მხოლოდ მარჯვენა გვერდი დამრეცად, ცენტრისკენ აქვს თანმიმდევრულად წაგრძელებულ ფაცეტად ატკეცილი. მისი ზომებია: სიგრძე 2,9 სმ სიგანე 2,3 სმ სისქე 0,4 სმ.

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს №O7 თხრილიდან წარმოდგენილი სამივე ნივთის სისქე 0.3/0,4 სმ-ია, ხოლო სიგრძე 2,4/2.3 სმ-სა და სიგანე 1,5/1,9 სმ-ს შორის მერყეობს. ზომების შედარება ძალზედ ინფორმაციული გამოდგა იმის მიუხედავად, რომ სამივე სხვადასხვა ტექნიკით არის ატკეცილი და მეორადად დამუშავებული. ზოგ შემთხვევაში ზომებში განსხვავება მხოლოდ მილიმეტრშია. ქვის ისრისპირის გამოკვლევისას შეინიშნა გარკვეული სტანდარტიზაცია და ერთიანი წარმოების ტექნიკა, რაც ქვის იარაღებში რთულად მისაღწევია, რადგან ქვის ატკეცვის ტექნიკით ხდება ნივთისთვის ფორმის მიცემა. თავდაპირველად წარმოიშვა ჰიპოთეზა, ხომ არ იყო ნივთები ერთი და იმავე ადამიანის მიერ დამზადებული. ასევე ზომებზე დაკვირვება საფუძველს აჩენდა, რომ ფუძე-ამოღარული ისრისპირის ნამზადებს, ანუ ნახევარფაბრიკატებს წარმოადგენდა ფუძე-მომრგვალებული ისრისპირები, მაგრამ დეტალურმა კვლევამ, ასევე ანალოგების მოძიებამ და მასალაზე DinoCapture 2.0 მიკროსკოპით ფოტო ფიქსაციამ ამ ჰიპოთეზის ნახევრად უარყოფა გვაციულა, მიკროსკოპმა დამოუკიდებელი ნივთების დამახასიათებელი კვალი გამოავლინა. (იხ. სურ.2)

სიონის უბნიდან მომდინარეობს კიდევ ერთი ნივთი - #5, რომელიც მრგვალ-ფუძიანია და წინამორბედებთან შედარებით გაცილებით დიდია მისი ზომები: - სიგრძე 3,5 სმ, სიგანე 2,4 სმ, სისქე 0,4 სმ. ნივთი №5 რეტუშირებულია არათანმიმდევრულად მსხვილფაცეტოვანი ტექნიკით. ისრისპირის გვერდები და ფუძე არასწორი ფორმებით ხასიათდება, წვერის ნაწილი შემორჩენილი არ აქვს. ნომერ №1 და №2 ისრისპირისგან განსხვავებით, ის არ გამოირჩევა დახვეწილი ფორმებით და დამუშავების მაღალი დონით, რაც გვაფიქრებინებს უფრო გვიანდელ პერიოდზე. ნივთი გამოქვეყნებულია სტატიამი „ნეოლითური ქვის ინდუსტრია სამშვილდედან“ [იხ. **ბერიკაშვილი დ., გრიგოლია გ. 2018**: 87-15. სურ. 16; ტაბ IV- 1], სადაც ავტორები პარალელურს ავლებენ წოფის ნამოსახლარზე აღმოჩენილ ისრისპირთან [იხ. **ნებიერიძე ლ, 2010**: ტაბ. XXV-1]. ავტორები აღნიშნავენ, რომ წოფის ქვის ისრისპირი

როგორც ფორმით, ისე მეორადი დამუშავებით და ზომებითაც ანალოგია სამშვილდეში აღმოჩენილი ნივთი №5-ისა, რასაც ერთმნიშვნელოვნად ვერ გავიზიარებთ. **[ბერიკაშვილი დ., გრიგოლია გ. 2018: 98.]**. ნაშრომში ქ-ნი ლამარა ნებიერიძე, წოფის ნამოსახლარზე აღმოჩენილ ისრისპირის ფორმებს ასე განმარტავს: ისრისპირი ტოლფერდა მოყვანილობისაა, ერთი გვერდი აქვს ფუძე-მომრგვალებული, გარშემო ოდნავ დაკბილული, იარაღის ცალი მხარე ბრტყელია, ხოლო მეორე კი ამობურცული და მცოცავი რეტუშითაა დამუშავებული. **[იხ. ნებიერიძე ლ. 2010: 53.]**. ეს აღწერილობა არ ემთხვევა ნომერ #5 ისრისპირს, ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რომელ პერიოდს მიეკუთვნება მასალა. სტატიაში გადაჭრით ხაზგასმულია, რომ იგი გვიანი-ნეოლითის პერიოდს განეკუთვნება, რაც შეცდომად მიგვაჩნია და ფაქტებიც, რომელსაც ქვემოთ წარმოვადგენთ ამას მოწმობს. ნომერ №5-ის ტიპის ისრისპირები, დიხანაც, ვრცელდება გვიანი-ნეოლითში, ხალკოლითში და მტკვარ არაქსის პერიოდში **[იხ. ორჯონიკიძე ა. 2005: 94.]**, მაგრამ ასეთი ტიპის ისრისპირები უფრო გვიანაც, შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანების კულტურაშიც გვხვდება **[იხ. ჯაფარიძე ო, 1969: სურ. 3. ტაბ. III-22]**. ნივთები №1 (პირველი), 2, (მეორე) და 5 (მესამე) **(იხ. ტაბ. I-2,3 ტაბ. III-1,3)** ემსგავსება ზურტაკეტის №1 ყორღანში აღმოჩენილ მასალას, რომელიც მდინარე ხრამისა და მისი მარჯვენა შენაკადის, მდ. ყარაბულაღის, აუზში მდებარეობს. მასალა დასაკრძლავი დარბაზის კედელთან აღმოჩნდა. ავტორი აღნიშნავს, რომ სამი ისრისპირიდან სამივე სწორფუძიანია (ფუძე-მომრგვალებული) და ტლანქად ნაკეთები **[ჯაფარიძე ო. 1969: 18-19], (იხ. ტაბ. I-4.)**. ტაბულებში წარმოდგენილი ნივთები სამშვილდის ანალოგებად გვევლინება, იმეორებს სამშვილდეში გამოვლენილ ისრისპირების ზომებსა და ფორმებს. **(იხ. ტაბ. I. 2,3)**. ასევე გასათვალისწინებელია მომდინარე კონტექსტი, სიონის უბანზე გამოვლენილი არ არის გვიანი ნეოლითური კერამიკა, ხოლო ქვის ნაწარმი დანგრეული ფენებიდან მომდინარეობს. ნაწარმში დამუშავების სრული ციკლი ისახება, შეინიშნება როგორც ატკეცვის, ისე მეორადი დამუშავების დაბალი დონე. ამ ტიპის დამუშავება არ არის დამახასიათებელი გვიანი-ნეოლითის ან ხალკოლითის კულტურებისთვის. ჩვენი აზრით, უფრო მოგვიანო პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ, ადრე ან შუა ბრინჯაოს ხანას **[კვახაძე ლ. 2020: 108.]**.

ასევე საინტერესოა თხრილ №O-7 და №N-7-ში გამოვლენილი შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკის ფრაგმენტები. მასალა გამოქვეყნებულია ჟურნალ „არქეოლოგიაში“. ავტორი მასალების პარალელებს თრიალეთის კულტურის კერამიკასთან პოულობს, რომელიც შუა ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება. ასეთივე კერამიკა აღმოჩენილი ახჩიის №1 და №2 ყორღანებში, თრიალეთის #XV, XLXV ყორღანებში **[გაბელაია ნ. 2018: 55.]**. ფაქტებიდან გამომდინარე, ისრისპირების ქრონოლოგია მოექცა შუა ბრინჯაოს ხანაში. ასევე უნდა წამოიჭრას **ჰიპოთეზა: ხომ არ წარმოადგენდა სიონის უბანზე გამოვლენილი მასალები დანგრეული ყორღანის ფრაგმენტებს, რომელიც შუა საუკუნეების აქტიურმა განახლება-გადაკეთებამ გაანადგურა.**


მეორე უბანი ნაქალაქარზე, საიდანაც მომდინარეობს მასალა, არის ციტადელი, - შუა საუკუნეების სამშვილდის ნაქალაქარის მთავარი საფორტიფიკაციო ნაგებობა, მის ქვეშ გამოვლენილ ფენებში ნივთი №6 ფუძე-ამოღარულს ჰგავს, მაგრამ ისრისპირი ფრაგმენტულადაა ჩვენამდე მოღწეული, მას ძირის ნაწილი აკლია რის გამოც პირვანდელი ფორმის, ბოლომდე განსაზღვრა ვერ მოხერხდა **(იხ. ტაბ. II-3)**.

ისრისპირი ნაცრისფერ ობსიდიანს წარმოადგენს, რომლის დამრეცი, რკალისებრი გვერდები მსხვილფაცეტა დამათხლებელი რეტუშითაა გაფორმებული, ხოლო ძირზე მცირედით ეტყობა ამოღარვა. ისრისპირის მარჯვენა მხარე სრულადაა შემორჩენილი, ხოლო მარცხენა ფრაგმენტულია. ციტადელის აღმოსავლეთ უბნიდან მომდინარეობს ნივთი №7, რომელიც ფუძე-მომრგვალებულ ისრისპირს წარმოადგენს. ნივთს განიერი ფუძე აქვს, აკლია წვერის ნახევარი. იგი ობსიდიანის შავ ანატკეცზეა გაფორმებული და გვერდიდან ცენტრისკენ შემოუყვება წნევითი რეტუშის შედეგად დატანილი მსხვილფაცეტა თანმიმდევრული ანატკეცები.



ტაბ. II

საინტერესო აღმოჩნდა ნაქალაქარზე, მდ. ხრამის ფერდზე აღმოჩენილი ნივთი №8 (იხ. ტაბ. I-5, ტაბ. III-5), რომელიც ნაცრისფერ, თეთრხალებიან კაჟზეა დამზადებული, მისი ზომები განსხვავდება ზემოთ დახასიათებული ისრისპირებისგან. მისი ზომებია 5,1//3,1/0,6სმ, წარმოადგენს ფუძე-ამოღარულ ისრისპირს, რომელსაც ალისებრი მოყვანილობის წვერი აქვს. ნივთს აქვს ფუძიდან წვერისკენ ვერტიკალური ამოღარვა, ისრისპირის მესამედის ნაწილამდე, რომლის გამოც ძირზე წარმოქმნილი ფრთის ფორმის შვერილი აქვს შემორჩენილი. ისრისპირის ზედაპირი მთლიანად არის რეტუშირებული წვრილფაცეტა თანმიმდევრული გამაბასრებელი ტექნიკით. ანატკეცების ნეგატივები მიმართულია გვერდიდან შიგნით, ძირის მიმართულებით.



ტაბ. III

აღმოჩენილი ქვის ისრისპირებიდან უმრავლესობა ობსიდიანია, ერთი ეგზემპლარია კაჟი. ობსიდიანის ნედლეულის სიმრავლეს, სხვა ქანებთან შედარებით, საბადოს სიახლოვეს ვუკავშირებთ, იგი ჯავახეთში მდებარე საბადოდან, „ჭიქიანის მთიდან“, უნდა მომდინარეობდეს [Keller et.al. 1996]. ეს ვარაუდი 2018 წელს სამშვილდის მასალაზე ჩატარებულმა კვლევებმაც დაადასტურა. კვლევებმა აჩვენა ქიმიური შემადგენლობის მსგავსება ჭიქიანის მთაზე აღებულ ობსიდიანებთან. ასევე, რაოდენობრივად მცირე ჯგუფი ისეთი იყო, რომელიც სომხურ ობსიდიანთან ავლენდა მსგავსებას. [M. F. La Russa et al. 2019.].

დასკვნა

სამშვილდის ნაქალაქარზე გამოვლენილი **ისრისპირების დამუშავების ტიპოლოგიისა და მორფოლოგიის მიხედვით**, როგორც მასალა, ნედლეულის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

მოპოვებული მასალიდან წამყვანი ნედლეული ობსიდიანია, მეორე ადგილზე დგას კაჟი, ტიპოლოგიით მხოლოდ ფუძე-მომრგვალებული და ფუძე-ამოღარული ისრისპირებია წარმოდგენილი. ამდაგვარი ისრისპირები გავრცელებულია როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, მისი გავრცელების არეალი მოიცავს გვიან-ნეოლითისა და გვიან-ბრინჯაოს ხანას, ადრე რკინის ხანის პერიოდამდე. ნაქალაქარზე ნეოლითური ფენები ან მასალა ამ დრომდე არ არის მიკვლეული, ხოლო ადრე, შუა და გვიანი ბრინჯაოს კერამიკა ნაქალაქარის სხვადასხვა უბანზეა გამოვლენილი.

ამდაგვარად, ტიპოლოგიურ ანალოგებზე შედარების საფუძველზე, შეგვიძლია ქრონოლოგიის დიაპაზონი შევაპირობოთ. როგორც ზემოთ მასალის დახასიათებაში დავასაბუთეთ, სიონის უბანზე გამოვლენილი ფუძე-მომრგვალებული ისრისპირები, როგორც დამუშავების ტექნიკით, ისე ფორმებით უფრო შუა ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება, ასევე შეიძლება ითქვას მრგვალფუძიან ისრისპირთან აღმოჩენილ ფუძე-ამოღარულ ისრისპირზე. ხოლო ის ისრისპირები, რომლებიც ციტადელთან არის აღმოჩენილი, ფორმებით და უხარისხო დამუშავების დონით უფრო გვიანდელად მივიჩინეთ და გვიან-ბრინჯაო - ადრერკინის ხანას უნდა განეკუთვნებოდეს.

საინტერესო გამოდგა ისრისპირების ზომების შედარება. შესაძლებელია ჰიპოთეზის სახით წამოვაცენოთ, რომ სიონის უბანზე გამოვლენილი ყველა ქვის ისრისპირი ერთი ზომის ჩარჩოებშია მოქცეული. გამონაკლისს არ წამოადგენს ფუძე-ამოღარული ისრისპირები, ზომებში, ზოგ შემთხვევაში, განსხვავება მხოლოდ 1 მილიმეტრია, რაც შეიძლება კულტურის უწყვეტობას დავუკავშიროთ, ზომები რჩება იგივე, მაგრამ დამუშავების ტექნიკა იცვლება.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ/Tab. I

1-3. ფუძემომრგვალებული ისრისპირი. სამშვილდე. (ფოტო. ლ. კვახაძე)/ arrowhead with a rounded base. Samshvilde. (photo by k. Kvakhadze).

4. ფუძემომრგვალებული ისრისპირი. ზურტაკეტი. ჯაფარიძე 1969, 31 Abb. XI 6., Bild 9 3 . L-2,5 სმ./arrowhead with a rounded base. Surtaketi. Djafaridze 1969, 31 Abb. XI 6., Bild 9 3 . L-2,5 cm.

5. ფუძემოლარული ისრისპირი. სამშვილდე (ფოტო ლ. კვახაძე)/ arrowhead with a grooved base. Samshvilde. (photo by k. Kvakhadze).

ტაბ/Tab. II

1. ფუძემომრგვალებული ისრისპირი. სამშვილდე (ფოტო ლ. კვახაძე)/ arrowhead with a rounded base. Samshvilde. (photo by k. Kvakhadze).

2-3. ფუძემოლარული ისრისპირი. სამშვილდე (ფოტო ლ. კვახაძე)/ arrowhead with a grooved base. Samshvilde. (photo by k. Kvakhadze).

ტაბ/Tab. III

1-3. ფუძემომრგვალებული ისრისპირი. სამშვილდე (გამოხაზა ლ. კვახაძე).

(კვახაძე)/ arrowhead with a rounded base. Samshvilde. (painted by k. Kvakhadze).

4-5. ფუძემოლარული ისრისპირი. სამშვილდე (გამოხაზა ლ. კვახაძე)/ arrowhead with a grooved base. Samshvilde. (painted by k. Kvakhadze).

გამოყენებული ლიტერატურა

- ბერიკაშვილი, გ. (2017). *არქეოლოგიური გათხრები სამშვილდეში (2015-2016 წლის მასალები)*. ტაბ.23- 8. თბილისი. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- გრიგოლია, გ., ბერიკაშვილი, დ. (2018). ნეოლითური ქვის ინდუსტრია სამშვილდედან. *ჟურნალ „არქეოლოგია“*. თბილისი. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- გაბელაია, ნ. (2019). ბრინჯაოს ხანის მასალა სამშვილდის უახლესი გათხრებიდან. *ჟურნალი „არქეოლოგია“*. თბილისი. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- გაგოშიძე, ი., გობეჯიშვილი, ნ., და სხვა... (2023). *დოღლაურის სამაროვანი ძვ.წ. XV-VIII საუკუნეები*. თბილისი. ფავორიტი სტილი.
- ორჯონიკიძე, ა. (2005). *მასალები საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიისათვის*. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი.
- ორჯონიკიძე, ა. (2015). *ადრეული ყორღანები საქართველოში*. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი.
- მირცხულავა, გ., ორჯონიკიძე, ა., მინდიაშვილი, გ., ჯაფარიძე, ო. (1992). *ადრეობრინჯაოს ხანა*. საქართველოს არქეოლოგია II. თბილისი.
- კვანაძე, ლ. (2020). *სამშვილდეში ახლად გამოვლენილი ქვის ინდუსტრია*. თბილისი. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჯაფარიძე, ო. (1969). *არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში*. თბილისი. საბჭოთა საქართველო.
- Ashot philiposyan. (2014). *exavations at metsamor*. Book. problems of early metal age archaeology of caucasus and Anatolia. Tbilisi. pp 42-50.
- Bernd Müller-Neuhof. (book) *Settlement, Survey, and Stone. Essays on Near Eastern Prehistory in Honour of Gary O. Rollefson*. Publisher: ex Oriente pp227-229.
- Keller, J., Djerbashian, R., Pernicka, E., Karapetian, SG., Nasedkin, V. (1996). *Armenian and Caucasian obsidian occurrences as sources for the Neolithic trade: vulcanological setting and chemical characteristics*. Demirci S. Ozer, A.M., Summeries. *Archaeometry* 94:68–86.
- La Russa, M. F., Randazzo, L., Ricca, M., Rovella, N., Barca, D., Ruffolo, S.A., Berikashvili, D., Kvakhadze, L. (2019). *The first archaeometric characterization of obsidian artifacts from the archaeological site of Samshvilde (South Georgia, Caucasus)*. *Archaeological and Anthropological Sciences*.
- Mellaart, J. (1967). *Çatal Höyük – A Neolithic Town in Anatolia*. London: McGraw-Hill.

Newly discovered obsidian and flint arrowheads from SamShvilde

*Kvakhadze Levan,
The University of Georgia
levan.kvaxadze@gmail.com*

Summary

Preamble

Samshvilde is one of the ancient fortified cities in Georgia. It is located in Kvemo Kartli, Tetrtskaro Municipality, on a triangular basalt cape at the confluence of Chivchava and Khrami rivers. Stone arrowheads discovered as a result of archaeological survey are presented in the research.

The material context

Stone arrowheads are discovered on three areas of the former settlement. (I) The first area is the “citadel” which is the place of origin of several stone arrowheads. (II) The second discovered area is “Sioni” where stone arrowheads were found in trenches made to the south of the church and (III) the third area was superficially discovered to the south of the royal district, during reconnaissance on the slope of Khrami river.

Typological-morphological description of arrowheads

Various types of processed arrowheads were discovered in the former settlement. We divided them into two groups by the base form: I – with a rounded base and II – with a grooved base. The pit №1 discovered in the trench №7 is the most interesting among the trenches of the studied Sioni area. It was cut into the basalt source rock with the depth of up to 1.5 meters and diameters of up to 2 meters. The first 3 (three) presented arrowheads were discovered in the midden (trash pit). Arrowheads are presented in two types: with a rounded base and with a grooved base.

Item №I represents a transparent obsidian arrowhead with a rounded base. Its sizes are **2,4/1,9/0.4 cm**.

Item №II also represents an arrowhead with a rounded base which is made of brownish flint. The stone arrowhead is made on the whole flake plate and only its sides are covered with a thin sharpening retouch.

Item №III represents an arrowhead with a grooved base which has reached us in a damaged form. The item has a vertical grooving from the base to the top, to the middle part of the arrowhead and due to this, two equal sized wings are created on the bottom.

Item №4 is also interesting. An item similar to a multi-base arrowhead discovered in trench O-7 is considered as a semi-finished item. The arrowhead has reached us in an incomplete form. The item resembles items I and II by form, but processing of its sizes is incomplete and the dimensions are 2,9/2,3/0,4 cm.

The second area is the “citadel”. Item # 6 was discovered in the layers revealed under it. It looks like a grooved arrowhead, but the arrowhead has reached us in a deficient form. It was not possible to define the forms. Item # 6 represents a grey obsidian. Item №7 originates from the eastern part of the citadel and represents an arrowhead with a rounded base. The arrowhead has a wide base and lacks half of the top.

Conclusion

By **typology and morphology of processing of arrowheads** discovered in Samshvilde former settlement, as well as by the materials, we can conclude that:

The leading material is obsidian. It is followed by flint. By typology, only arrowheads with a rounded base and a grooved base are presented. By typology, such arrowheads are disseminated both in the west and the east Georgia. Their dissemination period covers the Late Neolithic period and the Late Bronze Age to the Early Iron Age. Neolithic layers or materials have not been discovered in the former settlement until now, while ceramics of the Early, Middle and Late Bronze Age has been discovered in various areas of the former settlement. Thus, on the basis of comparison of typological analogues we can narrow the chronological range. Arrowheads with a rounded base discovered in Sioni area belong to the Middle Bronze Age both by processing technique and forms, and the same is true about arrowheads with a grooved base, while the arrowheads discovered at the citadel belong to the later period and the Late Bronze – Early Iron Age by forms and low-quality processing.

შემთხვევით აღმოჩენილი მონეტები უჯარმის მიდამოებიდან

მწყერაძე გიორგი,
საქართველოს უნივერსიტეტი
giorgi.mtskeradze@gmail.com

წინასიტყვაობა

2022 წლის 15 სექტემბერს, ქალაქ რუსთავის მკვიდრებმა - ედუარდ და მერაბ კურტიანიძეებმა, თელავის ისტორიულ მუზეუმში შეიტანეს „სამონეტო განძი“, რომელიც შემთხვევით აღმოუჩენიათ ისტორიულ ციხე-ქალაქ უჯარმის სიახლოვეს, მისგან ჩრდილოეთით ორ კმ-ში, მდინარე ივრის მარჯვენა ნაპირზე. მათივე თქმით, მონეტები მდ. ივრის მარჯვენა შენაკად პატარა ღელის მშრალ კალაპოტში, მცირე მონაკვეთზე იყო გაბნეული. როგორც ჩანს, ღელის ადიდებას მისი ნაპირის ჩამოშლა მოჰყვა, რის შედეგადაც წყალმოვარდნილი კალაპოტის ზედაპირზე აღმოჩნდა მონეტები. აქვე გვინდა მადლობა მოვასხენოთ აღნიშნულ პიროვნებებს სამოქალაქო პასუხისმგებლობის გამოჩენისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის. მინდა გამოვხატო მადლიერება და პატივისცემა მონეტების შესწავლის ინიციატორის სსიპ თელავის ისტორიული მუზეუმის ფონდის მთავარი შემნახველის ქ-ნი მარინა ოხანაშვილისა და ამავე მუზეუმის დირექტორის ბ-ნი გურამ ურჩხუნიშვილის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ სამონეტო განძების შემთხვევით აღმოჩენა არც ისე იშვიათია, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ისინი მუზეუმებში არ შედის. ამ განძებში შემავალი ცალკეული მონეტები ხვდება კერძო კოლექციონერების ხელში. ასეთი სახით არსებულ მონეტას/მონეტებს ბევრად ნაკლები სამეცნიერო ღირებულება აქვს, ვიდრე აღმოჩენის კონტექსტიდან გამომდინარე პირვანდელი სახით შენარჩუნებულ სამონეტო განძს, მათი მოპოვების ადგილისა და გარემოს გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, უჯარმის მიდამოებში აღმოჩენილი „სამონეტო განძის“ მნიშვნელობა ცალსახად დიდია და მას საინტერესო ინფორმაციის მოწოდება შეუძლია.

ციხე-ქალაქი უჯარმა

უჯარმის ისტორიული ციხე-ქალაქი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში, მდინარე ივრის მარჯვენა ნაპირზე (ტაბ. 1**).

* მას „სამონეტო განძს“ პირობითად ვუწოდებთ, ვინაიდან ის მცირე არაელში იყო გაბნეული. ეს არის მონეტების ერთობლიობა, რომელთა წარმომავლობა, აღმოჩენის გარემოების გათვალისწინებით, არც ისე ნათელია, თუმცა, სავარაუდოა, ის განძის სახით ყოფილიყო დაფლული.

** ფოტომასალა (ტაბ. 1) გამოყენებულია ვებგვერდიდან: <https://georgiantravelguide.com/en/ujarmistsikhe#photo-gallery-3>; <https://georgiantravelguide.com/en/ujarmis-tsikhe#photo-gallery-4>

ციხე-ქალაქი უჯარმა თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე ძველ ქართულ წერილობით წყაროებში მრავალგზის იხსენიება. პირველად იგი III-IV საუკუნეთა მიჯნაზე, ასფაგურის მეფობის დროს მოიხსენიება და სწორედ მეფე ასფაგურს მიეწერება მისი მშენებლობა: „ამან ასფაგურ ალაშენა ციხე ქალაქი უჯარმა“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 59).

უჯარმის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „კვალად ამ ჳევს ჴეით არს, იორსა ჴედა, უჯარმა, ორთა მათა შორის, კახეთისა და კუხეთისასა, რომელი ალაშენა კგ მეფემან საურმაგ, ციხე ქალაქი, და კვალად განაახლა გორგასალ და ყო სიმაგრე და ქალაქი დიდი. არამედ აწ არს დაბა. რამეთუ განყოფისა სამეფოთა მოოჳრდა“ (ბაგრატიონი, 1941, გვ.90).

ვახუშტი ბაგრატიონი უჯარმის მშენებლად არა ასფაგურს, არამედ საურმაგს მიიჩნევს. ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ აღნიშნული მეფეები ერთ დროს მოღვაწეობდნენ და ერთმანეთის პარალელურად უწევდათ მეფობა. როგორც ძველი რომაელი ისტორიკოსი ამიანე მარცელინე გვაუწყებს, სპარსეთის შაჰმა შაბურ II-მ საურმაგი გააძევა ქვეყნიდან და მის ნაცვლად ასფაგური გაამეფა: „...სავრომაკი (იგულისხმება საურმაგი გ.მ.) გააძევა, რომელიც რომაელთა შემწეობით განაგებდა იბერიას, და იმ ხალხის გამგებლობა ვინმე ასფაგურს გადასცა“. საპასუხოდ რომის იმპერატორმა საურმაგს თავისი ჯარი - 12 ლეგიონი მიახმარა და ასფაგური იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო (მარცელინე, 1961, გვ. 125, 130). საბოლოოდ, იბერიის სამეფო ორად გაიყო (სანაძე, 2016, გვ. 270-273). შუაში საზღვრად მდ. მტკვარი დაიდო. საურმაგს სომხეთისა და ლაზების მოსაზღვრე მხარე ერგო, ასფაგურს - ალბანეთისა და სპარსელების მომიჯნავე მხარე.

ამ საკითხს იმიტომ შევხვებით, რომ შესაძლოა ერთგვარი „გასაღები“ აღმოჩნდეს უჯარმის მშენებელი მეფის ვინაობის გარკვევისათვის. იქიდან გამომდინარე, რომ წყაროს მიხედვით ასფაგურს წილად ხვდა ალბანეთისა და სპარსეთის მომიჯნავე მხარე, დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია, ბუნებრივია უჯარმაც მის დაქვემდებარებაში მოექცეოდა. თუ კი ეს მოსაზრება სწორია, უჯარმა ასფაგურ მეფის აშენებული გამოდის, იგივეს გვეუბნება ქართლის ცხოვრებაც.

განსაკუთრებული დვაწლი უჯარმის დაწინაურებაში მიუძღვის ვახტანგ გორგასალს: „...და თვით გორგასალ დაჯდა უჯარმოს, და ალაშენა ნაშენებითა უზომოთა“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 199). ეს ერთი წინადადებაც კი საკმარისია, თუ რაოდენ დიდი სამუშაო გასწია ვახტანგ გორგასალმა უჯარმის მშენებლობაში. ვახტანგისა და მისი შვილის დაჩის დროს აიგო ციტადელი მძლავრი კოშკებითა და მტკიცე კედლებით, სასახლეებით და ეკლესიებით. ვახტანგმა უჯარმა თავის ერთ-ერთ რეზიდენციად აქცია და იქვე აღესრულა. ციხე-ქალაქმა განსაკუთრებული აღმავლობა განიცადა IV-VIII საუკუნეებში.

უჯარმა, რომელშიც 300 მეციხოვნე იყო გამაგრებული, ბრძოლით აიღო და დაანგრია არაბთა სარდალმა აბულ-კასიმმა (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 263). ბაგრატ IV-მ (1027-1072) განძის ამირა ფალღონის გადაცემის სანაცვლოდ, კახეთის მეფე აღსართანს უჯარმა უბოძა (ქართლის ცხოვრება, 1973, გვ. 151). მონღოლთა

ბატონობის პერიოდში, უჯარმამ თანდათან დაკარგა თავისი მნიშვნელობა. XIII საუკუნეში მონღოლთა ბატონობამ, XV საუკუნის მიწურულს საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლამ თანდათანობით დასცა უჯარმის მნიშვნელობა და ერთ დროს აყვავებული ქალაქი პატარა დაბად აქცია.



ტაბ. I

როგორც ამ მოკლე მიმოხილვით ვნახეთ, უჯარმა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის ისტორიაში მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში (არჯევანიძე, 1958, გვ.113-117; ბერიძე, 1974, გვ. 36, 114-115; საქართველოს არქეოლოგია, 1959. გვ. 351-353, 375-377; ზაქარაია, 1965, გვ.28-31; ზაქარაია, 2001, გვ.35-38; ლომთათიძე, 1961; მუსხელიშვილი, 1966; ციციშვილი, 1966; უჯარმა, გვ. 26-29; გამყრელიძე, მინდორაშვილი, ბრაგვაძე, კვაჭაძე და სხვ., 2013, გვ. 516-520).

ამგვარად, უჯარმის ისტორიის კვლევისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდება შეუძლია ნუმისმატიკურ მასალას. ჩვენ მიერ განსახილველი „მონეტების განძი“ ერთი, პატარა წინგადადგმული ნაბიჯია ამ ისტორიული ციხე-ქალაქისა და ზოგადად რეგიონის ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხის გააზრებისათვის.

„სამონეტო განძი“

ჩვენ მიერ განსახილველი „მონეტების განძი“ შეიცავს 26 ერთეულ მონეტას, მათ შორის ერთი ვერცხლის მცირე ზომის მონეტაა, ხოლო დანარჩენი სპილენძის.

მონეტების უმრავლესობა ქართულია, განძი შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: მეფე გიორგი III-ის მონეტები (20 ც.); რუსუდან დედოფლის მონეტა (1 ც.); უცხოური მონეტები: ბიზანტიური მონეტა (1 ც.), ეკუთვნის ბასილი II-სა და კონსტანტინე VIII-ს.; მონღოლური საოკუპაციო მონეტები: მანგუ ყაენის მონეტა (1 ც.), ე. წ. „ყაანური“ (1 ც.). 2 მონეტა განუსაზღვრელია, მათი იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება. ამგვარად, განძი შეიცავს XI-XIII საუკუნეების მონეტებს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიერ განსახილველ „სამონეტო განძში“ შემავალი მონეტების უმრავლესობა არცთუ ისე კარგად არის დაცული, მათი უმრავლესობის განსაზღვრა მაინც შესაძლებელია*.

უჯარმის შემოგარენში სამონეტო განძის აღმოჩენა სხვა დროსაც დაფიქსირებულა, 1949 წელს უჯარმის ციხის მახლობლად აღმოჩნდა მონეტების განძი, რომელშიც შედიოდა დავით VIII -ის (1293-1311) 120-ზე მეტი ვერცხლის მონეტა (Джалагания, 1958, გვ. 116).

გიორგი III-ის (1157-1184 წწ.) მონეტები

არასწორი ჭედვა. სპილენძი

I ტიპი (ტაბ. II- 1,2,3,4)

შუბლი: კუთხოვანი ფიგურული ჩარჩო, ცენტრში გიორგის სახელის აღმნიშვნელი ასომთავრული ინიციალი Ⴀ (გ). ირგვლივ არაბული გრაფემების კვალი.

* მონეტების განსაზღვრაში გაწეული კონსულტაციისთვის მადლობას მოვასხენებ ნუმისმატს, ქ-ნ თინათინ ქუთელიას.

როგორც წესი, აღნიშნული ტიპის მონეტებზე შუბლის მხარეს ვარდულის ბუდეებში არაბულად იკითხება: „მეფეთა მეფე გიორგი, მესიის მახვილი“.

ზურგი: ხუთვარსკვლავიანი ვარდულის თითოეულ ბუდეში წერტილები,

ხოლო ვარდულის გარეთ ხალიფას სახელი და წოდება: „ალ-მუქთაფი ლი-ამრ ალლაჰ (1136-1160 წწ.), მართლმორწმუნეთა მბრძანებელი“.

ზარაფხანა - თბილისი



ტაბ. II

გიორგი III-ის (1157-1184 წწ.) მონეტები

არასწორი ქედვა. სპილენძი

II ტიპი (ტაბ. III- 5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19, 20)

შუბლი: ხვეული წნულის ვარდულში გიორგის სახელის აღმნიშვნელი ასომ-თავრული ინიციალი Γ (გ).

ზურგი: ხუთვარსკვლავიანი ვარდულის წაგრძელებულ ხვეულებში ხალიფას სახელი და წოდება: „ალ-მუქთაფი /ლი-ამრ /ალლაჰ (1136-1160 წწ.), მართლმორწმუნეთა მბრძანებელი“ (დუნდუა, დუნდუა, 2015, გვ. 41; დუნდუა, დუნდუა, ჯავახიშვილი, ერისთავი, 2003, გვ. 34).



ტაბ. III

XII საუკუნეში უჯარმა ალაღინა მეფე გიორგი III-მ (1157* -1184 წწ.) და თავის განძოსაცავად აქცია. „არამედ განიმრავლა საჭურჭლეცა და დასდვა ციხესა უჯარმასა“ (ქართლის ცხოვრება, 1973, გვ. 169). ამავე ცნობას მხარს უჭერს უჯარმის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები, რომლის თანახმად ყველაზე მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა XII-XIII საუკუნეებს განეკუთვნება (გამყრელიძე, მინდორაშვილი, ბრაგვაძე, კვაჭაძე და სხვ., 2013, გვ. 517; ლომთათიძე, 2013, გვ. 11, 12.).

ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ ჩვენ მიერ განხილულ „სამონეტო განძში“ სწორედ გიორგი III-ის მონეტები ჭარბობს. როგორც ჩანს, მისი მეფობის დროს უჯარმამ კვლავ დაიბრუნა ძველი სტრატეგიული მნიშვნელობა და მისი სატრანზიტო-სავაჭრო გზის სიახლოვეს მდებარეობა კვლავ აქტუალური გახდა.

* მეფე გიორგი III-ის მმართველობის დასაწყის თარიღად მიიჩნეოდა 1156 წ., თუმცა ირკვევა, რომ იგი 1157 წელს გამეფებულა. იხ. ჯოჯუა თ. 2002. საქართველოს მეფის გიორგი III-ის აღსაყდრების თარიღი 1160 წელს გადაწერილი ხელნაწერის (Vნ.4 ის) ანდერძის მიხედვით, კრებული „ოჩხარი“ (ჯ. რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი), თბილისი, გვ. 508-521.



ტაბ. III

როგორც ვნახეთ, გაერთიანებული საქართველოს ძლიერი მეფე გიორგი III „უწესოდ“ მოჭრილი სპილენძის მონეტებზე არაბულ ზედწერილებსა და ხალიფას სახელს ათავსებდა. ზოგიერთი მკვლევარი ამას იმით ხსნის, რომ საქართველოს მეფე რაღაც ფორმით დამოკიდებული იყო მუსლიმ მფლობელზე.

XI საუკუნის საქართველოში მოჭრილ მონეტებზე არაბული ზედწერილების არსებობა ზოგ მკვლევარს ქართველ მეფეთა უცხოელ დამპყრობლებზე დამოკიდებულების ნიშნად მიაჩნია, მაგრამ დ. კაპანაძე აღნიშნავდა: „...აკად. ი.

ჯავახიშვილმა ეს მოსაზრება უარყო; მისი აზრით, ეს ღონისძიება გამოწვეულია სურვილით, რომ ქართულ ფულს მეზობელ მუსლიმანურ ქვეყნებშიაც ჰქონოდა გასავალი“ (Капанაძე, 1950, გვ. 49).

დემეტრესა და გიორგი III-ის ასეთი კონკრეტული ჟესტი ნაკარნახევი იყო წმინდა ეკონომიკური მოტივებით, რადგან ქართულ მონეტებს გზა უნდა გაეკვლია მახლობელი აღმოსავლეთის ბაზრისკენ, ამას კი არაბული ლეგენდა და ხალიფას სახელის მოხსენიება უთუოდ უწყობდა ხელს. ამავე დროს წარწერის შინაარსი იმასაც ატყობინებდა მუსლიმურ სამყაროს, რომ, ვთქვათ, გიორგი III „მეფეთა მეფე“ და „მესიის მახვილი“ იყო. კონკრეტული ემისიები 1157-1160 წლებში ხორციელდებოდა.

დემეტრე I-ის დროიდან მოკიდებული რუსუდანის მეფობამდე ქართული მონეტები იჭრებოდა მხოლოდ და მხოლოდ სპილენძისგან. ეს სამონეტო საქმის ერთი თავისებურებაა (ე. წ. ქართული საკრედიტო მონეტები*) (გაბაშვილი, 1981, გვ. 148-165; დუნდუა, დუნდუა, ჯავახიშვილი, ერისთავი, 2003, გვ. 31; დუნდუა, დუნდუა, 2015, გვ. 52.).

მეორე თავისებურება ის გახლავთ, რომ XII საუკუნეში მონეტის გარეგნული სახე მკვეთრად შეიცვალა - აქამდე მიღებულ კანონზომიერ მოყვანილობას, სიმრგვალებს, მონეტა კარგავს. ამიერიდან ფულის უმეტესი ნაწილი შემთხვევითი ფორმის სპილენძის ფირფიტების სახით იჭრება. ხშირად, ფირფიტის სიმცირის გამო, სიქის ანაბეჭდი მასზე მთლიანად ვერ თავსდება. მონეტის მოჭრის ეს წესი თავდაპირველად აღმოსავლეთის ქვეყნებში იქნა დანერგილი და ჩვენშიც მტკიცედ მოიკიდა ფეხი. „უწესოდ“ მოჭრილი ფულის პარალელურად, რა თქმა უნდა, იჭრებოდა მრგვალი ფორმის მონეტებიც“ (დუნდუა, დუნდუა, 2015, გვ. 52).

„უწესოდ“ მოჭრილი მონეტების შესახებ გამოთქმულია მოსაზრება, რომ სიქის დარტყმა ხდებოდა ისეთ ლითონზე, რომელიც დნობის პროცესში სხვადასხვა ფორმას იღებდა (Пахомов, 1969, გვ. 260.).

რაც შეეხება „უწესოდ“/არასწორი ჭედვის მონეტების ვაჭრობაში გამოყენებას, ამ საკითხის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. არსებობს მოსაზრება, რომ ასეთ მონეტებს ვაჭრობის დროს ღებულობდნენ უკვე წონის და არა თვლის ანგარიშით (კაპანაძე, 1969, გვ. 71.).


ამავე საკითხის შესახებ ვარაუდი გამოთქვა ნუმისმატმა მ. პატარიძემ, რომელმაც, მონეტების სიქებზე დაკვირვების შედეგად, მიიჩნია, რომ არასწორი ჭედვის მონეტაზე თითოეული დარტყმული სიქა ერთი მონეტის შესაბამისი ნომინალია, ასე გაცილებით

* ქართული საკრედიტო მონეტა - XII - XIII საუკუნეებში ქართველ მეფეთა (დემეტრე I, გიორგი III, თამარ მეფე, გიორგი IV - ლაშა) სახელით მოჭრილი სხვადასხვა ზომისა და წონის სპილენძის მონეტები, რომელთაც ვერცხლის ფულის ფასი ჰქონდათ. ამგვარი მონეტების მოჭრა დაიწყო მახლობელ აღმოსავლეთში, ე. წ., ვერცხლის კრიზისის გავრცელებისთანავე. ფულის ზედწერილი იუწყებოდა: „ეს დირჰემია“, რაც იმას ნიშნავდა, რომ სპილენძის ფულის ნიშანს ვერცხლის დრამის ფასი ენიჭებოდა. ასეთივე ღონისძიებისათვის მიუმართავთ ქართველ მმართველებს, რაც მაშინდელი ფულის ქართული ზედწერილითაც მტკიცდება: თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის სპილენძის ფულს აწერია: „ქორონიკონსა (ამა და ამას) სახელითა ღვთისათა იქნა ჭედაი ვერცხლისა ამისა“. ამით საქართველოს მეფეები აღნიშნავდნენ, რომ მის მიერ მოჭრილ სპილენძის ფულს ვერცხლის ფულის ფასი ჰქონდა და იგი იძულებითი, სავალდებულო კურსით მიმოიქცეოდა.

უფრო მარტივი იქნებოდა ვაჭრობა, ვიდრე მოქალაქეების მიერ გადახდის დროს წონის მიხედვით ნომინალის დადგენა (ბერიკაშვილი, პატარიძე, 2019, გვ. 58).

რუსუდან დედოფლის „წესიერად“ მოჭრილი სპილენძის მონეტა (სურ. 1- 21)

შუბლი: რთული ორნამენტული ჩარჩოს ცენტრში მოთავსებულია რუსუდანის ასომთავრულით დაქარაგმებული სახელი – კსნ(რსნ). მის ზემოთ ამოკვეთილია მცირე ზომის ხვეული (სურ. 2. წითლად), მეცნიერთა ნაწილი - დ. კაპანაძე თ. ბარნაველი თვლის, რომ იგი რუსუდანის ხელმოწერა და მონოგრამაა (Капанაძე, 1957, გვ. 491-494), ამავე მოსაზრებას ეთანხმება მიხეილ ვადბოლსკიც, მას მოცემული აქვს რუსუდან დედოფლის მონეტაზე გამოსახული ორნამენტების გრაფიკული ჩანახატი, რომელსაც დედოფლის ხელრთვად მიიჩნევს (ვადბოლსკი, 2010, გვ. 125). თეიმურაზ ბარნაველის ინტერპრეტაციით, ასევე რუსუდანის მონოგრამას წარმოადგენს მონეტაზე მოთავსებული რთული ორნამენტული ჩარჩო (სურ. 2. შავად), რომლის გარე ხვეულების



სურ. 2

გახსნა გვაძლევს შემდეგ ასოებს: („როსნ“) ე.ი. რუსუდან*. ორნამენტის ბუდეებში შემოკლებით თარიღია: +ԿԻ ԿՁԻ - ქორონიკონსა 447 (=1227 წ.). აღსანიშნავია, რომ თარიღი, რომელიც რუსუდან დედოფლის მონეტაზე პირველად 1227 წელს გაჩნდა, უცვლელად რჩება რუსუდანის დედოფლობის ბოლომდე და სულ უკანასკნელ მის მონეტებს ისეთივე თარიღი უზის, როგორც პირველს (კაპანაძე, 1969, გვ. 81; გაბაშვილი, 2020).

ზურგი: ოთხსტრიქონიანი არაბული

ზედწერილი: „დედოფალი მეფეთა და

დედოფალთა, დიდება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა, რუსუდან, ასული თამარისა, მესიის მიმდევარი, განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი“. გარშემო რკალი. ზარაფხანა - თბილისი (დუნდუა, დუნდუა, 2015, გვ. 51.).

უნდა აღინიშნოს, რომ რუსუდან დედოფლის 1227 წელს მოჭრილ მონეტებზე ზარაფხანა არ არის მითითებული. ე. პახომოვი ვარაუდობდა, რომ მათი ემისია ქუთაისის ზარაფხანაში უნდა მომხდარიყო, ვინაიდან თბილისი ამ დროისთვის ჯალალ ედ-დინს ჰქონდა დაკავებული (Пахомов, 1970, გვ. 106). ასევე, არსებობს მოსაზრება, რომ რადგან ქართველებმა თბილისი 1227 წლის ბოლოს დათმეს, 1227 წლით დათარიღებული მონეტების ემისია დედაქალაქის ზარაფხანაში სავსებით შესაძლებელი იქნებოდა (დუნდუა, დუნდუა, 2015, გვ. 61).

* ამ მოსაზრებას არ ეთანხმება ისტორიის დოქტორი ირაკლი ფაღავა, საკითხზე იხ. ფაღავა ი. 2016. „შუასაუკუნოვან ქართულ მონეტებზე გამოსახული ფიგურული ნიშნების ინტერპრეტაცია: ჰერალდიკური ფიგურა და არა მონოგრამა“, შემეცნებითი აღმანახი ჰეროლდი, № 5, თბილისი, გვ. 74-83.



სურ. 1

ანონიმური ფოლისი *

ბასილი II-ისა და კონსტანტინე VIII-ის მიერ მოჭრილი მონეტა (სურ. 3-22)

შუბლი: ქრისტეს გამოსახულება პირდაპირ, თავზე შარავანდედით, რომელშიც ჯვრის სამი მკლავია წერტილებით გადმოცემული, მაცხოვარს ხელში უკავია სახარება. მის მარცხნივ და მარჯვნივ წარწერა - ΙΧ – ΧΣ (იესო ქრისტეს აბრევიატურა).

ზურგი: ოთხ სტრიქონიანი ლათინური წარწერა - +IHSUS XRISTUS BASILEU BASILE (იესო ქრისტე მეფეთა მეფე) (Herman, Herman, 2020, გვ. 370-375).



სურ. 3

* ათი საუკუნის განმავლობაში რომის და ბიზანტიის იმპერატორები რეგულარულად ათავსებდნენ თავიანთ თავსა და სახელებს მონეტებზე. შემდეგ, 970 წელს ღვთისმოსავმა იმპერატორმა იოანე I-მა (ციმისხი) შესამჩნევი ცვლილება შეიტანა სპილენძის მონეტებში (folles). მან გამოსცა „ფოლისები“ ქრისტეს გამოსახულებით. იმპერატორის სახელი გამოტოვებულია (შესაბამისად, „ანონიმური“). ამ ცვლილებამ წამოიწყო 120-წლიანი სერია «ანონიმური ფოლისები». ბიზანტიაში ანონიმური ფოლისი იჭრებოდა 970-1092 წლებში, აღნიშნულ ნომინალს მიეკუთვნება ბასილი II-ისა და კონსტანტინე VIII-ის სპილენძის მონეტა. იხ. Herman D., Herman R. 2020. Collection of Byzantine coins. In the UBC Museum of Anthropology, Vancouver, BC Canada, Pp. 370-375; Ivanišević V. 1989. "Interpretation and Dating of the Folles of Basil II and Constantine VIII - The Class A2", Zbornik Radova Vizantološkog Instituta, Pp. 27-28, 19-42; Únal C., Ersoy A., Gürbıyık C., Kasalı Başak K. 2018. Port cities of the Aegean World coins, seals and weights, Manisa, Pg. 204.

აღნიშნული მონეტა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონშია აღმოჩენილი. 1936 წელს დმანისის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ბასილი II-ისა და კონსტანტინე VIII-ის სპილენძის ოთხი მონეტა. 1937 წელს სოფელ უდეში (ადიგენის რაიონი) იპოვეს მათივე სპილენძის მონეტა, სოფ. ფარავნის მიდამოებში, 1940-იან წლებში სოფელ ნოსტეში (კასპის რაიონი), 1948 წელს განძის კარის (თბილისის ისტორიული ადგილი) მიდამოებში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა მათივე სპილენძის მონეტა. ასეთივე მონეტას მიაკვლიეს ოკამში (ახალქალაქის რაიონი) საკარმიდამო მიწის დამუშავების დროს. ასევე აღმოჩენილია სოფელ აბავრეთში (ახალქალაქის რაიონი) მიწის დამუშავების დროს. 1960 წელს ბაკურიანში (ბორჯომის რაიონი) (დუნდუა, დუნდუა, 2015, გვ. 32), რუსთავში (პაჭიკაშვილი, ჯაფარიძე, 2013, გვ. 65), ქუთაისში (ლანჩავა, 2015, გვ. 261, 284), აჭარის რეგიონში (ვარშალომიძე, ძნელაძე, 2021, გვ. 314-317) და ა. შ.

აღწერილი ბიზანტიური მონეტის აღმოჩენა იმითაც არის საინტერესო, რომ მას ერთგვარი პოლიტიკური დატვირთვაც აქვს. ბასილი II ბულგართმმუსვრელი* (ბიზანტიის იმპერატორი 976–1025 წლებში) და კონსტანტინე VIII საქართველოსთან მიმართებაში მტრული დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ. ბასილი II-ის გამეფებისთანავე მცირე აზიაში დაიწყო ძლიერი აჯანყება ფეოდალური არისტოკრატისა ბარდა სკლიაროსის მეთაურობით, ბიზანტიელებმა დახმარება სთხოვეს დავით III კურაპალატს. ქართველთა ლაშქარმა თორნიკე ერისთავის მეთაურობით სასტიკად დაამარცხა ბარდა სკლიაროსი. ამ დახმარების სანაცვლოდ ბიზანტიამ ვრცელი ტერიტორიები დაუთმო დავით III კურაპალატს.

X საუკუნის 80-იან წლებში ბიზანტიელებმა სასტიკი დამარცხება იგემეს ბულგარეთში, ამას მოჰყვა 987 წელს ჯერ ბარდა სკლიაროსის, შემდეგ კი ფოკას აჯანყება. ამ უკანასკნელმა თავი იმპერატორად გამოაცხადა და მთელ მცირე აზიას დაუფლა. დავით III ფოკას მიემხრო. ბასილი II-მ მოახერხა აჯანყებულთა დამარცხება, რის შემდეგ დავით ქართველთა მეფე აიძულა თავისი სამფლობელოები ანდერძით ბიზანტიისათვის გადაეცა. დავით III-ის გარდაცვალების (1001) შემდეგ ბასილი II ტაოში მოვიდა და დავითის სამფლობელოებს დაუფლა. „გამოვიდა ბასილი ბერძენთა მეფე, და მისცნეს მას ციხენი აზნაურთა ამა დავითისა, და დაიპყრა ბასილი მეფემან მამული დავით კურაპალატისა“. (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 382).

იმიერტაოსა და დავითის მემკვიდრეობისათვის ბრძოლა საქართველო-ბიზანტიას შორის არ შემწყდარა. ამ საბაბით 1021–1023 წლებში ორ ქვეყანას შორის დიდი ომიც მოხდა, რომელშიც ბიზანტიელებმა გაიმარჯვეს. ბასილი II-მ მოახერხა დავით III კურაპალატის მამულეების საბოლოოდ შემომტკიცება. ბიზანტიის იმპერატორმა მძევლად გიორგის I-ის ძე ბაგრატი წაიყვანა და კონსტანტინოპოლში დაბრუნდა (ჯავახიშვილი, 2002, გვ. 179–180).

1025 წელს ბასილი II გარდაიცვალა. ტახტზე ავიდა მისი ძმა კონსტანტინე (1025–1028). კონსტანტინე VIII ოფიციალურად გამეფდა 963 წელს სამი წლის ასაკში, თუმცა რეალური ძალაუფლება მხოლოდ 1025 წელს, 65 წლის ასაკში მოიპოვა. ტახტზე შეცვალა ძმა, ბასილი II.

* ლიტ. ბასილი II-ის შესახებ იხ. Holmes Catherine J. 1999. Basil II and the Government of Empire (976-1025) Thesis submitted for the Degree of D.Phil, in the University of Oxford.

იმპერატორმა კონსტანტინე VIII-მ დაარღვია 1022 წ-ს დადებული ზავი და საქართველოში ჯარი გამოგზავნა. მტერმა გაძარცვა და ააოხრა სამხრეთ საქართველო. ტაოს მსხვილ ფეოდალთა ნაწილი ვაჩე კარიჭისძისა და ეპისკოპოს იოანე ბანელის მეთაურობით მტრის მხარეზე გადავიდა. ნათელია, რომ ამ დროს ქართულ სახელისუფლო და საეკლესიო წრეებში არ არსებობდა ერთიანი ხედვა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის თაობაზე და ქართული ელიტის ნაწილი საქართველოს მომავალს კვლავაც ბიზანტიის ჩრდილქვეშ მოიაზრებდა. (ბუხრაშვილი, 2012, გვ. 84-103).

როგორც ამ მოკლე მიმოხილვით ვნახეთ, ბიზანტიისა და საქართველოს ურთიერთობა* საკმაოდ დაძაბული იყო და, ფაქტიურად, საომარი მდგომარეობაა. ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ ბიზანტიის ზემოხსენებული იმპერატორების მონეტები მრავლად გვხვდება საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე. მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, როგორც ჩანს, საქართველოს ბიზანტიასთან სავაჭრო კავშირი არ გაუწყვეტია. მათ შორის, კახეთ-ჰერეთს, რომელიც აღნიშნულ პერიოდში დამოუკიდებელ სამეფოს წარმოადგენდა კვირიკე III-ის (1010/1014-137) ხელისუფლებით.

აღმოსავლეთ საქართველოში განსაკუთრებული ინტენსიურობით მიმოიქცეოდა XI საუკუნის ბიზანტიური მონეტები. XII საუკუნეში მათი შემოსვლა კლებულობს, ხოლო ამ საუკუნის 40-იანი წლებიდან, დღესდღეისობით არსებული ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, თითქმის წყდება (დუნდუა, დუნდუა, 2015, გვ. 35).

როგორც ჩანს, ბიზანტიური მონეტა მთელი საქართველოს მასშტაბით იყო მიმოქცევაში, რაც ბიზანტიასთან მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაზე მიუთითებს.

მონღოლური საოკუპაციო მონეტები

მანგუ ყაენის მონეტა

სპილენძი (სურ. 4-23)

შუბლი: მორკალულ კვადრატში მოთავსებულია სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: მანგუ ყაენი, უმაღლესი, სამართლიანი. კვადრატსა და რკალს შორის ოთხ სეგმენტში არაბულადვე მოჭრის ადგილი - თბილისი.

ზურგი: ასეთივე მორკალულ კვადრატში სამსტრიქონიანი რელიგიური ფორმულა არაბულად: „არ არს ღვთაება გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, არ ჰყავს მას მოზიარე“. კვადრატსა და რკალს შორის ოთხ სეგმენტში არაბულადვე მოცემულია თარიღი, რომელიც შეიცავს არა მარტო წელს, არამედ თვესაც, ზოგჯერ კი – დღესაც. თარიღი: 1254-1261 წწ.

* ბიზანტია საქართველოს ურთიერთობის საკითხები იხ. „გეორგიკა“, „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“, ტომი მეხუთე, გიორგი კადრენე, 1963. ტექსტი ქართული თარგამინით გამოსცა და შენიშვნები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, გვ. 7-83; კოპალიანი ვ. 1969. „საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში“, თბილისი.



სურ. 4

მანგუს ყაენის სახელით მოჭრილი სპილენძის მონეტები ისეთივეა, როგორც ვერცხლის მონეტები. თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი მანგუ ყაენის სპილენძის მონეტების წონის მიხედვით (4,58 გრამი და 2,5 გრამი) როგორც ჩანს, იჭრებოდა სპილენძის მონეტების ორი ნომინალი (დუნდუა, დუნდუა, 2015, გვ. 108).

მონღოლური საოკუპაციო მონეტები

ქვეჯგუფი: „ყაანური“

სპილენძი (სურ. 5-24)

მიუხედავად იმისა, რომ მონეტა ცუდად არის შემონახული, არ იკითხება ზურგის მხარე, შესაძლოა ვარაუდის გამოთქმა, რომ იგი ე. წ. მონღოლური საოკუპაციო მონეტაა, კერძოდ, „ყაანური“. ამ მონეტის აღწერილობა სამეცნიერო ლიტერატურაში შემდეგი სახითაა მოცემული:

შუბლი: რთული გრეხილგეომეტრიული ექვსკუთხედიანი ვარსკვლავი, რომლის ცენტრში ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილია: „ყაან სამართლიანი“.

ზურგი: შემორკალულ ოთხკუთხედიანი ჩარჩოში სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „არ არს ღვთაება გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, არ ჰყავს მას მოზიარე“. ჩარჩოსა და რკალს შორის სეგმენტებში არაბულადვე – მოჭრის ადგილი (თბილისი) და თარიღი (წელი, თვე). ზარაფხანა - თბილისი. თარიღი: 1261-1280 წწ.



24

სურ. 5

ზემოთ განხილულ მანგუს ყაენის სახელით მოჭრილ მონეტას ქრონოლოგიურად მოსდევს ე.წ. „ყაანური“. ტერმინი „ყაანური“ მომდინარეობს მონეტების შუბლის ლეგენდებიდან – „ყაან სამართლიანი“. ისინი ორი „ტიპისაა“. პირველი „ტიპის“ ვერცხლის „ყაანური“ იჭრებოდა ჰიჯრ. 660, 661 და 662 წლებში (=1261-1264 წწ.).

მეორე „ტიპის“ „ყაანურები“ განსხვავდება მონეტის ზურგის დეტალებით, კერძოდ, სეგმენტებში აქ მოთავსებულია ორნამენტი, ხოლო თარიღი – რელიგიური სიმბოლოს პირველსა და მეორე სტრიქონს შორის. თარიღი მომცრო არაბული ნიშნებით არის გადმოცემული და ჰიჯრ. 663-678 წლების (=1264-1280 წწ.)

ვერცხლის „ყაანურების“ გარდა, იჭრებოდა სპილენძის „ყაანურებიც“, მაგრამ, როგორც ფაქტობრივი მასალა მოწმობს, ძალიან მცირე რაოდენობით. მათი ადრეული ეგზემპლარი ჰიჯრ. 675 წლით (=1276/77 წწ.) თარიღდება.

„ყაანური“ მონეტების ანონიმური სახით მოჭრა თბილისის ზარაფხანის მიერ განპირობებული უნდა ყოფილიყო შემდეგი გარემოებით - 1259 წელს გარდაიცვალა მანგუ ყაენი და ყარაყორუმში კვლავ ატყდა გააფთრებული ბრძოლა ტახტისთვის. მანგუ ყაენის გარდაცვალების დროისთვის მისი ძმა ჰულაგუ მახლობელ აღმოსავლეთში განლაგებული მონღოლური ჯარების სარდალი იყო. ჰულაგუ შეიქმნა სპარსეთის, მესოპოტამიის და მონღოლთა მიერ დაპყრობილი მეზობელი ტერიტორიების დამოუკიდებელი მმართველი. მან საფუძველი ჩაუყარა ილხანთა ჰულაგუიდების დინასტიას, რომელიც საუკუნის განმავლობაში მართავდა ამ მხარეებს. დიდი ყაენის ტახტისთვის ბრძოლაში კი გაიმარჯვა ყუბლაიმ. შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო, რაც გამოწვეული იყო ტახტისთვის მოქიშპეობით, ჰულაგუ ყაენმა თავის სამფლობელოში დაიწყო ანონიმური მონეტების ემისია „ყაან სამართლიანის“ ეპითეტით, რომელიც თანაბრად მიესადაგებოდა ნებისმიერ გამარჯვებულ პრეტენდენტს. თბილისის ზარაფხანა 1261 წლიდან ვიდრე 1280 წლამდე ანონიმურ მონეტებს ჭრიდა (დუნდუა, დუნდუა, 2015, გვ. 108-109).

ზემოთქმული გარემოებების გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უჯარმის შემოგარენში აღმოჩენილი მონეტა მეორე ტიპის „ყაანურია“, რომელიც 1276 წლის შემდეგ უნდა იყოს მოჭრილი.

ვერცხლის მცირე ზომის მონეტა (სურ. 6-25)

გამოსახულება წარხოცილია. ჭირს ნომინალის დადგენა, იგი ერთადერთი ვერცხლის მონეტაა განძში. მონეტის შესახებ შეიძლება ვარაუდის გამოთქმა, რომ სამონეტო განძის აღმოჩენის კონტექსტიდან გამომდინარე, იმავე პერიოდში იყო მიმოიქცევაში, რომელსაც სამონეტო განძი განეკუთვნება.



სურ. 6

სპილენძის მონეტა (სურ. 7-26)

დაუდგენელი

გამოსახულება წარხოცილია. შესაძლოა, მასზე სიქა არც არის დარტყმული.



სურ. 7

როგორც ვხედავთ, „უჯარმის განძში“ ყველაზე გვიან მოჭრილი მონეტა ე. წ. „ყანურია“. როგორც ჩანს, ჩვენ მიერ განხილული „სამონეტო განძი“ დამარხული უნდა ყოფილიყო XIII ბოლოს, მონღოლთა ბატონობის პერიოდში.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ განძის შემადგენლობაში ყველაზე ადრეული, XI საუკუნეში მოჭრილი მონეტა („ანონიმური ფოლისი“), როგორც ჩანს, ხმარებაში ყოფილა XIII საუკუნეშიც.

ისტორიული გეოგრაფიის მიხედვით უჯარმა მდებარეობდა სამი მნიშვნელოვანი პროვინციის, კახეთის, კუხეთისა და ჰერეთის ურთიერთმომიჯნავე საზღვართა გადაკვეთის კვანძზე. ასევე, ხაზგასასმელია უჯარმის, როგორც სატრანზიტო გზა-ჯვარედინის მნიშვნელობა. ამის ყველაზე კარგი მაჩვენებელი ნუმიზმატიკური მასალაა. შერეული განძები, რომლებიც ასეთი გზების სიახლოვეს გვხვდება, ხაზგასმით მიუთითებენ ამ გზების სავაჭრო-ეკონომიკურ დანიშნულებაზე. სწორედ სამონეტო განძების აღმოჩენების მიხედვით შესაძლებელი ხდება საქარავნო გზების მარშრუტის დადგენა.

გამორკვეულია, რომ ჯერ კიდევ ადრეელინისტური ხანიდან ცნობილი დიდი საერთაშორისო სავაჭრო გზის - ე. წ. „ფასის-ჰირკანიის“ სავაჭრო-საქარავნო გზის, ერთ-ერთი განშტოება ჰერეთზე გადიოდა. მას ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში „ჰერეთის შემოვლით გზას“ უწოდებენ. ეს გზა ამჟამად ასეა ლოკალიზებული: მინგეჩაური-ხორანთა-ხორნაბუჯი-ლაგოდეხი-ნეკრესი. ნეკრესის სიახლოვეს გზა მდ. ალაზანს გადაკვეთდა, თელავის გავლით იგი გომბორის უღელტეხილზე გადადიოდა, გაივლიდა ქალაქ უჯარმას და მიაღწევდა თბილის-მცხეთას (ლაღიაშვილი, ჯავახიშვილი, პატაშური, 2011, გვ. 19).

სამონეტო განძების აღმოჩენის გეოგრაფიაზე დაკვირვების შედეგად აკად. დ. მუსხელიშვილს გამოთქმული აქვს მოსაზრება ამიერკავკასიაში გამავალი სავაჭრო-საქარავნო გზის იმ მონაკვეთზე, რომელიც „ჰერეთის შემოვლითი გზის“ სახელით არის ცნობილი. უეჭველია ამ გზას უჯარმაზე უნდა გაეკვლო. იგი უნდა ყოფილიყო მძლავრი ფაქტორი უჯარმის კახეთის პოლიტიკურ ცენტრად გადაქცევისა (მუსხელიშვილი, 1966, გვ. 55-56).

ზემოთ აღნიშნული სავაჭრო გზის იმ მონაკვეთს, რომელიც უჯარმაზე გადიოდა თავისი სტრატეგიული მნიშვნელობა განვითარებულ შუა საუკუნეებშიც უნდა ჰქონოდა. „XV საუკუნემდე უჯარმა იყო ვრცელი, მაგარი, სავაჭრო და დიდძალი ხალხით დასახლებული ქალაქი“ (ჯანაშვილი, 1881, გვ. 2). მკვლევარ მოსე ჯანაშვილის ამ მოკლე ციტატიდანაც ჩანს, როგორ წარმოგვიდგება უჯარმა შუა საუკუნეებში. მის სავაჭრო ურთიერთობებზე კი ჩვენ მიერ განხილული „სამონეტო განძი“ გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას. უჯარმა ჩართული იყო როგორც შიდა სავაჭრო საქმეებში, ისე საერთაშორისო ურთიერთობებში. იგი სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალის ერთ-ერთი შუალედური საკვანძო პუნქტი უნდა ყოფილიყო.

გამოყენებული ლიტერატურა

- არჯევანიძე, ი. (1958). თბილისიდან ალაზნის ველისაკენ. თბილისი. გვ.113-117.
- ბაგრატიონი, ვ. (1941). აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველს გეოგრაფია) თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი.
- ბერიძე, ვ. (1974). ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბილისი.
- ბერიკაშვილი, დ., პატარიძე, მ. (2019). სამშვილდის განძი. თბილისი.
- ბუნრაშვილი, პ. (2012). ერთი ქართული იკონოგრაფიული მოტივის თაობაზე. *ჟურ. ამირანი*. (XXIV), № 24, გვ. 84-103.
- გაბაშვილი, მ. (1981). საქართველოს ქალაქები XI - XII საუკუნეებში. თბილისი.
- გაბაშვილი, გ. (2020). სამეცნიერო-კვლევითი ჟურნალი არქეოლოგია № 3. რუსუდან დედოფლის სპილენძის მონეტების განძი დაბა წყნეთიდან, რას ვკითხულობთ რუსუდან დედოფლის მონეტებზე. თბილისი.
- გამყრელიძე, გ., მინდორაშვილი, დ., ბრაგვაძე, ზ., კვაჭაძე, მ., და სხვ. (2013). ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი. თბილისი.
- დუნდუა, თ., დუნდუა, გ., ჯავახიშვილი, ნ., ერისთავი, ა. (2003). ფული საქართველოში. მეორე გადამუშავებული გამოცემა. თბილისი.
- დუნდუა, თ., დუნდუა, გ. (2015). ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III ნაწილი, „ოქროს ხანა“ და დაქვეითება. სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოქცევა XI-XVI საუკუნეების საქართველოში. თბილისი.
- ვადბოლსკი, მ. (2010). მიხეილ ვადბოლსკი და ქართული ჰერალდიკა. საარქივო მასალები მოიძია, დაამუშავა, და წიგნი დასაბუქდად მოამზადა ი. ბიჭიკაშვილმა, რედ. აფრიდონიძე, მ. თბილისი.
- ვარშალომიძე, ი., ძნელაზე, ნ. (2021). ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში დაცული მონეტების კატალოგი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი.
- ზაქარაია, პ. (2001). ქართული ციხე-ქალაქები, ციხესიმაგრეები, ციხე-დარბაზები, ციხე-გალავნები, კოშკები. თბილისი.
- ზაქარაია, პ. (1965). სამშობლოს გუშაგები. თბილისი.
- კაპანაძე, დ. (1969). ქართული ნუმიზმატიკა. თბილისი.
- კედრენე, გ. (1963). გეორგია, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტომი მეხუთე. ტექსტი ქართული თარგამინით გამოსცა და შენიშვნები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი. გვ.7-83.
- კოპალიანი, ვ. (1969). საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-

1070 წლებში. თბილისი.

ლაღიაშვილი, გ., ჯავახიშვილი, დ., პატაშური, გ. (2012). ხუროთმოძღვრების უცნობი ძეგლები კისისხევის ხეობიდან. საქართველოს სიძველენი № 15. თბილისი. გვ. 14-32.

ლანჩავა, ო. (2015). ქუთაისის არქეოლოგია. ქუთაისი.

ლომთათიძე, გ. (1961). უჯარმა. თბილისი.

ლომთათიძე, გ. (2013). უჯარმის არქეოლოგიური თხრის შედეგები. სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1952 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. თბილისი.

მარცელინე, ა. (1961). გეორგია, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტომი პირველი. ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი.

მუსხელიშვილი, დ. (1966). ციხე-ქალაქი უჯარმა. თბილისი.

მუსხელიშვილი, დ. (1966). ციხე-ქალაქი უჯარმა. ივერია-ალვანეთის ურთიერთობის ისტორიიდან. თბილისი.

პაჭიკაშვილი, ნ., ჯაფარიძე, ი. (2013). რუსთავის ისტორიული მუზეუმის გზამკვლევი. (რედ. ი. ქარაია). თბილისი.

სანაძე, მ. (2016). ქართველთა ცხოვრება. წიგნი III. ქართლის მეფეებისა და პატრიკიოსების ქრონოლოგია (ფარნავაზიდან აშოტ კურაპალატამდე). თბილისი.

საქართველოს არქეოლოგია. (1959). (რედ. აფაქიძე ა.). თბილისი.

ქართლის ცხოვრება. (1955). ტომი I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.

ქართლის ცხოვრება. (1973). ტომი IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.

ციციშვილი, ი. (1966). უჯარმა. ჟურ. ძეგლის მეგობარი. № 6. თბილისი. გვ. 26-29.

ჯავახიშვილი, ი. (2002). ენციკლოპედიური ლექსიკონი. (ბასილი II), (მთ. რედ. მეტრეველი რ.) თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჯანაშვილი, მ. (1881). მოგზაურობა კახეთში. დროება №113. 4 ივნისი. თბილისი.

ჯოჯუა, თ. (2002). საქართველოს მეფის გიორგი III-ის აღსაყდრების თარიღი 1160 წელს გადაწერილი ხელნაწერის (Vნ.4-ის) ანდერძის მიხედვით. კრებული ოჩხარი (ჯ. რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი). თბილისი. გვ. 508-521.

Herman, D. and R. (2020). *Collection of Byzantine coins*. In the UBC Museum of Anthropology. Vancouver. BC Canada. Pp. 370-375.

Holmes Catherine, J. (1999). *Basil II and the Government of Empire (976-1025)*. Thesis submitted for the Degree of D.Phil, in the University of Oxford.

Ivanišević, V. (1989). *Interpretation and Dating of the Folles of Basil II and Constantine VIII - The Class A2*, Zbornik Radova Vizantološkog Instituta.

Ünal, C., Ersoy, A., Gürbıyık, C., Kasalı Başak, K. (2018). *Port cities of the Aegean World coins, seals and weights*. Manisa.

Джалагания, И. Л. (1958). *Из истории монетного дела в Грузии XIII века*. Тбилиси.

Капанадзе, Д. Г. (1950). *Грузинская нумизматика*. Тбилиси.

Капанадзе, Д. (1955). *Грузинская нумизматика*. Москва.

Капанадзе, Д. (1957). *О некоторых определениях М. Баратаева и В. Ланглюа*. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე ტ. XVIII, 4. თბილისი.

Пахомов, Е. А. (1969). *О технике чеканки медных денег в Закавказье в конце XII - начале XIII вв.* Советская Археология, № 3. Москва.

Пахомов, Е. А. (1970). *Монеты Грузии*. Тбилиси.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. 1. უჯარმის ციხე. ფოტომასალა გამოყენებულია ვებგვერდიდან: <https://georgiantravelguide.com/en/ujarmistsikhe#photo-gallery-3>; <https://georgiantravelguide.com/en/ujarmis-tsikhe#photo-gallery-4>.

ტაბ. II. გიორგი III-ის მონეტები, არასწორი ჭედვა. სპილენძი, I ტიპი (ტაბ. II- 1,2,3,4).

ტაბ. III. გიორგი III-ის მონეტები, არასწორი ჭედვა. სპილენძი, II ტიპი (ტაბ. III- 5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19, 20).

სურ. 1. რუსუდან დედოფლის „წესიერად“ მოჭრილი სპილენძის მონეტა.

სურ. 2. რუსუდან დედოფლის სპილენძის მონეტაზე გამოსახული ორნამენტული ჩარჩოს გრაფიკული ჩანახატი. დ. კაპანაძის, თ. ბარნაველის და მ. ვაღბოლსკის მიხედვით (კაპანაძე, 1969, გვ. 81; ვაღბოლსკი, 2010, გვ. 123).

სურ. 3. ანონიმური ფოლისი, ბასილი II-ისა და კონსტანტინე VIII-ს მიერ მოჭრილი მონეტა.

სურ. 4. მონღოლური საოკუპაციო მონეტები, მანგუ ყაენის მონეტა, სპილენძი.

სურ. 5. მონღოლური საოკუპაციო მონეტები, ქვეჯგუფი: „ყაანური“, სპილენძი.

სურ. 6. ვერცხლის მონეტა, განუსაზღვრელი.

სურ. 7. სპილენძის მონეტა, დაუდგენელი.

Accidentally discovered coins from the area of Ujarma

*Mtskeradze Giorgi,
The University of Georgia
giorgi.mtskeradze@gmail.com*

Resume

On September 15, 2022, Eduard and Merab Kurtanidze, residents of the city of Rustavi, brought a coin hoard, which they accidentally discovered near the historical fortress-city of Ujarma, to the Telavi Historical Museum. We would like to thank these individuals for their civic responsibility and protection of cultural heritage. I would like to express my gratitude and respect to the initiator of the study of the said hoard of coins. Telavi Historical Museum Fund Chief Treasurer Mrs. Marina Okhanashvili and the director of the same museum, Mr. To Guram Urchukhishvili. The historical fortress-city of Ujarma is located in eastern Georgia, in Kakheti, on the right bank of the Iori River. Ujarma was involved in both domestic trade affairs and international relations. It was supposed to be one of the intermediate key points of the trade-caravan highway. Numismatic material can provide important information for researching the history of Ujarma. The hoard of coins we are discussing is one small step forward in understanding some of the economic and political history of this historical fortress-city and the region in general. The coin hoard contains 26 coins, including one small silver coin and the rest copper. Most of the coins are Georgian. hoard is presented in the following form: King George III's coins (20); Coin of Queen Rusudan (1 pc.); Foreign coins: Byzantine coin, Anonymous Follis (A coin minted by Basil II and Constantine VIII, 1 pc.); Mongolian occupation coins: Möngke Khan coin (1 pc.); so called "Kaanuri" (1 pc.). 2 coins are indeterminate, they cannot be identified. Thus, the coin hoard belongs to XI-XIII centuries. The latest minted coin in the Ujarma hoard is the so-called "Qaanuri". It seems that the coin hoard discussed by us was buried at the end of XIII during the period of Mongol domination. It should also be taken into account that the earliest coin in the hoard ("anonymous Follis") minted in the XI century seems to have been in use in the XIII century as well. The importance of Ujarma as a transit junction should be emphasized. The best indicator of this is numismatic material.

Description of images

Tab. 1. Ujarmi Castle. Photo material is used from the website: <https://georgiantravelguide.com/en/ujarmistsikhe#photo-gallery-3>; <https://georgiantravelguide.com/en/ujarmis-tsikhe#photo-gallery-4>.

Tab. II. Coins of George III, wrong mintage. Copper I type (tab. II- 1,2,3,4).

Tab. III. Coins of George III, wrong mintage. Copper, type II (tab. III- 5,6,7,8,9,10,11,12, 13,14,15,16,17,18,19, 20).

Fig. 1. Coin of queen Rusudan, copper.

Fig. 2. Graphic sketch of the ornamental frame on the copper coin of the Queen from Rusu. d. Kapanadze, T. Barnaveli and M. According to Vadbolsky (Kapanadze, 1969, p. 81; Vadbolsky, 2010, p. 123).

Fig. 3. Anonymous Follis, a coin minted by Basil II and Constantine VIII.

Fig. 4. Mongol occupation coins, Mangu Qaan coin, copper.

Fig. 5. Mongol occupation coins, subgroup: "Qaanuri", copper.

Fig. 6. Silver coin, undefined.

Fig. 7. Copper coin, unidentified.

ლანდშაფტის არქეოლოგიის მნიშვნელობა ფარავნის არქეოლოგიური ძეგლების კვლევის მაგალითზე

პატარიძე ნინო,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
pataridze.ni@gmail.com

თანამედროვე არქეოლოგია კვლევა-ძიების საკმაოდ დახვეწილ მეთოდებს გვთავაზობს. სხვადასხვა თემების დეტალურად შესწავლის აუცილებლობამ, ბევრი ახალი მიმდინარეობა წარმოშვა ამ მეცნიერებაში. ასეთია ლანდშაფტის არქეოლოგიაც, რომლის კვლევის ძირითადი საგანი კაცობრიობის გარემოსთან ადაპტაციისთვის თვალის მიდევნებაა-მთავარი ნაშრომი, რომელიც ხშირად განიხილება როგორც საეტაპო ნაშრომი ლანდშაფტის არქეოლოგიაში, არის უილიამ თომას უმცროსისა და კარლ ო. ზაუერის რედაქციით გამოსული პუბლიკაცია- „ადამიანის როლი დედამიწის სახის შეცვლაში“ (1956 წ.)*. ლანდშაფტის არქეოლოგიის მკვლევრები სწავლობენ ადამიანისა და გარემოს ურთიერთქმედების გრძელვადიან ისტორიას.

მიუხედავად იმისა, რომ ლანდშაფტის არქეოლოგია თანამედროვე მიმდინარეობად ითვლება, გეოგრაფიული მეცნიერების ჩართულობას არქეოლოგიურ კვლევებში დიდი ხნის ისტორია აქვს. როგორც ცნობილია, ადამიანის განვითარება და კულტურა დიდწილად დამოკიდებულია იმ ბუნებრივ გარემოზე სადაც ის ვითარდება. კაცობრიობის განვითარების ისტორია გვაჩვენებს, რომ გეოგრაფიული გარემო არის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი ადამიანთა ფიზიკური თუ კულტურული მახასიათებლების ჩამოყალიბებისა. უნდა ითქვას ისიც, რომ გეოარქეოლოგია, დედამიწისა და ადამიანის შემსწავლელ მეცნიერებებში, ერთ-ერთ სწრაფად განვითარებად მიმართულებას წარმოადგენს. ლანდშაფტის არქეოლოგია არის არქეოლოგიის არის ქვედარგი, რომელიც სწავლობს ადამიანისა და გარემოს ურთიერთობას დროში (ნ. პ.).

მე-20 საუკუნის ბოლო ხანებში, ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად (დისტანციური ზონდირების ტექნიკა, GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები), აერო ფოტოგრაფია), შესაძლებელი გახდა ვრცელ ტერიტორიებზე, უძველესი საზოგადოების მიერ მიგრაციული პროცესებისა და მათ მიერ დატოვებული კვალისათვის თვალის მიდევნება.

ამან გამოიწვია არქეოლოგიაში ახალი ქვედარგის წარმოშობის აუცილებლობა, რომელიც შეძლებდა კონკრეტულ ტერიტორიებზე, დიდ სივრცეში, „წარსულის პეიზაჟის“, არქეოლოგიური ძეგლების განლაგების ანალიტიკას, ასევე მოგვცემდა საშუალებას მოგვეხდინა ძეგლების ქრონოლოგიური თუ თემატური დაჯგუფება. სწორედ ამის მცდელობა იყო ფარავნის მიდამოებში ჩვენ მიერ 2018-2020 წლებში განხორციელებული გეოარქეოლოგიური პროექტი.


* „The Role of Man in Changing the Face of the Earth“, 1956, William Thomas Jr. and Carl O. Sauer.

სამხრეთ საქართველო, კერძოდ კი ჯავახეთის ზეგანი, საკმაოდ მდიდარია არქეო-ლოგიური ძეგლებით. აქ ქრონოლოგიურად, თითქმის უწყვეტად, გვხვდება ადამიანთა აქტიური მოღვაწეობის კვალი. 2003-2007 წლებში მოხდა ფარავნის მიმდებარე ტერიტორიის ფეხით დაზვერვა (კ. კახიანი, ნ. პატარიძე), რის შედეგადაც გამოვავლინეთ რამოდენიმე საინტერესო ძეგლი, ჯავახეთის ზეგანთან დაკავშირებული არქეოლოგიური გათხრების თუ დაზვერვების ანგარიშებიც (ბ. კუფტინი, ზ. ქიქოძე, ე. ქორიძე, ე. გოგაძე, გ. ნარიმანიშვილი) ამაზე მეტყველებდა. ვინაიდან ფარავნის გარშემო არსებული არქეოლოგიური ძეგლები საკმაოდ დიდ არეალზე ვრცელდებოდა, საჭიროდ მივიჩნიეთ, ლანდშაფტურ არქეოლოგიაში უკვე კარგად დამკვიდრებული მეთოდის, დისტანციური ზონდირების (RS) გამოყენება.

მეთოდოლოგია

დისტანციური ზონდირება გახლავთ მეთოდი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია, საკვლევ ობიექტზე, ინფორმაციის დისტანციურად მიღება. ცნობილია დისტანციური ზონდირების სამი ყველაზე გავრცელებული მეთოდი: შორ-დისტანციური - სატელიტიდან; საშუალო დისტანციური - თვითმფრინავიდან და ახლო დისტანციური - დრონიდან. RS ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტია, რაც საშუალებას გვაძლევს, დავაკვირდეთ და ანალიზი გავუკეთოთ დედამიწაზე არსებულ ობიექტებსა თუ მასზე მიმდინარე პროცესებს (ანგარიში 2019).


თავდაპირველად (2018-2019 წ.წ.) ჩვენი სამუშაო მოიცავდა 2-საფეხურიან აერო-დაზვერვებს ფარავნის ტბის გარშემო, (აეროგადაღებაზე მუშაობდნენ გეოგრაფები: გიორგი კირკიტაძე, აკაკი ნადარაია, მიხეილ ლობჯანიძე). პირველ ეტაპზე მოხდა სატელიტური და აერო გამოსახულებების დეშიფრირება, (Google Earth; Bing Maps; World Imagery Wayback; ESRI BaseMap), მოინიშნა არქეოლოგიური თვალსაზრისით საინტერესო უბნები, ასევე მოხდა ტოპოგრაფიული რუკების(1:25000; 1:50000) გაშიფვრა, მოცემულ ტერიტორიებზე არქეოლოგიური დაზვერვების შედეგების კომპლექსური დამუშავება და ანალიტიკა GIS სისტემაში, ხოლო მეორე ეტაპისთვის, არქეოლოგიურად საინტერესო უბნებისა და ობიექტების ახლოდისტანციური გადაღება(სურ.1,2,3,4). შედეგად მივიღეთ მაღალი გარჩევადობის (სანტიმეტრის რიგის) ორთომოზაიკები და რელიეფის ციფრული მოდელები (DEM).



სურ. 3

სურ. 4


ArcGIS(10.4.1.)პროგრამის მეშვეობით შევქმენით გეომონაცემთა ბაზა და წერტილების ფენის სახით ჩვენთვის საინტერესო ადგილები შევიტანეთ (სურ. 5).




სურ. 5 ძეგლების განაწილება.

სავარაუდო ყორღანებისა და ნამოსახლარების წერტილოვანი ფენის შექმნისას თითოეულ დაფიქსირებულ წერტილზე განვსაზღვრეთ ძეგლად არსებობის ალბათობა 0-დან 3-ის ჩათვლით (იდეა-გ.კირკიტაძე). ამის შემდეგ ბაზაში შევიტანეთ ძეგლები შესაბამისი აღწერილობით. ეს აღწერილობა მოიცავს ძეგლის გეოგრაფიულ კოორდინატებს, ძეგლის მდგომარეობას (დაზიანებული, დაუზიანებელი და ა.შ) და ფოტომასალას.

განსაკუთრებით გვინდა აღვინიშნოთ 2018 წელს სატელიტური დაზვერების შედეგად აღმოჩენილი გამორჩეულად საინტერესო ყორღანების ჯგუფი (სურ. 6,7), რომლის შესწავლა, ვფიქრობთ, უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას მოგვაწვდის ბრინჯაოს ხანის უძველესი ისტორიის რეკონსტრუქციის თვალსაზრისით.



სურ. 6.



სურ. 7.

ასევე აღნიშვნის ღირსია დაზვერვების შედეგად გამოვლენილი სარიტუალო გზიანი ყორღანი (სურ. 8). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი აღმოჩენა პირველი შემთხვევაა ჯავახეთის ზეგანზე (სურ. 8), რომლის შესწავლა ფარავნის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2019-2020 წლებში მოხდა. ამავე წლებში განხორციელდა, შაორის მეგალითის ძირში მდებარე საინტერესო ნამოსახლარსა და სოფ. ხულგუმოში შუა საუკუნეების ნასახლარზე (შემთხვევითი აღმოჩენა) არქეოლოგიური შურფების დაღება, (სურ. 9,10), (იხ. ანგარიშები)*.

*ფარავნის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, 2019 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, 2020.



სურ. 8. ყორღანი სარიტუალო გზით.



სურ. 9. შუა საუკუნეების ნასახლარი.




სურ. 10. შაორის ნასახლარი.

როგორც ვიცით, ლანდშაფტის არქეოლოგია გთავაზობს არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის არაინვაზიურ მეთოდებს, რაც გათხრამდე ძეგლის შესახებ მაქსიმალური ინფორმაციის მიღებას გულისხმობს. ერთ-ერთი ასეთი მეთოდი გახლავთ გეოფიზიკური კვლევა. სწორედ გეორადიოლოკაციური კვლევა გამოვიყენეთ დაზვერვების შედეგად გამოვლენილ ყორღანებსა და ნამოსახლარებზე (გეოფიზიკოსი გურამ შარაშენიძე). 2021-2022 წლებში (სურ. 11,12) სამარხზე ჩატარებული სამუშაოების შედეგად, შევძელით დაგვედგინა ყორღანის პარამეტრები, კამერის დიამეტრი და სიღრმე, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მისი შემდგომი შესწავლის თვალსაზრისით. გეოფიზიკური კვლევის მეთოდის გამოყენებამ ასევე მოგვცა საშუალება გაგვეგო ყორღანის პენეტრაციის არსებობის ან არარსებობის შესახებ. რაც ნიშნავს, რომ სამარხის შესწავლამდე უკვე ვიცით, ყორღანი გაძარცვულია თუ ხელუხლებელი. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით უკვე მარტივად იქნება შესაძლებელი სამომავლო

საველე გათხრების დაგეგმვა. რაც შეეხება ნამოსახლარებს, გეორადიოლოკაციურმა კვლევამ მოგვაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა სიღრმეზე ჩადიდია ნაგებობის ესა თუ ის კედელი და რა სიღრმიდან იყო შესაძლებელი დედაქანის არსებობა ძეგლზე (იხ. ანგ. 2022 წ.)*.



სურ. 11.



სურ. 12.


შედეგები

2018-2022 წწ. ჩატარებული სამუშაოების შედეგად გამოვლენილი იქნა 200- მდე არქეოლოგიური თავლსაზრისით საინტერესო ობიექტი. დისტანციურად დაიზვერა 30 000 ჰ-ზე მეტი ფართობი. GIS პროგრამაში შეიქმნა მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს მატალაი გარჩევადობის ორთოფოტოებს, რელიეფის ციფრულ მოდელებს, ძეგლების ზუსტ მდებარეობებს, იდენტიფიცირებული ძეგლების აღწერილობებს. მონაცემების საფუძველზე შეიქმნა რუკა, რომელზეც პოლიგონებად არის დატანილი ფარავნის გარშემო არსებული ნამოსახლარები და სამარხები (სურ. 12). ეს რუკები და ვიზუალური მასალა გვეხმარება არქეოლოგიური ძეგლების სივრცით ანალიტიკაში. აღსანიშნავია, რომ ფარავნის ტბის გარშემო ნამოსახლარები ზღვის დონიდან 2100მ-დან-2450მ-მდე, ხოლო სამარხები ზღვის დონიდან დაახლოვებით 2070მ-დან- 2320მ-მდეა, რომლებიც გვეხმარება მივიღოთ პირველადი ინფორმაცია არქეოლოგიური ობიექტის შესახებ მის გათხრამდე. და რაც ძალიან მნიშვნელოვანია მოხდა ჩვენ მიერ ამ პერიოდში შეგროვებულ მონაცემთა ინტეგრირება.

დასკვნა

ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოები ხელს შეუწყობს როგორც მსოფლიო არქეოლოგიაში უკვე კარგად დამკვიდრებული მიმართულების, ლანდშაფტის არქეოლოგიის განვითარებას, ისე, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასა და ახალი მეთოდების დამკვიდრებას ჩვენს სამეცნიერო სივრცეში, რაც სამომავლოდ უფრო პრაქტიკულს, იაფსა და ინფორმაციულს გახდის არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას. ეს, თავის მხრივ, დაგვეხმარება მულტიდისციპლინური მიდგომებით, უფრო შედეგიანად ვიკვლიოთ ადამიანის გარემოსთან ადაპტაციის სოციალურ-კულტურული ასპექტები.

*ფარავნის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, 2022 წელს ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვების ანგარიში, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, 2022.



სურ. 13

გამოყენებული ლიტერატურა

ბერძენიშვილი, დ. (1975). *ჯავახეთის ისტორიული-გეოგრაფიის საკითხები*. ტ. V.

ბერძენიშვილი, დ. (1985). *ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან*. ტ. I.

გაბუნია, მ., ნიორაძე, მ., ნებიერიძე, ლ., ნიორაძე, გ., ჯაყელი, ნ., ალაპიშვილი, თ. (2015). *ძველი და ახალი ქვის ხანის ძეგლები საქართველოს ტერიტორიაზე*. თბილისი.

გოგაძე, ე. (1972). *თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი*. მეცნიერება.

გოგაძე, ე. (1979). *ფარავნის ყორღანის გათხრები*. სსმაე, VII.

ნარიშანიშვილი, გ. (2000). *ძვ.წ. II ათასწლეულის სარიტუალო გზები თრიალეთში*. ძიებანი. თბილისი.

ფარავნის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში. (2020). 2019 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული. საქართველოს კულ-

ტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.

ქიქოძე, ზ., ქორიძე, ზ. (1978). *ფარავნის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1977 წ. ჩატარებული სამუშაოების მოკლე ანგარიში*, სსმაე, VI.

ქიქოძე, ზ., კოლი, ფ., მინდიაშვილი, გ., ორჯონიკიძე, ა. (1998). *ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალა სამხრეთ საქართველოდან*. ძიებანი N2. თბილისი.

Kakhiani, k., Kvavadze, E., Martkoplshvili, I., Pataridze, N. (2018). Archaeological and paly-nological invest gat of the Paravani kurgan, Georgia. *Context and Connection, Studies es on the Archaeology of the near east in Honour Antonio Sagona*. Leuven-Paris-briston: Peeters.

Kvavadze, E., Kakhiani, K. (2010). Palynology of the Paravani burial mound (Early Bronze Age, Georgia).

Longley, A., Goodchild, M., Maguire, D. J., & Rhind, D. W. (2011). *Geographic Information Systems and Science (3rd ed.)*. USA: Wiley.

Messenger, E., Belmecheri, S., Grafenstein, A., Nomade, S., Pierre, V., Puaud, V., Courtin-No-made, A., Guillou, H., Mgeladze, A., Dumoulin, J., Mazuy, A., & Lordkipanidze, D. (2013). Late Quaternary record of the vegetation and catchment-related changes from Lake Paravani (Javakheti, South Caucasus).

Thomas, W., Jr., & Sauer, C. O. (1956). The role of man in changing the face of the Earth.

The importance of landscape archaeology on the example of archaeological monuments of Paravani research

*Pataridze Nino,
Ilia state University
giorgi.mtskeradze@gmail.com*

Summary

As a result of the works carried out in 2018-2022, up to 200 archaeologically interesting objects were identified. An area of more than 30,000 ha was surveyed remotely. A database was created in the GIS program, which includes high resolution orthophotos, digital terrain models, exact locations of monuments, descriptions of identified monuments. Based on the data collected during this period, a map was created on which the settlements and tombs around the lake Paravani are marked as polygons. These maps and visual material help in spatial analysis of archaeological sites. It should be noted that the settlements around the Lake Paravani are at an altitude of 2100 to 2450 meters above sea level, and the tombs are approximately 2070 to 2320 meters above sea level. Through non-invasive methods, we got primary information about the archeological object.

Our research will be an attempt and a good example of the necessity of establishing interdisciplinary approaches in archaeology. The expected results of the research presented by us will be highlighted for different field specialists: archeologists, climate researchers, geographers, ecologists, cartographers, historians and others. The continuation of the research on the archaeological view of the territory adjacent to Paravani will give us significant information not only to restore the historical-geographical picture of this side but also to the Paleo Environmental Survey. The multidisciplinary research of archeological facilities here provides to make more interpretation or correct conclusions, we should also research the socio-cultural aspects of human adaptation to the environment more effectively.

ირმის რქა როგორც სამიწათმოქმედო იარაღი (არუხლო I-ის მაგალითზე)

ჟვანია დიმიტრი,
საქართველოს ეროვნული მუზეუმი
d.zhvania@gmail.com

სამხრეთ კავკასიის რეგიონი მდებარეობს შავი და კასპიის ზღვებს შორის და მოიცავს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებს. ამიერკავკასიის ტერიტორია ჩრდილოეთიდან კავკასიონის მთავარი ქედითაა შემოსაზღვრუ

ლი. ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით სამხრეთ კავკასია წინა აზიის ნაწილს წარმოადგენს (ბერძენიშვილი, 1964, გვ. 9-16; მარუაშვილი, 1969, გვ. 267; ბერძენიშვილი, 1971, გვ. 78).

მრავალწლიანი სამეცნიერო-ინტერდისციპლინური კვლევებით დგინდება, რომ სამხრეთ კავკასია და, განსაკუთრებით საქართველოს ტერიტორია, ადამიანთა უძველესი განსახლების კერაა. დმანისის ქვის ხანის ძეგლზე არქეოლოგიურ არტეფაქტებთან ერთად აღმოჩენილია (გაბუნია, 2005, გვ. 14). დმანისის მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენებმა შეცვალა სამეცნიერო დღის წესრიგი და გვანახა ახალი ძეგლების ძიებისა და შესწავლის საჭიროება (Lumley, 2006, გვ. 1-110; Lordkipanidze, 2019, გვ. 19-23).

სწორედ ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებამ მოიზიდა პირველი მეურნე-მიწათმოქმედები ამ ტერიტორიაზე დამჯდარი ცხოვრების დასაწყებად. ეს უნდა ყოფილიყო წინაპირობა მათი მეურნეობის გამართვისა და სრულყოფილი ცხოვრების წარსამართად (Paltenberg, 2001, გვ. 80-90; Akkermans, 1993, გვ. 5-6).

შეიძლება დავაკვირდეთ და თვალი მივადევნოთ ნეოლითის წარმოშობისა და ტერიტორიული გავრცელების მთელ პროცესს (Smolla, 1960, გვ. 10-30; Braidwood, 1960, გვ. 695). ძვ.წ. VII ათასწლეულიდან ნაყოფიერების ნახევარმთვარის ძირითადი რეგიონებიდან სხვადასხვა მიმართულებით იწყება მიგრაცია (Muller-Beck, 1998, გვ. 112-130). ის გლობალური ნეოლითური პროცესის გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს (Wright, 2003, გვ. 270). იზრდება გეოგრაფიული ზონა, სადაც მესაქონლეობას და მიწათმოქმედებას მისდევენ (Gronenborn, 2014, გვ. 20-35), ამდენად ნეოლითური რევოლუცია და მასთან დაკავშირებული პროცესები შეუქცევადი ხდება, რაც ცხოვრებისეული აუცილებლობითაა ნაკარნახევი (Luning, 2003, გვ. 59-60).

ამ პროცესების გაგრძელება განლავთ შულავერ-შომუთეფეს კულტურის წარმოშობა სამხრეთ კავკასიაში. ამ კულტურის კვლევა სამხრეთ კავკასიაში მეოცე საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო.

არუხლო I-ზე არქეოლოგიური სამუშაოები 2005 წელს განახლდა გერმანულ-ქართული ჯგუფის მიერ. გერმანული მხრიდან ექსპედიციას პროფ. დოქტ. ს. ჰანზენი,



სურ. 1.

ხოლო ქართული მხრიდან დოქტ. გ. მირცხულავა ხელმძღვანელობდნენ [ჰანზენი, 2013, გვ. 14; Hansen, 2017, გვ. 195-200]. 2005 წლიდან 2016-წ-მდე(მის დასრულებამდე) განხლდით ამ ექსპედიციის წევრი, საველე სამუშაოებთან ერთად ვმუშაობდი ძვლისა და ირმის რქის არტეფაქტებზე (ჩიქოვანი, 2015, გვ. 11).

2005-2016 წლებში აღმოჩენილი არტეფაქტები, კერძოდ, ირმის რქის იარაღები, შესაძლებელი გახდა დაგვეყოჩაღებინა, სტილსტური ვარიაციების, მორფოლოგიური, ანატომიური და ტექნიკური კრიტერიუმების მიხედვით. შესაბამისად აღნიშნული არტეფაქტების დეტალურმა კვლევამ მოგვცა საშუალება გამოგვეყო ოთხი ძირითადი ტიპი: თოხები, ცულები, წერაქვისებური იარაღები, ჩაქუჩები და უროები.

აქვე განვიხილავთ, ირმის რქის სარიტუალო დანიშნულების იარაღებს: ფალოსებსა და გრავირებულ იარაღებს, რომელთა ტიპები მოგვეპოვება, როგორც ირმის რქის თოხებში, ცულებში, წერაქვისებურ იარაღებში, ასევე გვაქვს მბზინავად გაპრიალებული პატარა ზომის უროები.

ირმის რქის თოხები

თოხები (სურ. 1) დამზადებულია ირმის რქის გვირგვინიან ფუძეზე და მთავარ ღერძზე, სატარე ნახვრეტით და, შედარებით იშვიათად, სატარე ნახვრეტის გარეშე. ხშირ შემთხვევაში დამზადებულია ირმის რქის გვირგვინიან ფუძეზე ღია, გამჭოლი სატარე ნახვრეტით. ტარი სატარეში უნდა ყოფილიყო გამართული. სამუშაო პირი ათლილი, გახეხილ-გაპრიალებულია. ხშირად გვხვდება ისეთი ვარიაცია, როცა გვირგვინიანი ფუძე შემოკოპიტებულია და მომრგვალებული ფორმით გვხვდება.

ირმის რქის თოხების, როგორც ყველა ირმის რქის იარაღის ზომები, სიგრძე და სიგანეპირობითია, რადგანაც პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ჩვენ არ ვიცით ამ იარაღების ზომები ექსპლუატაციაში შესვლამდე. ჩვენ შეგვიძლია მათი სავარაუდო სიგრძე განვსაზღვროთ ქორბუდის ზომების გათვალისწინებით. წარმოდგენილი ზომები, პირობითია და ის წარმოადგენს ჩვენ მიერ აღმოჩენილი არტეფაქტების სიგრძე-სიგანეს.

ირმის რქის ცულები

ირმის რქის ცულები (სურ. 2). ირმის რქის გვირგვინიან ფუძეზეა დამზადებული ცულები გამჭოლი სატარე ნახვრეტით. ასევე ირმის რქის ცულების ნაწილი დამზადებულია ირმის რქის მთავარი ღერძისგანი (ჰანზენი, 2013, გვ. 26-29). ამ შემთხვევაში სამუშაო პირი სოლისებურად წაკვეთილია ტარის პერპენდიკულარულად. პირის ასეთი ფორმის გამო, მას ეწოდა ირმის რქის ცული (Winiarska-Kabacihska, 2016, გვ. 128-130). ირმის რქის ცული - ცულის კლასიკური ფუნქციის გაგებით არ უნდა ვიგულისხმოთ. ეს უფრო განსხვავებულ ტიპად უნდა წარმოვაჩინოთ. მათი მეშვეობით აპობენ ბუნებრივ ან უკვე გაბზარულ ხის მორებს. ასევე შესაძლებელია შედარებით რბილქერქიანი მცენარეების მოჭრა-დამუშავება, ხის ქერქის გამოცალკეება და ამავე



სურ. 2.



სურ. 3.

ირმის რქის ცულებით ხდება ბელტად მოჭრილი მიწის გატეხა, გაფხვიერება. ჯერ კიდევ ხელუხლებელი მიწის ზედაპირის გატეხა, გორიხებად გამოტეხა, დამუშავება, სამეურნეო ორმოებისა და არხების გათხრა. მოკლედ ყველანაირი სამეურნეო სამუშაოების შესრულება.

ირმის რქის წერაქვისებური იარაღები

წერაქვისებურ იარაღებში (სურ.3) გავაერთიანეთ ირმის რქის წანაზარდებზე დამზადებული სოლისებური, მოხრილტანიანი იარაღები, ასევე, ირმის რქის დისტალური ტოტის გვირგვინიან ფუძეზე დამზადებული წერაქვისებური იარაღები (Hansen, 2017, გვ. 255-260; Schlenker, 1997, გვ. 106-110). მათ გარკვეულ ნაწილზე წვრილი გამჭოლი ნახვრეტია დატანილი. ასევე გვხვდება ვიწრო გამჭოლნახვრეტიანი იარაღები, (რომელიც მუფტაზე სამაგრი უნდა ყოფილიყო) ხოლო ის ნაწილი, რომელსაც გამჭოლი ნახვრეტი არა აქვს, საგულდაგულოდ არის გათლილ-დამუშავებული, აგრეთვე მყარ მუფტაში ჩასასმელად (Andresen, 1989, გვ. 15-19). ამ შემთხვევაში ტარის დაგებას განვიხილავთ ხის მუფტაში ჩასმის შემთხვევაში, ვინაიდან გამჭოლი ნახვრეტი ისეთი წვრილია, რომ მასზე ტარის გამართვა შეუძლებელია, იგი ხის მუფტაში უნდა ყოფილიყო ჩასმული (Beugnier, 2005, გვ. 340). ირმის რქის წერაქვისებური იარაღი მეტად მოსახერხებელი და გამძლე უნდა ყოფილიყო. წერაქვისებურ იარაღებში ერთ-ერთ გამორჩეული ტიპია ირმის რქის დისტალური ტოტისა და გვირგვინიან ფუძეზე დამზადებული წერაქვისებური იარაღიგამჭოლი სატარე ნახვრეტი. ამავე ჯგუფში ვაერთიანებთ ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენებ სატეხებს. სატეხი, უმეტეს შემთხვევაში, მზადდება ირმის რქის წანაზარდებისგან, ასევე გვაქვს შემთხვევები, როდესაც სატეხს ამზადებენ ექსპლუატაციიდან გამოსული წერაქვისებური იარაღებისგან (Bleuer, 1988, გვ. 50-60) და ირმის რქის მთავარი ღერძისგან (გაპობის შედეგად) (Feustel, 1973, გვ. 58), რომლებსაც აქვთ წაკვეთილი ან სამუშაოებით მობლაგვებული პირი, ხოლო ბოლოებზე ეტყობა დარტყმის კვალი.

ირმის რქის ჩაქუჩები და უროები

აღნიშნულ ტიპში გავაერთიანეთ ირმის რქისგან დამზადებული უროები, ჩაქუჩები და კომბინირებული იარაღები (სურ.4).

ისინი დამზადებულია გვირგვინიანი ფუძისგან და მთავარი ღერძისგან. ჩაქუჩისებურ კომბინირებულ იარაღებს აქვთ ღია დაღრმავება ქვის ან კაჟის ჩანართის გასაკეთებლად. ირმის რქის მთავარი ღერძი იძლევა იმის საშუალებას, გაკეთდეს ისეთი ძლიერი იარაღები, როგორებიცაა დიდი ჩაქუჩები და თოხები.

ამ ჯგუფში შედის ის იარაღები, რომლებიც უფრო არქაულია ფორმით, გვირგვინიან ფუძეზეა შერჩენილი ტარი და გამოიყენებდნენ ტლანქ ჩაქუჩებად, მათზე ტარის დაგების ვარიაციებიდან ყველაზე სწორად და სრულყოფილად მიგვაჩნია ტარის დაგება სატარე ნახვრეტში (Leuzinger, 2002, გვ. 80), რომელიც სატარე ნახვრეტის



1



2



სურ. 4.

პარალელურადაა გავლებული. ასევე საინტერესოა ის მომენტი, რომ ირმის რქის ჩაქუჩებად გამოიყენება იარაღი, რომელსაც გვირგვინიან ფძეზე შერჩენილი აქვს დისტალური ტოტი, რომელიც ამ შემთხვევაში ჩაქუჩისტარს წარმოადგენს, ირმის რქის ეს იარაღი ბევრად გამოსადეგია, შედარებით რბილი და მსუბუქია და მას, გადატანითი მნიშვნელობით, რბილ ჩაქუჩებსაც უწოდებენ. ჩაქუჩი რბილია და არ აზიანებს დასამუშავებელ იარაღს (ჰანზენი, 2013, გვ. 12; Wyss, 1983, გვ. 40-41).

ირმის რქის სარიტუალო დანიშნულების იარაღები

ირმის რქის სარიტუალო დანიშნულების იარაღებად (სურ. 5) შეიძლება მივიჩნიოთ ის არტეფაქტები, რომლებიც დამუშავების სტილით, რელიეფური ფორმებით და მკვეთრი დამუშავებით განსახვდებიან. ჩვენ გამოვყავით ირმის რქის იარაღების ოთხი ძირითადი ტიპი. სარიტუალო დანიშნულების, ფალოსის ფორმის და სხვა ორნამენტირებული იარაღები წინამდებარე ოთხივე ტიპში (თოხები, ცულები, წერაქვები, ჩაქუჩები) მოგვეპოვება. აღნიშნული იარაღები გამოირჩევიან მკვეთრად გამოსატული ფალოსისებური ფორმებით და ორნამენტირებული გრავირებით, ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მათ ცალკე ჯგუფად განვიხილავთ. ამ იარაღებს ეტყობათ დამუშავებისა და მუშაობის ძლიერი კვალი. რთული სათქმელია, ჯერ სამუშაოდ იყენებდნენ და შემდეგ გახდა მათთვის ძვირფასი იარაღი სარიტუალო, თუ ეს იარაღები თავიდანვე, ამავე ფორმით, თან სამუშაო (მიწათმოქმედების), თან სარიტუალო დანიშნულებისა იყო. შესაძლებელია ისიც, რომ მას, მხოლოდ წელიწადის გარკვეულ დროს, მხოლოდ სარიტუალოდ იყენებდნენ. ეს ყველაფერი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მიწათმოქმედების და ნაყოფიერების კულტთან.

აღნიშნულ თემატიკაზე საინტერესოა ს. ჰანზენის მოსაზრება. ის ასეთ იარაღებს ირმის რქის პალეომორფულ სარიტუალო ფალოსებად მიიჩნევს, მკვეთრად გამოსატული ფორმების გამო. იგი საინტერესოდ გადმოგვცემს თითოეული არტეფაქტის აღწერას, მისი აზრით, შესაძლებელია ამ იარაღებს ტყავში გახვეულს ინახავდნენ (Hansen, 2017, გვ. 269). მსგავსი ფორმების მქონე იარაღებს ო. ჯაფარიძე და ალ. ჯავახიშვილი (ჯაფარიძე, 1971, გვ. 84-89) საპარადესაც უწოდებენ (Kiguradze, 1986, გვ. 7-88).

ჩვენი აზრით, საბოლოო სურათი ასეთია - როგორც უკვე ვიცით, ადამიანი უძველესი პერიოდიდან იცნობს და იყენებს ირმის რქებს, მეზოლითში უფრო აქსესუარ-სამკაულებად აქვს გამოყენებული, (თუ არ ჩავთვლით ობსიდიანის და კაჟის მტვრევას ირმის რქის რეტუშორით) ასევე ამზადებს ხელოვნების ნიმუშებს, ამულეტებს, სხვადასხვა ქანდაკებებს და ა. შ. მაგრამ ამავედროულად ჩანს ისიც, რომ სრულყოფილად ფლობს ირმის რქის დამუშავების ტექნიკას - გახვრეტა, გახეხვა, გაპრიალებას და უკვე ნეოლითის დადგომისთანავე, ნეოლითური რევოლუციის დროს, ეს გამოცდილება სოფლის მეურნეობაში დასჭირდა (Wright, 2003, გვ. 270-272). ამ გამოცდილებას უკვე მოხერხებულად იყენებს ირმის რქის სხვადასხვა იარაღების დასამზადებლად, ირმის რქის სამეურნეო იარაღად გამოყენების წინაპირობა მისი მორფოლოგიური სიმტკიცეა. მეცნიერების დიდი ნაწილი თვლის და ჩვენც მართებულად მიგვაჩნია, რომ ნეოლითური კულტურის სოფლის მეურნეობა, კერძოდ



სურ. 5.

- მიწათმოქმედება - მთლიანად ემყარება ირმის რქის სამუშაო იარაღებს. მიწათმოქმედების განვითარება საჭიროებს სამიწათმოქმედო იარაღების გამართვას, ახალი ტიპებისა და ფორმების შექმნას, რაც გაუადვილებს მიწის დამუშავებას, ასევე, ძვლისა და ირმის რქის იარაღებთან ერთად, დიდია მასიური ქვის იარაღების როლი უკვე მოწეული მარცვლეულის დამუშავებაში, (ვგულისხმობთ ხელსაფქვაკებს, სანაყებსა და როდინებს) (Wyss, 1979, გვ. 5).

ჩვენ მიერ წარმოდგენილი ირმის რქის იარაღები სრულყოფილი სამიწათმოქმედო იარაღებია შულავერ-მომუთეფეს კულტურაში, რომელზეც იდგა პირველი მიწათმოქმედება.

გამოყენებული ლიტერატურა

ბერძენიშვილი (კილაძე), ნ. (1964). *ქვის ხანის ახალი ძეგლები წყალწითელას ხეობიდან*. თბილისი.

ბერძენიშვილი, ნ. (1971). *საქართველოს ნეოლითური კულტურის საკითხისათვის*. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, მეოცსამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები. თბილისი.

გაბუნია, მ., ვეკუა, ა. (2005). ბუნებრივი გარემოს ევოლუცია სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის რეგიონში ეოპლეისტოცენ-ადრეჰოლოცენში. *ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში*, №№ 15-16. თბილისი, 2005, 14.

მარუაშვილი, ლ. (1969). *საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია*. ნაწილი პირველი. თბილისი.

ჩიქოვანი, გ., აბულაძე, ჯ., ჟვანია, დ. (2015). *ქვემო ქართლის (არუხლოს) არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ შესწავლილი ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარები (1966-1988)*. თბილისი.

ჯაფარიძე, ო., ჯავახიშვილი, ალ. (1971). *უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე*. თბილისი.

ჰანზენი, ს., მირცხულავა, გ., ბასტერტ-ლამპრისი, კ., (2013). *ადრესამიწათმოქმედო კულტურა სამხრეთ კავკასიაში*. არუხლოს გორაზე 2005-2011 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში. თბილისი. გვ. 5-39.

ჰანზენი, ს., მირცხულავა, გ., ბასტერტ-ლამპრისი, კ., გიორსდორფი, ი., ნოიმანი, დ., ულრიხი მ. (2013). *ანგარიში ნეოლითური ხანის გორა-ნამოსახლარის არუხლო პირველის არქეოლოგიური გათხრების შესახებ 2007 წლის ზაფხულში*. ადრესამიწათმოქმედო

კულტურა სამხრეთ კავკასიაში. არუხლოს გორაზე 2005-2011 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში. თბილისი. გვ. 41-67.

Akkermans, G., & Wittman, B. (1993). Eine Spathalafzeitliche Siedlung im Balikhtal. Nordsyrien. *Mitteilungen der Deutschen Orient Gesellschaft*, 125, 143-166. Berlin.

Andresen, M., Brandt, K., Diery, C., Eligner, G., & Fiedler, L. (1989). *Zeugnisse der Steinzeit. Urkulturen Zeugnisse Der Steinzeit*.

Beugnier, V., & Maigrot, Y. (2005). La fonction des outillages en matières dures animales et en silex au Néolithique final Jura France. In *Proceedings* (pp. 335-344).

Bleuer, E., Schibler, J., Stampfli, R., & Dubuis, B. (1988). *Seeberg Burgaschaisee-Süd*.

Braidwood, R. J., & Howe, B. (1960). Seeking the world's first farmers in Persian Kurdistan: A full-scale investigation of prehistoric sites near Kermanshah. In *Proceedings* (pp. 695-697). London.

Feustel, R. (1973). *Technik der Steinzeit*. Weimar.

Gronenborn, D., & Terberger, T. (2014). *Archaeologia in Deutschland von Jäger und Sammler zum Bauern: Die neolithische Revolution*.

Hansen, S., & Mirtskhulava, G. (2017). Excavation in Aruchlo 2005-2014. In *Proceedings* (pp. 195-200). Hansen1.

Hansen, S. (2017a). Small finds – The Kura projects. In *New Research in the Later Prehistory of the Southern Caucasus*, Deutsches Archäologisches Institut, Eurasien-Abteilung, AIT, Band 16 (pp. 255-260). Berlin.

Hansen, S. (2017b). Phallomorphic antler tools - The Kura projects. In *New Research in the Later Prehistory of the Southern Caucasus*, Deutsches Archäologisches Institut, Eurasien-Abteilung, AIT, Band 16 (pp. 269-271). Berlin.

Kiguradze, T. (1986). *Neolithische Siedlungen von Kvemo-Kartli, Georgien*. Munich.

Leuzinger, U. (2002). *Holz Artefakte - Die jungsteinzeitliche Seeufersiedlung Arbon, Bleiche 3*.

Lordkipanidze, D. (2019). Georgien - Ein Land im Kaukasus mit großer Geschichte und faszinierender Kultur. In *Gold & Wein Georgiens älteste Schätze*.

Lumley, M. A., Gabunia, L., Vetena, A., & Lordkipanidze, D. (2006). Les restes humains du Pliocène final et du début du Pléistocène inférieur de Dmanissi, Georgie. In *Proceedings* (pp. 1-110).

Luning, J. (2003). *Zwischen Alltagswissen und Wissenschaft im Neolithikum*. Bonn.

Müller-Beck, H. (1998). *Die Steinzeit: Der Weg der Menschen in die Geschichte*. Munich.

Patlenberg, E., & Wassel, A. (2001). *Neolithic revolution: New perspectives on Southwest Asia in light of recent discoveries on Cyprus*.

Schlenker, B. (1997). Zur Interpretation der Verwendung prähistorischer Knochen- und Geweihartefakte. In *Beiträge zur Archäozoologie und prähistorischen Anthropologie*.

Smolla, G. (1960). *Neolithische Kulturerscheinungen*. Bonn.

Stöllner, T., & Ghambashidze, I. (2019). Das Goldbergwerk von Sakdrissi am Kachagiani-Hügel in Georgien, ein außergewöhnlicher Fundplatz. In *Gold & Wein Georgiens älteste Schätze* (p. 145).

Winiarska-Kabacińska, M., & Kabaciński, J. (2016). Flint tools for bone and antler adzes production at the early Mesolithic site Krzyż Wielkopolski. In *Proceedings* (pp. 128-139).

Wright, K., & Garrard, A. (2003). Social identities and the expansion of stone bead-making in Neolithic Western Asia: New evidence from Jordan. *Antiquity*, 77, 267-284.

Wyss, R. (1983). *Archäologische Forschungen: Die jungsteinzeitlichen Bauerndörfer von Egolzwil*. Zurich.

Wyss, R. (1979). *Das jungsteinzeitliche Jäger-Bauerndorf von Egolzwil im Wauwilermoos: Archäologische Forschungen*.

Deer antler as a three-point weapon (on the example of Arukhlo I)

*Zhvania Dimitri,
National Museum of Georgia
d.zhvania@gmail.com*

Abstract

In the southern Caucasus are characteristic of the settlements of the 6th century BC. round buildings made of seared mudbricks. The construction of round buildings is particularly unusual, because rectangular houses were built at that time.

During the new archaeological excavations (2005-2016) several artefacts and scientific news have emerged. Among them the variety of agricultural antler implements. We could decide among 4 types. 1) Antler Chop 2) Antler Ax 3) Antler Pickaxe 4) Antler Hammer. One type of this is the discovered phallus-like ritual implements. This is scientific news.

არემის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ადრე შუა საუკუნეების სუფრის კერამიკა

სოზიაშვილი ირაკლი,
საქართველოს ეროვნული მუზეუმის
ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი
silmarili@yahoo.com

არემის ნაქალაქარი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, ყვარლის მუნიციპალიტეტში, მდინარე არემის ზემო წელზე, თანამედროვე სოფელ მთისძირის ტერიტორიაზე. არემის მიმართ სამეცნიერო ინტერესი ჯერ კიდევ 1950-იან წლებში გაჩნდა, ხოლო მისი არქეოლოგიური შესწავლა 1973-1982 წლებში მოხდა ლევან ჭილაშვილის ხელმძღვანელობით (ჭილაშვილი, 1991, გვ. 4). ექსპედიციამ შეისწავლა სოფლის ტერიტორიაზე მდებარე არქეოლოგიური ძეგლები, დაადგინა მათი გავრცელების არეალი და ქრონოლოგიური ჩარჩოები. არქეოლოგიურ ძეგლზე ხანგრძლივი მუშობის მიუხედავად, ლევან ჭილაშვილის ინფორმაციით, გათხრების სრულყოფილი წარმოება ვერ მოხერხდა, ვინაიდან ნაქალაქარი თანამედროვე სოფლის ტერიტორიაზე მდებარეობს.

არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად დადგინდა, რომ არემისწყლის ხეობაში ადამიანის კვალი საკმაოდ ადრეული პერიოდიდან, ძვ. წ. III ათასწლეულიდან შეინიშნება (ჭილაშვილი, 1991, გვ. 144), ხოლო ადრე შუა საუკუნეების დასაწყისიდან ამ ტერიტორიაზე უკვე საკმაოდ განვითარებული დასახლება არსებობდა.

არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა ნაქალაქარის შემდეგ უბნებზე: არემის ბაზილიკა, უსახელო ბორცვი, მდინარისპირის ეკლესია, საყდრის ყურის ეკლესია, ხერთვისი და ტყის უბანი. ტყის უბანზე თავის მხრივ გამოვლინდა ხუთი ეკლესია და ხუთი ნამოსახლარი. ტყის უბანზე გამოვლენილ ნამოსახლარებს და ეკლესიას მიენიჭა რიგითი ნომრები, ერთიდან ხუთამდე. ლ. ჭილაშვილის მიხედვით ყველა საკულტო ძეგლი, რომელიც არემის ნაქალაქარზეა დაფიქსირებული, ადრე შუა საუკუნეებით თარიღდება, თუმცა, ის ყველაზე ადრეულად უსახელო ბორცვის ეკლესიას, ტყისუბნის N2 და N3 ეკლესიებს მიიჩნევს და ათარიღებს მათ IV ს-ით (ჭილაშვილი, 1991, გვ. 158). მისივე ინფორმაციით არემის ნაქალაქარზე გამოიყოფა შუა საუკუნეების კუთვნილი ორი ფენა, პირველს ათარიღებს IV-IX სს. ხოლო მეორეს - X-XIV სს. (ჭილაშვილი, 1991, გვ. 149). ლევან ჭილაშვილის მოსაზრებით არაბების შემოსევებმა იმდენად დააზიანა არემის ნაქალაქარი, რომ უსახელო ბორცვის ეკლესია, ტყის უბნის ეკლესიები და მათ გარშემო მდებარე უბნები IX ს-ში არსებობას წყვეტენ (ჭილაშვილი, 1991, გვ. 153), ხოლო ქალაქის დარჩენილი უბნები XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე შემოსევების შედეგად ნადგურდება (ჭილაშვილი, 1991, გვ. 155).

არემი ისტორიულ წყაროებში შედარებით გვიან ჩნდება, ორი უძველესი წყარო „ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევაი ქართლისაი“ არემს საქართველოს უძველეს

ქალაქებს შორის არ იხსენიებს, მისი პირველად მოხსენიება ხდება მათე საუკუნის მოვლენებთან დაკავშირებით, კერძოდ კონსტანტინე აფხაზთა მეფისა და კვირიკე კახთა მეფის ჰერეთში ლაშქრობისას (ქართლის ცხოვრება, 1973, გვ. 133; 1955, გვ. 264). ქალაქ არეშს ასევე იხსენიებს ბერი ეგნატაშვილი (ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 346), სიგელი დავით მეფისა ნიანია ნიანიაძისადმი (ქართ. ისტორ. საბუთ. კორპ. 1984, გვ. 50). არეშის სახელით ცნობილ დასახლებულ პუნქტს იხსენიებენ გვიანდელი ავტორებიც: ისკანდერ მუნში (მუნში, 1969, გვ. 14), ანონიმი იტალიელი ავტორი (თურქეთ-სპარსეთის..., 1987, გვ. 35), ევლია ჩელები (ჩელები, 1971, გვ. 269). თუმცა ლ. ჭილაშვილის განმარტებით არეშის სახელით ისტორიულ წყაროებში სულ ცოტა ხუთი დასახლებული პუნქტია მოხსენიებული (ჭილაშვილი, 1991, გვ. 164) და საჭიროა გავმიჯნოთ ჩვენთვის საინტერესო არეში (რომლის ტერიტორიაზეც განლაგებულია თანამედროვე სოფ. მთისძირი) და მისი მოსახლე გეოგრაფიული პუნქტები. ლ. ჭილაშვილი, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, გვიან შუა საუკუნეების წყაროებში მოხსენიებულ არეშს განასხვავებს ჰერეთის არეშისაგან (ჭილაშვილი, 1991, გვ. 160-164). ჩვენ ვეთანხმებით მკვლევარს, რომ ჩვენთვის საინტერესო არეში არსებობას წყვეტს XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე და, შესაბამისად, გვიანდელი ავტორების ცნობებს მხედველობაში არ ვიღებთ, რადგან ისინი სხვა გეოგრაფიულ პუნქტებს შეესაბამება.

ექსპედიციის ხელმძღვანელის დაკვირვებით არეში დაგეგმარებით უფრო ახლოს დგას კახეთის სხვა ქალაქებთან ვიდრე თბილისთან, რუსთავთან ან სამშვილდესთან (ჭილაშვილი, 1991, გვ. 147). მსგავსება გამოიხატება იმაში, რომ კახეთის ქალაქები ერთმანეთთან შორიახლოს მდებარე რამოდენიმე უბნისაგან შედგება. არეშს, კახეთის სხვა ქალაქების მსგავსად, არ აქვს გამაგრების ერთიანი სისტემა (გალავანი, თხრილი და სხვა), შესაბამისად, ჯერჯერობით გაურკვეველია როგორ ხდებოდა ქალაქისა და მისი შემოგარენის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. გამოთქმულია ვარაუდი, რომ არეშის თავდაცვის სისტემა დამოკიდებული იყო რეგიონის ზოგად საფორტიფიკაციო სისტემაზე, რაც გამოიხატებოდა, პირველ რიგში, მთლიანად ხეობების ჩაკეტვით და დამაკავშირებელი გზების კონტროლით (ჭილაშვილი, 1991, გვ. 149).

არეშის ნამოსახლარზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორი სხვადასხვა პერიოდის ფენაა გამოყოფილი, მიუხედავად იმისა, რომ მონოგრაფიაში მოცემულია მასალის პირველადი შეფასება და დათარიღება, არტეფაქტების დაყოფა პერიოდის ან ფენის მიხედვით არ განხორციელებულა. მასალის დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია ლ. ჭილაშვილის ნაშრომში „არეში“.

წინამდებარე სტატიის მიზანია მასალის საერთო მასიდან, ე.წ. „გენერალური ერთობლიობიდან“, მაქსიმალურად სრულად მოხდეს ადრეული შუა საუკუნეები სუფრის კერამიკის გამოყოფა, შეძლებისდაგვარად ზუსტი დათარიღება და მათთვის პარალელების მოძიება, როგორც საქართველოს ისე კავკასიის სხვა ძეგლებთან. დათარიღებისათვის გამოყენებულია პარალელური მასალა საქართველოსა და კავკასიის სხვა ძეგლებიდან. მასალის დათარიღებას ამარტივებს ის გარემოება, რომ ტყისუბანი არსებობას წყვეტს IX საუკუნეში. ამ უბანზე ცხოვრება შემდგომ პერიოდში აღარ განახლებულა და შესაბამისად გვიანდელი მასალა თითქმის არ გვაქვს. აქედან გამომდინარე ტყის უბანზე აღმოჩენილი კერამიკის გამოყენება დასათარიღებლად

სავსებით შესაძლებელია.

ჩვენ მიერ შერჩეული კერამიკა უხეშად შეგვიძლია დავყოთ დანიშნულების მიხედვით: ჯამები, ქოთნები, დოქები და ფრაგმენტები, ფრაგმენტების მიკუთვნება სუფრის ჭურჭლის კატეგორიისათვის ხდება მათი სისქის, კეცის ხარისხის და ზედაპირის დამუშავების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის ფართოდ გავრცელებული ინტერპრეტაციით ქოთანს სამზარეულოს ჭურჭლს აკუთვნებენ, ის შეიძლება სუფრის ჭურჭლადაც განვიხილოთ, რადგან მისი გამოყენება შესაძლებელია ორივე დანიშნულებით, ამიტომ სტატიამი კერამიკის ეს ტიპიცაა შეტანილი.

ამ დროისათვის შერჩეულია ოცდათერთმეტი ჯამი, ათი დოქი, სამი ქოთანი და კერამიკული ფრაგმენტები, რომლის მიკუთვნებაც შესაძლებელია ადრე შუა საუკუნეებისადმი. არტეფაქტების აღწერა ადებულია არემის საინვენტარო დავთრიდან.

ჯამები

66-971-354. ნატეხი რუხი ჭურჭლისა, წარმოდგენილია პირის ნატეხის სახით. 5,8×3,7 სმ. აღმოჩნდა არემის ბაზილიკაში. ფერის, კეცის და ზედაპირის დამუშავების მიხედვით შეგვიძლია ადრეულ შუა საუკუნეებს მივაკუთვნოთ (ტაბ I; სურ. 1).

66-971-361. ნატეხი მოყვითალოდ გამომწვარი თიხისა. თხელკედლიანი ჭურჭლის გვერდია. 5,5×4,8 სმ. აღმოჩნდა არემის ბაზილიკის მარჯვენა ნავში. თარიღდება ადრე შუა საუკუნეებით IV-VI სს (ჭილაშვილი, 1991, გვ. 37), (ტაბ I; სურ. 2).

66-971-388. ნატეხი ყვითლად გამომწვარი თიხის ჭურჭლისა, ძირ-გვერდის ნატეხი. თხელკედლიანი. ძირი ბრტყელი, მოუჭიქავი. აღმოჩნდა არემის ბაზილიკაში, კარგად განლექილი კეცის და გამოწვის მიხედვით შეგვიძლია მივაკუთვნოთ ადრე შუა საუკუნეებს (ტაბ I; სურ. 3-4).

66-971-416. ნატეხი, მოვარდისფროდ გამომწვარი ჭურჭლისა, მოუჭიქავი. 6×3,2 სმ. აღმოჩნდა არემის ბაზილიკის ცენტრალურ ნავში. ლ. ჭილაშვილი აღნიშნულ ფრაგმენტს ასევე IV-VI სს-ს მივაკუთვნებს (ჭილაშვილი, 1991, გვ. 37), (ტაბ I; სურ. 5).

66-971-423. ნატეხი მოყვითალოდ გამომწვარი თიხისა, წარმოდგენილია მცირე ზომის ჭურჭლის ძირის სახით. ძირი ბრტყელი, მოუჭიქავი. ძირის დიამეტრი 4,5 სმ. აღმოჩნდა არემის ბაზილიკაში. კეცის, ფერის და ზედაპირის დამუშავების მიხედვით ადრე შუა საუკუნეებს უნდა მიეკუთვნებოდეს (ტაბ I; სურ. 6).

66-971-428. ნატეხი მოწითალო კეცის, ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი. ძირი ბრტყელი, მოუჭიქავი. ქუსლის დიამეტრი 7 სმ. აღმოჩნდა არემის ბაზილიკაში. ფორმით და კეცით გავს N 66-971-423-ს და ამავე პერიოდით უნდა დათარიღდეს (ტაბ I; სურ. 7-8).

66-971-617. ჭურჭლის ნატეხი, ყვითელკეციანი, წარმოდგენილია პატარა ჭურჭლის ძირ-გვერდის სახით. ქუსლი ბრტყელია, მოუჭიქავი. ქუსლის დიამეტრი 4,2 სმ. კარგად გამომწვარი და განლექილი ჩალისფერი კეცი. სწორი, გამოყოფილი ქუსლი, გვხვდება

როგორც ანტიკურ ასევე შუა საუკუნეებში. კეცის და გამოწვის მიხედვით ეკუთვნის ადრე შუა საუკუნეებს. აღმოჩნდა არემის ბაზილიკაში (ტაბ II; სურ. 1).

66-971-630. ჭურჭლის ნატეხები, წითელკეციანი, წარმოდგენილია ჭურჭლის ბრტყელი ძირის და გვერდის ნატეხების სახით. გარეპირი გაპრიალებულია. ქუსლის დიამეტრი 4 სმ. ლ. ჭილაშვილის დათარიღებით აღნიშნული ფრაგმენტი მიეკუთვნება IV-VI სს (ჭილაშვილი, 1991, გვ. 37), გვერდის ფრაგმენტი. აღმოჩნდა არემის ბაზილიკაში (ტაბ II; სურ. 2).

66-971-659. ჭურჭლის ნატეხი, მოწითალო, ცუდად გამომწვარი კეცის, წარმოდგენილია პირგადაშლილი დიდი ზომის ჭურჭლის ნატეხის სახით. ძირი ბრტყელია, მოუჭიქავი, ჭურჭლის სიმაღლე 11 სმ. აღმოჩნდა არემის ბაზილიკაში, სამხრეთ ნავში. ფორმა უნივერსალურია, ძირის კონფიგურაციით გავს ახალ ფორმებს (ჯაფარიძე, 1956, ტაბ. LXVII. 8.), თუმცა მსგავსი კეცი დამახასიათებელია ადრე შუა საუკუნეებისათვის. ძირის ანალოგიური კონფიგურაცია გვხვდება ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ, ნიშპურის გათხრებზე, სადაც IX საუკუნით თარიღდება (Wilkinson, 1973, გვ. 69), (ტაბ II; სურ. 3-4).

66-971-747. ჯამის ძირი, აგურისფრად გამომწვარი თიხისა. ფორმა უნივერსალურია, თუმცა კეცის მიხედვით შეგვიძლია მივაკუთვნოთ ადრეულ შუა საუკუნეებს. აღმოჩნდა არემის ბაზილიკაში (ტაბ II; სურ. 5-6).

66-971-892. ჯამი, აგურისფრად გამომწვარი თიხისა, პირის გარედან ორი პარალელური ხაზი აქვს ამოკვეთილი, პირის დიამეტრი 17 სმ. ძირის დიამეტრი 7 სმ. აღმოჩნდა საყდრისყურის ეკლესიაში. ლევან ჭილაშვილის მიხედვით აღნიშნული ჯამი უნდა დათარიღდეს VI-VIII სს-ით (ჭილაშვილი, 1991, გვ. 101), (ტაბ III; სურ. 1-2).

66-971-998. ჭურჭლის ნატეხი, ჩალისფრად გამომწვარი, წმინდა სტრუქტურის თიხით, წარმოდგენილია ჯამის პირგვერდის ნატეხის სახით. 9x5 სმ. თარიღდება V-VIII საუკუნეებით (ჭილაშვილი, 1991, გვ. 62), (ტაბ III; სურ. 3).

66-971-999. ჭურჭლის ნატეხები, თიხის, აგურისფრად გამომწვარი. წარმოდგენილია მოუჭიქავი ჯამის ძირის ნატეხებით დმ. 7 სმ. ამ ნომრით აღნიშნულია ორი ნატეხი. კეცის მიხედვით ვათარიღებთ ადრე შუა საუკუნეებით (ტაბ III; სურ. 4-5).

66-971-1004. ჭურჭლის ნატეხები, 2 ცალი, თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი, წარმოდგენილია ჯამის ძირისა და დოქის გვერდის ნატეხის სახით, რომელზეც ყურია შემორჩენილი. აღმოჩნდა უსახელო ბორცვზე. მაღალქუსლიანი ჯამები განვითარებული შუა საუკუნეებისათვის ნაკლებადაა დამახასიათებელი. ადრეული შუა საუკუნეებისთვის ასევე დამახასიათებელია კარგად განლექილი, მოვარდისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი კეცი. 66-971-1004 გავს ვადციხეში აღმოჩენილ პირველი ტიპის ჯამებს, რომლებსაც ვ. ჯაფარიძე IV-VI სს-ით ათარიღებს (ჯაფარიძე, 1989, გვ. 24-25; ტაბ. VI), (ტაბ III; სურ. 6).

66-971-1056 ჯამის ნატეხი, აგურისფრად გამომწვარი თიხის, მონატეხში ნაცრისფერი, ჯამის პირის ნატეხია. ზომები 5x4,5 სმ. აღმოჩნდა უსახელო ბორცვზე. იმავე ტიპის პირმოყრილი ჯამია, როგორც 66-971-998 და უნდა დათარიღდეს ასევე

V-VIII სს-ით (ტაბ IV; სურ. 1-3).

66-971-1115. ჯამის ნატეხი, აგურისფრად გამომწვარი, თიხისა. წარმოადგენს ჯამის პირ-გვერდის ნატეხს. 8,5×5,5 სმ. აღმოჩნდა უსახელო ბორცვზე. პირმოყრილი თასი, იმავე ტიპის ნაწარმია, როგორც 66-971-998 და 66-971-1056. და იმავე პერიოდით უნდა დათარიღდეს (ტაბ IV; სურ. 3-6).

66-971-1141. ჭურჭლის ნატეხი, აგურისფრად გამომწვარი თიხისა, წარმოადგენს ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხს. ძირი ქუსლიანია, ძირის დიამეტრი 8,3 სმ. აღმოჩნდა უსახელო ბორცვზე. ჯამის ძირი, კეცი უხეშია, მგონი გვიანდელია (ტაბ V; სურ. 1-3).

66-971-1257. ჯამის ნატეხი, მოყვითალო, წმინდად განლექილი თიხის, არათანაბრად გამომწვარი, შერჩენილია გვერდის, ქუსლისა და პირის ნაწილი. გვერდი გადაშლილია, ქუსლი გამოყვანილი და ოდნავ ძირმეზუნექილი, ოდნავ პირმოყრილი, ჯამი ნაპრიალები ყოფილა. ზომები 9×8,5 სმ. აღმოჩნდა უსახელო ბორცვზე. პირმოყრილი ჯამია, ისეთივე, როგორც 66-971-1115, 66-971-998 და 66-971-1056 (ტაბ V; სურ. 4-5).

66-971-1268. ჯამის ნატეხები, მოყვითალო, არათანაბრად გამომწვარი თიხის, ძირ-ქუსლისა და გვერდის ნატეხი. ქუსლი გამოყვანილია, მაღალი, ძირმეზუნექილი, გვერდი გაშლილი. ქუსლის დმ. 7 სმ. ზომა 12,5×7,5 სმ. აღმოჩნდა უსახელო ბორცვზე. ნახევარსფერული ჯამი რომლის შიდა ზედაპირის პროფილი თანაბრადაა მომრგვალებული (არ აქვს გარდატეხის ხაზები) ანალოგიური პროფილის მოჭიქული ჯამი ნაპოვნია რუსთავის ციხეზე, სადაც IX-X საუკუნით თარიღდება, თუმცა გვაქვს განსხვავებებიც. არეშის ცალი მოუჭიქავია და ძირის ის ნაწილი, რომელიც ბორბლისებური ქუსლის შიგნითაა, შედარებით დათხელებულია, ამ ნიშნებით 66-971-1268 ენათესავება დედოფლის გორაზე აღმოჩენილ Cat. no. 12 ჯამს, რომელსაც თ. ქანიშვილი ახ.წ. I საუკუნით ათარიღებს და იმპორტულად მიიჩნევს (Iberia and Rome. 2008, sh. 65. pl. 17). ამ მიზეზის გამო, ჩვენ მიერ განხილულ ჯამს ვერ მივიჩნევთ განვითარებული შუა საუკუნეების კუთვნილებად და მას ზოგადად ადრე შუა საუკუნეებით ვათარიღებთ (ტაბ V; სურ. 6-8).

66-971-1351. ჯამის ნატეხი, წითელკეციანი, გამოყვანილი მაღალი ქუსლის და პირის ნატეხია. 7×6,5 სმ. აღმოჩნდა უსახელო ბორცვზე. პირმოყრილი ჯამი, ისევე როგორც 66-971-998, 66-971-1056, 66-971-1257. ლ. ჭილაშვილი აღნიშნულ ფრაგმენტს VI-VIII სს-ით ათარიღებს (ჭილაშვილი, 1991, გვ. 54), (ტაბ VI; სურ. 1-2).

66-971-1359. ჯამის ნატეხი. ვარდისფერკეციანი, გამოყვანილი ქუსლი. გადაშლილი, გადმოკეცილი პირი, გარედან პირს ორი ღარი დასდევს, ზედაპირი ნაპრიალებია, ძირის დიამეტრი 8 სმ. სიმაღლე 8 სმ. აღმოჩნდა უსახელო ბორცვზე. (დავთარში შეცდომაა, 66-971-1359 ნომრით აღნიშნული არტეფაქტი პირმოყრილი ჯამია) იმავე კონფიგურაციის ჯამია, როგორც 66-971-998, 66-971-1056, 66-971-1257, 66-971-1351. თარიღდება ასევე VI-VIII სს-ით (ჭილაშვილი, გვ. 1991, გვ. 54), (ტაბ VI; სურ. 3-5).

66-971-1370. (დავთარში შეცდომაა, 66-971-1370 ნომრით აღნიშნული არტეფაქტი სწორბაკოიანი, პირმოყრილი ჯამია, აღწერილობის მიხედვით ემთხვევა 66-971-

1369. აღწერილობაც 66-971-1369 -ისაა აღებული.) ჭურჭლის ნატეხი, წითელი კეცის, სქელმარცვლოვანი, მონატეხში რუხი, ბადიის პირ-გვერდის ნატეხია, სქელკედლიანი, 10,5×7,5 სმ. აღმოჩნდა უსახელო ბორცვზე. ანალოგიურია ვარდციხეში ნაპოვნი ჯამისა, რომელსაც ვ. ჯაფარიძე V-VI სს. ათარიღებს. საინტერესოა რომ ვარდციხეში აღმოჩენილ ცალს და არემის ფრაგმენტს საერთო აქვთ არა მხოლოდ ფორმა, არამედ მინარევებიანი კეციც. ვ. ჯაფარიძეს უძნელდება აღნიშნული ჯამის წარმომავლობის დადგენა და ათარიღებს პატრიკეთის ფენის მიხედვით, რომელშიც ანალოგიური ჯამია აღმოჩენილი (ჯაფარიძე, 1989, გვ. 37; ტაბ VIII), (ტაბ VI; სურ. 6-8).

66-971-1413. ჯამის ნატეხები, ჩალისფერი თიხის, გამოყვანილი ქუსლით, გადაშლილი, პირი ოდნავ შეკრული. ძირის დიამეტრი 6 სმ. აღმოჩნდა უსახელო ბორცვზე. პირმოყრილი ჯამია როგორც 66-971-892, 66-971-998, 66-971-1056, 66-971-1257, 66-971-1351, 66-971-1359. და იმავე პერიოდით უნდა დათარიღდეს (ტაბ VII; სურ. 1-2).

66-971-1480 წითელკეციანი პატარა ქოთნის (დავთარში შეტანილია როგორც ქოთანი, თუმცა დიდი დიამეტრის და მცირე სიმაღლის გამო ჯამად ჩავთვალეთ) პირ-გვერდის ნატეხი, პირი ოდნავ გამოყვანილია და გარედან ტეხილი ხაზითაა შემკული. სიმაღლე 6 სმ. აღმოჩნდა მდინარისპირა ეკლესიაში, ყველაზე ახლო ანალოგი ეძებნება ჭურემის ციტადელში, V -ს II ნახევრით დათარიღებულ კერამიკაში (მამაიაშვილი, 2004, ტაბ. LIV), თუმცა, მცირეოდენი განსხვავებაა პირის გვირგვინის მოყვანილობაში, სავარაუდო თარიღი იგივე უნდა იყოს (ტაბ VII; სურ. 3-4).

66-971-1530. ჭურჭლის ნატეხი. მოწითალო კეცის, პატარა ზომის, ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი, ძირი ბრტყელი, ძირის დმ. 4 სმ. ადრე შუა საუკუნეებს მიეკუთვნება კეცის გამოწვისა და ზედაპირის დამუშავების მიხედვით (ტაბ VIII; სურ. 1).

66-971-1588. ჭურჭლის ნატეხი, ღია ყავისფერი, მარცვლოვანი თიხის, გადანატეხში მონაცრისფრო. ჯამის პირგვერდის ნატეხია, 7,5×11,5. აღმოჩნდა მდინარისპირა ეკლესიაში. პირმოყრილი ქუსლიანი ჯამია და, ძალიან უხეში კეცის მიუხედავად, ადრე შუა საუკუნეებით ვათარიღებთ (ტაბ VIII; სურ. 2-3).

66-971-1606 ჯამი წითელკეციანი, გადაშლილი ფართო ბაკოთი და ბორბლისებური ქუსლით, სიმაღლე 7 სმ. ძირის დმ. 7 სმ. აღმოჩნდა მდინარისპირა ეკლესიაში. ძალიან გავს ვარდციხეში აღმოჩენილი VI ტიპის ჯამს, რომელსაც ვ. ჯაფარიძე IV ს-ით ათარიღებს და უკავშირებს ბიჭვინთაში აღმოჩენილ ჯამებს (ჯაფარიძე, 1989, გვ. 35), (ტაბ VIII; სურ. 4-6).

66-971-1714. ჭურჭლის ნატეხი, მოწითალო კეციანი, სქელკედლიანი, პირ-გვერდის ნატეხი, გვერდდადარული 16×5 სმ. აღმოჩნდა „17 პეტრიანზე“, პირმოყრილი ჯამი, გავს NN 66-971-892, 66-971-998, 66-971-1056, 66-971-1257, 66-971-1351, 66-971-1359. და იმავე პერიოდით უნდა დათარიღდეს (ტაბ. IX; სურ. 1-2).

66-971-1854. ჭურჭლის ნატეხი, ღია წითელკეციანი, პატარა ჯამის გვერდისა და ძირის ნატეხია, პირგადაშლილი და გამოყვანილი, ძირშეზნექილი ქუსლით. ნაპრიალები (?) სიმაღლე 6-სმ. ქუსლის დმ - 7 სმ. აღმოჩნდა ტყისუბანში, I ნაგებობაში. გავს NN66-971-892, 66-971-998, 66-971-1056, 66-971-1257, 66-971-1351, 66-971-1359

ჯამებს, შესაბამისად მისი თარიღიც VI-VIII სსუნდა იყოს (ტაბ. IX; სურ. 3-6).

66-971-1877 ჭურჭლის ნატეხი, ღია წითელკეციანი ჯამის პირის ნატეხია. 6,5×8 სმ. აღმოჩნდა ტყის უბნის ეკლესიაში. ანალოგიურია NN 66-971-892, 66-971-998, 66-971-1056, 66-971-1257, 66-971-1351, 66-971-1359 66-971-1854 - სა (ტაბ. X; სურ. 1-2).

66-971-1936 ჭურჭლის ნატეხი, წითელკეციანი, დიდი ზომის ლანგრის გვერდის ნატეხია, პირი შიგნით აქვს გადაკეცილი, 10,5×10 სმ. აღმოჩნდა ტყის უბნის III ეკლესიასთან. პირმოყრილი ჯამია NN 66-971-892, 66-971-998, 66-971-1056, 66-971-1257, 66-971-1351, 66-971-1359 66-971-1854-ის მსგავსად და იმავე პერიოდით უნდა დათარიღდეს (ტაბ. X; სურ. 3-4).

66-971-1945 ჭურჭლის ნატეხი, მოვარდისფრო კეციანი, დიდი ზომის პირგადაშლილი ჯამის ნატეხია. პირს გარედან დაუყვება ორი ღარი. ქუსლი გვერდისგან გამოყოფილი და ძირშეზნეული. შეკონიწებული. სიმაღლე 7-სმ. დმ-8 სმ. შემთხვევით აღმოჩენილი პირმოყრილი ჯამია ისევე როგორც NN 66-971-892, 66-971-998, 66-971-1056, 66-971-1257, 66-971-1351, 66-971-1359 66-971-1854 (ტაბ. X; სურ. 5-7).

ჯამები. არეშში აღმოჩენილი ჯამები ძირის მიხედვით, პირობითად, შეგვიძლია დავყოთ სამ ტიპად: ბრტყელძირიანი, გამოყოფილქუსლიანი და ბორბლისებურ ქუსლიანი.

I - ბრტყელძირიანები: 66-971-476, 66-971-630. 66-971-1480

II - გამოყოფილ ქუსლიანები: 66-971-423, 66-971-428, 66-971-617,

III - ბორბლისებურ ქუსლიანები: 66-971-659. 66-971-747, 66-971-892, 66-971-999, 66-971-1004, 66-971-1141, 66-971-1257, 66-971-1268, 66-971-1351, 66-971-1359, 66-971-1413, 66-971-1588, 66-971-1606, 66-971-1854, 66-971-1945.

როგორც ზემოთ მოყვანილი სტატისტიკიდან ჩანს, ჯამების დიდ ნაწილს ბორბლისებური ქუსლი აქვს. თავის მხრივ შეგვიძლია ბორბლისებურ ქუსლიანი ჯამებიც ჯგუფებად დავყოთ, პირველი ჯგუფი- მაღალქუსლიანი, რომლის ქუსლის სისქე ქუსლის სიმაღლეზე მეტი ან ტოლია და მეორე ჯგუფი - დაბალქუსლიანი, რომლის ქუსლის სიმაღლე ქუსლის სიგანეზე დაბალია.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება შემდეგი ფრაგმენტები: 66-971-747, 66-971-892, 66-971-1004, 66-971-1268, 66-971-1351, 66-971-1359, 66-971-1413, 66-971-1854.

მეორე ჯგუფს შეგვიძლია მივაკუთვნოთ: 66-971-659, 66-971-999, 66-971-1141, 66-971-1257, 66-971-1588, 66-971-1606, 66-971-1945.

ჯამების სამივე ტიპი პარალელურად არსებობს და მათ შორის ქრონოლოგიური სხვაობა არ შეიმჩნევა, თუმცა გვაქვს საინტერესო თავისებურება: მიუხედავად იმისა, რომ II ტიპის, გამოყოფილ ძირიანი კერამიკა გვხვდება როგორც გაცილებით ადრეულ პერიოდში (ანტიკურ და რომაული ხანა) (Нариманашвили, с. 309), ისე განვითარებულ შუა საუკუნეებშიც (ჯაფარიძე, 1956, ტაბ LXVII, LXVIII), ადრე შუა საუკუნეების განმავლობაში ამ ტიპის კერამიკა შედარებით იშვიათია, არეშის მასალის ყველაზე ახლო პარალელია ჭერემის ციტადელში აღმოჩენილი სუფრის კერამიკა

გამოყოფილი ძირით (მამაიაშვილი, 2004, ტაბ. LVII), რომელიც V საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება. საქართველოს გარდა თასები გამოყოფილი, ბრტყელი ძირით ასევე გავრცელებულია ირანშიც, კერძოდ, ანალოგიური ძირის მქონე კერამიკა აღმოჩენილია ნიშაპურში (Wilkinson, 1973, გვ. 8, 11).

პირის ფორმებიდან გვხვდება მოყრილი პირი, გადაშლილი პირი და ერთი სწორი, შესქელებული ბაკო. ყველაზე ხშირია მოყრილი პირი, (სულ 8 ცალი), თუმცა გვხვდება სწორი, გადაშლილი და ბრტყელი, შესქელებული ბაკოც.

დანარჩენი ფრაგმენტები პირის ან, პირგვერდის ნაწილებია და მათ ძირზე მსჯელობა ვარაუდის ხასიათს ატარებს.

ჯამების ერთ ჯგუფში შეგვიძლია გამოვყოთ ნომრები: 66-971-439. 66-971-892, 66-971-1115, 66-971-1359. 66-971-1710, 66-971-1854, (მხოლოდ ის არტეფაქტები, რომლებზეც შემორჩენილია სრული პროფილი) თითოეული ამ ჯამისათვის დამახასიათებელია ბორბლისებური ქუსლი, დაქანებული კალთა და მოყრილი პირი. ამ ტიპის ჯამები საიტერესოა პირველ რიგში იმით, რომ ჩნდებიან რომაულ ხანაში (Нариманишвили, 1991, გვ. 52-54; 306-312) და ფორმის თითქმის უცვლელად აგრძელებენ არსებობას, როგორც გვიან რომაულ ხანაში (ახ. წ. I-III სს) (Iberia and Rome, 2008, plate. 17-19), ისე ადრე და განვითარებულ შუა საუკუნეებშიც კი (ჯაფარიძე, 1956, ტაბ. LXVII N 1, 2, 7). ცხადია, იცვლება მათი გამოწვის და ზედაპირის დამუშავების ხარისხი, განვითარებულ შუა საუკუნეებში იწყებენ მათ მოჭიქვას, თუმცა, ფორმა (მცირეოდენი ვარიაციებით) უცვლელია. შესაბამისად, ამ ტიპის ჯამებზე დაყრდნობით ობიექტის ან ფენის დათარიღებისას, სიფრთხილეთ საჭირო.

ადრე შუა საუკუნეების ჯამები ზოგადად საკმაოდ მრავალფეროვანი ნაწარმია, თუმცა, არეში აღმოჩენილი ნაწარმი საკმაოდ ერთგვაროვნებით ხასიათდება, ჯამებისათვის დამახასიათებელია მოჩალისფრო, მოწითალი ან შედარებით მუქი, მოყავისფრო კეცი, გამოწვა როგორც წესი თანაბარია, ხოლო კეცი, წვრილმარცვლოვანი. ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება ზედაპირი ნაპრიალები ან წერნაქით შეღებილი იყოს, იშვიათია ორნამენტი - ირგვლივი, ამოკაწრული ღარები.

დოქები

66-971-448 დოქი, აგურისფრად გამომწვარი, მრგვალი მუცლით, ბრტყელი ძირით, ყელზე ტალღოვანი ორნამენტით, აკლია ყელი და ყური, მოუჭიქავი. ძირის დიამეტრი 8 სმ. აღმოჩნდა არეშის ბაზილიკაში. ანალოგი ეძებნება ქერემში, N2 უბნის სამარხ N3- ის ინვენტარში, რომელიც V-VI სს თარიღდება (დოქი ს.ნ 29.) (მამაიაშვილი, 2004, გვ. 63; ტაბ 20), (ტაბ. XI; სურ. 1).

66-971-554. ნატეხი, აგურისფერი თიხის ჭურჭლისა, თხელკედლიანი, წარმოდგენილია გვერდის ნატეხის სახით, გაპრიალებული. ზომა: 5x5,5 სმ. აღმოჩნდა არეშის ბაზილიკაში. თარიღდება IV-VI სს (ჭილაშვილი, 1991, გვ. 37), (ტაბ. XI; სურ. 2).

66-971-578 დოქი, წითელი კეცის, თხელკედლიანი, ყური უშუალოდ უერთდება პირს, აქვს დაბალი ყელი და ფართე პირი. დოქი პატარა ზომისაა. პირი ჩამომტვრეული

აქვს. სიმაღლე 11 სმ. აღმოჩნდა არეშის ბაზილიკაში. კორპუსის მიხედვით გავს ურბნისში აღმოჩენილ დოქ N 3147-ს, თუმცა, ურბნისის ცალისაგან განსხვავებით არეშში აღმოჩენილი დოქის პირი სამტუჩაა, რაც, თავის მხრივ, ასევე ადრეული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ნიშანია. ურბნული დოქი N 3147, აღმოჩენის ადგილის მიხედვით, თარიღდება IV საუკუნით (სამარხი N 27), (ჭილაშვილი, 1964, გვ. 71, ტაბ. 23. 1). ანალოგად შეგვიძლია მივიჩნიოთ ქერემში, სამარხ N 3- ში აღმოჩენილი დოქი, რომელიც ასევე IV საუკუნით თარიღდება. ამიტომ არეშის დოქიც ანალოგიური პერიოდით, უფრო ზოგადად კი IV-V საუკუნეებით უნდა დათარიღდეს (ტაბ. XI; სურ. 3).

66-971-701. ჭურჭლის ნატეხი, წითელკეციანი, წარმოდგენილია კოკის ყელ-გვერდის ნატეხის სახით, პირითურთ, მოუჭიქავი, ადღგენილი, აღმოჩნდა არეშის ბაზილიკაში. მის პარალელად მიგვაჩნია ურბნისში აღმოჩენილი დოქი N 3158. პარალელური მასალა აღმოჩენილია მეოთხე საუკუნის სამარხში (სამარხი N 35), (ჭილაშვილი, 1964, გვ. 64; ტაბ 21.1). შესაბამისად, არეშის ცალიც IV სს-ით უნდა დათარიღდეს (ტაბ. XI; სურ. 4).

66-971-767 კოჭობი, მოწითალოდ გამომწვარი თიხისა, ბრტყელი ძირით, მსხლისებური ტანით, შერჩენილი აქვს ყურის ნაწილი, პირმოტეხილი, მოუჭიქავი. ძირის დმ. 4,5 სმ. აღმოჩნდა საყდრის ყურის ეკლესიის მიდამოებში. თარიღდება ადრეფეოდალური ხანით ლევან ჭილაშვილის მიერ (ჭილაშვილი, 1991, გვ. 95), (ტაბ. XI; სურ. 5).

66-971-1100 ჭურჭლის ნატეხი, აგურისფრად გამომწვარი, მსხვილმარცვლოვანი თიხისა. წარმოადგენს სამტუჩა ჭურჭლის პირის ნატეხს. 5×4 სმ. აღმოჩნდა უსახელო ბორცვზე, ზღუდესთან. სამტუჩა დოქის ტუჩის ფრაგმენტია. კეცის მიხედვით შეგვიძლია დავათარილოთ ადრე შუა საუკუნეებით (ტაბ. XI; სურ. 6-7)

66-971-1173 დოქი, აგურისფრად გამომწვარი თიხისა, პატარა ზომის, ყური მოტეხილი აქვს. სიგრძე 11 სმ. პირის დიამეტრი 4 სმ. ძირის დიამეტრი 4,5 სმ. აღმოჩნდა უსახელო ბორცვზე, ლ. ჭილაშვილის მიხედვით ფორმა საზიაროა ადრე და განვითარებული შუა საუკუნეებისათვის (ჭილაშვილი, 1991, გვ. 54), ხოლო კეცის მიხედვით შეგვიძლია დავათარილოთ ადრე შუა საუკუნეებით. ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ ანალოგიური ფორმის კერამიკა ასევე დამახასიათებელია არა მხოლოდ ადრე შუა საუკუნეებისათვის, არამედ შედარებით ადრეული პერიოდისათვისაც. N 66-971-1173 ფორმით ძალიან გავს გ. ნარიმანიშვილის მიერ პირველი ქრონოლოგიური ჯგუფისათვის მიკუთვნებულ ჭურჭელს (Нариманишвили, 1991, გვ. 29; таб. VIII 209), (ტაბ. XII; სურ. 1).

66-971-1217 ჭურჭლის ნატეხები, კარგად განლექილი, მუქი ყავისფერი თიხისა, წარმოადგენს მრგვალმუცლიანი ჭურჭლის ყელისა და გვერდის ნატეხს. ყელის ძირზე ორი რელიეფური ხაზი დაუყვება, ყელს კი ამოღარული ზოლები. ჭურჭელი ცეცხლში ყოფილა მოხვედრილი და ადღგენილია. მუცლის ზომა 13×13 სმ. შემთხვევითი მონაპოვარი. დოქი გავს ურბნისში და ლოჭინში აღმოჩენილ ჭურჭელს (ჭილაშვილი, 1964, გვ. 100; აბრამიშვილი, ჭილაშვილი, 1962, გვ. 201) თუმცა განსხვავებულია ზედაპირის შემკობის ხერხები, ამოკაწრული ტალღისებული ხაზების მაგივრად გვაქვს

ჩალისფერი ზედაპირის მოხატვა მუქი წითელი საღებავით/ წერნაქით. თარიღდება V-VI საუკუნეებით (ტაბ. XII; სურ. 2-3).

66-971-1844. ჭურჭლის ნატეხი, წითელკეციანი, სამტუჩა დოქის პირისა და ყელის ნაწილია, ადღენილი, ცეცხლში მოხვედრის კვალი ატყვია. ტიპური ადრე შუა საუკუნეების სამტუჩა დოქის პირია, მსგავს პირიანი დოქები მრავლადაა აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებზე, ურბნისში ამგვარი კერამიკა თარიღდება VI-VIII სს. (ჭილაშვილი, 1964, გვ. 113). შესაბამისად, არემის ცალიც ანალოგიურად უნდა დათარიღდეს (ტაბ. XII; სურ. 4-5).

არემში აღმოჩენილი მასალიდან მრავალფეროვნებით გამოირჩევიან დოქები, იმის გამო, რომ ძირები პრაქტიკულად ყველას ბრტყელი აქვს, მათი დიფერენცირება უნდა მოხდეს კორპუსის და ტუჩის ფორმის მიხედვით. ტუჩის ფორმის მიხედვით გვაქვს ორი ტიპი, მარტივ ტუჩიანი დოქები და სამტუჩა დოქები. პირველი ტიპისათვის დამახასიათებელია ბრტყელი ძირი, მრგვალი ტანი, პირისკენ გაფართოვებული, კონუსური ყელი და მარტივი პირი, ყური მიძერწილია პირსა და მხარზე (N66-971-1173). ამგვარი დოქები დამახასიათებელია როგორც შედარებით ადრეული: ანტიკური და ელინისტური ხანისათვის (Нариманишвили, 1991, გვ. 29; таб. VIII N209), ისე ადრე და განვითარებული შუა საუკუნეებისათვის (ჭილაშვილი, 1991, გვ. 54). დოქების მეორე ტიპისათვის დამახასიათებელია მომრგვალებული, ზოგჯერ ქვემოთ გაფართოვებული მუცელი, ცილინდრული ყელი და სამტუჩა პირი. აღნიშნული ტიპი ასევე შედარებით ადრეულ პერიოდში ჩნდება. განსაკუთრებით პოპულარული ხდება გვიანანტიკურ პერიოდში (სინაურიძე, 1966, გვ. 60-62), ხშირია ადრე შუა საუკუნეებში და თითქმის აღარ გვხვდება განვითარებულ შუა საუკუნეებში, აქედან გამომდინარე სამტუჩა დოქებს გარკვეულწილად დამათრილებელი მნიშვნელობა აქვთ. არემში აღმოჩენილი სამტუჩა დოქების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი, ნამოსახლარის თარიღის მიხედვით, შეგვიძლია ადრე შუა საუკუნეების დასაწყისით - IV-V სს-ით განვსაზღვროთ, ხოლო ზედა ქრონოლოგიური ზღვარი კი, იმის გამო, რომ განვითარებული შუა საუკუნეებში სამტუჩა დოქები პრაქტიკულად არ გვხვდება, IX საუკუნეში უნდა მოვიაზროთ.

ქოთნები

66-971-1361. ჭურჭლის ნატეხი, ღია წითელი, გადანატეხში რუხი ფერის ქოთნის პირგვერდის ნატეხებია, პირი გარეთ აქვს გადმოკეცილი, ყელს შემოუყვება ოთხ რიგად ტალღისებური ორნამენტი. 7,5x5 სმ. 3x5 სმ. ორი ცალი. აღმოჩნდა უსახელო ბორცვზე. ტიპური ქოთნის ნატეხებია, კერამიკის ტალღისებრი ხაზებით შემკობა გავრცელებული მოტივია კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე, თუმცა დამახასიათებელი ორნამენტის, კეცის და ზედაპირის დამუშავების მიხედვით, აღნიშნული ორი ფრაგმენტი შეგვიძლია ადრე შუა საუკუნეებით დავათარიღოთ.

66-971-1944 კოჭობი, ღია წითელკეციანი, მსხლის ფორმის, ზედაპირი ნაპრიალები აქვს, ძირი აკლია, შეკოწიწებულია, სიმაღლე 11 სმ. პირის დიამეტრი 8 სმ. შემთხვევითი მონაპოვარი. პირდაპირი ანალოგი ეძებნება ჭერემში, სადაც ავტორი III-IV სს-ით ათარიღებს (მამაიაშვილი, 2004, ტაბ LII 3).

66-971-1986. ჭურჭლის ნატეხი, წითელი კეცის, თხელკედლიანი, ქოთნის პირგვერდის ნატეხია, 7,5×5 სმ. აღმოჩნდა 17 ჰექტირანზე, ოთხკუთხა ბაკოს გამოძლიან გავს მომცრო ქვევრს. თუმცა ზომების მიხედვით ქოთანია. გავს ვარდციხეში აღმოჩენილ N ვც. 71-44 ქოცოს (ჯაფარიძე, 1989, 68 ტაბ. XII), რომელსაც გამთხრელი VI-VII სს-ით ათარიღებს.

ქოთნები დანიშნულების მიხედვით შეგვიძლია დავყოთ ორ ძირითად კატეგორიად, საღუღარები და შესანახი ქოთნები. საღუღარი ქოთნებისათვის დამახასიათებელია ცეცხლის კვალი და შედარებით გამჭლევებული კეცი. შესანახი ქოთნები კი პირიქით, შედარებით ერთი ფერისაა და ხშირ შემთხვევაში უფრო წმინდა კეცი ახასიათებთ, თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ნიშნები საკმაოდ პირობითია, შესაძლებელია ნაწარმის შესანახ ქოთანს უხეში კეცი ჰქონდეს და პირიქით, ასევე შესაძლებელია კერამიკის მეორადი გამოწვა ხანძრის შედეგად, ასე რომ ზემოთ აღნიშნული ნიშნები რომელიმე ჯგუფისთვის ცალსახად დამახასიათებელი არ არის. ქოთნები, ჩვენ მიერ აღრე შუა საუკუნეებისადმი მიკუთვნებულ მასალას შორის, ყველაზე მცირერიცხოვანი ჯგუფია, ამის მიზეზი რამდენიმეა, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ქოთნების ერთგვაროვნება და ფორმების კონსერვატორულობა; იმის გამო, რომ ქოთნები, პირველ რიგში, უტილიტარული დანიშნულებისაა, მათი ფორმების ცვლილება ნელა ან საერთოდ არ ხდება. ერთნაირი ან თითქმის ერთნაირი ფორმის ქოთნები შეიძლება ეკუთვნოდეს სხვადასხვა პერიოდს, ამიტომ არეშის ნამოსახლარზე აღმოჩენილი ქოთნების დიდი ნაწილის ზუსტი დათარიღება ჩვენ მიერ ვერ მოხერხდა.

დასკვნა

არეშის ნაქალაქარზე აღმოჩენილი კერამიკის საერთო სიმრავლეში გვხვდება როგორც გვიანი და განვითარებული, ისე აღრე შუა საუკუნეებით დათარიღებული კერამიკა. ნაქალაქარზე აღმოჩენილი მასალა მრავალფეროვანია და მოიცავს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს, მათ შორის ჩვენთვის საინტერესო - სუფრის კერამიკასაც. აღრე შუა საუკუნეების კერამიკული სუფრის ჭურჭელი თავისი მახასიათებლებით განსხვავდება, ერთი მხრივ, აღრეული - ანტიკური ხანის კერამიკისგან, ხოლო მეორე მხრივ, განვითარებული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მასალისაგან, თავის მხრივ, აღრე შუა საუკუნეების სუფრის კერამიკაშიც გვხვდება განსხვავებული ფორმები, რაც გამოწვეულია მათი განსხვავებული ფუნქციით. ეს გარემოებები აუცილებლად გასათვალისწინებელია კერამიკის დათარიღებისას.

არეშში აღმოჩენილი აღრე შუა საუკუნეების ჭურჭელი წარმოადგენს კერამიკას, რომლიც დამახასიათებელია აღრე შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოსათვის. არეშში აღმოჩენილ კერამიკას პარალელური მასალა ეძებნება როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სხვა სინქრონულ ძეგლებზე (ჭერემი, ურბნისი, დედოფლის გორა), ასევე დასავლეთ საქართველოში (ვარციხე) და საქართველოს ფარგლებს გარეთ (ნიშპური). ნაქალაქარზე აღმოჩენილია სასუფრე კერამიკის ყველა ძირითადი სახეობა, ქოთან, ჯამი, ღოქი. თავის მხრივ, თითოეულ ამ სახეობაში გამოიყოფა რამოდენიმე ტიპი. კერამიკის ამგვარი მრავალფეროვნება ნაქალაქარის საკმაოდ მაღალ მატერიალურ დონეზე მიუთითებს, ამასთან საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ძეგლებზე

ჩრდილო ირანიდან თუ ჩრდილო შავი ზღვისპირეთიდან იმპორტირებული კერამიკის გამოჩენა რიგითი მოვლენაა, რადგან ადრე შუა საუკუნეებში საერთაშორისო სავაჭრო გზები უკვე დიდი ხანია მოქმედებს და ქართლის სამეფოც ამ საერთაშორისო ვაჭრობის ნაწილია.

გამოყენებული ლიტერატურა

ბერი ეგნატაშვილი. (1959). *ახალი ქართლის ცხოვრება*. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ტომი II. თბილისი.

ევლია ჩელები. (1971). *მოგზაურობის წიგნი*. მთარგ. ვ. ფუთურიძე. თბილისი.

ვახუშტი ბატონიშვილი. (1973). *ადწერა სამეფოის საქართველოსა*. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ტომი IV. თბილისი.

ლეონტი მროველი. (1955). *ცხოვრება ქართულთა მეფეთსა და პირველთგან მამათა და ნათესავთა*. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ტომი I. თბილისი.

ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. (1969). გამომცემელი ვ. ფუთურიძე. თბილისი.

თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები 1577-1581 წწ. (1987). გამოსცა ე. მამისთვალაშვილმა. თბილისი.

ქართულის ისტორიული საბუთების კორპუსი. (1984). შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ. ნ. შოშიაშვილმა. ტომი I. თბილისი.

მამიაშვილი, ნ. (2004). *ქალაქი ჭრეში*. თბილისი.

ჭილაშვილი, ლ. (1991). *არეში*. თბილისი.

ჭილაშვილი, ლ. (1964). *ნაქალაქარი ურბნისი*. თბილისი.

ჯაფარიძე, ვ. (1989). *ვარდციხის ნაქალაქარი*. თბილისი.

ჯაფარიძე, ვ. (1956). *კერამიკული წარმოება XI-XIII სს საქართველოში*. თბილისი.

აბრამაშვილი, რ., ჭილაშვილი, ლ. (1962). *ლოჭინის ნასოფლარის არქეოლოგიური შესწავლა*. აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIII-B. თბილისი.

სინაურიძე, მ. (1966). *ადმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკა*. მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. I. გვ. 39-89. თბილისი.

Хариманашвили, Г. (1991). *Керамика Картли V-I в до нашей эры*. Тбилиси.

Wilkinson, Ch. (1793). *Nishapur pottery of early islamic period*.

Iberia and Rome. (2008). Excavation of the Palace at Dedoflis gora and the Roman influence in the Caucasian Kingdom of Iberia. Langenweibach.

ტაბულების აღწერილობა

ჯამები.

ტაბულა I.

სურ. 1. 66-971-354; სურ. 2. 66-971-361; სურ. 3-4. 66-971-388; სურ. 5. 66-971-416; სურ. 6. 66-971-423; სურ. 7-8. 66-971-428.

ტაბულა II.

სურ. 1. 66-971-617; სურ. 2. 66-971-630; სურ. 3-4. 66-971-659; სურ. 5-6. 66-971-747.

ტაბულა III

სურ. 1-2. 66-971-892; სურ. 3. 66-971-998; სურ. 4-5. 66-971-999. სურ. 6. 66-971-1004.

ტაბულა IV

სურ. 1-3. 66-971-1056; სურ. 4-6. 66-971-1115.

ტაბულა V

სურ. 1-3. 66-971-1141; სურ. 4-5. 66-971-1257; სურ. 6-8. 66-971-1268.

ტაბულა VI

სურ. 1-2. 66-971-1351; სურ. 3-5. 66-971-1359; სურ. 6-8. 66-971-1370.

ტაბულა VII

სურ. 1-2. 66-971-1413; სურ. 3-4. 66-971-1480

ტაბულა VIII

სურ. 1. 66-971-1530; სურ. 2-3. 66-971-1588; სურ. 4-6. 66-971-1606.

ტაბულა IX

სურ. 1-2. 66-971-1714; სურ. 3-6. 66-971-1854.

ტაბულა X

სურ. 1-2. 66-971-1877; სურ. 3-4. 66-971-1936; სურ. 5-7. 66-971-1945.

ტაბულა XI

სურ. 1. 66-971-448; სურ. 2. 66-971-554; სურ. 3. 66-971-578; სურ. 4. 66-971-701; სურ. 5. 66-971-767; სურ. 6-7. 66-971-1100.

ტაბულა XII


სურ. 1. . 66-971-1173; სურ. 2-3. 66-971-1217. სურ. 4-5 . 66-971-1844




ტაბ. I.




ტაბ. II.



ტაბ. III.



ტაბ. IV.



ტაბ. V.



ტაბ. VI.




ტაბ. VII.



ტაბ. VIII.



ტაბ. IX.



ტაბ. X.



ტაბ. XI.



ტაბ. XII.

Early Medieval tableware found at Archaeological site Areshi

*Soziashvili Irakli,
Otar Lortkipanidze Archaeological Research Center
of the National Museum of Georgia
silmarili@yahoo.com*

Summary

The presented paper provides an attempt of the author to separate and date part of the ceramics excavated in the Areshi settlement in 1973-82, which could be dated as the early medieval period. Areshi settlement is located in the eastern part of Georgia, in Kvareli municipality, on the upper part of the river Areshi, on the territory of the modern village Mtisdziri. In 1973-82 Simon Janashia Georgian State Museum excavated. Areshi Settlement on the territory of this village. The results of the excavations were published in the monograph of Ievan Chilashvili "Areshi" in 1991. Nevertheless, the ceramics found are not perfectly divided according to layers and time periods, and a large part of the ceramic was not photographed. In the following article, we chose part of the ceramics from the general set of materials, which we believe belongs to the early medieval period. We have also identified parallel materials and photographed them. In total,

we chose 49 fragments out of which nine are jugs, three pots, and thirty-one bowls, minor part of the materials don't have clear morphological characteristics and their dating is based on color, clay, and surface treatment. Characteristics of early medieval ceramics are different from both ceramics of the earlier period and the later-high medieval period. Ceramics of the same period differs from one another by their nature of usage: tableware and kitchen ceramics had different colors, composition, and levels of burn. It is noteworthy that kitchenware could have double usage. In addition to dating with morphological signs, we tried to date by searching for parallel materials. Such materials were found not only in early medieval monuments excavated in Georgia, but also several outside the country, which is easily explained by the involvement of the Kingdom of Kartli in regional and international trade.

Plate description

Bowls

Plate I

Pic. 1. 66-971-354; Pic. 2. 66-971-361; Pic. 3-4. 66-971-388; Pic. 5. 66-971-416; Pic. 6. 66-971-423; Pic. 7-8. 66-971-428.

Plate II

Pic. 1. 66-971-617; Pic. 2. 66-971-630; Pic. 3-4. 66-971-659; Pic. 5-6. 66-971-747.

Plate III

Pic. 1-2. 66-971-892; Pic. 3. 66-971-998; Pic. 4-5. 66-971-999. Pic. 6. 66-971-1004.

Plate IV

Pic. 1-3. 66-971-1056; Pic. 4-6. 66-971-1115.

Plate V

Pic. 1-3. 66-971-1141; Pic. 4-5. 66-971-1257; Pic. 6-8. 66-971-1268.

Plate VI

Pic. 1-2. 66-971-1351; Pic. 3-5. 66-971-1359; Pic. 6-8. 66-971-1370.

Plate VII

Pic. 1-2. 66-971-1413; Pic. 3-4. 66-971-1480.

Plate VIII

Pic. 1. 66-971-1530; Pic. 2-3. 66-971-1588; Pic. 4-6. 66-971-1606

Plate IX

Pic. 1-2. 66-971-1714; Pic. 3-6. 66-971-1854.

Plate X

Pic. 1-2. 66-971-1877; Pic. 3-4. 66-971-1936; Pic. 5-7. 66-971-1945.

Plate XI

Pic. 1. 66-971-448; Pic. 2. 66-971-554; Pic. 3. 66-971-578; Pic. 4. 66-971-701; Pic. 5. 66-971-767; Pic. 6-7. 66-971-1100.

Plate XI

Pic. 1. . 66-971-1173; Pic. 2-3. 66-971-1217. Pic. 4-5 . 66-971-1844

ფენომენების სისტემატიზაცია პრეისტორიულ არქეოლოგიაში – კლასიფიკაცია, ტიპოლოგია, განხორციელება, პრაქტიკული გამოყენება და მნიშვნელობა

*ჭაბაშვილი ლევან,
საქართველოს უნივერსიტეტი
l.tchabashvili@ug.edu.ge*

შესავალი

ჟურნალ არქეოლოგიის წინა, მეოთხედიერში განვიხილეთ პრეისტორიულ არქეოლოგიაში ფენომენების სისტემატიზაციის თეორიული საფუძვლები, არქეოლოგიური ძეგლებისა და არქეოლოგიური მონაპოვრების კლასიფიკაცია/ტიპოლოგიის ძირითადი პრინციპები. წინამდებარე სტატია ამ საკითხის გაგრძელებას წარმოადგენს. მოკლედ განვიხილავთ ამ პრობლემის მდგომარეობას ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში და შევეცდებით წარმოვადგინოთ საკუთარი მოსაზრებები მისი განხორციელებისა და პრაქტიკული გამოყენების შესახებ. საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც პრეისტორიულ არქეოლოგიაში ნებისმიერი კვლევის განხორციელების დროს, რომელიც მიზნად ისახავს არქეოლოგიური მონაპოვრების თუ არქეოლოგიური ძეგლების შესწავლას, თავისთავად, დღის წესრიგში დგება მათი სისტემატიზაციის აუცილებლობა.

საკითხი ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვენთვის უცნობია სპეციალური გამოკვლევა, რომელიც შეეხება პრეისტორიულ არქეოლოგიაში კლასიფიკაცია/ტიპოლოგიის თეორიული საფუძვლების შემუშავებას. სამეცნიერო პუბლიკაციების უმრავლესობაში, რომელიც მიზნად ისახავს არქეოლოგიური მონაპოვრების ან არქეოლოგიური ძეგლების გარკვეულწილად „მოწესრიგებას“, მათი სისტემატიზაცია, ტიპებად და კლასებად დაყოფა ან გაერთიანება, როგორც წესი, სუბიექტური მოსაზრებებიდან გამომდინარე ხდება. მათი განხორციელების მიზნები, მეთოდები და გზები სხვადასხვა პუბლიკაციებში, ხშირ შემთხვევაში, განსხვავებულია. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

ო. ჯაფარიძე კოლხური ცულების შესწავლისას გამოიყენებდა შემდეგ ტერმინებს: „ტიპოლოგიური კლასიფიკაცია“, „ტიპოლოგია“, „კლასიფიკაცია“, „ტიპობრივი განხილვა“, „დაჯგუფება“ (ჯაფარიძე, 1950, გვ. 39-41). 1950 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში მან განიხილა სხვა ავტორების მიერ განხორციელებული კოლხური ცულების კლასიფიკაცია / ტიპოლოგიის ყველა მცდელობა და დაასკვნა, რომ კოლხური

ცულების დაჯგუფების მრავალი ცდა წარუმატებლად დასრულდა. ამის გამო, ის შეეცადა თავიდან შეემუშავებინა განსხვავებული კლასიფიკაცია. კოლხური ცულები მან სამ ტიპად დაყო, აქედან I და II ტიპებში ცალკეა წამოდგენილი მათი თითო ქვეტიპი. ტიპების გამოყოფის საფუძველი ცულის მოყვანილობა, მისი ფორმაა. ეს მომენტი იქნა მიჩნეული ყველაზე არსებითად. I ტიპის ცულების ძირითადი ნიშნებია: შვეტილი ტანი, მახვილი ყუა და თითქმის სიმეტრიული მოყვანილობის პირი. სხვა ნიშნებია: მაღალი ყუა, რომელიც თავისაკენ თანდათანობით ფართოვდება, ყუა დაანებულია პირის უკანა ნიღრისკენ, სატარე ხვრელს წვეტიან-ოვალური მოყვანილობა აქვს და ა.შ.

I₁ ქვეტიპში გაერთიანებული ცულები იმავე ნიშნებით ხასიათდება: შვეტილი ტანი, მახვილი ყუა და გორდა პირი, თუმცა, რიგი ნიშნებით და მოყვანილობით მაინც განსხვავდება ძირითადი ტიპისგან. ეს ნიშნებია, მაგალითად: 1. ამ ცულების ყუა უფრო დაბალია ვიდრე ძირითადი ტიპის ცულების, 2. სატარე ხვრელი ძირითად ტიპთან შედარებით გრძელია, სიმაღლით კი უფრო ნაკლები, 3. კაჩასა და სატარის ძირზე შექმნილი ქიმიისებური შვერილი - ცულის „იღლია“, რომელიც ყველა ეგზემპლარზე, გარდა ერთისა, მკვეთრადაა გამოსახული, 4. არ გვხვდება ამ ქვეტიპის შემკული ცულები და ა.შ.

II ტიპის ცულებისთვის ყველაზე არსებით თავისებურებას წარმოადგენს დაწახნაგებული ყუა, შვეტილი შუბლი და გორდა, ძლიერ ასიმეტრიული პირი.

II₁ ქვეტიპის ერთადერთი არსებითი თავისებურება, რითაც იგი განსხვავდება ძირითადი ტიპისგან, ის არის, რომ მას მახვილი ყუა აქვს, თორემ სხვა მხრივ სრულიად ისეთივეა. ყუით იგი უფრო I ტიპს უახლოვდება. აქაც გვხვდება როგორც მოზრდილი, ისე უფრო მომცრო ზომის ეგზემპლარები.

კოლხური ცულების ო.ჯაფარიძის მიერ გამოყოფილ II ტიპში ერთიანდება ერთი მხივ მომცრო ზომის, მოხდენილი და ლამაზი, ზოგჯერ ორნამენტირებული ცულები, ხოლო მეორე მხრივ, უფრო მოზრდილი მძიმე და ტლანქი, ყოველთვის სადა ცულები. პ. უვაროვასთვის ეს მომენტი საკმარისი იყო იმისთვის, რომ ეს ცულები ორ ტიპად დაეყო. ო. ჯაფარიძე კი აღნიშნავს, რომ ცულები მხოლოდ ზომით და წონით განსხვავდება ერთმანეთისგან, თორემ სხვა მხრივ სრულიად ერთნაირია. საფიქრებელია, რომ ისინი ფუნქციით მართლაც განსხვავდებოდნენ, მოზრდილი ცულები სამუშაოდ, ხოლო მომცრო ცულები საომრად ან სხვა რაიმე დანიშნულებისთვის გამოყენებოდა. მიუხედავად ამისა, ის საჭიროდ არ თვლის ცულების ზომის და წონის და შესაძლო განსხვავებული დანიშნულების საფუძველზე სხვადასხვა ტიპებად დაყოფას.

III ტიპის არსებითი განმასხვავებელი ის არის, რომ მას მრუდე, არასწორი ტანი ახასიათებს. ტანი ორგზისაა მოღუნული. სატარეში ჩაღუნულია და წელში ამოღუნული. ყუა საკმაოდ მაღალია, ხვრელს ზემოთ ყუა ყელს იკეთებს და მთავრდება ოთხწახნაგა თავით. ამ ცულების თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ თითქმის ყველა ცულის ზედაპირი შემკულია ამოკაწრული ორნამენტით. არ გვხვდება ამ ტიპის არც მოზრდილი და არც მინიატურული ცული.

ამრიგად, თუ შევაჯამებთ, ო. ჯაფარიძე კოლხურ ცულებს სამ ტიპად ყოფს. დაყოფის საფუძველია ცულის მოყვანილობა, მისი ფორმა. ტიპებად დაყოფისას არ

არის გაითვალისწინებული ისეთი მომენტები, როგორცაა ცულის ზომა და წონა, მისი დანიშნულება, ორნამენტირებულია თუ არა ცული და ა.შ. ტიპებად დაყოფისთვის საკმარისად არის მიჩნეული ერთი ნიშანი. ამ შემთხვევაში - ტანის ფორმა (ჯაფარიძე, 1950, გვ. 41-79).

იგივე კოლხური ცულების ტიპოლოგიის ერთ-ერთი ბოლო კვლევა წარმოდგენილია ლ. სახაროვას 1998 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში. ავტორს საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა აქვს შემოთავაზებული. მის მიხედვით, ნივთების ტიპოლოგიური დაჯგუფება, რომელთა არსებობა დიდი ხანგრძლივობით განისაზღვრება და ამავე დროს ჩანს ფორმის ევოლუციური განვითარებაც, უნდა დაიწყოს მათი საბოლოოდ ჩამოყალიბებული ფორმიდან, მათი განვითარების ბოლო ეტაპიდან და წავიდეს ქრონოლოგიური დაღმავლობით, ანუ ბოლოდან დასაწყისისკენ. ნივთების ვარიანტების ამგვარი დალაგება ითვისალისწინებს მათ გენეტიკას და ქრონოლოგიურ ასპექტსაც.

ლ. სახაროვას მიხედვით კოლხურ ცულებში გამოიყოფა ექვსი ტიპი. დაყოფის საფუძველია ცულის სამი ძირითადი ნაწილის - ყუის, ტანის და პირის სხვადასხვა კომბინაცია ანუ ამ ნაწილების მორფოლოგიური ნიშან-თვისებები. ისეთი ნიშნები კი როგორცაა სატარე ხვრელის მოყვანილობა და ნიღრების მეტნაკლები სიმადლე მას არ მიაჩნია ტიპოლოგიური ხასიათის ნიშნებად. ლ. სახაროვას მიხედვით კოლხური ცულის არსებობა ქრ. შ-მდე XV-VII/VI საუკუნეებით განისაზღვრება. ქრ. შ-მდე XI საუკუნისათვის დასრულდა კოლხური ცულის ვარიანტებად ჩამოყალიბება. ამის შემდეგ მას არსებითი ცვლილებები აღარ განუცდია.

ამრიგად, კოლხური ცულების ტიპოლოგიის შესახებ წარმოდგენილია ახალი ხედვა, რომლისმიხედვით ქრონოლოგიური ასპექტის შესწავლა წინა პლანზეა წამოწეული. ტიპებად გამოყოფა ხორციელდება არა ერთი რომელიმე ნიშნის, არამედ ნიშანთა კომბინაციის საფუძველზე (სახაროვა, 1998, გვ. 34-36).

პრეისტორიული ხანის არტეფაქტების სხვა სახეობის - თრიალეთის კულტურის ლითონის შუბისპირების ტიპოლოგიის საინტერესო და მნიშვნელოვანი ცდაა განხორციელებული ზ. შერაზადიშვილის 2011 წ. გამოქვეყნებულ სტატიაში. ავტორი ამ კულტურის შუბისპირებს ექვს ტიპად და ოთხ ქვეტიპად ყოფს, შეისწავლის თითოეული ტიპის ტერიტორიულ და ნაწილობრივ ქრონოლოგიურ გავრცელებას. ტიპებად და ქვეტიპებად დაყოფის საფუძველია არტეფაქტების დამახასიათებელი ნიშნების კომბინაციები: შუბისპირების პირის, მხრების და ქედის ფორმა და სხვა. (შერაზადიშვილი, 2011, გვ. 63-85).

ამრიგად, როგორც ქართული სამეცნიერო ლიტერატურის განხილვა გვაჩვენებს კლასიფიკაცია/ტიპოლოგიის მცდელობები, როგორც წესი, მიმართულია კონკრეტული სამეცნიერო პრობლემის შესწავლისთვის. ეს შეიძლება იყოს არტეფაქტების ტერიტორიული და ქრონოლოგიური გავრცელება თუ სხვა.

კლასიფიკაცია/ტიპოლოგიისთვის გეომეტრიული ორგანოზომილებიანი მორფოლოგიის საფუძველად გამოყენება უკანა პლანზე წევს სხვა, მაგალითად, ფუნქციონალური ანალიზის შესაძლებლობას.

ბრინჯაოს ხანის ლითონის არტეფაქტებთან შედარებით უფრო იშვიათად გვხვდება ამავე პერიოდის კერამიკული ნაწარმის კლასიფიკაცია/ტიპოლოგიის მცდელობები, მსჯელობა მათი განხორციელების მიზნებზე, მეთოდებსა და გზებზე. ეს ეხება როგორც უცხოურ, ასევე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურასაც.

აღსანიშნავია, რომ, ხშირად, არც თანამედროვე უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება ნაშრომები, რომლებშიც პრეისტორიული ხანის ძეგლების ან არტეფაქტების კლასიფიკაცია/ტიპოლოგიის განხორციელების მიზნები და მეთოდებია განმარტებული და მათი საფუძვლებია შემუშავებული.

ფაქტია, რომ ისეთი ფუნდამენტური პუბლიკაციების სერიაშიც კი როგორცაა პრეისტორიული ხანის ბრინჯაოს არტეფაქტები (Prähistorische Bronzefunde - PBF), რომელიც მიზნად ისახავს ბრინჯაოს არტეფაქტების ფართომასშტაბიან პუბლიკაციას, მიდგომა ამ საკითხის (კლასიფიკაცია/ტიპოლოგიის) მიმართ სხვადასხვა ტომებში განსხვავებულია, რაც გაკრიტიკებული იქნა მ. კ. ჰ. ეგერტის მიერ (Eggert, 2012, გვ. 133–139).

თუმცა, ამასთან ერთად გვხვდება გამოკვლევები, სადაც პრეისტორიული ხანის არტეფაქტების კლასიფიკაცია /ტიპოლოგიის პრინციპების შემუშავების მცდელობებია წარმოდგენილი. ასეთ ნაშრომს წარმოადგენს, მაგალითად, ნ. ბოროფკას ნაშრომი ვიტენბერგის კულტურის (შუაბრინჯაოს ხანა, თანამედროვე რუმინეთის ტერიტორია ლ.ქ.) შესახებ, სადაც ავტორი აღნიშნული კულტურის არქეოლოგიური მონაპოვრების სრულ სპექტრს განიხილავს. თიხის ჭურჭელი იყოფა სახეობებად, ტიპებად, ვარიანტებად და ქვევარიანტებად. სახეობებად დაყოფის საფუძველია ე.წ. პროპორციის ინდექსი, რაც ჭურჭლის სიმაღლის პირის დიამეტრთან შეფარდებაა. მაგალითად, ქოთანს წარმოადგენს 1,0 - ზე ნაკლები ინდექსის მქონე ჭურჭელი. თითოეული სახეობის ჭურჭელში ზომის მიხედვით ხდება დიფერენცირება: დიდი, საშუალო და მცირე ზომის ჭურჭელი და ა.შ. (Boroffka, 1994, გვ. 119-179).

მოსაზრებები პრეისტორიული არქეოლოგიური ძეგლებისა და არქეოლოგიური მონაპოვრების სისტემატიზაციის შესახებ

ამრიგად, როგორც სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვიდან ვნახეთ, პრეისტორიულ არქეოლოგიაში, კერძოდ კი საქართველოს ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიაში, კვლევის თანამედროვე ეტაპზე, კლასიფიკაცია/ტიპოლოგიის პრინციპების შემუშავებისთვის სპეციალური გამოკვლევები არ გვაქვს. ეს პროცესი, ხშირად, ხორციელდება სუბიექტური მოსაზრებებიდან გამომდინარე. მათი განხორციელების მიზნები, მეთოდები და გზები სხვადასხვა პუბლიკაციებში განსხვავებულია.

უკანასკნელ წლებში საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობისას მეც მომიხდა შეხება ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლებისა და მონაპოვრების კლასიფიკაცია/ტიპოლოგიის განხორციელების საჭიროებასთან. საქმე ეხებოდა შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთის კულტურის ძეგლებისა და მონაპოვრების შესწავლას. არქეოლოგიური მონაპოვრების ნაწილი სხვადასხვა მუზეუმებში იქნა შესწავლილი, ნაწილი კი მხოლოდ პუბლიკაციების სახით იყო ხელმისაწვდომი.

არქეოლოგიური ძეგლების შესახებ მონაცემები გამოქვეყნებული პუბლიკაციების მიხედვით იქნა თავმოყრილი და შესწავლილი. თრიალეთის კულტურის სამარხები პირველ ეტაპზე დაიყო გორასამარხებად და ორმოსამარხებად. შემდგომ ეტაპზე გორასამარხები დაიყო ორმოიან და უორმოო გორასამარხებად და ა.შ. აღმოჩნდა, რომ სამარხის ცალკეულ ფორმებს სამარხეული ინვენტარის განსაზღვრული სახეობები უკავშირდება (ტაბ. I), (ჭაბაშვილი, 2016, გვ. 371-387).

თრიალეთის კულტურის არქეოლოგიური მონაპოვრები პირველ ეტაპზე დაიყო იმის მიხედვით, თუ რა მასალისგანაა დამზადებული ისინი, შესაბამისად, გვაქვს თიხის, ლითონის, ქვის და სხვა მასალისგან დამზადებული ნივთები. თიხის არტეფაქტებს შორის ყველაზე დიდი რაოდენობით წარმოდგენილია ჭურჭელი. ის, პირველ ეტაპზე, იყოფა (გათვალისწინებულია *პროპორციის ინდექსიც*) შემდეგ სახეობებად: ღერგი, ქოთანის, ჯამი, ბადია, სასმისი და სხვა. ამის შემდეგ განხორციელდა თითოეული სახეობის ტიპებად დაყოფა. მაგალითად, ღერგი დაიყო ოთხ ტიპად. ტიპის გამოყოფის საფუძველია კორპუსის ფორმა. პირველი ტიპის ღერგებისთვის ბიკონუსური ფორმის კორპუსია დამახასიათებელი. შემდგომ ეტაპზე პირველი ტიპის ღერგები, ჭურჭლის ყელის ფორმის მიხედვით, სამ ვარიანტად (1a, 1b, 1c) იყოფა. დაყოფის შემდგომ ეტაპზე, ჭურჭლის პირის ფორმის მიხედვით, 1a ვარიანტის ღერგები იყოფა ორ ქვევარიანტად (1a1 და 1a2). გათვალისწინებულია ასევე მათი ზომაც. გვაქვს მცირე (25 სმ. მდე), საშუალო (25-40 სმ.) და დიდი ზომის (40 სმ. ზე მეტი) ღერგები. საბოლოოდ 561 ერთეული ღერგი 22 ჯგუფში გაერთიანდა.

ასეთივე სახით იქნა შესწავლილი ლითონის არტეფაქტებიც. შუბისპირები მაგალითად, ორ ტიპად იყოფა: მასრაგახსნილი და მასრაშეკრული. თვითოეულ ტიპში კი ვარიანტებად დაყოფა სხვა ნიშნების მიხედვით ხდება (ტაბ. II), (Tchabashvili, 2017, გვ. 51-197).

ამრიგად, არქეოლოგიური მონაპოვრების ტიპებად დაყოფა ხორციელდება მნიშვნელოვნად მიჩნეული ერთი ნიშნის მიხედვით. თიხის ჭურჭლის შემთხვევაში ეს არის კორპუსის ფორმა, შუბისპირის შემთხვევაში მასრის კონსტრუქცია და ა.შ. შემდგომ ეტაპებზე (ვარიანტი და ქვევარიანტი) დაყოფა ხორციელდება არტეფაქტის სხვა მორფოლოგიური ნიშნების გათვალისწინებით, ანუ უკვე ნიშნების კომბინაციის საფუძველზე. თიხის ჭურჭლის სახეობებად დაყოფის დროს გათვალისწინებულია *პროპორციის ინდექსი* - სიმაღლის შეფარდება პირის დიამეტრთან. თიხის ჭურჭლის ტიპების დახასიათება ხდება გეომეტრიულ ფიგურებთან შედარების გზით. ნებისმიერი არქეოლოგიური მონაპოვრის ჯგუფის ტიპებად დაყოფის დროს გათვალისწინებულია მათი ზომები და პროპორციები.


დასკვნა

თანამედროვე ეპოქაში, როდესაც არქეოლოგიაში სულ უფრო ფართოდ გამოიყენება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიღწევები, როდესაც არქეოლოგიაში კვლევის საგანი ხდება სულ უფრო კონკრეტული საკითხები, ბუნებრივად ჩნდება კითხვა – კიდევ არის თუ არა საჭირო შემუშავებული იქნეს არქეოლოგიური ძეგლებისა და მონაპოვრების კლასიფიკაცია, მათი ტიპებად, ქვეტიპებად და ა.შ. დაყოფა და რა გამოყენება შეიძლება ჰქონდეს მას.


პრეისტორიულ არქეოლოგიაში კლასიფიკაცია /ტიპოლოგიის გზით შესასწავლი არასტრუქტურირებული მასალა ხდება სტრუქტურირებული. მხოლოდ ამ გზით მოიპოვებს არქეოლოგია ადეკვატურ სურათს მის მიერ შესასწავლი მასალის სახესხვაობების შესახებ. ნებისმიერი არქეოლოგიური მონაპოვრის ნებისმიერი თავისებურების წარმომობას თავისი კონკრეტული საფუძველი შეიძლება გააჩნდეს. ისეთი საკითხების კვლევა, როგორცაა რომელიმე არქეოლოგიური კულტურის ლოკალური ვარიაციები, დროსა და სივრცეში განხორციელებული ცვლილებები მხოლოდ ამ გზით, სისტემური მიდგომებით შესწავლილი წყაროების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს.

პრეისტორიულ არქეოლოგიაში, კერძოდ კი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მონაპოვრების კლასიფიკაცია/ტიპოლოგიისას უფრო მეტად სუბიექტური დამოკიდებულება იჩენს თავს.

კვლევის თანამედროვე ეტაპზე პრეისტორიული არქეოლოგიური ფენომენების სისტემატიზაციის უნიფიცირებული წესების შემუშავება შეუძლებელი ჩანს, თუმცა გარკვეული საერთო სტანდარტების შემუშავება მაინც დასაშვებია. ასეთი პრინციპები შეიძლება იყოს, მაგალითად, თიხის ჭურჭლის სახეობებად დაყოფის დროს *პროპორციის ინდექსის* (სიმალის შეფარდება პირის დიამეტრთან) გამოყენება. ასევე სხვა არტეფაქტების განხილვისას ცალკეული კომპონენტების პროპორციების ურთიერთმიმართებაზე დაკვირვება და ამის საფუძველზე განსაზღვრა, რომელი კომპონენტია „დიდი“ ან „პატარა“. თიხის ჭურჭლის თუ სხვა არტეფაქტების ფორმების აღწერისას უპირატესობის მინიჭება გეომეტრიულ ფიგურებთან შედარებისთვის და სხვა მსგავსი მარტივი პრინციპი, რომლებიც ხელს შეუწყობს კვლევის განხორციელებას და მისთვის სისტემური ხასიათის მიცემას.



ტაბ. 1.



ტაბ. II.

გამოყენებული ლიტერატურა

სახაროვა, ლ. (1998). *კიდევ ერთხელ კოლხური ცულების ტიპოლოგიის შესახებ*. ძიებანი 1. თბილისი. გვ. 34–42.

შერაზადიშვილი, ზ. (2011). სამხრეთ კავკასიის თრიალეთის კულტურის შუბის პირების ტიპოლოგია და მათი გავრცელების არეალები. *არქეოლოგიური კრებული I. პროფ. ს. მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი*. გორი. გვ. 63-87.

ჭაბაშვილი, ლ. (2016). თრიალეთის კულტურის სამარხის ფორმები და მათი ინვენტარის თავისებურებები. *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია*. ტ. XV. თბილისი. გვ. 379-401.

ჯაფარიძე, ო. (1950). კოლხური ცული. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XVI-B*. თბილისი. გვ. 35–89.

Boroffka, N.G.O. (1994). Die Wietenberg-Kultur. Ein Beitrag zur Erforschung der Bronzezeit in Südeuropa. *Universitätsforschungen zur prähistorischen Archäologie*. Band 19. Bonn.

Eggert, M. K. H. (2012). *Prähistorische Archäologie*. Konzepte und Methoden. Tübingen.

Tchabashvili, L. (2017). *Die Trialeti-Kultur*. Zur Erlangung des Doktorgrades eingereicht am Fachbereich Geschichts- und Kulturwissenschaften der Freien Universität Berlin. Berlin.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. 1. თრიალეთის კულტურის გორასამარხების კლასიფიკაცია.

ტაბ. 2. თრიალეთის კულტურის ღერგების კლასიფიკაცია.

Systematization of phenomena in prehistoric archaeology – classification, typology. Implementation, practical application and significance

*Tchabashvili Levan
The University of Georgia
l.tchabashvili@ug.edu.ge*

Summary

This article continues the discussion from the article published in the fourth issue of the Journal of Archaeology. It covers the issue of classification / typology in Georgian and international scientific literature, and also presents the author's own insights on their implementation and practical application. This is particularly relevant, due to the fact that during the implementation of any research in prehistoric archaeology that aims to study archaeological finds or sites, the issue of their systematization is on the agenda.

In prehistoric archaeology, the process of transforming unstructured material into structured knowledge is achieved through classification and typology. This approach is essential for archaeology to form a comprehensive understanding of the materials it studies. Each characteristic of an archaeological find may have its unique origin. Exploring aspects such as local variations in an archaeological culture or changes over time and space is feasible only with this kind of systematic approach to the sources.

In prehistoric archaeology, particularly in Bronze Age archaeology, the classification/typology of archaeological finds often involves a more subjective approach.

At the current stage of research, it seems impossible to develop unified rules for systematizing prehistoric archaeological phenomena, although it's still possible to develop certain common standards. For instance, using a proportion index (the ratio of height to diameter of the mouth) for categorizing pottery types can be one such standard. Similarly, when examining other artefacts, observing the relationship between the proportions of individual components and determining which component is "large" or "small" based on this. When describing the shapes of pottery or other artefacts, preference should be given to comparisons with geometrical figures and other similar simple principles that will facilitate the execution of research and give it a systematic character.

List of Illustrations

Fig. 1. Classification of burial mounds of Trialeti Culture.

Fig. 2. Classification of pithoi of Trialeti Culture.

რუბრიკა

პრეპტი

საქართველოს უნივერსიტეტისა და გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ერთობლივი კვლევები სამშვილდის პრეისტორიულ ძეგლზე

*ჭაბაშვილი ლევან,
საქართველოს უნივერსიტეტი
l.tchabashvili@ug.edu.ge*

შესავალი

საქართველოს უნივერსიტეტი 2019 წლიდან თანამშრომლობს გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტთან. თანამშრომლობა ხორციელდება გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის მიერ მიღებული ევროპული კვლევების საბჭოს გაუმჯობესებული გრანტის 834616 – ARCHCAUCASUS „ტექნიკური და სოციალური ინოვაციები კავკასიაში: ევრაზიის სტეპებსა და უადრეს ქალაქურ ცივილიზაციებს შორის ქრ. შ. მდე IV-III ათასწლეულებში (ERC-Advanced Grant 834616 — ARCHCAUCASUS ((Technical and Social Innovations in the Caucasus: between the Eurasian Steppe and the Earliest Cities in the 4th and 3rd millennia BC.))“ ფარგლებში. შესწავლის ობიექტია მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარი და სამაროვანი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ სამშვილდეში.

პროექტის შესახებ

ევროპული კვლევების საბჭოს გრანტი მოიპოვა გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ევრაზიის განყოფილების დირექტორმა პროფ. ს. ჰანზენმა. პროექტის განხორციელება დაიწყო 2019 წლის 1 ივლისს და დასრულდება 2024 წლის 30 ივნისს. პროექტის განხორციელებაში ჩართულია გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის რვა თანამშრომელი და რამდენიმე პარტნიორი საქართველოდან და რუსეთის ფედერაციიდან.

პროექტი მიზნად ისახავს ინოვაციების კვლევას, რომლებიც ქრ. შ - მდე IV-III ათასწლეულებში ჩნდება და მნიშვნელოვან როლს თამაშობს კაცობრიობის ისტორიაში. ეს არის ძალიან დინამიკური პერიოდი, როდესაც ბევრი ტექნიკური და სოციალური ინოვაცია ჩნდება. თვითოეულ მათგანს კი დიდ ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული შედეგი ჰქონდა. ასეთია მაგალითად ბრინჯაოს მეტალურგია, ბორბლის გამოგონება და სხვ. ზოგადად მიიჩნეოდა, რომ ყველა მნიშვნელოვანი ინოვაცია ძველი ცივილიზაციების ცენტრებში მესოპოტამიასა და ეგვიპტეში ისახება და აქედან ვრცელდება ამ ცივილიზაციების „პერიფერიებში“. თუმცა დროთა განმავლობაში, ცხადი გახდა, რომ ეს ყოველთვის ასე არ არის. ცნობილი ხდება მთელი წყება ინოვაციებისა, რომლებიც ე.წ. პერიფერიებში გაჩნდა და შემდეგ გავრცელდა ცივილიზაციის ცენტრებში. ასეთია, მაგალითად,

ცხენის მოშინაურება. პროექტი მიზნად ისახავს ამ საკითხების კვლევასა და ამ საქმეში კავკასიის რეგიონის როლის შესწავლას. წარმოადგენდა თუ არა კავკასია ბარიერს ერთის მხრივ ცივილიზაციის ცენტრებსა და მის პერიფერიებს შორის თუ, პირიქით, ეს რეგიონი თავისებური დამაკავშირებელი ხიდის ფუნქციას ასრულებდა პრეისტორიულ ხანაში. პროექტის მიზანია ოთხი ძირითადი ინოვაციის კვლევა: ბორბლის გამოგონება, ვერცხლის ათვისება, დარიშხანიანი ბრინჯაოს წარმოება, ცხვრის მოშინაურება / მატყლის წარმოება. ამ საკითხების შესასწავლად დაიგეგმა და განხორციელდა დაიწყო არქეოლოგიური გათხრების პროექტმა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციაში. მიზანია არქეოლოგიური გათხრების საშუალებით და ფართო ინტერდისციპლინარული კვლევებით ახალი მონაცემების შეგროვება [Hansen 2020]. 2022 წლის თებერვლის მოვლენების შემდეგ რუსეთის ფედერაციაში სამუშაოები შეჩერებულ იქნა. პროექტის ფარგლებში არქეოლოგიური გათხრები გრძელდება მხოლოდ საქართველოში.

გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის პარტნიორები საქართველოში არიან საქართველოს უნივერსიტეტი და საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

საქართველოს უნივერსიტეტი გერმანელ კოლეგებთან ერთად სამუშაოებს აწარმოებს სამშვილდის მტკვარ-არაქსულ ნამოსახლარსა და სამაროვანზე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში. საქართველოს ეროვნული მუზეუმი კი ორჭოსანის პრეისტორიულ ძეგლს შეისწავლის ახალციხის მუნიციპალიტეტში.



სურ. 1 fig. არქეოლოგიური გათხრების საერთო ხედი. 2021 წლის სექტემბერი. ი. კრუმნოვის ფოტო. Excavations in Samshvilde. September 2021. Photo by Jan Krumnow.

სამშვილდში განხორციელებული სამუშაოები

პროექტის ფარგლებში სავლეს სამუშაოები დაიწყო 2020 წლიდან. დღემდე განხორციელებულია არქეოლოგიური გათხრების ოთხი და გეოფიზიკური დაზვერვების ორი კამპანია. გეოფიზიკური დაზვერვები 2020 წლის ოქტომბერში განხორციელა მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორმა ბატონმა ი. ფასბინდერმა (Prof. Dr. J. Fassbinder). აღსანიშნავია, რომ ბატონი ფასბინდერი ამ დარგის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სპეციალისტია გერმანიაში. ბოლო წლებში ის სამუშაოებს აწარმოებს საქართველოშიც. ის მუშაობდა, მაგალითად, კახეთის რეგიონში, ქუმბათის აქმენიდური ხანის კომპლექსის შესწავლის პროექტში.

2022 წლის ივნისში კი დაზვერვების კიდევ ერთი კამპანია ჩაატარა ერლანგენის უნივერსიტეტის ჯგუფმა კ. მიშკას (Dr. C. Mischka) ხელმძღვანელობით. ამ დროს დაზვერვები განხორციელდა როგორც მაგნეტომეტრის, ასევე გეორადარის გამოყენებით. ორივე ეს ხელსაწყო აღჭურვილი იყო RTK (Real-time kinematic positioning) სისტემით, რაც შესწავლილი ფართობის მდებარეობას ზუსტად განსაზღვრავს.



სურ. 2 fig. არქეოლოგიური გათხრების საერთო ხედი. 2022 წლის მაისი. ი. კრუმნოვის ფოტო. Excavations in Samshvilde. May 2022. Photo by Jan Krumnow.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გეოფიზიკური დაზვერვები განხორციელდა დაგეგმილთან შედარებით მცირე ფართობზე. სამშვილდის პრეისტორიული ძეგლი დღეისათვის რამდენიმე კერძო საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე მდებარეობს. მიწის მესაკუთრეებისაგან კი, ზოგჯერ, ვერ ხერხდება ნებართვის მიღება თუნდაც გეოფიზიკური დაზვერვების ჩასატარებლად.

არქეოლოგიური გათხრების კამპანიები განხორციელდა უკვე ოთხ ეტაპად:

2021 წლის აგვისტო-სექტემბერი

2022 წლის მაის-ივნისი

2022 წლის აგვისტო-სექტემბერი

2023 წლის მაის-ივნისი

არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების ჯგუფი. სამუშაოებში ჩართულები არიან გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლები. სავსე სამუშაოებში პირველივე დღიდან მონაწილეობას იღებს გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის გათხრების ტექნიკოსი ბატონი იან კრუმნოვი. არქეოლოგიური ექსპედიციის ტექნიკური აღჭურვა (დიფერენცირებული GPS, ელექტრონული თეოდოლიტი, დრონი, პროფესიონალური უახლესი ფოტოტექნიკა, კომპიუტერული ტექნიკა და შესაბამისი ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფა) განხორციელა გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტმა. ექსპედიციაში მონაწილეობას იღებენ ასევე კვალიფიციური მოწვეული სპეციალისტები საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან: კერამიკოს-რესტავრატორი, მხატვარი, ბიოანთროპოლოგი. მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ ადამიანის ფიზიკური ნაშთის გენეტიკის კვლევა გერმანელი სპეციალისტების მიერ. დღემდე სამშვილდის პრეისტორიულ ძეგლზე აღმოჩენილია მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი ხუთი ინდივიდის ფიზიკური ნაშთი. მიმდინარეობს არქეოლოგიური მონაპოვრების (ხის ნახშირი და ცხოველის ძვლები) დათარიღება გერმანიის ლაპორატორიებში. დღემდე დასრულებულია სამი სინჯის შესწავლა, 2022 წელს დათარიღებისთვის აღებული იქნა 11 ახალი სინჯი, ხოლო 2023 წელს კიდევ 12 სინჯი. 2023 წლისთვის დაგეგმილია ასევე არქეოზოოლოგიისა და არქეობოტანიკოსის მოწვევა გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტიდან. იგეგმება ასევე დისტანციური ზონდირება LIDAR ტექნოლოგიის გამოყენებით. აღნიშნული ტექნოლოგია არქეოლოგიაში სიახლეს წარმოადგენს.

2021 წლის არქეოლოგიური გათხრების სეზონის დაწყებას წინ უძღოდა შესასწავლი ტერიტორიის აზომვა. სამშვილდის პრეისტორიული ნამოსახლარის მიმდებარედ, კულტურული ფენებისგან მოშორებით, 200 მეტრის რადიუსში განხორციელდა სამი მყარი (ბეტონირებული ლურსმანი) წერტილის მომზადება. განისაზღვრა წერტილების ზუსტი პოზიცია და სიმაღლე. სამუშაოების მიმდინარეობისას გამოიყენება ორი GNSS მიმღები ანტენა. ამ ანტენების საშუალებით იქნა აზომილი სამუშაო არეალებიც და ამ არეალებში შემდგომ განხორციელებული სავსე კვლევების შედეგად გამოვლენილი ობიექტებიც.

არქეოლოგიური გათხრები ხორციელდება გათხრების ტექნიკოსის იან კრუმნოვის აქტიური ჩართულობით. არქეოლოგიური ძეგლებისა და მონაპოვრების ფიქსაციისას გამოიყენება ფოტოგრამეტრია. ლიცენზირებული კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით ხდება ფოტოგრამეტრიული მოდელებისა და ორთოფოტოების მიღება და მათი ინტეგრირება გეოსაინფორმაციო ბაზაში.

არქეოლოგიური გათხრების პარალელურად, სამუშაო ჯგუფის გარკვეული ნაწილი, საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტები, ახორციელებს კამერულ სამუშაოებს. მიმდინარეობდა არქეოლოგიური მონაპოვარი მასალის პირველადი დამუშავება, გარეცხვა, დანომვრა, ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია, სტატისტიკური ანალიზი, მონაცემთა ელექტრონული ბაზის შედგენა.



სურ. 3 fig. არქეოლოგიური გათხრების საერთო ხედი. 2022 წლის სექტემბერი. ი. კრუმნოვის ფოტო. Excavations in Samshilde. September 2022. Photo by Jan Krumnow.

დაგეგმილი სამუშაოები

2024 წელს დაგეგმილია გათხრების კიდევ ერთი კამპანიის ჩატარება მაის-ივნისში. ექსპედიციაში აქტიურად ჩაერთვებიან საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის მიმართულების სტუდენტები. მათ საშუალება ექნებათ მიიღონ არა მარტო არქეოლოგიური გათხრების გამოცდილება, არამედ, შეარჩიონ და იმუშაონ პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლებიც შეიძლება გახდეს მათი საკვალიფიკაციო ნაშრომები - საბაკალავრო ან სამაგისტრო თემები. შესაძლებლობა მიეცემათ შეარჩიონ თემები, ახალი მონაცემების გამოყენებით, სამეცნიერო კონფერენციებისთვის და ა.შ.

2024 წელს სამუშაოებში არქეოლოგების გარდა ჩაერთვებიან სხვადასხვა დამხმარე სამეცნიერო დისციპლინების წარმომადგენლები.

არქეოლოგიური გათხრების დასრულების შემდეგ დაიწყება მუშაობა მოპოვებულ მონაცემების საბოლოო ანალიზისთვის და შემაჯამებელი პუბლიკაციის გამოსაცემად.



სურ. 4 fig. გეოფიზიკური დაზვერვები. 2022 წლის ივნისი. ლევან ჭაბაშვილის ფოტო. Geophysical prospection in Samshilde. June 2022. Photo by Levan Tchabashvili.

გამოყენებული ლიტერატურა

Hansen, S. (2020). ERC Advanced Grant ARCHCAUCASUS Technische und soziale Innovationen im Kaukasus: zwischen Eurasischer Steppe und den frühesten Städten im 4. und 3. Jahrtausend v. Chr. Eurasien-Abteilung Deutsches Archäologisches Institut Berlin 2020.

Joint Studies of the University of Georgia and the German Institute of Archaeology at the Prehistoric Site of Samshilde

*Tchabashvili Levan
The University of Georgia
l.tchabashvili@ug.edu.ge*

The University of Georgia has been collaborating with the German Institute of Archaeology since 2019. The collaboration operates under the ERC-Advanced Grant 834616 — ARCHCAUCASUS (Technical and Social Innovations in the Caucasus: between the Eurasian Steppe and the Earliest Cities in the 4th and 3rd millennia BC) received by the German Institute of Archaeology. The project primarily examines a Kuro-Araxes culture settlement and a cemetery in the Samshilde Village of the Tetrtskaro municipality.

The goal of the Project is to obtain new data about stratigraphy, chronology of the former settlement of Eneolith/Early Bronze Era and other issues. Natural sciences were also used in the researches.

The archaeological site is located in Tetrtskaro Municipality, on agricultural land parcels of villages Samshilde and Dagheti. Today these land parcels are privately owned. The site was discovered accidentally, during the ground works. It was studied by Samshilde team of Tetrtskaro archaeological expedition in 1968-1970s. 41 graves were studied on the burial ground. Out of these, 36 graves belonged to the prehistoric era and 5 graves belonged to the Middle Ages. A former settlement of the Early Bronze era located on the opposite side of the burial ground, at the distance of 600 meters to the south was studied. Results of these researches were published by G. Mirtskhulava as a monograph in 1975.

Fieldwork within the project commenced in 2020 and has included four archaeological excavations and two geophysical reconnaissance campaigns to date. In October 2020, a geophysical survey was led by Professor J. Fassbinder from the University of Munich. A subsequent reconnaissance in June 2022 was spearheaded by Dr. C. Mischka and his team from Erlangen University, employing both magnetometer and georadar techniques.

The archaeological excavations unfolded in four phases:

1. August-September 2021
2. May-June 2022
3. August-September 2022
4. May-June 2023

These archaeological excavations were conducted by a team of professors and students

from the University of Georgia, with participation of the representatives of the German Institute of Archaeology and guest experts from the National Museum of Georgia, including a ceramicist-restorer and an artist. Archaeological finds, such as charcoal and animal bones, have been sent for dating to German labs. Three samples have already been studied, 11 new samples taken for dating in 2022 and 12 more in 2023. Plans for 2023 also include inviting an archaeozoologist and an archaeobotanist from the German Institute of Archaeology, and introducing remote sensing via LiDAR technology, which is a novel technology in archaeology.

Alongside fieldwork, a segment of the team, comprising University of Georgia students, focuses on indoor tasks like initial processing of archaeological materials — washing, numbering, photographic and graphic documentation, and statistical analysis, leading to the compilation of an electronic database.

Another excavation campaign is scheduled for: May-June 2024.

After completing these excavations, the team will begin the final data analysis and prepare a publication summarizing the work.

ကဗျာဝိသ

ဝင်္ဂဗျာဏဒဂဏ

„არქეოლოგია“ 5-ის სტუმარია პროფესორი ნოდარ ბახტაძე

ცნობილი ქართველი არქეოლოგი და ხუროთმოძღვრების ისტორიკოსი, პროფესორი ნოდარ ბახტაძე დაიბადა ქ. თბილისში, 1953 წლის 9 ივნისს. 57-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე, 1978-1980 წლებში კი საქართველოს მეცნ. აკადემიის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიარა ასპირანტურის კურსი ქართული ხელოვნების ისტორიასა და არქეოლოგიაში. 1980-2004 წლებში ნ. ბახტაძემ პროფესიული კარიერა განაგრძო ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ჯერ უმცროს, შემდეგ კი უფროს მეცნიერ თანამშრომლად. ხელმძღვანელობდა სხვადასხვა არქეოლოგიურ ექსპედიციებს. 1989 წელს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ქვემო ქართლის კლდის ძეგლები“.



პროფესორი ნოდარ ბახტაძე

1991-1992 წლებში მუშაობდა საქართველოს კულტურის სამინისტროში ისტორიისა და კულტურის ძეგლთა ინსპექციის სამმართველოს უფროსად. 1996-2001 წლებში კი გ. ჩიტაიას სახ. საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახ. მუზეუმის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში.

2004 წელს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „კლდეში ნაკვეთი ძეგლების გენეზისი და განვითარების გზები საქართვეოში“. 1995-2005 წლებში მუშაობდა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახ. სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში, ჯერ დოცენტის, შემდეგ კი პროფესორის თანამდებობაზე.

2010 წლიდან დღემდე მუშაობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ, შემდეგ კი სრულ პროფესორად და საქართველოს ეროვნული მუზეუმის წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად.

პროფ. ნ. ბახტაძის სახელთან არის დაკავშირებული ისეთი ცნობილი ძეგლების არქეოლოგიური კვლევები, როგორიცაა ქვემო და შიდა ქართლის კლდეში ნაკვეთი ძეგლები, არემის, ნეკრესის და გრემის ნაქალაქარები, ღვინის გარეჯის სამონასტრო კომპლექსები და სხვ.

ნ. ბახტაძე არის საქართველოსა და საზღვარგარეთ გამოცემული ასზე მეტი სამეცნიერო სტატიისა და რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი. იგი დღემდე აქტიურადაა ჩართული საუნივერსიტეტო სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროცესში და უანგაროდ უზიარებს საკუთარ მდიდარ გამოცდილებას არქეოლოგიისა და ისტორიის სპეციალობის სტუდენტებს.

ჟურნალი „არქეოლოგია“ პროფ. ნ. ბახტაძეს კვლავაც წარმატებულ და ნაყოფიერ მოღვაწეობას უსურვებს.

ბატონო ნოდარ, რამ გადაგაწყვტინათ არქეოლოგიის პროფესიის არჩევა? ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც კვალი დაამჩნიეს თქვენი მეცნიერად ჩამოყალიბების გზას?

პროფესიონალ არქეოლოგად ჩამოყალიბების გზა ჩემთვის მშვიდი და სწორ-ხაზოვანი არ ყოფილა. ისტორია და განსაკუთრებით „რომანტიკული“ პროფესია - არქეოლოგია, უამრავი ახალგაზრდის მსგავსად, სკოლის ასაკიდანვე მეც მიტაცებდა და ამ „ჟანრის“ წიგნებს ხშირად ვკითხულობდი. თუმცა, ხატვასა და ტექნიკურ საგნებში კარგ სასტარტო უნარებს ვერ შეველიე (უფრო ოჯახი...) და თავდაპირველად არქიტექტორის პროფესიას დავუფულე. შედეგად, პირველი სტუდენტობისას მუდამ განვიცდიდი ბავშვობის ოცნებისადმი „ნოსტალგიას“, ამიტომ, ძირითადად, არქიტექტურის თეორიისა და ისტორიის კურსებს ვუთმობდი დროს, გულისხმიერი ნაცნობ-მეგობრების წყალობით კი უკლებლივ ყველა ზაფხულს არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ თუ ხუროთმოძღვრების ძეგლების შემსწავლელ ექსპედიციებში ვატარებდი. იმჟამად, სპეციალობათა ასეთი „ტანდემის“ მნიშვნელობა მომავალი პროფესიისთვის გააზრებული არ მქონდა. მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი, რომ ბედმა შესანიშნავი შესაძლებლობა მარგუნა - თავდაპირველად კლასიკური და შუა საუკუნეების არქეოლოგიის პროფესიისთვის ესოდენ აუცილებელ უნარებს - ხელოვნებას, ხუროთმოძღვრების ისტორიას და კულტურული მემკვიდრეობის ფიქსაციას პროფესიონალურ დონეზე დავუფლებოდი. დღესაც კი მიჭირს თქმა, ამ ორმაგ სპეციალობას პირიქითი თანმიმდევრობით მივიღებდი კი? მეეჭვება მაშინდელი ერთსაფეხურიანი უმაღლესი განათლების პირობებში არქეოლოგიის დიპლომით აღჭურვილს, ხუროთმოძღვრების აკადემიურად შესწავლა დამეწყოს ხვანაირად არ გამიგოთ - დღესდღეობით, თეორიულადაც და პრაქტიკულადაც, დამწყები არქეოლოგების მიერ ამ უმჭიდროეს მომიჯნავე პროფესიებში დაოსტატება შეუძლებლად სულაც აღარ მიმაჩნია - წინააღმდეგ შემთხვევაში არქეოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისთვის, ხელოვნების ისტორიის კურსის გარდა (წლების განმავლობაში, არქეოლოგიაზე ადრე რომ ვკითხულობდი), ილიას უნივერსიტეტში არ შემოვიღებდი სასწავლო კურსს - არქეოლოგიური ძეგლების გრაფიკული ფიქსაცია. მინდა გითხრათ, რომ ამ კურსის გავლის შედეგად, მომავალი არქეოლოგები, არცთუ იშვიათად, ლამის პროფესიონალურ უნარებს იძენენ ძეგლების ანაზომების შესრულებაში.

თქვენი მეორე შეკითხვაც ჩემთვის ამ სანუკვარი გზის გაკვლევას უკავშირდება - უზომოდ მაღლიერი ვარ ჩემი დიდი მასწავლებლების, შემდგომში უფროსი მეგობრების, ბატონების: ირაკლი ციციშვილის, პარმენ ზაქარაიასი, ლევან ჭილაშვილის, ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილის, ოთარ ჯაფარიძის, რამინ რამიშვილის. მომავალ თაობაზე მზრუნველმა ამ მეცნიერებმა, დაინახეს რა ჩემი საისტორიო და არქეოლოგიური პროფესიებისადმი სერიოზული მისწრაფება, ყურადღება არ მოუკლიათ, თითქმის მთელი საქართველო შემომატარეს, კულტურული მემკვიდრეობის უამრავი ძეგლის კვლევა-ძიებაში ჩამრთეს, თავ-თავიანთი მიმართულების ანა-ბანას მაზიარეს, უშუალოდ არქეოლოგიის მიმართულებით ასპირანტურის კურსის გავლაშიც დამეხმარნენ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ძირძველი დაწესებულების - ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის კარი გამიღეს. ამ დიდი ტრადიციების სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოღვაწე კიდევ არაერთმა ძვირფასმა ადამიანმა ითამაშა პოზიტიური როლი ჩემს მოკრძალებულ სამეცნიერო კარიერაში და, რაც მთავარია, ქართულ კულტურულ ტრადიციებზე შეყვარებულ მოქალაქედ ჩამოყალიბებაში. მე თავს დღესაც, უპირველესად, ამ დიდებული მუზეუმის რიგით გუშაგად მივიჩნევ.



ინტერვიუ დოლოჭობის ბაზილიკის მნიშვნელობაზე

რომელ განსაკუთრებულ არქეოლოგიურ ექსპედიციას ან კამპანიას გამოჰყოფდით თქვენი მრავალწლიანი საველე-სამეცნიერო მოღვაწეობიდან? რომელ ძეგლს ან დადასტურებულ მოვლენას მიიჩნევდით თქვენი თუ თქვენი სამეცნიერო გუნდის ყველაზე მნიშვნელოვან აღმოჩენად?

ტრაფარეტული პასუხი არ მინდა გამომივიღეს - ყველა ძეგლი თუ კომპლექსი თავისებურად საინტერესო და მნიშვნელოვანიაო (არადა, გარკვეული აზრით, მართლაც ასეა...). გავიხსენებ ექსპედიციათა ორ უმნიშვნელოვანეს ციკლს: ჩემი ხელმძღვანელობით ჩატარებულ პირველ და სულ ბოლო წლების საველე სამუშაოებს, რომელთა დავიწყებას წუთითაც ვერ შევძლებ, და არა მარტო ამ „თავ-ბოლო“ რიგითობის გამო.

ჩემთვის პირველ დამოუკიდებელ არქეოლოგიურ ექსპედიციებს ქვემო ქართლში, შედეგად, არც მეტი, არც ნაკლები - მდინარე ხრამისა და მის შენაკად ხეობებში მდებარე ხელოვნურ გამოქვაბულთა უამრავი კომპლექსის 2-3 ათასწლეულით „დაძველება“ მოჰყვა. ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში მოხსენიებული, ყველასგან მივიწყებული გამოქვაბული ძეგლების კვლევა-ძიებას, მე თვითონ 25-30 წლისა, თითქმის შიშველი ენთუზიაზმით ვატარებდი სტუდენტების არაჩვეულებრივად ინტერესიან, პატრიოტულად განწყობილ ჯგუფთან ერთად. მიზეზული დაფინანსების გამო სატვირთო მანქანებს დავემგზავრებოდი ხოლმე, შემდეგ კი მრავალ კილომეტრს ფეხით გავდიოდი მცხუნვარე მუხში, ხანდახან კი წვიმაშიც. ხშირად გამოქვაბულებში ვათენებდით დამეს, კოცონის პირას. გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურული იყო, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კულმინაციის ხანა; ამ შესანიშნავ გოგო-ბიჭებთან ერთად პირღებულის მონასტრის ტყეში საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროშა შევკერეთ, ბუნებრივი საღებავებით შევღებეთ და „საფერავ-შინდისფერში“ იქვე გადასერილი თითებიდან სისხლიც ჩავაწვეეთ... რომ ვიხსენებ, სენსაციური არქეოლოგიური მონაპოვრით ხელდამშვენებულები, რუსთაველის გამზირის გავლით, ამ დროშის ფრიალით როგორ შევედით ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის ნომინალურ დაქვემდებარებაში მყოფი საქართველოს მუზეუმის ეზოში, დღესაც ტანში ჟრუანტელი მივლის. დამოუკიდებელი საქართველოს სხვა დროშა, მუზეუმის ფონდებში არ აღმოჩნდა (ვინ გააჩერებდა?) და თავისუფლებისათვის ბრძოლის დღეებში ჩვენი შენობის ფასაღზე შემდეგაც ხშირად იყო გამოფენილი ეს დროშა (აწ უკვე ექსპონატი). და ამ რელიქვიის შემოქმედ ახალგაზრდებს, ახლა უკვე ჭარმაგ, სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებს არ იკითხავთ? ჩვენი, ყოველწლიურად დაწესებული, შეხვედრებისას, თავიანთი სიყმაწვილის ბედნიერების კულმინაციად, დღესაც გადაჭრით მიიჩნევენ იმ რამდენიმე ზაფხულს.

ეს ისე, ლირიკისგან თავი ვერ შევიკავე, თორემ იმ ახალგაზრდული ექსპედიციების ფრიალს სერიოზული სამეცნიერო შედეგი იმდენად დაუჯერებელი ეჩვენა ზოგიერთ სკეპტიკოს მეცნიერს, რომ ხმები დაყარეს, ეს ბავშვები გვეხუმრებიან და ბრინჯაოს ეპოქათა არტეფაქტების ნატუნები ჯიბით შეაქვთ შუა საუკუნეების სახიზრებშიო... რომ არა ბრინჯაოს ეპოქათა კულტურების უდიდესი სპეციალისტების, ბატონების ლალი ჯავახიშვილისა და ელგუჯა გოგაძის დაუზარებელი ჩამობრძანება ხრამის

ციცაბო ხეობაში და რამდენიმე გამოქვაბულში, ბედად, უძრავად შემორჩენილი ამ უძველეს ფენებში საკუთარი ხელით თხრილის გავლება, კიდევ რამდენიმე წელი დაგვჭირდებოდა მტკიცება, თუ რის საფუძველზე მივიჩნევდით ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შუა საუკუნეების სახიზრებად მიჩნეულ, ქვემო ქართლის ხეობებში ათეულობით კილომეტრზე განფენილ გიგანტურ კომპლექსებს ადრეული ბრინჯაოს ეპოქის, საყდრისის შემოქმედი მეტალურგი ტომების დასახლებების ნაშთებად.

რაც შეეხება სულ ბოლო წლებში, ჩემი ხელმძღვანელობით, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ჩემ მიერვე ჩამოყალიბებული კიდევ ერთი ახალგაზრდული გუნდისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პრაქტიკანტი სტუდენტების ძალეებით ჩატარებულ არქეოლოგიურ ექსპედიციებს ნეკრესის ნაქალაქარის გვიანანტიკურ და ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებზე, მათი განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ ამ კვლევის შედეგებმა სრულიად შეცვალა თითქმის საუკუნოვანი შეხედულება იბერიის სახელმწიფოს პირველი ქრისტიანული ტაძრების აღნაგობის შესახებ. საქმე ისაა, რომ ცნობილ ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა უმრავლესობა, სულ ბოლო დრომდე იზიარებდა XX ს - ის 20 - იან წლებში შემუშავებულ ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც ქართულ სახელმწიფოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად შემოღების შემდგომ (ამჟამად აღიარებულია დაახ. 326 წ), ქრისტიანული ტაძრების მოდელები დამოუკიდებლად ყალიბდებოდა, რომის იმპერიაში უკვე ნორმატიულად მიჩნეული გეგმარების გაუთვალისწინებლად. ამ ვერსიით, 1.5 საუკუნე დასჭირდა იმას, რომ საქართველოში მეტად მცირე ზომის, პრიმიტიული საეკლესიო ნაგებობები, ადგილზე ევოლუციის გზით სრულყოფილი, კანონიკური აღნაგობის ტაძრებით შეცვლილიყო.

ჩვენ მიერ ყვარლის მუნიციპალიტეტში, ნაქალაქარ ნეკრესში, სამი უძველესი, სავსებით კანონიკური გეგმარების, რომაულ-ადრებიზანტიური სამყაროს აღმოსავლეთის პროვინციების „სტანდარტებთან“ მეტად მიახლოებული გეგმარების, ფრიად დიდი ზომის ქრისტიანული ბაზილიკის აღმოჩენამ (ჭაბუკაურის, დურუჯისპირა, „დოლოჭოპის“) და შესწავლამ კი დაადასტურა, რომ იბერიის სამეფოში IV ს-ის მეორე ნახევარშივე იგებოდა რომის იმპერიაში შემუშავებული ქრისტიანული ლიტურგიის მოთხოვნათა გათვალისწინებით დაგეგმარებული ტაძრები. ეს აღმოჩენა, რაც საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებრიობის მიერ ერთხმად იქნა აღიარებული, საკმად მძლავრი არგუმენტი აღმოჩნდა იმ ჰიპოთეზის დაშვების საწინააღმდეგოდ, რომ ქრისტიანული კულტურა იბერიის სამეფოში გაცილებით გვიან გავრცელდა საყოველთაოდ, ვიდრე მეზობელ ქრისტიანულ სახელმწიფოებში.

ამიტომაც ალბათ გამიგებთ, თუ რატომ ვთვლი ნაქალაქარ ნეკრესში ჩატარებული ამ კვლევების შედეგებს ქართულ ისტორიოგრაფიაში შეტანილ მნიშვნელოვან წვლილად.



სტუდენტ-პრაქტიკანტებთან ერთად

როგორც უკვე ახსენეთ კიდევ, თქვენ მიერ წაკითხული საუნივერსიტეტო კურსებიდან, ტრადიციულ არქეოლოგიურ თემებთან ერთად ფიგურირებს ერთგვარად „არასტანდარტული“ საგნებიც, რომლებსაც საქართველოში სტუდენტები ზოგჯერ დღემდე მხოლოდ თქვენი ხელმძღვანელობით ეუფლებიან. წლების წინ ამგვარად ჟღერდა კურსი „ქრისტიანული არქეოლოგია“. რატომ არ იკითხებოდა აქამდე ეს საგანი არც საქართველოში და არც დასავლეთ ევროპის უმრავლეს უნივერსიტეტებში ამ სახელწოდებით?

„ქრისტიანული არქეოლოგია“ არქეოლოგიის დარგის ერთ-ერთი საინტერესო სამეცნიერო მიმართულებაა, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ევრაზიის კონტინენტის მრავალი ქვეყნის ისტორიული წარსულის სრულყოფილად კვლევაში. უბრალოდ, დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მთელ რიგ უნივერსიტეტებში, ის ჩანაცვლებულია სასწავლო კურსებით „ბიბლიური არქეოლოგია“, რომლის ფარგლებშიც მოიაზრება როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის რელიგიურ კულტურათა ფორმირების ეპოქის არა მხოლოდ საკულტო ობიექტების თუ მემორიალური ნაგებობების, არამედ, ლამის არის მთელი ხალხებისა და ისტორიული მოვლენების კვლევა. ქრისტიანული არქეოლოგია კი, კონკრეტულად ქრისტიანული კულტურის ჩასახვისა და გავრცელების ნიუანსების ჩაღრმავებით კვლევაზეა ფოკუსირებული და ამ სასწავლო საგნის ცალკე კურსად გამოყოფა, უფრო უძველესი ქრისტიანობის ქვეყნებისთვის, მაგალითად იტალიის, საბერძნეთის და ისრაელის, აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის რიგი ქვეყნების უნივერსიტეტებმა ჩათვალეს მიზანშეწონილად (ისევე, როგორც ისლამური არქეოლოგიის კურსები წინა აზიის ქვეყნებში); მათი მიზანი ნათელია: თავიანთი ქვეყნების (და არა მარტო)

მდიდარი ქრისტიანული კულტურის სათანადო ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტები იმ რაოდენობით აღზარდონ, რომ მათ ქვეყნებში შემორჩენილი დიდძალი, თუნდაც დაზიანება-განადგურების საშიშროების წინაშე მყოფი ნაეკლესიარ-ნამონასტრალები თუ სხვა მემორიალური ნაგებობების თანამედროვე სტანდარტებით შესწავლა-კონსერვაცია უზრუნველყონ. ცხადია, საქართველოში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ კურსის შემოღებით, მეც უმთავრესად იმავე მიზნის მიღწევა მსურდა - რომ ჩვენი უძვირფასესი ქრისტიანული ძეგლები მომიჯნავე დარგების: ისტორიის, ხელოვნებისა თუ თეოლოგიის ცოდნის ელემენტებს დაუფლებულმა არქეოლოგებმა შეისწავლონ.

რაც შეეხება კითხვას, თუ რატომ არ იკითხებოდა ეს კურსი საქართველოს უნივერსიტეტებში მე-20 საუკუნის განმავლობაში, ამაზე პასუხს უფრო დღევანდელ ახალგაზრდა არქეოლოგთა გასაგონად გავცემ, - საბჭოთა ეპოქაში რელიგიის კვლევებთან ესოდენ მჭიდროდ დაკავშირებული საგნების სწავლება (მით უფრო, სადაც სათაურშივე იყო გამოხატული მიზანი), ქვეყნის ოფიციალური მიერ სასტიკად იკრძალებოდა. მხოლოდ უკანასკნელ ათწლეულებში, ჯერ სულხან-საბას, შემდეგ კი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტებში მომეცა მათი წაკითხვის საშუალება. თანდათან, მსგავსი შინაარსის და სახელწოდების კურსები სხვა უნივერსიტეტებშიც იქნა შემოღებული.

დანარჩენი სპეციფიკური კურსებიდან, არქეოლოგიური ძეგლების ფიქსაციის გარდა, რომელსაც წინა პასუხში უკვე შევხვე, გამოვყოფდი „სპელესტოლოგიური“ (კლდეში ხელოვნურად გამოკვეთილი) ძეგლების არქეოლოგიურ კვლევას. ამ საგნის აქტუალურობასაც კავკასიის რეგიონის კლდეში გამოქვაბული ისტორიული ხუროთმოძღვრული ძეგლების სიმდიდრე განაპირობებს. ჩემი და საზღვარგარეთელი კოლეგა-სპელესტოლოგების (სპელეოლოგები, ბუნებრივი მღვიმეების მკვლევრებში არ აგერიოთ!) მრავალწლიანი გამოცდილებით, ამ მრავალპლასტიანი და მრავალფუნქციური გამოქვაბული ძეგლების არქეოლოგიურად შესწავლას ისეთივე განსხვავებული, მულტიდისციპლინური სპეციფიკა აქვს, როგორც, ვთქვათ, წყალქვეშა არქეოლოგიას. ჩემი ღრმა რწმენით, უფლისციხის, დავით გარეჯის, ვარძიისა და სხვა მრავალი გამოქვაბული კომპლექსების პატრონი ქვეყნის უნივერსიტეტების კურსდამთავრებული არქეოლოგები, ამ ტიპის ძეგლების კვლევის მეთოდოლოგიაზე, ყოველ საჭირო შემთხვევაში, ხელახლა არ უნდა მსჯელობდნენ.

ბატონო ნოდარ, როგორც უკვე აღნიშნეთ, თქვენ მნიშვნელოვანი კვლევები გაქვთ ჩატარებული ხრამის ხეობაში და მათ შორის, სამშვილდეშიც. რას ფიქრობთ საქართველოს უნივერსიტეტის პროექტზე, რომელიც სამშვილდის ნაქალაქარის არქეოლოგიურ და ინტერდისციპლინურ კვლევებს ეხება?

მდინარე ხრამის (ქციის) და ზოგადად ქვემო ქართლის ხეობებში მდებარე, მრავალრიცხოვანი და მრავალქრონოლოგიურპლასტიანი გამოქვაბულების გრანდიოზულ, მანამდე სრულიად შეუსწავლელ კომპლექსებზე ჩვენ მიერ მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ჩატარებული ექსპედიციების სამეცნიერო შედეგების

დიდ მნიშვნელობაზე უკვე გესაუბრეთ. ბუნებრივია, მაშინ არც ამ რეგიონის სხვა, თუნდაც ქვით ნაგებ ხუროთმოძღვრების ძეგლებს - ნაქალაქარებს, ნასოფლარებს, ნატაძრალეებსა და ნამონასტრალეებს ვტოვებდით უყურადღებოდ და შეძლებისდაგვარად ვაფიქსირებდით, ხანდახან კი პუბლიკაციებშიც ავსახავდით. ცხადია, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით სამშვილდის ნაქალაქარის კვლევასაც, თუმცა, რადგანაც იქ ჩასატარებელი მეტად მასშტაბური სამუშაოების დამაკმაყოფილებლად განხორციელება იმჟამად ჩვენს ხელთ არსებული, მეტად მწირი, მატერიალური რესურსების პირობებში შეუძლებელი იყო, ეს სამუშაოები წინასწარი დაზვერვების ეტაპს არ გაცდენია (გარდა გამოქვაბული კომპლექსების არქეოლოგიური კვლევისა).



ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი, პროფესორი ვახტანგ ჯაფარიძე და პროფესორი ნ. ბახტაძე დოლოჭოპის ბაზილიკის გათხრებზე

სამეცნიერო კვლევათა წარმატება, სხვა რესურსებთან ერთად, პირდაპირაა დაკავშირებული მეტად სწრაფად განვითარებად ტექნოლოგიებზე დამყარებულ ახლებურ მეთოდებთან. თუკი 3 ათწლეულის წინ თითოეული ძეგლის, და მით უფრო, კომპლექსების ფიქსაცია კუსტარულად, ნაწილ-ნაწილ და ნაკლები სიზუსტით ხდებოდა, დღეს გეო-საინფორმაციო და ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ,

სულ სხვა შესაძლებლობები გადაუშალა ახალი თაობის მკვლევრებს. აღარაფერს ვამბობ ძეგლებზე არქეოლოგიურად დაფიქსირებული არტეფაქტებისა და ეკოფაქტების თანამედროვე ტექნიკურ-ლაბორატორული მეთოდებით კვლევაზე.

უპირველესად სწორედ ამგვარი თანამედროვე მიდგომების ფართოდ დანერგვის გამო, ძალზე პოზიტიურად ვაფასებ საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ნაქალაქარ სამშვილდისა და მისი მიდამოების ისტორიულ ძეგლებზე განხორციელებულ არქეოლოგიურ და ინტერდისციპლინურ კვლევებს. რატომაცაა, ამ სამუშაოების უდავო წარმატებას არამხოლოდ მატერიალურ-ტექნიკური რესურსები განსაზღვრავს (რაც, საქართველოს სინამდვილეში, ჯერ კიდევ მეტად შრომატევადი მცდელობებით მოიპოვება); ამ პროექტის ჯერ კიდევ ახალგაზრდა, თუმცა უკვე ფრიად გამოცდილი ხელმძღვანელობის, მუდმივად მონაწილე სტუდენტების და მოწვეული, მომიჯნავე დარგების სპეციალისტების უზარმაზარი ენთუზიაზმისა და ინტელექტუალური პოტენციალის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა, პრაქტიკულად ყველა სეზონზე, ესოდენ მნიშვნელოვანი შედეგების მიღება. ცხადია, ამ პროექტის ფარგლებში ჩატარებულ სავსე და ლაბორატორულ სამუშაოებში აქტიური მონაწილეობა, ფასდაუდებელი გამოცდილების მიღების წყაროა თქვენი უნივერსიტეტის არქეოლოგიის მიმართულების (და არა მარტო) სტუდენტებისთვის, და ეს მათ საკონფერენციო გამოსვლებსა თუ პუბლიკაციებში თვალნათლივ იგრძნობა. გისურვებთ კიდევ უფრო დიდ წარმატებებს!

